Весьма интересная система взаимоотношений медиа и политиков сформирована в Италии. Периодические издания в этой стране обязаны заранее, еще до старта избирательной кампании открыто сообщить, сколько рекламной площади и по каким ценам они могут предложить кандидатам. Вместе с тем, по законам Италии в рекламных изданиях должно быть указано и имя плательщика. Также строго запрещены издания, которые содержат исключительно отрицательные лозунги, агрессивные выпады против кандидатов, прямой призыв голосовать за того или иного кандидата.

Ключевым аспектом взаимоотношений медиа и политики является бесплатное эфирное время. В нашей стране оно предоставляется далеко не всем участникам политической гонки. Согласно «Закону о вещателе» в Грузии кандидаты делятся на две «категории»: те, кому полагается эфирное время и те, кому оно не полагается. То есть, бесплатным эфиром (60 секунд в час на «Общественном вещателе» и 90 секунд каждые три часа на частных телекомпаниях) могут пользоваться те политические партии, которые на последних парламентских выборах получили не менее 5% голосов, а на последних выборах в органы местного самоуправления – не менее 3%. Получается, что те политические силы, которые не смогли преодолеть указанный «барьер», рассчитывать на бесплатный эфир

не могут. Нужно отметить и тот факт, что выделенное время политические партии могут использовать по своему усмотрению. То есть, у них фактически нет ограничений в плане содержания роликов, которые они пускают в эфир и могут использовать полагающееся им время даже в целях черного пиара своих политических конкурентов.

Хотя, нужно отметить, что в большинстве стран Западной Европы в этом плане соблюдается принцип пропорциональности. То есть, политические партии берут на себя ответственность за содержание их рекламы. Редакции, с своей стороны, тщательно следят, чтобы не допустить антиконституционной пропаганды. То есть, складываются своего рода паритетные отношения между политиками и СМИ.

К сожалению, этого нельзя сказать в случае с платной рекламой. Потому что, проплаченная реклама, с одной стороны, стимулирует вмешательство государства в работу средств массовой информации, и, с другой, подрывает издательскую независимость СМИ.

Для регулирования этого процесса Совет Европы разработал специальные рекомендации. Согласно этим регуляциям, медиа, как государственные, так и частные, должны гарантировать честное, справедливое и сбалансированное представление позиций различных партий и кандидатов на выборах, предоставляя им бесплатное эфирное время. Кроме того, платная политическая реклама должна основываться на равных условиях и тарифах, а общественность необходимо информировать, что та или иная реклама является платной.

Хотя, в ряде стран эти рекомендации не всегда учитываются. Например, по законам Украины предвыборная агитация и политическая реклама могут проводиться исключительно участниками избирательной кампании (то есть, кандидатами, их доверенными лицами,

партиями и инициативными группами избирателей). При этом медиа не считаются участниками избирательной кампании. Соответственно, позиция периодического издания или корреспондента не оценивается как избирательная агитация. Что касается непосредственно СМИ, они отвечают лишь за достоверность издаваемой информации.

Несколько иной подход к предвыборной агитации есть у других европейских стран – они дают рекламе два определения: политическая и коммерческая. В ряде государств, например, в Германии и Испании, распространение политической рекламы допускается исключительно в ходе предвыборной кампании. А во Франции и Англии, наоборот, проведение политической рекламы ограничено только во время предвыборной кампании. Во Франции на протяжении всего предвыборного периода не разрешается проведение платной политической рекламы. Зато не регламентируется проведение бесплатной политической рекламы. В Великобритании проведение политической рекламы в пользу только одного кандидата без его согласия может считаться нарушением действующего законодательства. А в Нидерландах Кодекс профессиональной журналистской этики вводит ряд требований к политической рекламе. В частности, она не должна быть анонимной, факты должны соответствовать действительности, она должна вписаться в “критерии вкуса”, не может быть опубликована на страницах, где обычно печатаются редакционные материалы.

Самый «радикальный» подход в этом плане у США - любое регламентирование в области политической рекламы в Штатах признается как антиконституционное действие.

Особенности освещения предвыборных кампаний в прессе

Еще на начальном этапе развития прес-

сы США материалы корреспондентов начали делить на news columns («новостные колонки») и editorial columns («редакторские колонки»). То есть, как правило, новостные статьи и заметки гораздо нейтральнее и содержат исключительно факты. Колонки редакторов, со своей стороны, отражают субъективное мнение. Со временем, эта незамаскированная поддержка превратилась в практику, известную сегодня как «making an endorsement» («одобрение, подтверждение») – когда газеты на своих страницах практически открыто призывают аудиторию голосовать за того или иного кандидата.

Нужно отметить, что эта традиция сохранилась до сегодняшнего дня. Например, в ходе последней предвыборной кампании число газет, поддержавших Барака Обаму равнялось 127, в то время как отдать свой голос Джону МакКейну призывали лишь 49 изданий. Таким образом, если исходить из общего тиража выпускаемых изданий, можно сказать, что Обама, благодаря медиа, получил поддержку 13,5 миллионов читателей. А число сторонников МакКейна составило 3,7 миллиона. Разной была и стратегия изданий этих двух лагерей. Поддерживающие Барака Обаму газеты акцентировали внимание аудитории на молодости и свежем взгляде на проблему. А сторонники Джона МакКейна делали ставку на его возрасту, объясняя это тем, что у него больше опыта в политических делах.

Поскольку в нашей стране независимые СМИ – явление пока молодое, говорить о сформировавшихся традициях в освещении предвыборных кампаний, весьма сложно. В медиа Грузии нет такого компонента предвыборной гонки, как «endorsement». Происходит это отчасти из-за того, что «Закон о вещателе» четко регламентирует шаги государственных СМИ (в частности, речь идет об Общественном вещателе Грузии), которые должны обеспечивать всех

кандидатов (или партии) одинаковыми условиями. Что касается частных СМИ, они могут поддерживать любого претендента. Но, несмотря на это, традиция endorsement не смогла сформироваться даже в частных медиа Грузии. Во всяком случае, на данном этапе.

Приемы, используемые при освещении предвыборных кампаний

Правила регулирования медиа и избирательные системы отдельных стран чаще всего отличаются друг от друга. Однако можно выделить те ключевые приемы, посредством которых представители СМИ формируют позицию избирателей в отношении всех участников предвыборной гонки. К числу таковых относятся следующие «технологии»:

- «стереотипы» («labeling») – когда специалисты и медиа «наклеивают» на людей, явления или события условные ярлыки, априори формирующие определенное отношение (положительное или отрицательное);
- «эвфемизмы» («euphemisms») – нежелательные слова или выражения меняют на нейтральные высказывания и оценки;
- «убийство соперника» (character killing)
- прямая критика противника посредством доказанных или бездоказательных обвинений;
- «новичок» («freshman») – критика соперника из-за отсутствия достаточного политического опыта;
- «восхваление» («glorification») – корреспондент идеализирует кандидата, его поступки и слова;
- «семьянин» («family guy») – формирование имиджа примерного семьянин. Как правило, наличие крепкой семьи и детей является гарантией добропорядочности и создает положительный образ кандидата;
- «свой человек» («nice guy») – когда кандидат пытается быть ближе к народу, своеобразная игра в простонародность;
- «спортсмен» («sportsman») – подчерки-

вается положительное отношение кандидата к спорту, что создает образ сильного и здорового человека;

– «указание на врага» («finding an enemy») – кандидат выбирает реальную или воображаемую угрозу, с которой обещает бороться;

– «страшилки» («horrification») – избирателей ставят перед выбором меньшего из двух зол. В результате описания всех ужасов большего зла меньшее представляется уже практически как добро. Или же рисуется угрожающее будущее в случае прихода к власти оппонента;

– «раздувание детали» («flackery») – журналист «раздувает» определенную деталь, не всегда имеющую отношение непосредственно к способности кандидата возглавить государство;

– «мнение народа» («people choice») – безосновательное обобщение, чтобы убедить, что определенного кандидата поддерживает или может поддержать большинство населения.

Заключение

Роль медиа в процессе формирования общественного мнения в предвыборный период растет с каждым днем. Сегодня СМИ – ключевой инструмент предвыборных технологий. Именно поэтому необходимо разработать механизмы, которые предусматривали бы равные условия для всех политических субъектов. Поскольку только таким образом кандидаты смогут максимально широко представить избирателям свою программу действий. А избиратели – сделать правильный выбор в день голосования.

ЛИТЕРАТУРА :

1. Бастунец А. СМИ в период выборов. Мн., 2001.

2. Кара-Мурза С. Манипуляция сознанием. М., 2004.
3. Почепцов Г. Как становятся президентами. Киев, 1999.
4. Цуладзе А. Большая манипулятивная игра. М., 2000.
5. Parcell L., Sloan D. American Journalism: History, Principles, Practices. New York, 2002.
6. Neuharth A. Should newspapers endorse candidates? // The USA Today. 2004. December 28. p. 2.

საქართველო, ეპოკასა და აშშ-ი საარჩვეო კონკურენციის გაუცემის თავისებურაო

მოცემულ კვლევაში ასახულია ის მეთოდები და წერტები, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდში მედიას შეუძლია გამოიყენოს კანდიდატების (პარტიების) პროგრამების წარმოსახენად. ჩვენ ვეცადეთ გვეჩვენებინა ის ტექნოლოგიები, რომლებიც მოქმედებს საქართველოში, აშშ-სა და ევროპაში. თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში ეს ჯერ ახალი სფეროა, რომელიც არის ჩამოყალიბების სტადიაში. მიუხედავად ამისა, უკვე არსებობს რეგულაციები, რის მეშვეობითაც არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს აქვთ შესაძლებლობა ამომრჩეველს მიაწოდონ საკუთარი ხელვა და პოლიტიკური გეგმები.

SUMMARY

In this research we tried to show all the methods that media usually use during pre-election period in order to show the audience the programmes of candidates. We tried to show all technologies, used not only in Georgia, but also in USA and Europe. We also should say, that for your country its still “young” sphere. But in spite of this we already have law regulations that help candidates (political parties) to explain population the priorities of their political programmes.

მედიასაშუალებების პონტიფიცია და მონიტორინგის მექანიზმები

ქ. გიორგობაძი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თანამედროვე ცხოვრებაში მასობრივი კომუნიკაციების როლი უდიდესია, რადგან მე-დია ყველა ჩვენგანის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მედიადამოკიდებულების ორ სახეს გამოყოფენ — პიროვნულს და სოციალურს. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების გარეშე სრულფასოვანი ცხოვრება ყოვლად წარმოუდგენელია. მასმედიას მიმართავენ გართობის, განათლების, ინფორმაციის მოპოვების, თვალსაწიერის გაფართოების და სხვა მიზნებისთვის. დღეს აღარც იმაზე დავობენ, მედიადამოკიდებულებას დადებითთან ერთად უარყოფითი მხარეც რომ გააჩნია, თუმცა ზოგიერთი ანალიტიკოსი მაინც თვლის, რომ მედიას საზოგადოებისთვის მხოლოდ სიკეთე მოაქვს, რადგან ამდიდრებს ჩვენს ცხოვრებას, ემოციებით ტვირთავს, ერთმანეთთან დაახლოებას უწყობს ხელს, სტრესისგან გვათვისუფლებს, გვიადვილებს რთულ პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებში გარკვევას, აყალიბებს გემოვნებას და ა.შ. მაგრამ ფაქტია, მედიას უარყოფითი გავლენის მოხდენაც შეუძლია, განსაკუთრებით მოზარდზე, რომლის ფსიქიკა ჯერ ჩამოყალიბებული არ არის და რომელსაც, ფსიქოლოგთა აზრით, უჩნდება მიღრეკილება ძალადობისა და სისასტიკისადმი. მედიადამოკიდებულება აჩლუნგებს გრძნობებს, იწვევს დროის შეგრძნების დაკარგვას, უარყოფითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, აზიანებს მხედველობას, დიდად განაპირობებს არასწორი და არაადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებას. რაც შეეხება სოციალურ მედიადამოკიდებულებას, ცხადია, რომ მედია ყველა სოციალური ინსტიტუტის განუყოფელი ნაწილია, იქნება ეს პოლიტიკა, ეკონომიკა, განათლება, ოჯახი, რელიგია. მედიადამოკიდებულებად ითვლება ასევე სპორტული სანახაობები და

გართობის პოპულარული სახეები. მედიასთან კონტაქტის დროს გამოიყენება ვერბალური და არავერბალური სიმბოლოები, თუმცა კომუნიკაციების პროცესზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს. ნებისმიერი მიზეზით გამოწვეული უზუსტობა კომუნიკაციას არაეფექტურს ხდის და, ცხადია, კომუნიკატორს უძნელდება მიზნის მიღწევა. კომუნიკაცია არის ერთდროული, ორმხრივი, ინტერაქტული პროცესი. თანამედროვე მასობრივი კომუნიკაციების დამახასიათებელი თვისებებია სისწრაფე და უწყვეტობა. მედიას ნებისმიერი პროდუქტი სწრაფად, დროის მცირე მონაკვეთში და ამასთან უწყვეტად ვრცელდება, გაზეთი ყოველდღიურად გამოდის, უურნალი კვირაში, ორ კვირაში ან თვეში ერთხელ, წიგნები და ფილმები მუდმივად ვრცელდება, მაუწყებლობა 24 საათის განმავლობაში მიმდინარეობს. ამას ხელს უწყობს დახვეწილი და მოქნილი ტექნოლოგიები, კომპიუტერიზებული საბეჭდი ტექნიკა, ოპტიკური კაბელები, საკომუნიკაციო თანამგზავრები და ა. შ. ახალი მედია ვითარდება ტრადიციული სისტემების და თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების შერწყმის შედეგად. ცხადია, რომ ახალი ტექნოლოგიების განვითარება იწვევს ტელესაკომუნიკაციო ინდუსტრიების რეფორმას.

კომუნიკაციებთან დაკავშირებული საკითხები რთული და არაერთგვაროვანი რომ არის, აშკარა და ეჭვმიუტანელია. ისიც ნათელია, სამთავრობო დაწესებულებები და გარკვეული ინტერესების ქვეყნები ცდილობენ მედიაზე პოლიტიკური გავლენის მოხდენას. ასევე საზოგადოებასაც გააჩნია მედიაზე ზეგავლენის საშუალებები, თუმცა საზოგადოების მიერ ხელისუფლების კონტროლში სწორედ მედიას მიუძღვის დიდი წვლილი. გვერდს ვერ ავუკ-

ლით იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოს მხრიდან მედიის კონტროლი და მონიტორინგი, აღბათ, ყოველთვის მოსალოდნელი და გარდაუვალია. რეგულაციის და კონტროლის სხვადასხვა სახეები არსებობს. მაგალითად, აშშ-ში ერთ-ერთი მათგანი არის ფედერალური კომუნიკაციების სისტემა, სადაც მიღებული წესების მიხედვით, რომელსაც კანონის სტატუსი აქვს, იმართება კომუნიკაციების ინდუსტრია. ამ წესების გაუქმება კი შეუძლია მხოლოდ კონგრესს ან ფედერალურ სასამართლოებს. FCC-ის მიერ ჩამოყალიბებული სისტემა სატელევიზიო სიგნალებს იცავს სხვა არხებზე შეჭრისგან, ესკი იმის გარანტია, რომ ტელევიზიაში ქაოსი და არეულ-დარეულობა არ წარმოიქმნება. სამართლიანობის დოქტრინის ჩამოყალიბება სწორედ ამ კომისიას უკავშირდება და გულისხმობს შემდეგს, მართებული იქნება, თანაბარი საეთერო დრო დაეთმოს იმ ადამიანებს, რომლებსაც განსხვავებული აზრი და საკუთარი შეხედულებები გააჩნიათ ამა თუ იმ პრობლემურ საკითხზე. კომისიაში მიღებული ერთ-ერთი კანონის თანახმად, სატელევიზიო არხებმა უნდა მოახერხონ ყველა პოლიტიკური კანდიდატის ერთნაირი საეთერო დროით უზრუნველყოფა, ასევე ნებისმიერ მოქალაქეს უნდა მიეცეს პასუხის გაცემის საშუალება იმ კრიტიკაზე, რაც მის მიმართ გამოითქვა და რაც მთავარია, იმავე სატელევიზიო არხით. კომისია არ გამორიცხავს საჭიროების დროს საკუთარი წესების ინტერპრეტირებას, ეს ხდება მაშინ, როცა მას უწევს სხვადასხვა ინტერესებს შორის ბალანსის დაცვა ან იმის გარკვევა და ახსნა-განმარტება, თუ რა იგულისხმება ამა თუ იმ ტერმინში კონკრეტულ შემთხვევაში. FCC-ის მუშაობა ითვალისწინებს სამაუწყებლო ლიცენზიების გაცემა-განახლებას და გაუქმებასაც, მაგ. როცა სამაუწყებლო სადგური ეთერში უშვებს უხამს, უწმაწურ ან სკაბრეზულ გამონათქვამებს შეუფერებელ დროს, მიუღებელი დოზით და ფორმებით ან პორნოგრაფიულ ფილმებს დადგენილი წესე-

ბის დაცვის გარეშე. კომისია პასუხს აგებს სამაუწყებლო არხების მუშაობაზე და ამდენად მნიშვნელოვანია, ვისზე და რა ვადით გასცემს ლიცენზიას, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროცედურები ლიცენზიის მოსაპოვებლად რთული არ არის, რადგან კომისია ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებულ სიმკაცრეს არ იჩენს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში კომისიის კონტროლი მედიის შინაარსზე, რეკლამაზე, საბავშვო პროგრამებზე გარკვეულწილად შემცირდა ზოგიერთი მაუწყებელი მაინც უკამაყოფილოა და მიიჩნევს, რომ 21-ე საუკუნეში არანაირი კონტროლი არ უნდა არსებობდეს და მსგავსი კომისიები წარსული დროის გადმონაშთია.

აშშ-ში მედიაკონტროლს ახორციელებს ასევე FTC — ფედერაციული სავაჭრო კომისია, რომელიც 1914 წელს შეიქმნა. ფფაქტობრივად, იგი არის ფედერალური მთავრობის დამოუკიდებელი მარეგულირებელი სააგენტო, რომლის მიზანს წარმოადგენს ინდუსტრიის უსამართლო კონკურენციისგან დაცვა. უსამართლო კონკურენციაში იგულისხმება სიცრუის შემცველი რეკლამა. ეთერში ხომ იშვიათად არ ხვდებოდა ისეთი რეკლამები, რომლებშიც უამრავი სიყალბე, სიცრუე და გაზვიადება იყო. ამის მაგალითად ხშირად მოჰყავთ პურთან დაკავშირებული რეკლამა, რომლის მიხედვით სპეციალური ინგრედიენტების შემცველი პური შესანიშნავი საშუალება იყო მათვის, ვისაც გახდომა სურდა, რადგან ეს დიეტური პროდუქტი შეიცავდა ჩვეულებრივ პურზე ბევრად ნაკლებ კალორიას. შემდეგ გაირკვა, რომ ეს აბსოლუტური სიყალბე იყო, მთელი საიდუმლო იმაში მდგომარეობდა, რომ პურს უფრო თხლად ჭრიდნენ და შესაბამისად ერთი ნაჭერის მირთმევის შემდეგ მომხმარებელი ნაკლებ კალორიას დებულობდა. ასევე სასამართლო სარჩელი აღიძრა იმ რეკლამის შემკვეთების, მწარმოებლების და გამავრცელებლების მიმართ, რომელიც ეხებოდა სწრაფ პარსვას. რეკლამაში აღნიშნული

იყო, რომ რადგან ახალი პროდუქტი შეიცავდა კანის დამატენიანებელ ინგრედიენტებს, მისი გამოყენებით პარსვა ბევრად გააღვილებული და უსაფრთხო გახდებოდა. ნათქვამის დასა-ლასტურებლად ეკრანზე აჩვენებდნენ სუფთად და ზედმიწევნით გაპარსულ ზუმფარას ქაღ-ალდს. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ქაღალდი გაპარსვამდე საათ-ნახევრის განმავლობაში წყალში იყო ჩამბალი სასურველი ეფექტის შესაქმნელად. რადგან რეკლამები ძირითადად მედიის საშუალებებში თავსდება, FTC - ის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ნებით თუ უნებლიერ მასშედიაზე გარკვეულწილად გავ-ლენას ახდენს, თანაც არცთუ უმნიშვნელოს. მედიის რეგულაცია მუდმივად ვითარდება. ეს საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და მრავალი შეხედ-ულების შეჯერების შედეგად ყალიბდება.

საერთაშორისო კომუნიკაციებს რამდენ-იმე ორგანიზაცია აკონტროლებს, მათ შორი-საა საერთაშორისო პრესის ინსტიტუტი, რომელიც მდებარეობს ვენაში და ძირითადად დაკავებულია პრესის თავისუფლების საკითხ-ებით, ასევე მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა ნიუ-იორკში განთავსებული ჟურნალისტე-ბის დაცვის კომიტეტი, რომელიც ცდილობს ჟურნალისტების დაცვას ყოველგვარი ძალა-დობისგან და ზრუნავს მათ უსაფრთხოებაზე საერთაშორისო მასშტაბით. აღსანიშნავია კომუნიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტიც, რომელიც ტელეკომუნიკაციებისა და საერთა-შორისო მაუწყებლობის განვითარების მიმართ იჩენს დიდ ყურადღებას. ეს ორგანიზაცია მდე-ბარეობს ლონდონში. კომუნიკაციებთან დაკავ-შირებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო კომუნიკაციების ასოციაცია და მასობრივი კომუნიკაციების კვლევის საერთაშორისო ასოციაცია.

საქართველოში სახელმწიფო კონტროლს რეკლამის სფეროში ახორციელებს სახელმ-წიფო აზტიმონოპოლიური სამსახური, რომელ-საც უფლება აქვს რეკლამის კანონის ნორმათა

დამრღვევს წერილობით მოსთხოვოს შეც-დომის გამოსწორება, განახორციელოს გამა-ფრთხილებელი ღონისძიება და აღკვეთოს არასათანადო რეკლამა. არასათანადო რეკლა-მაში იგულისხმება ყალბი, არაეთიკური, არა-დამაჯერებელი, არასარწმუნო, არაკეთილსინ-დისიერი რეკლამა, რომელსაც შეცდომაშო შე-ჰქიავს მოშემარებელი, ახდენს პირის დისკრედიტაციას, შეურაცხყოფს მის ღირსებას, არ-დგვეგს საყოველთაო ზნეობის ნორმებს, იყენებს არაკორექტულ გამონათქვამებს კონკურენტი საწარმოს პროდუქციის ან მომსახურების მი-მართ. ანტიმონიპოლიური სამსახური ასევე უფლებამოსილია რეკლამის ნორმათა დამრ-დვევს დააკისროს ადმინისტრაციული სახდელი ან მოსთხოვოს კონტროლერების გავრცელება, საჭიროების შემთხვევაში მიმართოს სამარ-თალდამცავ ორგანოს და მოითხოვოს სისხ-ლის სამართლის საქმის აღძვრა.

ჩვენს ქვეყანაში სამაუწყებლო ლიცენზიას გასცემს კომუნიკაციების ეროვნული კომი-სია, რომელმაც 2009 წლის 12 მარტს მიიღო დადგენილება (მაუწყებელთა ქცევის კოდ-ექსის) დამტკიცების თაობაზე. მასში აღნიშ-ნულია, რომ მაუწყებელთა ქცევის კოდექსი მიღებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ “მაუწყებლის” კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს მაუწ-ყებლის მიერ პროგრამის მოშადებისა და გა-დაცემის პრინციპებს, წესებსა და სახელმძღ-ვანელო რეკომენდაციებს; მაუწყებლის პრინც-იპები განსაზღვრავს მაუწყებლის პროფესიულ სტანდარტებს თავისუფალ, პლურალისტურ და დემოკრატიულ სახელმწიფოში და სავალ-დებულო შესასრულებლად; სახელმძღვანელო რეკომენდაციები არის მეთოდური მითითე-ბები (ზერხები და საშუალებები), რომელთა გამოყენებით მაუწყებელს შეუძლია დაიც-ვას ამ კოდექსით დადგენილი პრინციპები და წესები; ასევე ხელეწიფება ჟურნალისტების, რედაქციებისა და მაუწყებლის დახმარება სა-მაუწყებლო საქმიანობის პროცესში წარმო-

შობილი ეთიკური საკითხების გადაწყვეტაში, საყოველთაოდ აღიარებული პროფესიული სტანდარტების შესაბამისად და ყველა ლეგიტიმური ინტერესის გათვალისწინებით. კოდექსის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, მაუწყებლობის მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებები, საქართველოს კანონი “მაუწყებლის შესახებ”, “საქართველოს საარჩევნო კოდექსი”, საქართველოს კანონი “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ”, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების სხვა საკანონმდებლო აქტები.

მაუწყებლობის სფეროში ლიცენზია გაიცემა 10 წლის ვადით. როდესაც ამოიწურება ლიცენზიის მოქმედების ვადა, ლიცენზიის მოქმედება მხოლოდ ერთხელ ავტომატურად გრძელდება იმავე ვადით იმ შემთხვევაში, თუ ამ პერიოდში ლიცენზიის მფლობელის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული ამ კანონის 72-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სანქციები. ამ დროს ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი და ლიცენზიის მოქმედების გაგრძელების მომენტისთვის დადგენილი სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა. ჩვეულებრივ ლიცენზიის მფლობელი ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე 6 თვით ადრე მიმართავს კომისიას კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებით. კომისია მოვალეა კონკურსი ჩაატაროს ამ ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

ზოგადად უურნალისტური საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს აწესრიგებს სამართლებრივი აქტები, რომელთა მიხედვით განისაზღვრება მათი უფლებები და მოვალეობები, დგინდება გარკვეული შეზღუდვები ინფორმაციის მოპოვების და გავრცელების მხრივ სახელმწიფოში არსებული ექსტრემალური ვითარებიდან გამომდინარე, ნორმატიული აქტები კი ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს აკონტროლებს.

CONTROL AND MONITORING MECHANICS ON MEDIA

K. Giorgobiani, GTU

This article talks about the role of mass communication in modern life, personal and social media dependence, its positive and negative sides; it discusses media control, regulation and monitoring mechanisms from the side of the state; attention is drawn to function of Federal Communication System and Federal Trade Commission of USA and the rules obtained by them, by which communication industry, advertising and broadcasting license related issues are controlled. Hereby, it is specified that in Georgia, State Antimonopoly Office makes control in the field of advertising and reviews its activity. This Article also talks about the work of National Communication Commission issuing broadcasting license in our country.

МЕХАНИЗМЫ КОНТРОЛЯ И МОНИТОРИНГА МЕДИАСРЕДСТВ

К.Гиоргобианиб ГТУ

В статье говорится о роли средств массовой коммуникации в современной жизни, личностной и социальной медиависимости, ее положительных и отрицательных сторонах; рассмотрены механизмы контроля и мониторинга медиа со стороны государства; внимание обострено на функциях действующих в США Системы федеральной коммуникации (FCC) и Комиссии федеральной торговли (FTC), установленных ими правилах с целью контроля индустрии коммуникации, вопросов связанных с лицензией рекламы и вещания. Отмечено, что в Грузии контроль в сфере рекламы осуществляется государственной антимонопольной службой и рассмотрена ее деятельность. Речь идет также о работе Национальной комиссии коммуникации, которая выдает лицензии на вещание в нашей стране.

მასობრივი პანიკის მსტორიული ფაქტები მასებიაზი

ინგა ზოიძე

ამერიკაში სამოქალაქო ომის წინა წლებში აბოლიციონისტურ პრესის ბეჭდურ სიტყვას დიდი ძალა ჰქონდა საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოსახდენად. *American-African-American's Freedom's Journal*, Colored American და North Star, სისტემატურად აშუქებდნენ ამერიკის შავკანიანი მოსახლეობის პრობლემებს, გამოდიოდნენ მონობის გაუქმების მხარდა-საჭერად და ხელს უწყობდნენ აბოლიციონისტური განწყობის გავრცელებას ჩრდილოეთ შტატებში. მეტწილად ამ სტატიების ზეგავლენა ემსახურებოდა ზანგების სწავლა-განათლების, მონობის ინსტიტუტის გაუქმებას და ამერიკელი ზანგების უფლებების აღიარებას ჩრდილოეთ შტატებში.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების საზოგადოებრივ აზრზე დიდი ზემოქმედების ორი საინტერესო მაგალითი დაკავშირებულია ნავთობის მაგნატის ჯონ როკფელერის მედიამიჯის შეცვლასთან. მეოცე საუკუნის დასაწყისში, პროგრესივიზმის ეპოქაში უურნალისტების მიერ ერთიმეორებულ მიყოლებით იბეჭდებოდა მამხილებელი სტატიები, რომლებიც ასახავდნენ საზოგადოების სოციალურ პრობლემებს. უურნალისტმა იდა ტარბელმა როკფელერი დაახასიათა დაუწლობელ კაპიტალისტად, რომელიც ნავთობის ბაზრის მონოპოლიისთვის კველა გზას იყენებდა. ტარბელის სტატიებმა, რომლებიც McClure's Magazine-ში ქვეყნდებოდა, მულტიმილიონერი როკფელერი გამოიყვანა კველაზე აუტანელ პიროვნებად აშშ-ს ისტორიაში, რაზეც მეტყველებდნენ პრესის დაბეჭდილი იმდროინდელი სატირული სტატიები და კარიკატურები. რამდენიმე წლის შემდეგ როკფელერმა აიგვანა საზოგადოებასთან ურთიერთობის ექსპერტი აივი ლი, რომელმაც როკფელერს კეთილი ადამიანის იმიჯი შეუქმნა. ლიმ პრესის და მკითხველის ყურადღება როკფელერის საქველმოქმედო

მოღვაწეობაზე გაამახვილა, ნავთობის მაგნატს დაუბრუნა დაკარგული ფართო პუბლიკის სიმპათიები.

უურნალისტების მამხილებელმა მოღვაწეობამ პროგრესივიზმის ეპოქაში ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებრივ აზრზე და დააჩქარა სოციალური ცვლილებები. ლინკოლნ სტივენ-სის სტატიებმა მკითხველის ყურადღება ადგილობრივი ხელისუფლების კორუფციის პრობლემებით მიიქცია, რამაც საზოგადოებრივი მოთხოვნილება გაამძაფრა ქალაქის მმართველობის მეტად სრულყოფილ ფორმის შექმნაზე.

დაპატენტებული წამლების რეკლამის საწინააღმდეგო კამპანია, რომელიც Ladies' Home journal-ში აგორდა, ხოლო 1905 წელს - უურნალ Collier's Weekly-ში მამხილებელი სერიული სტატიების საერთო სახელწოდებით The Great American Froud („ დიდი ამერიკული აფიორა”), ხელი შეუწყო „მართალი რეკლამის” კამპანიის ორგანიზებას, რასაც შედეგად ვაჭრობის საკითხებში ფედერალური კომისიის შექმნა და ბიზნესის მართვის უფრო მეტად სრულყოფილი სტრუქტურის ჩამოყალიბება მოჰყვა.

ელტონ სინკლერის მამხილებელი მასალების შემცველმა პუბლიკაციებმა ჩიკაგოს ხორცის კომბინატში ანტისანიტარიული პრობლემების შესახებ ოფიციალური გამოძიების დაწყება გამოიწვიეს. რის შედეგად მიღებული იქნა კანონი კვებისა და ფარმაცევტულ მრეწველობაში სანიტარულ-პიგიენური ნორმების შესახებ; ამის საფუძველზე შეიქმნა კვებისა და ფარმაცევტული მრეწველობის სამმართველო. სხვა გამომცემლობების ურთიერთშეთანხმებულმა მოქმედებებმა ხელი შეუწყვეს წარმოებითი ურთიერთობების სრულყოფას, დააჩქარეს ბავშვთა შრომისა და მუშების კომპენსაციის შესახებ კანონის მიღება, ასევე დადებითად იმოქმედეს საერთო სოციალურ რეფორმებზე.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ისტორია სავსეა ფართომასშტაბიანი ზემოქმედების მაგალითებით, შემაშფოთებელი ან არასასიამოვნო შეტყობინებებით. 1874 წლის 9 ნოემბერს გაზეთის New York Herald-ის ნომერში დაბეჭდილი იყო მისტიფიკაცია, რომელმაც გამოიწვია მკითხველების ისტერია. რეპორტიორი ტ.ბ. კონერი, შემფოთებული იუწყებოდა, რომ ცენტრალური პარკის ზოობალში უსაფრთხოების ზომები დაუცველი იყო. მან შეთხხა ისტორია იმის შესახებ, რომ, თითქოსდა, ზოოპარკის ბინადრები გაიქცნენ და ადამიანებს თავს დაესხნენ. „ტრამვირებული ადამიანების რიცხვი ორასს აღწევს, მათ შორის დაახლოებით სამოცი ადამიანი, წინასწარი მონაცემებით, მძიმე მდგომარეობაშია, ხოლო სამმა მათგანმა შესაძლოა დილამდე ვერ მიაღწიოს”, – წერდა უურნალისტი. სტატიის ბოლო აბზაცში ახსნილი იყო, რომ ეს იყო „წმინდა მონაგონი” და „არა უფრო მეტი, ვიდრე მისტიფიკაცია”, მაგრამ ამ აბზაცამდე ყველა მკითხველი არ მივიდა. ზოგიერთი მათგანი ქუჩაში გავიდა იმისთვის, რომ გაენადგურებინა გაქცეული ცხოველები.

ისტორიაში მასობრივი პანიკის ყველაზე ცნობილი მაგალითია მასობრივი კომუნიკაციის შეტყობინებებით გამოწვეული პანიკა, რომელიც დაკავშირებულია რომანის „სამყაროთა ომის” რადიოსპექტაკლთან. 1939 წელს CBS გადმოსცეს ჰერბერტ უელსის რომანის „სამყაროთა ომი” მიხედვით დადგმული სპექტაკლი. სიუჟეტის მიხედვით მარსელები დედამიწას იპყრობენ და მილიონობით ადამიანს მოწამლავი გაზით კლავენ. ბევრმა რადიომსმენელმა მიმღებები ჩართეს იმ შეტყობინების შემდეგ, სადაც ითქვა, რომ სიუჟეტში ასახული მოვლენა სპექტაკლი იყო. დაახლოებით ერთმა მილიონმა ადამიანმა დაიჯერა, რომ ეს იყო სინამდვილე, ისინი შიშმა აიტანა და პანიკას მიეცა. ბევრმა მათგანმა სახლებიც კი დატოვა, რათა აერიდებინათ თავი მკვლელი მარსელებისთვის.

მთვარის დიდი მისტიფიკაცია 1835 წელს

პირველ ამერიკულ ტაბლოიდში New

York Sun-ში 1835 წელს დაიბეჭდა გამოგონილი ისტორია, რომელმაც იმდენად შეაშფოთა მკითხველები, რომ გამოცემის ტირაჟმა იმ დროისთვის რეკორდულ რიცხვს მიაღწია, 19 ათასი ეგზემპლარი დაიბეჭდა. უურნალისტი რიჩარდ ადამ ლოკი წერდა, რომ ვინმე ბრიტანელი ასტრონომი ძლიერი ტელესკოპით ათვალიერებდა მთვარის ზედაპირს და აღმოაჩინა, რომ იქ გონიერი სიცოცხლე არსებობდა. მკითხველებმა იმდენად დაიჯერეს გამოგონილი ამბავი, რომ მათი მოთხოვნით სტატია რამდენიმეჯერ დაიბეჭდა სხვადასხვა გაზეთებში. პრესის მისტიფიკაციის გავლენა ზოგიერთმა მკითხველმაც გამოხატა, კერძოდ, მორწმუნე ქალების საზოგადოების წევრებმა მთვარეზე გაფრენა დააპირეს იმისთვის, რომ იქ მცხოვრებლები მოექციათ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. ედგარ ალან პომ თქვა, რომ „ისტორიაში და ოდესმე ამერიკულ და ევროპულ ლიტერატურაში დაბეჭდილი პოპულარული სენსაციებიდან ეს მისტიფიკაცია იყო ყველაზე წარმატებული.” [1. გვ. 45-48]

უკვე დიდი ხანია მასობრივი ინფორმაციის მომხმარებელთა შიში, უფრო ხშირად ბავშვებში, როგორც წესი, გამოწვეულია საშინელებათა ფილმების დემონსტრირებით და უსიამოვნო ან შემაშფოთებელ რეალურ მოვლენებთან დაკავშირებული რეპორტაჟებით.

1995 წელს ლუიზიანას შტატის მცხოვრებლები, 18 წლის ბენჯამენ დერესი და 19 წლის სარა ედმონდსონი გატაცებულნი იყვნენ ფილმით „მკვლელებად დაბადებულნი” (Natural Born Killers); ფილმის შინაარსი ასეთია: ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფი წყვილი გართობის მიზნით გზაზე შემხვედრ ადამიანებს კლავენ.

მძაფრსიუჟეტიანი ტრილერის ვიდეო ჩანაწერს დერესი და ედმონდსონი დღეში დაახლოებით ექვსჯერ უყურებდნენ. ისინი აღმერთებდნენ ფილმის მთავარ გმირებს, მიკისა და მელორს, რომლებიც მძაფრ გრძნობებს აყოლილები სულს ხდილნენ უდაშაულო ადამიანებს, სასჯელს კი გაურბოდნენ. მარიხუანითა და

ფილმით გაბრუებულმა წყვილმა, დაახლოებით იგივე საქციელი ჩაიდინა. ერთ დღეს, შეიარაღებულებმა კონცერტზე წასვლა გადაწყვიტეს. ფილმის „მკვლელებად დაბადებულნი“ პერსონაჟებზე მიძამვით მათ ხელსაყრელ მომენტში უნდა ესროლათ და მოეკლათ ყველა შემხვედრი ადამიანი. ისინი კონცერტზე ვერ მოხვდნენ, სამაგიეროდ ნახეს რამდენიმე შესაფერი მსხვერპლი. დერესმა მისისიპში ბამბის ქარხნის მენეჯერს ესროლა. მომდევნო დღეს ლუიზიანაში, ედმონდსონმა მაღაზიის გამყიდველი ქალი, სამი შვილის დედა მოკლა. [1. გვ. 21]

მსგავსი მედიაპროდუქციისგან გადადებული დანაშაულების მაგალითები იშვიათი მოვლენაა, მაგრამ, ერთი მხრივ, მსგავს სენსაციურ შემთხვევებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში განსაკუთრებულ აღგილს და ყურადღებას უთმობენ და ნათელი მაგალითია იმისა, რომ კონკრეტული ქცევა შესაძლოა, არაჯანსაღ მდგომარეობაში მყოფმა ადამიანმა გაიმეოროს.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების საზოგადოების ცნობიერებაზე გავლენის მრავალი ისტორიული მაგალითი მოვალეობა, ოცდამეერთე საუკუნეში მსგავსი მაგალითი ქართულმა მედიამაც შემოვინახა. ყველასათვის კარგად ცნობილი, 2010 წლის 13 მარტის ე.წ. „იმიტირებული ქრონიკის“ სახით. „იმედის“ ეთერში დამოწაუებული საინფორმაციო გამოშვება გავიდა, რომელიც იუწყებოდა, რომ თითქოს რუსეთმა საქართველოს სრული ანექსიის ბრძანება გასცა, დაბომბა აეროპორტები და საზღვაო პორტები, ნათქვამი იყო პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ლიკვიდაციის შესახებაც და სხვა. იმიტირებულ ქრონიკას“ საშინელი რეაქცია მოჰყვა. საინფორმაციო სააგენტოების არაოფიციალური ინფორმაციით იყო გარდაცვლი, საქართველოს ზოგიერთი ქალაქის მოსახლება კი სახლებს ტოვებდნენ და ტყეს აფარებდნენ თავს გაზრდილი იყო სასწრაფო დახმარების მანქანების გამოძახების რაოდენობაც.

ფაქტი ერთია, რომ მედიასაშუალებები სა-

ზოგადოების ცნობიერებაზე იქამდე მოახდენენ გავლენას, სანამ მედია საზოგადოების როგორც „ბრძოლას“ ნდობას არ დაკარგავს. ნდობის დაკარგვა საინფორმაციო გამოშვებებში ტოტალურად გაყალბებულ ინფორმაციას შეუძლია. სანამ მედიასაშუალება „ნამდვილი“ და „არანამდვილი“ ინფორმაციით იკვებება და უღენთავს საზოგადოებას (განსაკუთრებით საინფორმაციო გამოშვებები), ის „ბრძოლას“ ნდობით მის მანიპულირებას მაიც შეძლებს, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანი ცნობისმოყვარების გამო, მუდმივად ახალი ინფორმაციის მოლოდინშია. მედიის საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მსოფლიოს ისტორიული ფაქტები, გარკვეულ ადამიანების ცნობიერებაზე მედიის გავლენის ძალას ასუსტებს, ყოველ შემთხვევაში, იმის საფუძველს იძლევა, რომ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების შეტყობინებებს მუდმივად ეჭვის თვალით შევხედოთ, როგორც არასანდო ინფორმაციას.

ლიტერატურა:

1. Дженнгиз Брайант, Сузан Томпсон „Основы воздействия СМИ“ издательский дом „Виля-мэ“ Москва • Санкт-Петербург • Киев 2004

РЕЗЮМЭ

Inga Zoidze

В статье рассматриваются исторические факты влияния медиа на общественное мнение, изучение которых дают возможность постоянно смотреть с недоверием на сообщения средств массовой коммуникации, как на источник ненадежной информации.

RESUME

Inga Zoidze

This article includes the worldwide historical facts of media's influence on the society. Getting to know these facts gives us a reason to always doubt the news given by mass media, as an unreliable information.

ოთარ ჩხეიძე ქართული პუბლიცისტის სიმღერა

თამარ თევდორაშვილი, დოქტორანტი, სტუ

ტური ვირტუალური სამყაროს შექმნითა და

კვლევა ყოველთვის ინარჩუნებს აქტუალობას, რადგან გამორჩეული (მწერლური) ხედვა სრულიად თავისებურად წარმოაჩნის საზოგადოებრივად აქტუალური პრობლემების არსეს, მათ გამომწვევ მიზეზებს, შედეგებსა თუ პერსპექტივებს. მწერალი ხომ საზოგადოებრივი ყოფის მაჯისცემის “მოყურიადე” და იმას ცხადყოფს, რაც ჩვეულებრივი ხედვა-ცნობიერებისათვის შეუმნეველი და მოუხელოებელია.

პუბლიცისტიკისა და პუბლიცისტური აზროვნების საზოგადოებრივი ღირებულება ჩვენში იმ მხრივაც არის დიდი წონისა, რომ იმთავითვე (ალბათ, თუნდაც სულხან-საბა ორბელიანის ეპოქიდან მოყოლებული) პუბლიცისტიკა იქცა ქართული ეროვნული ინტერესების დაცვის და საზოგადოებრივი აზრის გამოხატვის ყველაზე აქტუალურ ფორმად. განსაკუთრებით თვალშისაცემი ეს გახდა XIX საუკუნეში, რუსიფიკაციული რეჟიმის მძვინვარების პერიოდში, როდესაც მედიასაშუალებების სიმწირისა და უურნალ-გაზეთების მცირეტირაჟების მიუხედავად, პუბლიცისტიკამ შეძლო ქართველი საზოგადოების სამოქალაქო-პოლიტიკური და სოციალური ცნობიერების გამოკვეთა-მომწიფება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშლა.

პუბლიცისტიკა აზროვნების სპეციფიკური, თვითმყოფადი ფორმაა. მისი ერთი თავისებურებაა საზოგადოებრივი უდერადობისა და დიაპაზონის მოვლენებისა და ფაქტების დაფიქსირება, გაანალიზება და საზოგადოების ცნობიერების შესაბამისი შეფასების ფორმირება. ამის გამო პუბლიცისტიკა მძლავრად ზემოქმედებს საზოგადოების ცნობიერებაზე და განსაზღვრავს მის შინაარსს.

მწერალი საზოგადოების ცნობიერებაზე გავლენას, ჩვეულებრივ, სიმდვილის ადეკვა-

ტური ვირტუალური სამყაროს შექმნითა და თავისი პერსონაჟების მეტყველებითა თუ ქცევა-მოქმედებით ახდენს. თუმცა უმწვავესი პრობლემების არსებობის ვითარებაში, ფასეულობა-თა გადაფასების დროჟამის დადგომისას (რასაც სხვებზე უწინ სწორედ მწერალი გრძნობს, ხედავს და წინასწარმეტყველებს), ერთგვარად ვეღარ კმარობს მხატვრულ სივრცეს და პუბლიცისტიკის ენას მიმართავს. ამის გამო მწერლის პუბლიცისტური ნააზრევი გამორჩეული მნიშვნელობისაა, რადგან გამოკვეთილად დონეებრივია და თავისი თანამედროვეობის წინმსწრებიც საზოგაოდებრივი ღრებულების თვალსაზრისით.

ოთარ ჩხეიძე არაორდინალური მოვლენა იყო არა მხოლოდ ქართულ მწერლობაში, არამედ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. მან თავის თავზე იწვნია საბჭოთა სინამდვილეში შემოქმედებითი აღმასვლის, წარმატებული კარიერის სიამენიც და ძლიერთა ამა სოფლისათა წყრომა-რისხვის სიმბაფრეც, მივიწყება-მიჩუმათების სიმწვავეც იმის გამო, რომ ვერ მიიღო საბჭოური ყოფის ორმაგი სტანდარტები. მან თავისი შემოქმედებით იტვირთა თავისი თანამედროვე საქართველოს მემატიანეს როლი, როგორც მწერალმა და როგორც პუბლიცისტმა. მის ნაწერებში ასახულია XX საუკუნის II ნახევრისა და XXI საუკუნის საქართველოს მასშტაბური სურათი, ყველაფერი მისი სახელმწიფოებრიობის, საზოგადოებრივი, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური ყოფის ასახვას და შეფასებას ეძღვნება და იმდენად მთლიანურად, რომ ერთბაშად მნელდება კიდევაც იმის დადგენა, სადმთავრდება ოთარ ჩხეიძე მწერალი და სად იწყება ოთარ ჩხეიძე პუბლიცისტი. მთავარი კი ისიც არის, რომ ოთარ ჩხეიძის პუბლიცისტური მემკვიდრეობა სპეციალური კვლევის ობიექტად

ჯერ არ გამხდარა. თემის აქტუალობას კი ისიც განაპირობებს, რომ ო. ჩხეიძის პუბლიცისტური ნაწერების საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული ღირებულებების გათვალისწინების გარეშე ვერ დაიწერება XX-XXI საუკუნის 10-20-იანი წლების ქართული პუბლიცისტიკის ისტორია, რადგან სრულყოფილი არ იქნება მისი პრობლემატიკის ნაირგვარი ასპექტები.

სრულიად აშკარაა ო. ჩხეიძის პუბლიცისტიკის კვლევის მეცნიერული სიახლეც. ჯერ ერთ, ერთი-ორი მცირე მოცულობის სტატიის გარდა, არაფერია დაწერილი. მეორეც, არ არის გამოვლენილი მისი პუბლიცისტური ნაწერების ბიბლიოგრაფია, თემატურ-პრობლემური ასპექტები, პუბლიცისტური ხედვის თავისებურებები, ტენდენციები, მისი პუბლიცისტური ნაწერების ენისა და სტილის სპეციფიკა, თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემათა გააზრების თავისებურებანი და ა.შ. ეს ყველაფერი კი თავისთავად იმას ცხადყოფს, რომ ოთარ ჩხეიძის პუბლიცისტიკის მონოგრაფიული შესწავლა ქართული ჟურნალისტიკამცოდნეობის აქტუალური პრობლემაა და ახალი ინოვაციური ცოდნით შეავსებს XXI საუკუნის 10-20-იანი წლების ქართული პუბლიცისტიკის თემატურ-პრობლემურ სპექტრს.

ოთარ ჩხეიძის შემოქმედებითი გზა სირთულეებით, აღმასვლითა და დაღმასვლით იყო სავსე. იგი იყო “მწერალი განდევილი”, “მწერალი მიუღებელი”, „რადგან ოთარ ჩხეიძე გაუდგა იმ ყალბ ღირებულებებს, რომელსაც ამკვიდრებდა სოციალისტური რეალიზმი, რევოლუციური რომანტიზმი, მარქსისტული ესთეტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა. დიდი ხნის განმავლობაში მწერალი მოწყვეტილი იყო დედაქალაქის ყოფას, მაგრამ პროვინციიდანაც აქტიურად ეხმიანებოდა აქ მიმდინარე მოვლენებს. მისი ნებისმიერი ნაწერი მაინც პოულობდა მკითხველს და ცნობილი ხდებოდა ქართული საზოგადოებისთვის. ოპალაში ყოფნის გამო, ცხადია, მასზე და მის პუბლიცისტიკაზე იშვი-

ათად იწერებოდა. თუ მოიხსენიებდნენ, ისიც უფრო უარყოფით კონტექსტში. ამის გამო ქართული პუბლიცისტიკის სივრცისთვის იგი თითქმის უცნობი იყო. მისი შემოქმედება, პუბლიცისტური ნაწერები ძალიან გვიან – XXI საუკუნის დასაწყისში გახდა ცნობილი.

ოთარ ჩხეიძის, როგორც შემოქმედებითი, ისე პუბლიცისტური მოღვაწეობა გამორჩეულად შეფასდა 2012 წელს, როდესაც იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიურ უნივერსიტეტში კონფერენცია მიემდგნა. სამეცნიერო კონფერენციის მიძღვნა თავისთავად ნიშნავდა არა მხოლოდ მისი ნიჭიერების აღიარებას, არამედ მისი ნაწერების საზოგადოებრივ მნიშვნელობასაც.

ოთარ ჩხეიძის შემოქმედებითი სამყაროს გაცნობიერებისმრავალმხრიობასდამასშტაბურობას უკვე კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების თემატურ-პრობლემური დიაპაზონი ცხადყოფდა.

კონფერენციის ფარგლებში ოთარ ჩხეიძის მხატვრული ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის პრობლემატიკა მიმოიხილეს:

სალომე კაპანაძემ (“ოთარ ჩხეიძის კულტურულ-იდეოლოგიური პარადიგმების აღრეული თავისებურებანი”);

იოსებ ჭუმბურიძემ (“ოთარ ჩხეიძის სახელმწიფო (მწერლის პუბლიცისტიკის ერთი ასპექტი”);

ნანა კუციამ (“ოთხი ესეი – ერთი სატკივარი (ოთარ ჩხეიძე, „სამშობლო ჯეიმს ჯონისისა“; როსტომ ჩხეიძე, „ჯერ ირლანდია, სტივი“, „ჩემი იეიტსი“; პაატა ჩხეიძე, „საით მიდის გაბრიელ კონროი?“);

თამარ ყალიჩავამ (“ხელოსნობის, როგორც ტრადიციის ტრაგედია ოთარ ჩხეიძის რომანში „მეჩეჩი“);

მარიამ ცისკარიშვილმა (“ეროვნულ-კულტურული კონცეპტები ოთარ ჩხეიძის შემოქმედებით ნააზრევში”);

ნინო ვახანიამ (“ოთარ ჩხაიძის „ნაკრძალი“ – როგორც ფაუსტური პარადიგმა”);

გიორგი ჯავახიშვილმა (“აი, კალო და ხარები”);

ნანა რჩეულიშვილმა (“სახე-ხასიათები ოთარ ჩხეიძის ნოველათა კრებულში “ჩემი სოფლის ეტიუდებიდან”);

ნინო კოჭლოშვილმა (“მუხასა და ქვევრში აბორგებულ მზეს შორის გავლებული სხივები”);

არც ოთარ ჩხეიძის დრამატურგია დარჩა მკვლევართა თვალსაწიერის მიღმა:

ნინო ჩხიკვიშვილი – “ოთარ ჩხეიძის “აბსულდის თეატრი” (“ერთი მერცხლის ჭიკჭიკი”, “პანო”, “დედა””);

ოთარ ჩხეიძის ენასა და სტილს განიხილავდნენ:

როინ ჭიკაძემ (“ძალმოსილება ოთარ ჩხეიძის სიტყვიერებისა”);

მაყვალა მიქელაძემ (“ოთარ ჩხეიძის სიტყვის პალიტრა”);

მარინე ტურავამ (“ოთარ ჩხეიძის “ტინის ხიდის” სტილური და შინაარსობრივი თავისებურებანი”);

ნუნუ გელლიაშვილმა (“ოთარ ჩხეიძის მხატვრული ენის ზმნური სამყარო”);

ლია ტალახაძემ (“ერთი სტილური თავისებურების შესახებ ოთარ ჩხეიძის მოთხოვნების მიხედვით (“ჩემი სოფლის ეტიუდებიდან””);

ნიკოლოზ ოთინაშვილმა (“ოთარ ჩხეიძის ენისა და სტილის ზოგიერთი საკითხი”);

თამარ ლომთაძემ (“სახელთა ბრუნებისათვის (ოთარ ჩხეიძის რომანის “ბორიაყის” მიხედვით”);

ნინო გოგიაშვილმა (“ოთარ ჩხეიძის მხატვრული ენის პოეტიკა “ბორიაყისა” და “ცხრაწყაროს” მიხედვით”);

ნინო გიორგაძემ (“მწერლის დიალოგი მკითხველთან”);

ელენე ფილაშვილმა (“სინონიმური პარალელიზმის სტილური ფუნქცია ოთარ ჩხეიძის პროზის ენაში”);

გიორგი გოგოლაშვილმა (“ოთარ ჩხეიძის ნობრივი სამყარო (წინასწარ მოხსენება”);

ოთარ ჩხეიძეს სწორედ მისი გამორჩეული სამწერლო სტილისა და ენობრივი სალაროს გამო დაატყდა უსამართლო კრიტიკა. “როსტომ ჩხეიძის თქმისა არ იყოს, პაიპარად მიაკ-

ერეს კუთხურობისა და ენობრივი ნორმებიდან გადახვევის იარლიყი (“აგვისტოს შვილები”). თვითონ ოთარ ჩხეიძეს არც კი უცდია თავის დაცვა. ანდა რა ჰქონდა დასაცავი და თავის სამართლებელი! იმასდა იხვეწებოდა, “მიპოვეთ თუნდაც ერთი წინადადება გაუმართავი ან არაქართული, დიდ მადლობას მოგახსენებთ და იქავ გავასწორებო” (1.7).

თელავის კონფერენციაზე სალომე კაპანაძის მოხსენება “ოთარ ჩხეიძის კულტურული დეოლოგიური პარადიგმების ადრეული თავისებურებანი” საინტერესო მასალას იძლევა ჩვენი კვლევისათვის. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული მწერლობა მნიშვნელოვან გზას გადის. ამ პერიოდში ზოგიერთ მწერალს აშკარად დაეტყო “პროკრუსტეს სარცელიდან” გათავისუფლების მცდელობები. აშკარა იყო, რომ ქართულ მწერლობაში საბჭოური იდეოლოგია კრიზისს განიცდიდა. ამ პროცესის პარალელურად დაიწყო აღდგენა იმ წინააღმდეგობის ტრადიციის, რომელიც ყოველთვის ასაზრდოებდა ქართულ ცნობირებას და განსაზღვრავდა კულტურის განვითარებას. “ქართული მწერლობის ასეთი განვითარების ისტორიულ პროცესში მკვიდრი ადგილი ეკუთვნის ოთარ ჩხეიძეს, როგორც მწერალს, როგორც მოაზროვნეს, თავისი ქვეყნის ტრაგიკული კოლიზიის მეზარესა და პირუთვნელ “ქრონოგრაფს”. ოთარ ჩხეიძის მხატვრულ სახეთა სისტემა, ენობრივი და სტილური ინდივიდუალობა, განცდის დინამიკა მისი სამწერლო მოღვაწეობის პირველი დღიდანვე ეყრდნობოდა სინამდვილეზე ღრმა დაკვირვებასა და მის მხილებას” (1.18).

ოთარ ჩხეიძე განათლების სისტემის პრობლემებს აშუქებს, როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ ნაწერებში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია მისი სტატიები: “მაინც რამდენი შვილი პყოლია ლუარსაბასა” (2.175) და “საახლოწლო საუბარი” (2.72).

კონფერენციის მასალებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია იოსებ ჭუმბურიძის მოხსენება “ოთარ ჩხეიძის სახელმწიფო (მწერლის

პუბლიცისტიკის ერთი ასპექტი)". ეს მოხსენება, ფაქტობრუი, ოთარ ჩხეიძის პუბლიცისტიკის არსებობის დადასტურებაცაა და მისი რაობის მეტნაკლები გაცნობიერების მცდელობაც. იოსებ ჭუმბურიძე მოხსენებაში განიხილავს ოთარ ჩხეიძის სტატიას “პარლამენტური სამეცო ხელისუფლებისათვის”, რომელიც 1990 წლის 5 ოქტომბერს გაზეთ “ლიტერატურულ საქართველოში” გამოქვეყნდა.

ზოგადად, ოთარ ჩხეიძის პუბლიცისტიკა, მხატვრული ლიტერატურის მსგავსად, ეროვნულ პრობლემებზე ფიქრითაა გაჯერბული. ქართული ეროვნული სინამდვილე და სახელმწიფოებრიობა – ესაა ოთარ ჩხეიძის, როგორც მწერლის და როგორც პუბლიცისტის მთავრი საფიქრალი.

ლიტერატურა:

1. თელავის სამეცნიერო კონფერენცია / სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ოთარ ჩხეიძისადმი, 2012;
2. ოთარ ჩხეიძე, “რკალი”, 1986;
3. ოთარ ჩხეიძე, რომანი, “გამოცხადებაი”, 1989;
4. ოთარ ჩხეიძე, პარლამენტური სამეცო ხელისუფლებისათვის, “ლიტერატურული საქართველო”, #40 (2768), 1990 წელი;
5. ჩხეიძე ოთარ, “რომანი გაზეთში”, “ჩვენი მწერლობა”, #35, 2002;
6. როსტმო ჩხეიძე, მონოგრაფია “აგვისტოს შვილები”, 2008;

SUMMARY

*PhD Student Tamar Tevdorashvili
Otar Chkheidze in the Georgian
publishing circles*

Otar Chkheidze was “a writer hermit”, “a writer not accepted”. For a long time he was out of the capital city because he had been in Opala. Of course it was rarely written about him and his publicism. It was the reason that he was an almost stranger to Georgian publicism. For Georgian publicism he became famous in the beginning of the 21st century.

РЕЗЮМЕ

*Докторант Тамар Тевдорашвили
Отар Чхеидзе в пространстве грузинской
публицистики*

Отар Чхеидзе был «писателем отшельником», «писателем неприемлемым». В течение долгого времени он был отрезан от городской жизни, он жил в деревне Опала, поэтому, очевидно, о нем и об его публицистике редко писали. По этой причине, Отар Чхеидзе грузинской публицистической пространстве почти неизвестно. Как публицист, он стал известным в начале 21-ого века.

ФУНКЦИИ ЖУРНАЛИСТИКИ И ИХ ОТРАЖЕНИЕ В МЕДИАТЕКСТЕ

Козлова Елизавета

Грузинский технический университет,

ooooooooooooooooooooooo

Функции коммуникации – наиболее дискуссионная тема в теории журналистики. Связано это тем, что, являясь одним из компонентов психосоциальной среды обитания человечества, масс-медиа претендуют, и не без основания, на роль мощного фактора формирования мировоззрения и ценностных ориентаций общества. Общие для всех средств массовой информации функции журналистики реализуются сообразно той социальной позиции, которую вырабатывают и реализуют средства массовой информации различных общественно-политических ориентаций. Надо учитывать, что это не собственные функции журналистики как уникального общественного института, а отражение законов и условий деятельности, сложившихся не по её инициативе. В советской науке официальное признание получило так называемое ленинское определение функций. Вождь революции чётко определил советскую газету как коллективного пропагандиста, коллективного агитатора и коллективного организатора. Агитация рассматривалась как тактика, а стратегическим направлением признавалась пропаганда идей марксизма-ленинизма как единственного правильного учения, незыблемого в своих лозунгах и постулатах. Во всех редакциях советской печати существовали отделы пропаганды, а также отделы коммунистического воспитания, ибо в качестве вспомогательной тогдашние теоретики признавали также воспитательную функцию. Все это, разумеется, не имело ничего общего с подлинными задачами и призванием журналистики.

Функции журналистики задаются и определяются временем, которое диктует свои

проблемы, требует своей социально значимой информации и не менее значимой мифологии. Именно поэтому формулирование в теории журналистики функций как антропологического феномена целесообразнов философском, культурологическом и социально-политическом планах. Все существующие на сегодняшний день теории и концепции журналистики, принятые мировой научной мыслью, будь то варианты авторитарной, либертарианской, советской или какой-либо другой теории, несут в себе определенный социально-политический и социально-философский смысл, выполняемый функциями.

В 1948 году американский ученый Г. Лассуэл предложил свою модель коммуникации, благодаря которой стало возможным дать определение массовой коммуникации в понятиях ее собственной структуры, а также в терминах осуществляемых ею социальных функций. Модель Г. Лассуэла, разработанная на основе опыта ведения пропаганды в армейских подразделениях во время Второй мировой войны, могла быть использована как для анализа массовой коммуникации, так и для любого иного коммуникативного действия, которое раскрывается по мере ответа на последовательно раскрывающиеся вопросы: *кто сообщает, что именно, по каким каналам, кому и с каким эффектом?* Г. Лассуэлл выделил три базовые функции коммуникации: а) общественный контроль за средой обитания человечества и информирование отдельных общественных структур о том, какие деструктивные проблемы возникают в обществе и цивилизации и каковы их возможные последствия (сюда же он отнес и стимуляцию дискуссий о способах

решения этих проблем); б) координация действий общества для реализации общих целей и воплощения идеалов; в) передача культурного наследия предыдущих поколений последующим.

სიტყვები: აგიტაცია, პროპაგანდა და იღეოლოგია დიდი ხნის მანძილზე ანაქრონიზმებად იქნა მიჩნეული. საბჭოთა პერიოდში სწორედ ეს ტერმინები უკავშირდებოდა, იმდროინდელი ხელისუფლების მხრიდან, მასების ცნობიერების მიზანმიმართულ განვითარებას. კომუნისტური იღეოლოგია და „რეჟიმის“ პროპაგანდა წარმოადგენდა ძალაუფლებისა და საზოგადოებრივი ერთიანობის შენარჩუნების ბერკეტს, რაც არაკეთილსინდისიერი მეთოდებით ხორციელდებოდა. შემდეგ კი, პოსტკო-

მუნისტურმა ცივილიზაციამ მთლიანად გადაფასა ძველი შეხელულებები და შესაბამისად, ეს ტერმინებიც ლექსიკონიდან განიღევნა. ამჯერად კი თანამედროვე მასკომუნიკაციურ მეცნიერებაში, მედიაზემოქმედების შესწავლისას, კვლავ დადგა იღეოლოგია –პროპაგანდის ახალ ტრანსფორმაციულ ჭრილში დანახვის აუცილებლობა.

იღეოლოგიის შესწავლა მჭიდროდაა დაკავშირებული მასმედიას სოციალ-პოლიტიკურ და კულტურული როლის განსაზღვრასთან. თანამედროვე მასკომუნიკაციის ცნობილი მკვლევარების ბილ კოვაჩისა და ტომ როზენსტილის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე უურნალისტიკა ვეღარ წყვეტს რა მიაწოდოს აუდიტორიას და რა დუამალოს, მაინც ახალი ამბების ძირითადი კონცეფცია – „შეეცადო გაიგო რა აინტერესებს ხალხს და რა სჭირდება ოვითმმართველობისათვის,“ სულაც არაა მოძველებული. პირიქით, ტექნოლოგიური წინსვლა მის საჭიროებას კიდევ მეტად ზრდის. (6.27)

რაც აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, საჭიროება თავად დემოკრატიული, მაღალგანვითარებული ქვეყნების მედიაინდუსტრიებსაც კი აყენებს ფაქტის წინაშე, რათა შეიძუშაონ კონკრეტული გეგმები, რის მიხედვითაც განისაზღვრება საზოგადოების ინტერესი და შესაბამისად ოპერატორი, დაბალანსებული და ობიექტური ინფორმაციით მოხდება მისი ინფორმირება. აქ კი, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს სხვა არაფია, თუ არა იღეოლოგია, მედიაიდეოლოგია, რომლის მთავარი მიზანი მასებში საზოგადოებრივი აზრის შექმნა და იმის დაადგენაა, როგორ მიიპყროს აუდიტორიის ყურადღება. თუმცა, ტერმინი „იღეოლოგია“ გაცილებით უფრო რთული და ტევადია თავისი შინაარსით.

თანამედროვე მეცნიერები იდეოლოგიას შემდეგნაირად განმარტავენ: **იდეოლოგია** (ბერძნ. ოდისილიγίა) — იდეების, შეხედულებების ერთობლიობა, რომელიც ადამიანების გარკვეულ ჯგუფში (მაგალითად სახელმწიფოში) მიღებულ ნორმად, სახელმძღვანელო იდეებად არის აღიარებული”. (5.)

„იდეოლოგით განისაზღვრება ინდივიდების, სოციალური ჯგუფების, ხალხთა დამოკიდებულება სინამდვილისა და ერთმანეთისადმი.” (1.1.)

ტერმინი “იდეოლოგია” ფრანგული წარმომავლობისაა. ის პირველად იხმარა საფრანგეთის რევოლუციის მონაწილემ – ანტონ დესტა დე ტრესიმ (1754-1836). საჯაროდ ეს ტერმინი პირველად 1796 წელს გამოიყენეს და ბევრისთვის უარყოფითი მნიშვნელობაც შეიძინა. ის გადაიქცა ისეთი ცნებების საპირისპირო ტერმინად, როგორიცაა “ჭეშმარიტება”, “მეცნიერება”, “რაციონალობა”, “ობიექტურობა”... (4. 1)

„1960-იანი წლებიდან ტერმინი “იდეოლოგია” ნეიტრალურ და ობიექტურ ცნებად დამკვიდრდა, მას ჩამოცილდა პოლიტიკური დატვირთვა. მარტინ სელიჯერის განმარტებით, იდეოლოგია ქმედებაზე ორიენტირებული აზროვნების სისტემაა. ამგვარი განსაზღვრით, ის აღარაა კარგი ან ცუდი, ჭეშმარიტი ან მცდარი, ღია ან ჩაკეტილი, განმათავისუფლებელი ან მხაგრებელი – იდეოლოგია ყველაფერი შეიძლება იყოს.” (4. 2)

იდეოლოგიის როლს ბიპევიორისტები განსაზღვრავენ, როგორც პოლიტიკური იდეების უბრალო პროპაგანდას, საარჩევნო ხმების, მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ორთოდოქსი მარქსისტები კი პოლიტიკურ იდეოლოგიებს მხოლოდ კონკრეტული კლასების ინტერესების გამოხატულებად მიიჩნევენ. ანუ, იდეოლოგიაც და პროპაგანდაც გადაჯაჭვულია პოლიტიკასა და მის კანონზომიერებებთან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალ ქვეყანაში ამომრჩევლების და მოსახლეობის გადმოსაბირებლად მხოლოდ იდეოლოგია და

პოლიტიკური პარტიის მოღვაწეობა არ კმარა, მოსახლეობაში ნდობის მოსაპოვებლად უფრო ეფექტური მეთოდებია საჭირო.

„არსებობს იმის თეორიული დასაბუთების მრავალი მცდელობა, რომ აუდიტორიის ცნობიერება მთლიანად არის დამოკიდებული მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის შინაარსზე, ამიტომ ამ შეხედულებით, რაც უფრო მეტ და მრავალფეროვან ინფორმაციას მიაწოდებს მასმედია ადამიანებს, მით მეტად გახდება იგი მათი აქტივიზაციისა და დეაქტივიზაციის საშუალებაც.” (7. 232)

ესეც ერთგვარი იდეოლოგიაა, სტრატეგია, რომელითაც შესაძლებელია აუდიტორიის მართვა. დღეს, გლობალიზაციის და ახალი ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში, საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენის გაზრდისა და მათი მნიშვნელობის სიძლიერისა, განსაკუთრებით კი ინტერეტის განვითარებისა და ისეთი საკითხების წინა პლანზე წამოწევით, როგორიცაა ქალის უფლებები, ბავშვის უფლებები, სექსუალური, თუ რელიგიური უმცირესობები, იდეოლოგიები კვლავ აქტიულალურია.

უარყოფა იმისა, რომ ზოგი იდეოლოგია გაუფასურდა და დროთა განმავლობაში ხალხის მხრიდან ინტერესი დაკარგა უაზრობა იქნებოდა. დროთა განმავლობაში ყველა იდეოლოგიამ განიცადა ცვლილებები, ზოგი უფრო რადიკალური გახდა, ზოგიც რაღაც დათმობებზე წავიდა, სახე ან სახელი იცვალა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იდეოლოგიები გაქრა. ამის მაგალითი ჩვენს ქვეყანაში შექმნილი სიტუაციაა, ნებისმიერი ხელისუფლება საკუთარი შეხედულებებითა და იდეებით შემოდის ასპარეზზე და თავდაუზოგავად ცდილობს ფართო მასების მიმხრობას უკეთესი მომავლის იმედის გაღვივების გზით..

შესაძლოა, იდეოლოგია საზოგადოებრივი ცხოვრების კომპასი და გზამკვლევიც იყოს, რაციონალურად განსაზღვრული პრინციპთა სისტემაც, რომელშიც ერთიან ჭრილშია მოყ-

ვანილი გარკვეული წარმოდგენები რეალობაზე, ზოგადი ღირებულებითი ორიენტაციები და პრაქტიკული მოქმედების პრინციპები, მაგრამ არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ წარსული გამოცდილება და არ ვთქვათ, რომ იდეოლოგია რიგ შემთხვევაში არადემოკრატიული მიზნებისთვის გამოიყენება, როგორც ხელისუფლების ასევე მედიამფლობელების მხრიდან. ის ბოროტმოქმედის ხელში არც თუ უვნებელი იარაღია.

როგორც ცნობილია, მასების იდეოლოგიზების ერთ ერთი საშუალებაა პროპაგანდა, რასაც „მიზანმიმართულად მანიპულირებულ კომუნიკაციასაც“ უწოდებენ. ტერმინი (propaganda—ლათინური ენიდან მომდინარეობს და ნიშნავს ფართო მასებზე იდეურ ზემოქმედებას— ფაქტების, არგუმენტებისა და სხვა ცნობათა სისტემატიური გავრცელებით ემსახურება საზოგადო აზრის ჩამოყალიბებას. პროპაგანდისას ხშირად გამოიყენება როგორც რეალური, ასევე განგებ ცრუ ფაქტები. ტერმინი მას შემდეგ დამკვიდრდა, რაც 1622 წელს წელს პაპმა ურბან VIII, მისიონერული მოღვაწეობის გაფართოებისათვის, შექმნა სპეციალური პროპაგანდის კონგრეგაცია „Congregatio de propaganda fide“. (9)

ჰ. ლასუელის განმარტებით, პროპაგანდა არის მასობრივი კომუნიკაციის ერთ—ერთი მნიშვნელოვანი საყრდენი. პროპაგანდა, მისი თვალსაზრისით, დემოკრატიის ერთ—ერთი იარაღია, რადგან მხოლოდ პროპაგანდისტული დაწმუნების საფუძველზე შეიძლება, დემოკრატიამ მოიპოვოს მასების მხარდაჭერა ისე, რომ არ მიმართოს ძალადობას, რაც ხშირად ანგრეგს საზოგადოებას. მედია, მისი პროპაგანდისტული მექანიზმების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, არის ეფექტური სიმბოლოების ცირკულირების ყველაზე ძლიერი იარაღი.

თანამედროვე დასავლელი მკლევრები იზიარებენ რა ჰ. ლასუელის თვალსაზრისს, გამოყოფენ პროპაგანდის რადენიმე მახასიათებელს:

კომუნიკაციის ზემოქმედების სწორხაზო-

ვანი მიმართულება— რომლის დროსაც კომუნიკატორის ფუნქცია აქვს სოციალურ ინსტიტუტებს—მედიას ან სხვა რომელიმე ორგანიზებულ ინტერესჯგუფს (სახელმწიფოს, „მმართველ ელიტას“) ხოლო რეციპიენტის ფუნქცია კი — მოსახლეობას.

რაც შეეხება მანიპულატორულ ზემოქმედებას, ამ შემთხვევაში პროპაგანდა ეყრდნობა ადამიანური აღქმის არა რაციონალურ, არამედ ირაციონალურ თვისებას.

იდეოლოგიური ზემოქმედება კი დომინანატი სოციალური ჯგუფის შეხედულებებისა და ინტერესების გამომსხაველი იდეოლოგის პროპაგანდაა. თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში, პირდაპირი სწორხაზოვანი პროპაგანდა არაქმედუნარიანია, რადგან თანამედროვე ინდივიდი საკუთარი თავის იდენტიფიცირებას არ ახდენს სოციალური ჯუფების მიერ აღიარებულ საერთო იდეასთან.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ძალზე აქტუალურია შერეული პროპაგანდული მეთოდები: რეკლამა, პრ—ს, ფაბლისითი და სხვა....(3.)

ცნობილი მეცნიერი ნ. ჩომსკი პირველი ალაპარაკდა ე. წ. „ფილტრების“ პრობლემის აქტუალობის შესახებ რომლებიც ადვილად ხსნიან, თუ როგორ გამოიყენება დომინანტი მედიასაშუალები მმართველი კლასის ინტერესების პროპაგანდისათვის. (3.25) აღნიშნულ ფილტრებს მხოლოდ დომინანტი ძალის ინტერესებზე ორიენტირებული სიუჟეტები უძლებენ.

სოციალური მეცნიერების მკვლევრები მივიღენ საბოლოო დასკვნამდე, რომ მიუხედავად შეხედულებების რადიკალური ცვლილებებისა, მედიის საშუალებები და განსაკუთრებით ტელევიზია, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მაინც ინარჩუნებს პროპაგანდისტულ ხასიათს, რადგან იგი ძალაუფლებისათვის ბრძოლისას უალტერნატივო ტრიბუნაა. იმდენად რამდენადაც, ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფუნქცია არის გაბატონებული

იდეოლოგიის პროპაგანდა. ამ დროს სატელევიზიით ეთერში არ შეუძება არც ერთი სიუჟეტი თუ ინფორმაცია, რომელიც ეწინააღმდეგება არსებულ სისტემას. ან შეუძება, მაგრამ კრიტიკა იმდენად შერჩილებულა, რომ მნელია ქმედუნარიანი აღმოჩნდეს. ამერიკელი პროფესორი ალექს ედელსტეინი თვლის, რომ „დადგა ახალი პროპაგანდის დრო, რომელიც ძველისაგან განსხვავდება ბევრი ნიშნით მაგალითისათვის რამდენიმე შეიძლება მოვიხმოთ: აუდიტორიის სპეციფიკა, შეტყობინებების სირთულე და ზემოქმედების მექანიზმების შესაძლებლობები. ამ მხრივ კომუნიკაციის თანამედროვე ტენდენციები სრულიად განსხვავებულ შედეგს გვიჩვენებს, ისეთს, რომელიც ფაქტიურად, ძველი კომუნიკაციის ფორმისათვის წარმოუდგენლად მიუწვდომელი იყო. როგორც ცნობილია, ინფორმაცია ფლობდა და ფლობს როგორც შემოქმედებით, ასევე დესტრუქციულ ძალას, მაგრამ განსხვავება ერთია, რომ ამჯერად, ეს ძალა უფრო ქმედითა..(2. 67).

დრო და შეხედულებები კი შეიცვალა, მაგრამ არ შეცვლილა ინფორმაციის არსი, მხოლოდ გაძლიერდა მედიასაშუალებების ზემოქმედების სიხშირე. ამავე დროს გაზრდილია საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობაც, რაც საზოგადოების ინტეგრირების გარკვეული საფუძველიცაა.

ბევრმა ფსიქოლოგმა და სოციოლოგმა ერთდროულად ჩამოაყალიბა მედიის, კერძოდ რეკლამის) ფსიქოლოგიური ზემოქმედების სხვადასხვა მეთოდი, რომელიც ამავდროულად მიღებულია პროპაგანდაშიც. ბევრ შემთხვევაში ისინი ერთმანეთს მიღებისა და ზემოქმედების ეფექტებით გვანან. დღეს ერთმანეთისაგან განასხვავებენ კომერციულ და პოლიტიკურ პროპაგანდას. ისევე, როგორც კომერციულ და პოლიტიკურ რეკლამას. თანამედროვე რეკლამამ პროპაგანდას შესძინა „დადებითი მუხტი“ და მისცა გარკვეულ ფასეულობებს გადაფასების ბიძგი. ხშირად პოლიტიკურ პროპაგანდაში გამოიყენება ისეთი ტექნიკა, რომელსაც შესა-

ძლოა ეწოდოს „შებრუნებული რეკლამა“, რადგან ის პოპულარიზებას უწევს სახელმწიფო პოლიტიკას, ხელისუფლებას, პარტიებს, მსოფლმხედველობებს და შეხედულებებს ამა თუ იმ შეტყობინებებზე, აყალიბებს იმიჯს. ყოველივე ამისათვის აქტიურად გამოიყენებს როგორც ტრადიციულ პროპაგანდის ასევე, დამაფიქრებელი ზემოქმედების მეთოდებსაც. (8.9)

ამგვარად, სტატიაში ჩვენ ნაწილობრივ შევეცადეთ, განგვეხილა იდეოლოგიისა და პროპაგანდის არსი და მათი აქტუალობა თანამედროვე კომუნიკაციურ მეცნიერებაში. როგორც ცნობილია, მასმედია საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების ანუ მანიპულირების საუკეთესო საშუალებადაა აღიარებული, რაც სხვა არაფერია, თუ არა კონკრეტული იდეოლოგია- ზემოქმედება სხვადასხვა მეთოდებითა და ხერხით. ის სოციუმში აყალიბებს კონკრეტულ ქმედებას. მასების იდეოლოგიზების ერთ-ერთი საშუალებაა პროპაგანდა, რაც რეკლამირების, პიარისა და პაბლიციტის დროს თითქმის შეუცვლელია. მას „მიზანმიმართულად მანიპულირებულ კომუნიკაციასაც“ უწოდებენ. ტერმინებმა იდეოლოგია და პროპაგანდა დროთა მანძილზე ტრანსფორმაცია განიცადეს, თუმცა, არ მომხდარა მათი მოღიგიკაცია. აშკარაა, რომ ისინი რიგი საკითხების კვლევისა და გააზრების თვალსაზრისით, კვლავ მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ.

ლიტერატურა:

1. დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა: სატრენინგო მასალები / შემდგ.: მალხაზ ბეგიაშვილი, დავით ბოსტოლანაშვილი, დიანა ლეჟავა და სხვ. - ობ., 2007
2. Edelstein A. Total propaganda. From mass culture to popular culture. Mahway - London, 1997).
3. http://en.wikipedia.org/wiki/Propaganda_model
4. <http://iberiana2.wordpress.com/segm/d-chumburidze/>

5. <http://ka.wikipedia.org/wiki/იდეოლოგია/>)
6. ქოვაჩი ბ., ტ. „ურნალისტიკის ელემენტები“ თბ. 2006. გამომცემლობა „იმპერსი“ გვ27.
7. სურგულაძე რ., იბერი ე., „მასობრივი კომუნიკაცია“ თბ.2003. გვ232)
8. http://www.psichology.vuzlib.org/book_0247_page_9.html)
9. <http://ru.wikipedia.org/wiki/>

манипулированной связи». Эти термины отличаются по многим характеристикам от их предшественников. Они имеют большое значение для изучения медиа влияния.

MEDIA INFLUENCE ON IDEOLOGICAL IN THE CONTEXT OF PROPAGANDA

ВЛИЯНИЕ СМИ - В КОНТЕКСТЕ ИДЕОЛОГИЯ И ПРОПАГАНДЫ

*Шорена Габошвили,
докторант, ГТУ*

РЕЗЮМЕ

В статье говорится о важности идеологии и пропаганды в массовой коммуникации. Как мы все знаем, средства массовой информации могут влиять на общественное мнение. Влияние осуществляется посредством различных методов. Это идеология, это наборы идей и верований, в которые изложены конкретные действия в обществе. Пропаганда является незаменим инструментом для управления мас- сами за счет рекламы, связей с общественно- стью . Оно также называется «преднамеренно

*Shorena Gaboshvili,
PhD student, GTU*

SUMMARI

The article discusses the importance of ideology and propaganda of modern mass communication. As we all know, the media can influence public opinion. Impact of different methods is carried out. This is very similar ideology, which are sets of ideas and beliefs, which sets out specific actions in society. Propaganda is a tool to control the masses by advertising, public relations and pablitsitis time irreplaceable. He had “deliberately manipulated the communication” is called. These terms are precursors of many factors. They are of great value to the study of media influence

ФИЛОЛОГИЯ

PHILOLOGY

აზრიპული დარღვევის სიტყვები ამარიპულ ინგლისერთი

ნანა გვენეტაძე, დოქტორანტი, სტუ

ამერიკული ინგლისურის ერთ-ერთი და-
მახასიათებელი თვისებაა სიტყვათა სესხება
სხვადასხვა ენებიდან. ამერიკული კულტურა
სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების და კულ-
ტურების ნიადაგზე აღმოცენდა, მისი ენაც,
აქელან გამომდინარე, გაჯერებულია ამა თუ იმ
ქვეყნიდან შემოსული ნასესხები სიტყვებით.
აფრიკულმა ტომებმა ამერიკაში არა მარტო,
იაფი მუშახელი, არამედ თავიანთი კულტურაც
შემოიტანეს, მათი ენა, კილო და წეს-ჩვეულე-
ბები სამუდამოდ დამკგირდა ამერიკულ კულ-
ტურაში.

ბევრი ამერიკელისთვის არაა ცნობილი
რომ სიტყვები რომლებსაც ისინი იყენებენ
ყოველდღიურ სასაუბრო ენაში აფრიკული
წარმოშობისაა. და მაინც როგორ მოხვდა აფ-
რიკული სიტყვები ამერიკულ ინგლისურში?
რა თქმა უნდა ეს მონობით ვაჭრობის შედეგია
რომელიც ასე გაცხოველებით დაიწყო 1600-
იან წლებში და 250 წელი გრძელდებოდა.

აფრიკული წარმოშობის სიტყვები მრავალდაა ამერიკულ ინგლისურში და ის ყველაზე ინტენსიურად გამოიყენება აფრო-ამერიკელების მიერ. ეს სიტყვები უმეტესად დასავლურ-აფრიკული ტომების ლექსიკის ნაწილია. პირველად აფრიკული კულტურის შემოტანა ამერიკის ტერიტორიაზე მოხდა ვოლოფის ტომის წარმომადგენლების მიერ, როცა მათი ინტენსიური გადმოსახლება დაიწყო ამერიკის კონტინენტზე. მათი ურთიერთობა აღგილობ-

რივებთან თავდაპირველად მესამე პირის ანუ თარჯიშის საშუალებით ხდებოდა, თუმცა ისეთი სიტყვები, რომლებიც აფრიკული წარმოშობის ნივთებს, საკვებს და ა.შ აღნიშნავდა უცვლელი დარჩა და დროთა განმავლობაში ადგილი დაიმკვიდრა ამერიკულ ინგლისურ ენაში.

ყველაზე გავრცელებული აფრიკული წარმოშობის სიტყვა ამერიკულ ინგლისურიში არის “okay,” ანუ “O.K.” რომელიც პოპულარული გახდა ამერიკაში 1800-იანი წლებიდან. პირველი ნიშნები ამ სიტყვის გამოყენებისა ნაპოვნია მეთვრამეტე საუკუნის ჯამაიკის და სურინამის აფრო-ამერიკელ მოსახლეობაში. თუმცა ვოლოფის კულტურაში გვაქვს მსგავსი სიტყვა o ke, რაც ნიშნავს ყველაფერი კარგად არის, ყველაფერი რიგზეა (all right).

კიდევ ერთი სიტყვა განვიხილოთ: აფრი-
კულ-ამერიკულ ინგლისურიში ზშირად გამ-
ოყენება გამოთქმა: “dig this man.” რაც ნიშ-
ნავს „გაიგე“ (understand) ეს გამოთქმა გან-
საკუთრებით პოპულარული გახდა 1960-იანი
წლებიდან. ახლა კი ავიღოთ მსგავსი გამოთქმა
კოლოფის ენიდან: dega nga olof, რაც ნიშნავს:
“Do you understand Wolof?” როგორც ვხედავთ
ეს სიტყვაც აფრიკული წარმოშობისაა.

ასევე ზოგიერთი ენათმეცნიერი გამოთქვამს მოსაზრებას ვოლოფის ენაზე „gays“ და ამერიკული ცნობილი სიტყვა „guys,” ერთი და იგივე წარმოშობისაა, სიტყვა ორივეგან ნიშნავს,

პიროვნებას (persons or fellows) და ისევე როგორც ამერიკულ ინგლისურიში ასევე ვოლოფშიც ის მრავლობითში დგას. ამერიკული სიტყვა: hep, hip, hippie ითარგმნება როგორც „იცოდე რა ხდება“ (to be aware or alive to what is going on). ვოლოფში გვაქვს მსგავსი სიტყვა, “hipi” რაც ნიშნავს „თვალები გაახილე (to open one's eyes). 1960-აინ წლების პოპულარულ მუსიკში “sock it to me, Baby” (Mitch Ryder and the Detroit Wheels) სიტყვა sock ნიშნავს დატყმას, ასევე ვოლოფშიც გვაქვს მსგავსი უღერადობის სიტყვა მსგავსი მნიშვნელობით.

ასე რომ აფრიკული სიტყვები გახდა ნაწილი ამერიკული ენისა. თუმცა, არა მარტო ლექსიკა შესძინა აფრიკაში ამერიკულ კულტურას. ზოგიერთი ენათმეცნიერის მოსაზრებით (თუმცა ამ მოსაზრებას ყველა ლინგვისტი არ იზიარებს) სამხრეთული დიალექტი აფრიკელი მონების დამსახურებაა. როგორც ისტორიულად არის ცნობილი, მონების შრომა არა მარტო პლანტაციებში გამოიყენებოდა, არამედ ისინი ზრდიდნენ თავიათი მფლობელების ბავშვებს. ეჭვგარეშეა რომ ამ ურთიერთობის შედეგია, ეს უნიკალური სამხრეთული დიალექტი.

ბევრი აფრიკული ფრაზეოლოგია დროთა განმავლობაში ამერიკის კულტურის ნაწილი გახდა. ამერიკაში საყოველთაოდ ცნობილი ფრაზა ”to kick the bucket.” რაც გარდაცვალებას ნიშნავს, აფრიკული წარმომავლობის უნდა იყოს. ყოფილ მონათა აუდიო ჩანაწერებში, ისინი ხშირად სიკვდილთან მიმართებაში იყენებენ ასეთ გამოთქმას: ”kickerapoo”, ”kickatavoo,” რაც ნიშნავს მკვდარს. ასე რომ ეს გამოთქმაც აფრიკიდან არის შემოსული ამერიკულ ინგლისურიში. ასევე მამის მოფერებითი სახელი ამერიკულ ინგლისურიში არის daddy, აფრიკულში ენებშიც გვაქვს მსგავსი სიტყვა იგივე მნიშვნელობით (daadi).

ქვემოთ მოცემულია იმ სიტყვების ჩამონათვალი, რომლებიც ამერიკულ და აფრიკულ-ამერიკულ ინგლისურიში შემოვიდა აფრიკული ენებიდან:

bad-eye-Threatening, hateful glance. Mandingo word. სიძულვილით სავსე მზერა

bad-mouth-In Gullah, the word is used to mean slander, abuse, gossip. (გულას ენაზე ნიშნავს შეურაცმყოფელ საუბარს, ჭორს. იგივე მნიშვნელობა აქვს ინგლისურშიც

Booboo- Bantu mbuku, stupid, blundering act; error, blunder - სულელი

banana - West African, Wolof; banana - ბანანი

bogus - Hausa boko-boko; fake or fraudulent - ყალბი

bongo - West African boungu - მცირე, ორმაგი დოლი

bozo - West African; stupid - სულელი

boogie - Wolof or Sierra Leone; to dance - ცეკვის სახეობა

banjo - Bantu mbanza - ბანჯო

boma - Swahili - გეოგრაფიული სახელი-ბომა

chigger - Wolof and Yoruba jiga “insect” - მწერი

chimpanzee - Tshiluba language term “kivilichimpenze” - შიმპანზე

cola - West African languages

dig- Wolof dega - გაგება (სლენგი)

fundi - Ndebele, Xhosa, or Zulu umfundi “disciple, learner”

funk - kikongo lu-fuki; “bad body odor” - ზიზღისმომგვრელი, მშიშარა.

goober - Bantu (Kikongo and Kimbundu nguba)- peanut - მიწისოთხილი

hip - Wolof; hepi and hepicat, one with eyes open - გამოფხიზლება

jazz - West African languages (Mandinka jasi, Temne yas) - ჯაზი

jive - from Wolof; jev - ჯაზური მუსიკა, ლაყბობა

juke, jukebox - Wolof and Bambara - ჰატეფონ-ავტომატი

Kwanzaa - Swahili phrase matunda ya kwanza; meaning “first fruits” - პირველი ზიღი

lapa - Sotho languages - enclosure or barbecue area (often used in South African English) - ლაპა

macaque – Bantu; makaku - მაკაკა მაიმუნი
mamba - Zulu or Swahili; mamba - მამბა
mambo - West African through Haitian Creole - მამბოს სახეობა

merengue (dance)-Fulani mererek; - to shake or quiver

mumbo jumbo - mandigo name Maamajombo; a masked dancer - ნიღბიანი მოკლებავი

mojo - Fula moco'o "medicine man" through Louisiana Creole French or Gullah - گچو ڈھا ڈھو

okay - disputed origins; likely influenced by Wolof waw-kay - ଯାଗଲ୍ଲାକୁରି ରୋଗଥିବା

okra - Igbo ókùrù - δოსტნეულის სახეობა
sambo - Fula sambo meaning “uncle” - ბიძა
safari – Swahili; ultimately from Arabic - სა-
ფარი (აფრიკაში)

Tilapia - latinization "thiape", the Tswana word for fish - თევზის სახეობა

tango - probably from Ibibio tamgu - ടാംഗു
voodoo - from West African languages (Ewe
and Fon vodu "spirit") - വുദു

yam - West African (Fula nyami, Twi anyinam) - ദാർഖി

vuvuzela - musical instrument, name of Zulu or Nguni origin - ମ୍ରଜ୍ଜିତାନ୍ତିକାଳୀନରେ ନିରାକାରିତାରେ

- ზებრა

zombie - Central African (Kikongo zumbi,

Kimbundu nzambi) - ზომბი
ლოგოტექნიკაზო ბევრი ათრი კულტი სი-

ტყვა და გამოთქმა გახდა ამერიკული ლექსინ-
კის ნაწილი. აფრიკელმა მონებმა არა მარტო
მუშახელი შესძინეს ამერიკას, მათ თან მოი-
ტანეს თავიანთი კულტურა და წეს-ჩვეულები.
ბევრი ენათმეცნიერის აზრით, სამხრეთული
კილოც, რომელიც ასე განსხვავებულია სხვა
ამერიკული კილოებისაგან, მათი დამსახურე-
ბაა. ეჭვგარეშეა რომ ეს კილო აფრიკელებისა
და ადგილობრივების საუკუნობრივი ურთ-
იერთობის შედეგია.

საკვანძო სიტყვები: დამახასიათებელი
თვისება, ენათმეცნიერება, ამერიკული კულ-
ტურა, აფრიკული ენები, ფრაზელოგია,

ଲେଖକ:

1. Farooq A. Kperogi - The African Origins Of Common English Words.
 2. www.wikipedia.org.

AFRICAN ORIGIN WORDS IN AMERICAN ENGLISH

Nana Gvenetadze, PhD, GTU

The article gives a brief overview of the origin and development of American English. The first part of the article conveys a concept of the language and its importance for the country. As we all know American history is the story of immigrants and their language is full of different cultures respectively. The second part of the article discusses the stages of development of American English and historical impact of changes on the language. The final part deals with the implication of American English language status as the international language .

СЛОВА АФРИКАНСКОГО ПРОИСХОЖДЕНИЯ В АМЕРИКАНСКОМ АНГЛИЙСКОМ

Нана Гвенетадзе, Докторант ГТУ

В статье рассмотрено применение слов африканского происхождения в американском английском. Период колонизации – один из важнейших этапов истории Америки. Вместе с рабами в эту страну пришла не только дешевая рабочая сила, но и культура другого рода. В статье приведены те слова и выражения, которые произошли из африканских языков. Некоторые из них практически в неизмененном виде остались в американском английском, а некоторые слились с американским языком.

AFRICAN-AMERICAN ENGLISH: BRIEF OVERVIEW

Nana Gvenetadze, PhD
Georgian Technical University

African American English is a variant of English spoken mostly by black people in the United States of America. But this does not mean that only black Americans speak this variety of English, it is widely used in music, literature even, some white people speak African-American English and some people use only some features of this variant, for example vocabulary, so it is also difficult to define who actually speaks it.

A wide variety of terms have been used to describe English as spoken by African-Americans in the United States, such as; Ebonics, Black English, and African American Vernacular English. African American English (AAE).

The origin of African -American English still remains controversial for many linguists. Walt Wolfram and Benjamin Torbert believe that this language comes from the roots of African tribes and it was simultaneously developed during the slave trade. The debate over the origin and evolution of the language is common in language history, but the history of racial relations in American society deserves a special attention . African tribes spoke many languages , such as Mandinka, Mende and Gola - among many others. As for English , immigrants from Africa to North America began to study the language in the plantations.

Because of the history of slavery and racial issues AAVE is still a politically sensitive subject in the United States. There are two theories on how about the origin of AAE: the *dialect hypothesis* and the *creole hypothesis*. According to the dialect hypothesis, slaves learned English “wrong” when they arrived to the new world and according to the creole hypothesis, English was mixed with many West African languages to create a pidgin, which was then learned as a first language by the next

generations then, it became creole.

Like all languages and dialects, African American English follows a system of language patterns. Many of the patterns in AAE are the same as in other American English dialects, but AAE also uses patterns that make it distinct. It includes grammatical, lexical and phonological characteristics. Like any other linguistic system, AAE embraces regional and ethnological variations. Though it is rule-bound, its rules represent tendencies rather than absolute formulas.

Grammatical features of African-American English

African-American English grammatical features are well studied, because they are unique to the language, so it is in the interest of linguistics. Grammatical features are more visible and conspicuous than phonological features. It is important to remember that despite their uniqueness it is not a degraded form of English. Here are some grammatical characteristics of AAE:

1. negative concord/multiple negation
He doesn't see anything as *He don't see nothing*
2. irregular verbs may be regularized
I saw her as *I seened/seent her*
3. *done* may be used to mark distant past tense
He failed out ages ago as *He done failed out*
4. *ain't* may be used as an auxiliary verb or copula
He isn't shy as *He ain't shy*
5. double modals may be used
I could have done that as *I might could have done that*
6. subject-verb agreement is not required
They weren't there as *They wasn't there*
7. the copula may be deleted where it can be contracted in SAE

- She is funny and She's funny as She funny*
8. stressed BIN may be used to mark the completion of an action.
I finished long ago as I BIN finished my homework
9. the copula BE may be used to mark habitual action
He talks nonstop as He be talking all the time
10. the use of *steady* and *come* to mark habitual action
He is always talking as He steady talking
11. the auxiliary *had* may be used with the simple past tense
What happened was as What had happened was
12. existential *it* and *dey* are used to mark something that exists
There is a dog in here as It's a dog in here
13. hypercorrected forms may occur where AAE has a variable form
I had to go to the store as I haddeded to go to the store

14. inversion of subject and auxiliary is not obligatory in questions
Is he behind me? as He is behind me?

Phonological features of African-American English

The origin and development of the African - American English has become the issue of discussion and dispute among scholars, but many of these disputes can be resolved with the study of phonetics and morphology. Phonetic and phonological changes are the richest sources of information; it may shed light on the many issues of African - American English. Vowel and consonant agreement, pronunciation techniques, Reduction of consonant clusters, mutation and so on can give us the answers to all the important matters in African - American English research. The following examples show the differences of African - American English and standard English (SE) phonetics.

Consonant variation

ask/aks alternation	I aks him a question
ing/in alternation	He's runnin' fast
/r/ vocalization or deletion	occurs in words such as in four, father, car
/l/ vocalization or deletion	occurs in words such as school, cool, people
final consonant reduction in clusters	find as fine; hand, as han
single final consonant absence	five and fine s fie
final consonants can be devoiced	bad as bat
initial /th/ as [d]; final /th/ as [d,t,s,z,f,v]	they as day; with as whiff, and with as wit
/s/ as [d] before /n/	Isn't as idn't; wasn't as wadn't
glide [j] as consonant	computer as compooter; Houston as Hooston
/t/ as /k/ in a str- cluster	stream as scream
Syllable stress can shift	PPolice, Umbrella

Vowel variation

pen-pin merger before nasal consonants	pen as pin, ten as tin
/iy//i/, /ey/ /e/ merge before /l/	feel and fill; fail and fell rhyme
diphthongs as monophthongs	oil and all; time and Tom may rime
/er/ as /ur/ word finally	occurs in words such as hair, care, and there

(Source: Anne Harper Charity - African American English: An Overview)

In African - American English the stress

change is a common phenomenon, for example: **police**, **guitar** and **Detroit** are pronounced with initial stress instead of ultimate stress.

Lexical features of African-American English

Lexical and semantic study of African-American English should give us information about issues such as words and phrases and language variations. As Green says; Dictionary is the repository for words and phrases in a language system, and semantics refers to the ways in which sounds and meanings are related. In African-American English vocabulary , expressions and words here are Unique supplies, which not only African-Americans, but many teenagers or adult use in America.

When we talk about lexical features of AAE, we can divide its vocabulary into three parts:

1. African origin words
2. Slang
3. Standard English words with different meaning

African slaves brought their culture and language in America and some African words became the part of American English:

banana - West African, possibly Wolof banana.

hip - from Wolof hipi and hepicat, one with eyes open.

jazz - from West African languages (Mandinka jasi, Temne yas).

Slang is very popular in American culture. Not only African-Americans, white people use it in everyday speech. Here are some examples of popular slang terms:

whutchu knock down? = what did you buy?

Marga — extremely

Moist — no ratings, silly, naff

There are also some words in African-American English, which are used in both AAE and SE, but they have different meaning in black English.

AAE

The can

SE

Jail

Smoke

Weed

So, African-American English is systematic and well organized language. The distinguish-

ing features that separates it from standard English is also presented in other languages (French, Russian, Swahili, etc.); as a language, African - American English has rich grammatical, phonological and lexical features. It is widely used in literature and education and it is one of the researched language in linguistics.

Keywords: linguistics; features; standard English, hypothesis; origin; language history

BIBLIOGRAPHY:

1. Lisa J. Green. African American English: A Linguistic Introduction. Kindle Edition.
2. Anne Harper Charity - African American English: An Overview

აფრიკულ-აშერიკული ინგლისურის აოკლე მიმოხილვა

ნანა გვენეტაძე, დოქტორანტი, სტუ

სტატიაში მოცემულია აფრიკულ-აშერიკული ინგლისურის მოკლე მიმოხილვა. სტატიის შესავალი ნაწილი გამოგვცემს ამ ენის წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორიას. ძირითად ნაწილში განხილულია გრამატიკული, ფონეტიკური და ლექსიკური მახასიათებლები. დასკვნითი ნაწილი კი ქება აფრიკულ-აშერიკული ინგლისურის სტატუსს.

КРАТКИЙ ОБЗОР АФРОАМЕРИКАНСКОГО АНГЛИЙСКОГО ЯЗЫКА

Нана Гвенетадзе, докторант, ГТУ

В статье дан краткий обзор афроамериканского английского языка. Во вступительной части статьи изложена краткая история происхождения и развития этого языка. В основной части рассмотрены грамматические, фонетические и лексические характеристики, а заключительная часть касается статуса афроамериканского английского языка.

ჯ. ბაირონის „შილდონის პატიმარის“ და „სონეტი შილდონზე“. როგორც ლიტერატურული ნაწარმოებების სტილისტური თავისებურებები

**ციური დეკანოზიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

ჯ. ბაირონი აღიარებდა განმანათლებელთა ავტორიტეტს და თავის შემოქმედებაში კლასიციზმისა და სენტიმენტალიზმის პოეტიკურ მიღწევებს, თუმცა ის რომანტიზმის წარმომადგენელი იყო და უორდსუორთის სტილისტურ ინოვაციებს აყითარებდა. ლიტერატურში რომანტიზმი თემებს წარსულის მოგონებებსა და კრიტიკაში, „მერძნობელობის“ (“sensibility”) კულტში მისი აქცენტით ქალებზე და ბავშვებზე, მხატვრის ან მთხოობელის გმირულ იზოლაციაში და ახალ, უფრო ველურ, დაუბრკოლებელ და „წმინდა“ (“pure”) ბუნებაში პოულობდა.

ბაირონის პოეტიკური ენა და სტილი მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ვითარდებოდა: ალიტერაცია, სიტყვების შემოკლებული ფორმები, გრამატიკული არქაიზმები, ეგზოტიკური სიტყვები, სასაუბრო ლექსიკა, ემფატიკური „do“, მეტაფორები, განსახიერებები, შედარებები, მყარი ფრაზები და იდიომები, სიტყვების თამაში, ჩამონათვალები, კულმინაცია, სინონიმური მწერლები, პარალელური კონსტრუქციები დამახასიათებელი იყო ბაირონის სტილისთვის. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სტილისტური ხერხი მეტ-ნაკლებად გამოიყენება ბაირონის ნაწილებში „შილდინის პატიმარი“ და „სონეტა შილდინზე“

„შილდინის პატიმარი“ შეიძლება ტიპური პოემა ვუწოდოთ ბაირონის შემოქმედებაში. ამ პოემის სტილის თავისებურებები პოეტის შემოქმედების შვეიცარული პერიოდისთვის არის დამახასიათებელი. მაშინ, როცა თავად ჯ. ბაირონი ამ პოემას განიხილავდა, როგორც „ლეგენდას“, კემბრიჯის ინგლისური ენისა და ამერიკის ლიტერატურის თვრამეტტომეული მიაწერს მას რომანტიკული ზღაპრების კატეგორიას, როგორებიც არიან „გიაური“ (Giaour) და „აბი-

დოსის პატარძალი“ (Bride of Abydos), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „შილდინის პატიმარი“ გამოვიდა 1816 წლის ბოლოს მთელი რიგი მსგავსი ზღაპრების შემდეგ და ნიშნავდა ამ ჟანრისადმი პოეტის ინტერესის განახლებას. ამგვარად ეს პოემა გარკვეულწილად განსხვავდება ბაირონის იგივე ტიპის ნაწარმოებებისგან.

„შილდინის პატიმარის“ სტრიქონებით პოეტი პირდაპირ მკითხველის გრძნობებს მიმართავს და აქედან მოდის ამ პოემის ემოციების გულახდილობა და ენის სისადავე, ამიტომაც ავტორს დასჭირდა ალიტერაცია და ონომატოპეა (livid light, full and free, wall and wave, fair face, sweetest song და ა. შ) რათა პოემის ფორმის სინარნარით გამოქატა სარდაფის სიბნელის და სინესტის ატმოსფერო, ცოცხალი სულის მწუხარება და იმედის ქრობასთან ერთად დაუფლებული დაბექავების გრძნობა. „შილდინის პატიმარამდე“ დაწერილი ზღაპრები ვნებით, ტრაგიზმით და გმირობით იყო სავსე, იგივე შეიძლება ითქვას „სონეტი შილდინზე“, რაც გამოხატება 14 სტრიქონზე დასმული 5 ძახილის ნიშნით, მაშინ, როცა „შილდინის პატიმარში“ მხოლოდ 9 ძახილის ნიშანია გამოყენებული.

როდესაც პოეტი საუბრობს ადამიანის სულზე, ადამიანის გონებაში მიმდინარე პროცესებზე და ისეთ ცნებებზე, როგორიცაა თავისუფლება, რწმენა, სიყვარული, და სხვა., ის ხშირად მიმართავს განყენებულ ცნებებს. ეს უფრო კარგად „სონეტი შილდინზე“ არის გამოხატული, მაგრამ პოემაც ამის ბევრ მაგალითს შეიცავს: სული (Spirit), გონება (Mind), თავისუფლება (Liberty), დევნა (Persecution), ცოდვა (Sin), სამოთხე (Paradise). ამ სიტყვების დიდი ასოთი დაწერა ასეთ პერსონიფიკაციას (გაპიროვნებას) კიდევ უფრო აძლიერებს.

მსგავსი მიზნით უსულო საგნებთან მიმართვაც გამოიყენება: ტკბილო შვილო! შილიონ! (Sweet bird! Chillion!).

ბუნება არა მხოლოდ პერსონაჟების განწყობის ფონს წარმოადგენს, არამედ ბევრი მეტაფორისა და შედარების წყაროა ჯ. ბაირონის თითქმის ყველა ნაწარმოებში და ზოგჯერ თითქოს თავადაც ხდება ნაწარმოების გმირი. მნიშვნელოვანია ბუნების აღწერა პოემაში, განსაკუთრებით მე 10 და მე 13 ნაწილებში:

A small green isle, it seem'd no more
Scarce broades than my dungeon floor,
But in it there were three tall trees,
And o'er it blew the mountain breeze,
And by it there were waters flowing,
And on it there were young flowers growing
Of gentle breath and hue.

(G. Byron, 32: 364, XIII, 13-19)

ბაირონი პოემის განწყობისთვის ხშირად იყენებს პარალელურ კონსტრუქციებს, ისევე როგორც სინონიმურ მწკრივებს და ჩამონათვალს. ეს ორი უკანასკნელი ელემენტი კულმინაციასთან ერთად წარმოადგენენ პოეტის ინსტრუმენტს დაძაბულობის და ძლიერი ემოციების გამოსახატავად.

თუმცა ბაირონი თავის პოემებში მითოლოგიას და უცხო ქვეყნების კოლორიტს ხშირად იყენებს, „შილიონის პატიმარი“ მოგვითხრობს ძლიერი და ამაყი ადამიანის დაკნინების შესახებ და გვიჩვენებს ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანისთვის თავისუფლების აღკვეთის საშინელებას და დაუშვებლობას. პოემაში რამოდენიმე ბიბლიური მოტივი არის წარმოდგენილი: „რწმენა“ “faith”, რომლის შესახებ გმირი პირველ ნაწილში საუბრობს და „ჩიტი“ “bird”, რომელიც საგარაულოდ გარდაცვლილი ქმის სულს წარმოადგენს. თუმცა, ჯ. ბაირონის რწმენა მთლად რელიგიური არ არის, ის უფრო თავისუფლებასთან და მისთვის ბრძოლასთან არის დაკავშირებული. უფრო მეტიც, ის დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ბონივარს, პოემის გმირის პროტოტიპს თეოლოგიაში კარგი

განათლება ჰქონდა მიღებული; ჯ. ბაირონი ამას პოემის შესავალში მიუთითებს.

„სონეტი შილიონზე“ სტილით და განწყობით „შილიონის პატიმარი“ - სგან განსხვავდება. ავტორის ხმა პოემაში და სონეტში ოდნავ განსხვავებულად უღერს. მხედველობაშია მისაღებია ის ფაქტი, რომ სონეტი პოემის შემდეგ დაიწერა, როდესაც ჯ. ბაირონი ბონივარის ცხოვრების დეტალებს გაეცნო და აღფრთოვანდა მისი პიროვნებით. ბონივარის ბედის საშინელება, მისი პიროვნებით აღფრთოვანება და მგზნებარე პროტესტი მთავარია სონეტში. თავისუფლებასთან პოეტის მიმართვის პირველი სტრიქონები განსაზღვრავენ მთელ ლექსს. ეს მოწოდებაა რაღაც თანდაყოლილთან და წმინდასთან ადამიანში, ბორკილებში მყოფთა ქებათაქებაა და მათი წყვლაა, ვინც გაბედა ადამიანების დამონება.

„სონეტი შილიონზე“ ისმის დაუოკებელი მოწოდება თავისუფლებისაკენ არა ბედის ან ცალკეული პიროვნების რწმენის კონტექსტში, არამედ როგორც თავისუფლების საყოველთაო უფლება. ამიტომ ამ სონეტის ენა უფრო როულია და მდიდარია განსაკუთრებით კაშკაშა მეტაფორებით, წამოძახილებით და მგზნებარე პათოსით სავსე სტრიქონებით:

Eternal Spirit of the chainless Mind!
Brightest in dungeons, Liberty!
For there thy habitation is the heart –
The heart which love of thee alone can bind;

(G. Byron, 32:353, Sonnet, 1-4)

საკვანძო სიტყვები: პოემა, პოეტიკური ენა, სტილისტური თავისებურებები,

ლიტერატურა:

1. გაჩეჩილაძე გ. ბაირონი (1788 - 1939) (მისი ცხოვრების და შემოქმედების გარჩევა). თბ.: სახუნტის გამ-ბა და სტ., 1938
2. გაჩეჩილაძე გ. მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი. სახ. ფილ. ფაკ სტუდენტებისათვის, თბილისი, განათლება, 1970

3. The Cambridge History of English and American Literature in 18 Volumes (1907-21). Volume XII. The Romantic Revival // <http://www.bartleby.com/222/0210.html>
4. The poetical works of Lord Byron. – London: Oxford University Press (Humphrey Milford) – 1935
5. The Prisoner of Chillion. From Wikipedia, the free encyclopedia // http://en.wikipedia.org/wiki/The_Prisoner_of_Chillion

**STYLISTIC PECULIARITIES OF G. BYRON'S
"SONNET ON CHILLION" AND "THE
PRISONER OF CHILLION" AS
LITERARY WORKS.**

*Tsiuri Dekanozishvili
Georgian Technical University*

The "Prisoner of Chillion", alongside with the strong suggestion of poet's verse, addresses the reader's feelings directly; and hence its sincerity of emotions and simplicity of utterance, therefore a need for alliteration and onomatopoeia arises to lull the reader into the tender flow of the poem with its dark, damp atmosphere of the cellar, yearning and grief of a living soul; and slow, but steady establishment of the feeling of oppression, as all the hope dissolves. Rhyme, inner rhyme in-

cluding, serves generally the same aim. The previous verse-tales written by G. Byron were full of passion, tragedy and heroics at times boarding on pathos. Some of this still may be true for the "Sonnet on Chillion".

**СТИЛИСТИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ
ПОЭМ Д. БАЙРОНА «ШИЛЬОНСКИЙ
УЗНИК» И «СОНЕТ К ШИЛЬОНУ»**

*Циури Деканозишвили
Технический Университет Грузии*

Строчками поэмы «Шильонский узник» поэт прибегает к чувствам читателя и отсюда искренность и простота языка, поэтому автор обращается к аллитерации и ономатопею чтобы плавностью формы поэмы выразить атмосферу темноты и сырости подземелье, грусть живой души, с исчезнованием охваченный чувством угнетения. Написанные до «Шильонского Узника» сказки наполнены трагизмом, страстью и геройством. То же самое можно сказать о «Сонете к Шильону», когда поэт говорит о душе человека, о процессах имеющих место в сознании человека и о таких понятиях, как свобода, любовь, надежда. Это лучшим образом выражено в «Сонете к Шильону», однако и поэма включает в себя много таких примеров.

პოლიტიკური იდეოლოგიის არსებობის შემთხვევა

მარია ლოლაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

██

პირველ რიგში, შევეცდებით, განვმარტოთ, თუ რას წარმოადგენს იმპლიკაცია და რატომ ითვლება, რომ იგი წარმოადგენს ლინგვისტური ფენომენის პრაგმატიკული ახსნა-განმარტების პარადიგმატულ მაგალითს.

ტერმინი იმპლიკაცია პირველად პოლ გრა-ისმა შემოიტანა იმ მნიშვნელობის აღსანიშნავად, რომელიც გამომდინარეობს წინადადებისაგან სიტყვისათვის ლოგიკურად დამატებითი მნიშვნელობის მინიჭების გარეშე. ეს ტერმინი აღნიშნავს ურთიერთობას, რომელიც არსებობს ორ განაცხადს შორის, სადაც ერთის სიმართლე, გვთავაზობს მეორეს სიმართლეს. მაგალითად, წინადადება „მერის ჰყავდა ბავშვი და დაქორწინდა“ გვეუბნება, რომ მერის ჰყავდა ბავშვი და მერე დაქორწინდა. თუმცა, იგივე წინადადების სიმართლე ისიც შეიძლება იყოს, რომ მერის ბავშვი შეეძინა დაქორწინების შეძლება. გარდა ამისა, თუ ჩვენ ზემოთქმულს და-ვუმატებთ ასეთ კლასიფიკაციას არა აუცილებლად ასეთი რიგით, მაშინ იკარგება იმპლიკაცია, მიუხედავად იმისა, რომ საწყისი წინადადების მნიშვნელობა არ შეცვლილა (Grice 1975:213).

გრაისის მიხედვით, პრაგმატიკული იმპლიკაცია განსხვავდება სემანტიკური იმპლიკაციისაგან, როგორც განსაზღვრული ლინგვისტური პრობლემის გადაჭრის საშუალება აღქმის თეორიაში. იგი განიხილავს ასეთ მაგალითს:

გრაისი ამტკიცებს, რომ სემანტიკური თვალსაზრისით, წინადადება ეჭვს არ იწვევს, რომ ყუთი წითელია. მაგრამ ენის გამოყენების ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, სიტყვებით „ჩემი აზრით“, ჩნდება ეჭვი. მთქმელის მიერ არჩეული ენა, მსმენელს მიანიშნებს, რომ არსებობს რაღაც ეჭვი იმის შესახებ, მართლა

წითელია თუ არა ეს ყუთი.

ასეთივე მაგალითია შემდეგი წინადადება: ანა ლონდონშია, ან ნიუპორტში;

აქ ადგილი აქვს პრაგმატიკის ზოგადი პრინციპების იმპლიკიტურ ცოდნას, რომელიც გულისხმობს, რომ „ან“ ამ წინადადებაში მიგვანიშნებს მთქმელის განზრახვაზე, გვაუწყოს, რომ მან არ იცის, ან არ სურს დაზუსტოს, სად არის ამ შემთხვევაში ანა. პირდაპირი პასუხისმგებელი თავის არიდებით, მთქმელი არღვევს კონვერსაციული თანამშრომლობის პრინციპს და არ ამბობს ანას ადგილსამყოფელს, იმის გამო, რომ არ იცის, ან არ სურს თქვას.

ზოგადი პრაგმატიკული იმპლიკაცია „გაუქმებადია“. ეს იმას ნიშნავს, რომ მთქმელს შეუძლია, დაამატოს რაიმე ინფორმაცია, რომელიც ნათელს მოჰყენს სიტუაციას. მაშინ, როცა იგივეს ვერ ვიტყვით სემანტიკურ იმპლიკაციაზე. მაგალითად, „მან შეწყვიტა სიცილი“ სიტყვა „შეწყვიტა“ ნიშნავს, რომ ადრე ამას აკეთებდა მაშინ როცა, მეორე წინადადებაში, შეგვიძლია „გავაუქმოთ“ იმპლიკაცია შემდეგი სიტყვების დამატებით: ანა ლონდონშია, ან ნიუპორტში; ვიცი სადაც არის, მაგრამ არ გეტყვი.

იმპლიკაციის მნიშვნელოვანი დამსახურება გახლავთ ის, რომ იგი გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება იგულისხმებოდეს იმაზე მეტი, რაც ფაქტიურად იქნა ნათქვამი. გავიხსენოთ ისეთი ცნობილი მაგალითი, როგორიცაა:

— რომელი საათია?

— მერძევე ქალი უკვე მოვიდა.

ცხადია, სემანტიკური თეორიის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მოკლე დიალოგი ასე შეიძლება იქნეს გაგებული: შეგვიძლია დახედო საათს და მითხრა, რა დროა?

არა, მე არ ვიცი ზუსტი დრო, მაგრამ შემძლია მოგაწოდო ინფორმაცია, რომლის მიხედ-

ვითაც შეგიძლია გამოიანგარიშო დრო - მერძევე ქალი მოვიდა.

როგორც ვხედავთ, იმპლიკაციის ცნება წარმოადგენს ხიდს, რომელიც იდება კომუნიკანტებს შორის.

გარდა ზემოთ ნახსენები ორი მიზეზისა, რატომ ითვლება იმპლიკაცია პრაგმატიკული ახსნა-განმარტების პარადიგმულ მაგალითად, შეგვიძლია მოვიშველიოთ მესამე დამადასტურებელი პრინციპი, რომელიც გვიჩვენებს, როგორ ამარტივებს იმპლიკაცია სემანტიკური აღწერილობის შინაარსსა და სტრუქტურას. მესამე ტიპის ზოგადი იმპლიკაცია, მაქსიმების დარღვევას კი არ გულისხმობს, არამედ, ინტერპრეტაციისათვის დასახმარებლად იყენებს მათ. მაგალითად თუ მე ვიტყვი „პურზე გავედი“, ამით მართალია დაირღვა თანამშრომლობის მაქსიმა, მაგრამ მსმენელისათვის გასაგებია, რომ აქვე ახლოს პურის მაღაზიაა და პურის მოსატანად მივდივარ.

გარდა ამისა, იმპლიკაცია ენის ძირითადი ფუნქციების შესწავლისას აუცილებელი ცნებაა. მაგალითად, ისეთ შორისედებულებს, როგორიცაა „კარგი“, „სხვათაშორის“, „ყოველშემთხვევაში“ და ა.შ., მოითხოვენ მნიშვნელობის დაკონკრეტებას სემანტიკის თეორიაში, როგორც ყველა სხვა დანარჩენი სიტყვები ინგლისურ ენაში. მაგრამ მათი მნიშვნელობის გარკვევისას დავინახავთ, რომ ამისათვის გვჭირდება პრაგმატიკული მექანიზმი, რომელსაც ეწოდება იმპლიკაცია.

პრინციპებს, რომლებიც ქმნიან იმპლიკაციას, აქვთ ძალიან ზოგადი ახსნის ძალა: რადგნიმე პრინციპს შეუძლია, ახსნას ცალსახად ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვები. მაგ. როგორ შეიძლება, რომ ტავტოლოგიამ „ომი ომია“ მნიშვნელობის მატარებელი შინაარსი მიიღოს, როგორ და რა ფუნქციებს ასრულებს მეტაფორა და ა.შ.

გრაისის იმპლიკაციის თეორია არის თეორია, იმის შესახებ, თუ როგორ იყენებს ხალხი ენას. იგი ავითარებს საუბრის (კონვერსაციის)

მაქსიმებს ანუ ზოგად პრინციპებს, რომელიც საფუძვლად უდევს ენის ეფექტურ თანამშრომლობით გამოყენებას და გვთავაზობს თანამშრომლობის პრინციპებს, რომლებიც შემდეგი მაქსიმებისაგან შედგება:

1. თვისობრიობის მაქსიმა

შეიტანე საკუთარი წვლილი საუბარში სიმართლის თქმით

- არ თქვა ის, რაც იცი რომ მცდარია
- არ თქვა ის, რასაც არ აქვს ადექტური სამხილი

2. რაოდენობრიობის მაქსიმა

- იყავი იმდენად ინფორმაციული, რამდენადაც ეს საჭიროა საუბრის კონკრეტულ მომენტში
- არ არის საჭირო იყო უფრო ინფორმაციული, ვიდრე ეს საჭიროა

3. რელევანტობის მაქსიმა

- ითანამშრომლე მართებულად

4. მანერის მაქსიმა

- იყავი ნათელი, ცხადი, გასაგები და მისახვედრი

- თავიდან აიცილე გაურკვევლობა

- თავიდან აიცილე ბუნდოვანება

- იყავი კონკრეტული

- იყავი ზუსტი

როგორც ვხედავთ, ეს მაქსიმები გვიჩვენებენ, თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ საუბარი იყოს მაქსიმალურად ნაყოფიერი, რაციონალური და თანამშრომლობით; ანუ კომუნიკანტები უნდა იყვნენ გულწრფელი, გასაგები და იმდენად ინფორმაციული, რამდენადაც ამას მათგან მოითხოვთ.

თუ ამ კუთხით შევხედავთ კომუნიკაციის ბუნებას, მაშინვე გაგვიჩნდება წინააღმდეგობის გრძნობა. ეს მაქსიმები გვიხატავენ ფილოსოფიურ სამოთხეს, მაგრამ ასე ზომ ფაქტიურად არავინ ლაპარაკობს მუდმივად. მაგრამ გრაისის შეხედულება არის სრულიად განსხვავებული. მას უნდა ეთქვა, რომ ადამიანები ყოველდღიურ საუბარში, რა თქმა უნდა არ იცავენ და არ მისდევენ ამ პრინციპებს, მაგრამ როცა ეს პრინციპები ირღვევა, ეს ხდება განზ-

რახ და მიზანმიმართულად.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ გვინდა ავღნიშნოთ, რომ პრინციპებს, რომელებიც ქმნიან იმპლიკაციას, აქვთ ძალიან ზოგადი ახსნის ძალა, რაც გულისხმობს, რომ რამდენიმე პრინციპს შეუძლია ახსნას ცალსახად ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვები და არაპირდაპირი პასუხის გაცემით შეიძლება შედგეს კომუნიკაცია.

გვინდა რამდენიმე სიტყვით ვახსენოთ გრიფინის რიტორიკული თეორია, სადაც იგი ამტკიცებს, რომ ბავშვებსა და მოზარდებს იმიტომ უჭირთ და არ უყვართ კითხვა, რომ ისინი ვერ ახერხებენ სტრიქონებს შორის დამალული კონვერსაციული იმპლიკაციის ამოკითხვას. ეჭვგარეშეა, გამოცდილ მკითხველსაც შეიძლება დაემართოს იგივე რომელიმე სოფისტიკური ტექსტის კითხვისას (Гრიფინ 1977).

ვფიქრობთ, უნდა დავეთანხმოთ გრაისის მოდელს, რომელიც გულისხმობს იმპლიკაციის არსებობას ორ პიროვნებას შორის საუბრისას. რა თქმა უნდა, გაცილებით რთულია განვიხილოთ სტრუქტურა, სადაც ადგილი აქვს ირიბ მეტყველებას, ან მხატვრული ლიტერატურა, რომელიც გულისხმობს ავტორს, ან მხატრული ტექსტის მოქმედს, მსმენელს, და მკითხველს. რადგანაც მხატრული ტექსტი რთული მექანიზმია, ცხადია, არსებობს ბევრი საშუალება, რითაც შეიძლება გამოიხატოს ნაწარმოების გმირების საუბრის ქვეტექსტი. ეს უკვე ცდება ჩემი სადისერტაციო კვლევის ფარგლებს, ერთს კი ვიტყვით, რომ ჰანჩერის ვარაუდით, მხატვრულ ტექსტებში იმპლიკაცია ძირითადად თვისობრიობის მაქსიმის დარღვევით გამოიხატება. არსებობს მოსაზრება, რომ კონვერსაციული იმპლიკაციის სხვადასხვაობა განაპირობებს ლიტერატურულ ჟანრებს შორის არსებულ განსხვავებას. საერთოდ, კი შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურა სისტემატურად არღვევს გრაისის თანამშრომლობის პრინციპებსა და მის მაქსიმებს. (Huncher 1977: 1095-96).

ლიტერატურა:

1. Blackmore,D. Semantic Constraints on Relevance. Oxford: Basil Blackwell, 1987
2. Brown P. Levinson, S.C. Politeness – Some Universals in Language Usage. Cambridge: Cambridge University Press, 1987.
3. Brown P. Levinson, S.C. Universals in Language Use: Politeness Phenomena. Question and politeness: Strategies In Social Interaction. Cambridge: Cambridge University Press, 1978.
4. Goffman, E. Strategic Interaction. Philadelphia: University of Pennsylvania Press, 1969.

ESSENCE OF CONVERSATIONAL IMPLICATION

M.lolashvili, GTU

What does implication mean? It is relationship between two statements, where one's truth offers another's truth. By means of implication it is possible to imply more than it is actually said. Moreover, implication simplifies content and structure of semantic description. The theory of implication by Grice is the theory about how people use language. He defines conversational maxims or in other words general principles, what is the base of the effective collaborative usage of language.

СУЩНОСТЬ КОНВЕРСАЦИОННОЙ ИМПЛИКАЦИИ

M. Лолашвили, ГТУ

Что такое импликация? Это отношение между утверждениями, где истина одного предполагает истину второго. С помощью импликации можно подразумевать больше, чем это в действительности сказано. Кроме того, импликация упрощает содержание и структуру семантического описания. Теория импликаций по Грайсу является теорией о том, как люди используют язык. Он определяет разговорные максимы или, другими словами общие принципы, что является основой эффективного совместного использования языка.

მოდალური სიტყვების ლემინაციური ასახული თანამედროვე იგდლის პრიზი

**ქვეყან ტაბუცაძე
ფილოლოვის დოქტორი**



ნომინაცია ენობრივი ერთეულების წარმონაქმნია, რომელსაც ახასიათებს ნომინაციური ფუნქცია და ემსახურება რეალობის ფრაგმენტების დასახელებას, გამოყოფას და მათზე შესაბამისი წარმოდგენის შექმნას სიტყვების, ფრაზეოლოგიზმებისა და წინადადებების ფორმებით.

ნომინაციის აქტის ძირითადი კომპონენტია სუბიექტი (ნომინატორი), დასახელებული ობიექტი (ნომინანტი), მსმენელი (და ურთიერთობის პირობები).

დასახელებული ობიექტიდან (ნომინანტიდან) გამომდინარე არჩევენ ნომინაციის ტიპებს. მაგ. ჰავა საუბრობს ნომინაციის ორი ტიპის – ელემენტარულისა და სიტუაციურის – შესახებ. ელემენტარულ ნომინაციაში იგი გულისხმობს სინამდვილის განსაზღვრული ელემენტის: ნივთის, თვისების, პროცესის, ნებისმიერი რეალური ან წარმოდგენილი ობიექტის მიერ დამოკიდებულების გამოხატვას. ნომინანტი აქ შეიძლება იყოს სიტყვა ან შესიტყვება (4,229).

კოლშანსკი განასხვავებს ნომინაციის სამტიპს. სიტყვას და შესიტყვებას იგი უწოდებს მარტივ ნომინაციას, ვინაიდან ისინი წრმოგვიდგენენ იზოლირებულ ნიშან-თვისებებს; რთულ ნომინაციას უწოდებს წინადადებას – სამეტყველო ერთეულების შეკავშირებას, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს. სწორედ ის ქმნის ბაზას კომუნიკაციისთვის. ნომინაციის მესამე სახეობაა ტექსტი – დისკურსი, რომელშიც წარმოდგენილია შეფარდება არა მარტო ობიექტებს, არამედ სიტუაციებს შორისაც (8,80).

როგორც ლექსიკური ერთეულები, მოდალური სიტყვები მარტივი (ელემენტარული) ნომინაციებია. ამავე დროს, მოდალური

სიტყვები ასრულებენ რთული (ფაქტობრივი) ნომინაციის ფუნქციას. როგორც მარეგულირებელ რეპლიკებს, მოდალურ სიტყვებს შეუძლიათ გადმოსცენ მეორე კომუნიკანტის რეაქცია სიტუაციის შინაარსზე, რომელიც გამოიხატება პირველი კომუნიკანტის მიერ წარმოთქმულ მანიცირებელ რეპლიკაში. ამგვარად, მოდალური სიტყვები მონაწილეობენ სამივე ტიპის ნომინაციის – მარტივის, რთულისა და კონტექსტუალურის – რეალიზაციაში. მოდალური სიტყვების ნომინაციური არსი გამოიყენება კომუნიკაციის პროცესში, განსაზღვრული კომუნიკაციური დავალების შესასრულებლად. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ისეთი ასპექტის განხილვა, როგორიცაა ნომინატორის დამოკიდებულება ობიექტთან. ის შეიძლება იყოს: 1) ობიექტური, 2) შეფასებითი და, ასევე: ა) რაციონალური, ბ) ემოციური (2,341). თუ ნომინატორის ობიექტური დამოკიდებულება ნომინანტის მიმართ დევს რელაციური ნომინაციების ფორმირების საფუძველში, რაციონალური შეფასება აყალიბებს დარწმუნების / გაურკვევლობის, გარკვეულობის / შესაძლებლობის და ა.შ. მნიშვნელობებს. ფაქტობრივ ნომინაციებში რაციონალური შეფასება გადმოიცემა მოდალობის ფორმებით (მოდალური სიტყვები, ზმნის კილები). ემოციური შეფასება ვლინდება ოპოზიციაში: ნეიტრალური/ექსპრესიულად შეფერილი ნომინაცია, რომელიც ახასიათებს ნომინატორის დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას ობიექტთან. ფაქტობრივ ნომინაციებში იგი შეიძლება გამოიხატებოდეს სიტყვებით (სამწუხაროდ, საბედნიეროდ) (3,128).

ენათმეცნიერებაში არ არსებობს მოდალური

სიტყვების ერთიანი კლასიფიკაცია. მაგ, შუვალოვი მოდალურ სიტყვებს, ძირითადი მნიშვნელობის მიხედვით, ორ კლასად ყოფს: 1) სინამდვილესთან დამოკიდებულების გამომხატველი მოდალური სიტყვები, და 2) მოდალური სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ გამონათქვამისადმი დამოკიდებულებას (9,45). ი. განვითარება კი, რეალური ფაქტების მიმართ გამოხატული სუბიექტური დამოკიდებულებიდან გამომდინარე, გამოყოფს: 1) მტკიცებულების გამომხატველ სიტყვებს, 2) ვარაუდის გამომხატველ სიტყვებს, და 3) სიტყვებს, რომლებიც გამოხატავენ გამონათქვამის სუბიექტურ შეფასებას მისი სასურველობის ან არასასურველობის თვალსაზრისით (6,119). მოსაუბრის მიერ გამოხატული გამონათქვამის შეფასების საფუძველზე ზერნოვი გამოყოფს მოდალური სიტყვების ორ სემანტიკურ სახეობას: სიტყვებს, რომლებიც გამოხატავენ მიწოდებული ინფორმაციის შეფასებას, და სიტყვებს, რომლებიც გამოხატავენ მიწოდებული ინფორმაციის შეფასებას, როგორც შესაძლებელის, სავარაუდოსი ან ირეალურისა (5,319).

ნომინატორის ობიექტისადმი დამოკიდებულების მიხედვით მოდალური სიტყვები შეიძლება გავყოთ ორ სემანტიკურ ტიპად: 1) მოდალური სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ რაციონალურ შეფასებას, და 2) მოდალური სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ ემოციურ შეფასებას. თითოეული ეს ტიპი შეიცავს ქვეტიპებს.

I. პირველი სემანტიკური ტიპი შეიცავს მოდალურ სიტყვებს, რომლებიც გამოხატავენ რაციონალურ შეფასებას. იმ მოდალურ სიტყვებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ამ სემანტიკურ ტიპს, ახასიათებს მათი ლექსიკური მნიშვნელობების სტრუქტურებში საერთო სემის, „რაციონალური შეფასების“, არსებობა.

პირველი ტიპის მოდალური სიტყვები სტრუქტურის მიხედვით ოთხ სემანტიკურ ქვეტიპად იყოფა:

1. მოდალური სიტყვები დარწმუნების მნიშვნელობით, რომელთაც აერთიანებს ლექსიკური

მნიშვნელობის სტრუქტურაში კერძო ინვარიანტული სემის „„დარწმუნების“ – არსებობა. ამ ქვეტიპს მიეკუთვნებიან მოდალური სიტყვები „certainly“, „sure“, „naturally“, „definitely“, „doubtless“, „undoubtedly“ და მოდალური ფრაზა „of course“.

2. მეორე სემანტიკური ქვეტიპი წარმოდგენილია მოდალური სიტყვებით, რომლებსაც „უდავოს“ მნიშვნელობა აქვთ. ამ ქვეჯგუფში შედიან მოდალური სიტყვები, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობის სტრუქტურაში კერძო ინვარიანტული სემა „თავისთავად“ შედის : „really“, „actually“, „indeed“, „obviously“, „evidently“, „absolutely“. მათვის მიძღვნილ სტატიებში ჩვენ აღმოვაჩინეთ შემდეგი დეფინიციები:

3. მესამე სემანტიკური ქვეტიპი შეიცავს მოდალურ სიტყვებს „შესაძლებლობის“ მნიშვნელობით. მას მიეკუთვნებიან მოდალური სიტყვები, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობის სტრუქტურაში არის კერძო ინვარიანტული სემა „შესაძლებელობა“: „probably“, „apparently“, „likely“.

4. მეორე სემანტიკური ქვეტიპი შეიცავს მოდალურ სიტყვებს „ეჭვის“ მნიშვნელობით. ამ ქვეჯგუფის შემადგენლობაში შედიან მოდალური სიტყვები, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობის სტრუქტურაში შედის კერძო ინვარიანტული სემა „დაეჭვება“: „maybe“, „perhaps“, „possibly“, „unlikely“(7,348).

II. მეორე სემანტიკური ტიპი შეიცავს მოდალურ სიტყვებს, რომლებიც გამოხატავენ ნომინანტის ემოციურ შეფასებას მოსაუბრის მხრიდან. საერთო სემა, რომელიც ახასიათებს ამ ტიპის მოდალური სიტყვების მნიშვნელობების სტრუქტურებს, არის „ემოციური შეფასება“. ემოციური შეფასებიდან გამომდინარე, მოდალური სიტყვები იყოფა ორ სემანტიკურ ქვეტიპად.

1. პირველი სემანტიკური ქვეტიპი წარმოდგენილია მოდალური სიტყვებით, რომლებიც გამოხატავენ ნომინანტორის დადებით გან-

წყობას ობიექტის მიმართ. მოდალური სიტყვები ერთიანდებიან ამ სემანტიკურ ქვეტიპში კერძო ინვარიანტული სემის „დაღებითი შეფასების“ საფუძველზე. ამას მიეკუთვნებიან მოდალური სიტყვები: „fortunately“, „happily“, „luckily“.

2. მეორე სემანტიკური ქვეტიპი წარმოდგენილია სიტყვებით „unfortunately“, „unhappily“, „unluckily“, რომლებიც გამოხატავენ ნომინატორის უარყოფით დამოკიდებულებას ობიექტის მიმართ. მათი ლექსიკური მნიშვნელობის სტრუქტურაში შედის სემა „უარყოფითი შეფასება“.

მეორე სემანტიკური ტიპის მოდალური სი-
ტყვების შესახებ ლინგვისტებს შორის აზრთა
სხვადასხვაობაა. მათი, როგორც სიტყვების,
რომლებიც გადმოსცემენ გამონათქვამის ში-
ნაარსის სუბიექტურ შეფასებას სასურველო-
ბის ან არასასურველობის თვალსაზრისით,
განხილვისას ენათმეცნიერები მიუთითებენ
მთელ რიგ თავისებურებაზე, რომლებიც გა-
ნასხვავებს მათ მოდალური სიტყვებისგან. სე-
მანტიკურ ჭრილში ისინი გამოხატავენ მოსაუ-
ბრის ემოციურ-წებაყოფლობით (დაძალებით,
ბრძანებით) დამოკიდებულებას იმის მიმართ,
რაც უნდა ითქვას. მორფოლოგიური თვალსაზ-
რისით, ამ სიტყვებს შეუძლია ანტონიმების შე-
ქმნა „ս-“ პრეფიქსის დამატებით. სინტაქსური
თვალსაზრისით, ისინი ნაკლებად დამოუკიდე-
ბელნი არიან, ვიდრე მოდალური სიტყვები,
რაღაც თითქმის ყოველთვის შედიან წინა-
დადების შემადგენლობაში და მათი გამოყენება
სიტყვა-წინადადებების როლში ან ნაკლებად
დამახასიათებელია, ან საერთოდ შეუძლებე-
ლია. ამის საფუძველზე ლინგვისტები თვლიან,
რომ „(un)luckily“-ის ტიპის სიტყვები უფრო
ახლოს არიან ზმიზედებთან, ვიდრე მოდალურ
სიტყვებთან. სხვა ავტორები განიხილავნ ამ
სიტყვებს როგორც გარდამავალს, შუალედურს
ზმიზედებსა და მოდალურ სიტყვებს შორის.
სიტყვების „luckily“ – „unluckily“, „fortunate-
ly“ – „unfortunately“, „happily“ – „unhappily“
სტრუქტურებში სემის „ემოციური შეფასება“

არანაირად არ უშლის ხელს მათ მიკუთვნებას მოდალური სიტყვების კატეგორიისათვის. ამას ასაბუთებს ტერმინი „შეფასება“, როგორც რა-ღაცის შესახებ აზრის გამოხატვა.

საბოლოოდ, სიტყვიერი დეფინიციების განხილვამ და სემანტიკურმა ანალიზმა საშუალება მოგვცა გამოგვევლია მოდალური სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობების სტრუქტურებში სახეობრივი სემები, რომლებიც საერთოა ყველა სიტყვისთვის, სემანტიკურ ტიპს ქმნიან და თავადაც ამ ტიპს მიკუთვნებიან. პირველი ტიპის სემანტიკური სტრუქტურის მოდალური სიტყვებისთვის საერთო არის სემა „რაციონალური შეფასება“, მეორე ტიპის სემანტიკური სტრუქტურის მოდალური სიტყვებისთვის კი საერთოა სემა „ემოციური შეფასება“. მოდალური სიტყვები მარტივი (ელემენტალური) ნომინაციებია, რომლებიც მიმართულნი არიან წინადაღებისკენ მთლიანობაში და ასრულებენ როლი (საგნობრივი) ნომინაციის ფუნქციას. მოდალურ სიტყვებს შეუძლიათ დიალოგის შემადგენელი საპასუხო რეპლიკების სახით გადმოსცენ მეორე კომუნიკაციის რეაქცია სიტუაციის შინაარსზე, რომელიც ჩამოყალიბებულია პირველი კომუნიკაციის მაინიცირებელ (წამომწყებ) რეპლიკაში. შესაბამისად, მოდალური სიტყვები მონაწილეობენ ნომინაციის სამი ტიპის _ მარტივის, როლისა და კონტექსტუალურის _ რეალიზაციაში.

ଲୋକପାତ୍ରଙ୍କା:

1. გოქსაძე ლ., ბოლქვაძე ს. - მოდალობის კატეგორიის სემანტიკისა და სინტაქსის თაობაზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, #2, 1988.
 2. Арутюнова Н.Д. Типы языковых значений. Оценка. Событие. Факт. • М.: Наука, 1988. - 341 с.

3. Вейхман Г.А. Новое в английской грамматике. - М.: Высшая школа, 1990. - 128 с.
4. Гак В.Г. К типологии лингвистических номинаций // Языковая номинация. (Общие вопросы). / Отв. ред. Б.А. Серебренников, А.А. Уфимцева. - М.: Наука, 1977. С. 230 – 29
5. Зернов Б.Е. Модальные слова // Теоретическая грамматика английского языка / Отв. ред. В.В. Бурлакова. - Л.: Изд-во Ленинградск. ун-та, 1983. - С. 86 – 91. М.: Высшая школа, 1976. - 319 с.
6. Иванова Т.П. К вопросу о pragматическом аспекте изучения газетного текста: Сб. научн. трудов Моск. пед. ин-та им. М. Тореза, Вып. 178, 1981. - С. 117 – 126.
7. Ильшт Б.А. Современный английский язык. Теоретический курс. - 2-е изд., испр. и доп. - М.: Изд-во лит-ры на иностр. яз., 1948. - 348 с.
8. Колшанский Г.В. Некоторые вопросы семантики языка в гносеологическом аспекте // Принципы и методы семантических исследований / Отв. ред. В.Н. Телия. - М.: Наука, 1976, 5-81.
9. Шувалов Б.Б. Модальность в английском языке: . - Л., 1956. -45 с

whole sentence and performing the function of objective nomination. Modal words can express a reaction of the second communicant on the content of the situation in the form of response remarks formulated in initiative (initial) remark of the first communicant. Accordingly, modal words participate in realization of three types of nomination – simple, compound and contextual. We have determined the specificity of modal words as nomination units as well as semantic types of modal words. We find it more appropriate to perceive modality as a functional-semantic category, which expresses different types of attitude of the expression to the reality. Evaluation category, as semantic conception, which implies the evaluative aspects of language units, is the ground of modality. Separation of objective and subjective modality separates means of expression of each of them. Objective modality is expressed by means of the category of verb, mood and modal verbs.

The analysis of definitions given in linguistic vocabularies of modal words let us find out that that common meaning for all modal words is expression of evaluation of the expression by the subject (speaker, author). This is the first stage of the study of semantics of modal words. The second stage presents semantic analysis which let us to separate two types of modal words. Modal words have been belonged to one or another type, according to their common scheme existing in structures of their lexical meaning - “rational evaluation” and “emotional evaluation”. The first semantic type includes four subtypes, separated by us from structures of modal words meaning according to private invariant schemes of “persuasion,” “need,” “possibility,” “doubt”. The second semantic type is divided in two subtypes from structures of modal words meaning according to private invariant schemes of “positive evaluation,” “negative evaluation”.

MODAL WORDS NOMINATIVE ASPECT IN MODERN ENGLISH

**Ketevan Tabutsadze
Georgian Technical University**

Discussing modal words in the aspect of linguistic nomination let us to disclose their substantive characteristics as lexical units, modal words as simple nominations directing to the

НОМИНАТИВНЫЙ АСПЕКТ МОДАЛЬНЫХ СЛОВ В СОВРЕМЕННОМ АНГЛИЙСКОМ ЯЗЫКЕ

*Кетеван Табуцадзе,
Грузинский технический университет*

Рассмотрение модальных слов в аспекте теории языковой номинации дало возможность выявить их сущностные характеристики. Как лексические единицы модальные слова представляют собой простые (элементные) номинации. Относясь к предложению в целом, они выполняют функцию сложной (событийной) номинации. Употребляясь в качестве реагирующих реплик в составе диалогического единства, модальные слова способны передавать реакцию второго коммуниканта на содержание ситуации, обозначаемой инициирующей репликой и произносимой первым коммуникантом. Следовательно, модальные слова участвуют в реализации трех типов

номинации: простой, сложной и через текст. Это составило первый этап в исследовании семантики модальных слов. Второй этап был представлен семным анализом, в результате которого были выведены два семантических типа модальных слов. Основанием для отнесения модальных слов к тому или иному семантическому типу служит наличие в структурах лексического значения модальных слов общих сем “рationalная оценка” и “эмоциональная оценка”. В составе первого семантического типа различаются четыре подтипа, выделяемых по принципу присутствия в структурах лексического значения модальных слов частных инвариантных сем “уверенность”, “очевидность”, вероятность, сомнение. Второй семантический тип разделяется на два подтипа в зависимости от наличия в структурах лексического значения модальных слов частных инвариантных сем “положительная оценка” и “отрицательная” оценка.

აპაპი და ცენტურა (ლირიბა 1856-1862 წლ.)

მანანა ქაჯაია,
ასოცირებული პროფესორი, სტუ

XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა „თერგდალეულებად“ წოდებული თაობა, რომელსაც გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებში უკვე ევროპული ტიპის განათლება პქონდა მიღებული.

როგორც ცნობილია XIX საუკუნის 60-იანელთა შორის თავისი ნიჭითა და განსაკუთრებული შემოქმედებითი ენერგიით გამოირჩეოდა დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი. მისი ლექსები, პოემები, პროზაული ნაწარმოებები, პუბლიცისტიკა — საერთოდ მთელი შემოქმედება განსაკუთრებული მოქალაქეობრივი გამბედაობით იყო აღბეჭდილი.

რუსეთის იმპერია, განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა დამორჩილებულ ხალხის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის ჩახშობას. როგორც ვიცით, რუსეთის იმპერიაში საზოგადოების მნიშვნელოვანი გააქტიურება ყირიმის ომში 1853-1856 წწ. რუსეთის დამარცხების შემდეგ დაიწყო. 1861 წელს რუსეთის იმპერიის ცენტრალურ ნაწილში გაუქმდა ბატონყმობა, რამაც კიდევ უფრო გააქტიურა საზოგადოებრივი ცხოვრება. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ რუსი მწერლები: ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ნეკრასოვი, მართლაც ისინი დიდი შემართებით იბრძოდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ — დემოკრატიული იდეების გასავრცელებლად და სამოქალაქო საზოგადოების შესაქმნელად.

XIX საუკუნის 60-იან წლებში, განსაკუთრებით 1864 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ქართველი საზოგადოებრიობა ძალიან გამოცოცხლდა, გაიზარდა მისწრაფება ნაციონალური სახელმწიფოს აღდგენისაკენ. ცხადია,

რომ რუსეთის იმპერიის ბიუროკრატიული აპარატი ცდილობდა დაეცვა მეფის ხელისუფლება და არ დაეშვა იმპერიის დაშლა.

იმპერიის შინაგანი სიმტკიცის დაცვის ერთ-ერთ უმთავრეს იარაღს ცენტურა წარმოადგენდა. ბუნებრივია, რომ ცენტურა განსაკუთრებით მკაცრად ექცეოდა არარუსი მწერლების ნაწარმოებებს.

ცენტურა განსაკუთრებული ინტენსივობით მუშაობდა კავკასიაში, რადგან ზოგადად კავკასიელები და კერძოდ ქართველები იმთავითვე არაკეთილსამედოებად ითვლებოდნენ.

როგორც ცნობილია, ცენტურა — ოფიციალური ხელისუფლების (სასულიერო, საერო) კონტროლი ხელნაწერ და ნაბეჭდ პროდუქციაზე, სხვადასხვა სახის უზუსტობების, ნაწარმოებების შინაარსში არსასურველი იდეების აღმოფხვრისა და აკრძალვის მიზნით ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში არსებობდა. ეპროპაში ცენტურა განსაკუთრებით გააქტიურდა. ნაბეჭდი გამოცემების მომრავლებას შემდეგ XVII-XVIII სს. მართალია, დიდმა ფრანგულმა რევოლუციამ 1789 წ. ცენტურა გაუქმა, მაგრამ უკვე ნაპოლეონ I-ის მმართველობის ხანაში იგი ისევ ამოქმედდა.

1721 წლიდან, ანუ რუსეთის იმპერიად გამოცხადების შემდეგ, სასულიერო ცენტურას იმპერიაში წმინდა სინოდი ანხორციელებდა.

XIX საუკუნეში რუსეთში ცენტურის განხორციელების წესს სპეციალური წესდებები განსაზღვრავდა: I წესდება მიიღეს 1804 წ., II — 1826 წ. ე.წ. “თუჯის წესდება“, III — 1828 წ.

XIX საუკუნის 50-იან წლებში არსებული ერთადერთი ქართული უურნალის „ცისკარი“ რედაქტორი, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე — ივანე კერესელიძე, ცხადია, ძალიან

კარგად ერკვეოდა საცენტურო კომიტეტის მოთხოვნებში და ყოველთვის ცდილობდა უურნალისთვის შეძლების დაგვარად აერიდებინა საცენტურო კომიტეტთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის უსიამოვნებანი.

როგორც ირკვევა, ივანე კერესელიძე დიდ წინდახედულებას იჩენდა ახალგაზრდა ავტორის — აკაკი წერეთლის ნაწარმოებების მიმართ ცენტურის ყურადღების მოდუნების მიზნით, ის თავისებურ რედაქტირებას უკეთებდა თხზულებას, რასაც აკაკი ცენტურული საქმიანობის გარკვეულ სახელ თვლიდა.

ძალიან საყურადღებო ცნობები შემოგვინახა აკაკი წერეთლის ერთ-ერთმა წერილმა, რომელიც 1860 წლის 25 აპრილით არის დათარიღებული. კერძოდ, პეტერბურგიდან გამოგზავნილ ამ წერილში პოეტი დედას წერს: „...მე და კერესელიძე როგორდაც ვერ მოვეწყვეთ. ლექსები წამიხდინა, თავისებურად გადამიკეთა და შარშან სექტემბრის აქეთ აღარაფერს აღარ ვგზავნი, ესენი რაც ეხლა იძეჭდება, სულ შარშანდელებია... ორი ლექსი კი გამომტყუა ეხლაც, ძალიან საუცხოვო იყო „მოხუცის ტირილი“ და მეორე „შამილის სიზმარი“ არ ვიცი რათ არ დაბეჭდა, მგონია შეშინდა, ცოტა თავისუფლათ იყო დაწერილი. ამ ეხლანდელ ამაო ძებნის არ იყოს აპრილში დომ დაიბეჭდა“¹.

აკაკის პირველი ლექსი, რომელსაც ცენტორის მხრიდან მოსალოდნელი შეფერხების აცილების მიზნით შეეხო „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე იყო ლექსი „ნავი“, რომელიც უურნალის 1859 წლის #3-ში დაიბეჭდა, კერძოდ „ცისკარში“ არ დაიბეჭდა ლექსის ბოლო სტროფი, რამაც მკვეთრად შეაბილა ლექსის სიმბაფრე.

ლექსი „ნავი“ გადმოგვცემს შავ ზღვაში მცურავი, დასაღუპად განწირული ნავის ამბავს, რომელსაც დიდი ხომალდი გადაარჩენს, მისი ბოლო სტროფი კი ასე ჟღერს:

¹ აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტ. XV, თბილისი, 1963, გვ. 20.

„მას შემდეგ ვითომ აქვს მსვიდობა ნავს და მავნებელიც აღარავინ ჰყავს... გაძული არის გარეშე მტერი, მოშორდა იმ ნავს აღარსადა ჰყავს, მაგრამ რაი რომ თვით ის ხვამალდი მას თავზე აყრის მტვერსა და ნაგავს“².

ჩვენი აზრით, სავსებით ნათელია, რომ აღნიშნული სტროფი, მართლაც დააბრკოლებდა ლექსის დაბეჭდვას, მიუხედავად ალეგორიული ხასიათისა, მისი ქვეტექსტი საკმაოდ იოლად იკითხება.

„ცისკრის“ 1959 წ. #10-ში დაიბეჭდა აკაკის მრავალმხრივ საყურადღებო ლექსი „ქართლის სალამი“. ამ ლექსის რამდენადმე სენტიმენტალური სულისკვეთების მიუხედავად, მომავლის მართლაც მოულოდნელი ხედვაა აღბეჭდილი. ლექსის ლირიკულ გმირს ეჭვი უზნდება, რომ იგი ვეღარ იხილავს სამშობლოს დიდებას, მაგრამ უიმედობას ებრძვის და საკუთარ თავს ამხნევებს. ახალგაზრდა პოეტი თითოს შორეულ მომავალს ხედავს:

„აღსდეგ სამშობლოვ ბევრი გეძინა
რამ დაგაღონა? რამ შეგაშინა?
ცეცხლის გემები რკინისა გზები
და ტელეგრაფი თამამად მართე!
ხარბის თვალითა მოიტაცებდე
და ავრცელებდე მუნ განათლებას“³.

ამ ლექსის, როგორც ირკვევა ივანე კერესელიძემ ბოლოს ერთი სტროფი დაამატა:

„ჰედავ რუსეთსა, რუსეთს შენს მხსნელსა?
ვით ჰერუნავს შენთვის, გიმართავს ხელსა?
ეცადე ნაცვალს, და მოთმინებას
შენ ნუ აკმარებ მას ცარიელსა“⁴.

როგორც ვხედავთ, აკაკის პირველ დაბეჭდილ ლექსებს 1859 წელს „ცისკრის“ რედაქტორი ცენტურის სავარაუდო მოთხოვნების წინასწარ გათვალისწინებით საკმაოდ მკაცრად მოექცა. ერთს „ნავს“ არასასურველი

² აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტ. I, თბილისი, 1950, გვ. 65.

³ იქვე, გვ. 69-70.

⁴ აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტ. I, თბილისი, 1950, გვ. 70.

სტროფი მოაცილა, ხოლო მეორეს — „ქართლის სალამს“ თავად დაურთო ცენზორისთვის მისაღები სტროფი. ორივე შემთხვევაში ივანე კერესელიძემ სასურველ შედეგს მიაღწია — აღნიშნული ლექსები „ცისკარში“ დაიბეჭდა. მიუხედავად იმისა, რომ ლექსები დაიბეჭდა ახალგაზრდა პოეტი ნამდვილად არ იყო გამჭრიაზი რედაქტორის ქმედებით კმაყოფილი. როგორც აკაკის დედისადმი მიწერილ, ჩვენს მიერ ზემოთ დამოწმებული წერილიდან ჩანს, მას ივანე კერესელიძის მოქმედება „ლექსების წახდენად“ მიუწევია.

აკაკი ამავე წერილში თავის სამ ლექსის ეხება, რომელთაგან ორის მიმართ ცენზურა განსაკუთრებულ ყურადღებას ნამდვილად გამოიჩნდა, კერძოდ, აკაკი დედას წერს: „ორი ლექსი კი გამომტყუა ეხლაც (ივანე კერესელიძემ — მ.ქ.) ძალიან საუცხოვო იყო „მოხუცებულის ტირილი“ (შემდეგში ეს ლექსი დაიბეჭდა „ცისკარში“ 1860 წ. #5 სათაურით „მოხუცებულის მოგონება“ — მ.ქ.) და მეორე „შამილის „სიზმარი“ არ ვიცი რათ არ დაიბეჭდა, მგონია შეშინდა, ცოტა თავისუფლად იყო დაწერილი. ამ ეხლანდელი „ამაო ძებნის“ არ იყოს აპრილშიდ რომ დაიბეჭდა“¹.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დედისთვის მიწერილი აკაკის ეს წერილი 1860 წლის 25 აპრილით არის დათარიღებული. ამდენად აკაკისთვის მაშინ უკვე ცნობილი იყო მისი სამი ლექსის ბედი: „ნავი“ („ცისკარი“, 1859, #9). „ქართლის სალამი“ („ცისკარი“, 1859, #10) და „ამაო ძებნა“ („ცისკარი“, 1860, #4).

აკაკი, აღნიშნულ წერილში, როგორც ვხედავთ, გამოთქვამს ეჭვს, რომ ლექსი „შამილის სიზმარი“ ივანე კერესელიძემ იმიტომ არ დაბეჭდა, რომ იგი „ცოტა თავისუფლად იყო დაწერილი ამ ეხლანდელი „ამაო ძებნის“ არ იყოს აპრილშიდ რომ დაიბეჭდა“².

გამოდის, რომ აკაკის „ამაო ძებნაც“ „თავ-

ისუფლათ დაწერილ“ ლექსად მიაჩნდა.

როგორც აღვნიშნეთ, „ნავი“ ივანე კერესელიძემ ბოლო სტროფის გარეშე დაბეჭდა, ხოლო „ქართლის სალამის“ ერთი სტროფი დაამატა, რაც შეეხება „ამაო ძებნას“, როგორც ირკვევა, ჩვენამდე აკაკისეულ ავტოგრაფს არ მოუღწევია! რადგან ავტორის აზრით, ეს ლექსი „თავისუფლათ დაწერილი“ იყო. ჩვენი აზრით, უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ აკაკისეულ ავტოგრაფში, რომელიც შეიძლება ოდესებ აღმოჩნდეს კიდეც, გაცილებით უფრო მკვეთრად და ამდენად ცენზურისთვის მიუღებელი პოეტური სახეები და შეფასებები მოიპოვებოდა, ამიტომ რედაქტორმა ისინი ჩვეულებრივი სიფრთხილით შეცვალა და ამოიღო.

„ამაო ძებნის“ ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობი ვარიანტის არსებობის თაობაზე, ჩვენ მიერ გამოთქმული ვარაუდი ალბათ უფრო გამყარდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ აკაკი ამ ლექსის „შამილის სიზმართან“ მიმართებაში მოიხსენიებს. ცნობილია, აკაკის ლექსი „ამაო ძებნა“ მკვლევართა მიერ ილია ჭავჭავაძის პოემის „აჩრდილის“ V თავის გამოძახილად არის მიჩნეული³.

ფაქტობრივად ილიას „აჩრდილის“ V თავი გამოქვეყნდა „ცისკრის“ 1859 წლის #10-ში სათაურით „არაგვი“. ამავე ნომერში დაიბეჭდა აკაკის ლექსი „ქართლის სალამი“. ამდენად, ჩვენი აზრით, „აჩრდილის“ ამ ნაწყვეტს აკაკი დაბეჭდვისთანავე გაეცნობოდა და სულაც არ არის აუცილებელი ორი ახალგაზრდა ავტორის უშუალო შეხვედრა ვიგულისხმოთ, თუმცა ასეთი ვარიანტის არსებობაც ნამდვილად მისაღებია.

1828 წელს მიღებული ცენზურის განხორციელების წესდების თანახმად იმპერიაში ნებისმიერი ახალი პერიოდული გამოცემის გამოსაშვებად საჭირო იყო თავად იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ნებართვა.

1848-1855 წწ. რუსეთის იმპერიის ისტო-

¹ აკაკი წერეთული, თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტ. XV, თბილისი, 1963, გვ. 20.

² იქვე, გვ. 20.

³ აკაკი წერეთული, თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტ. I, თბილისი, 1950, გვ. 406-408.

რიაში შევიდა როგორც ცენტურის ტერორის ეპოქა. 1848 წლის საფრანგეთის რევოლუციამ, რომელმაც ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში პკოვა გამოძახილი, დააშინა იმპერატორი ნიკოლოზ I; მან საიდუმლო კომიტეტი დაარსა, უკვე გამოსული ნაბეჭდი პროდუქციის განხილვის მიზნით.

1856 წელს ყირიმის ოში დამარცხების შემდეგ რუსეთის იმპერიაში ცენტურა საკმაოდ შერბილდა.

1848 წელს დაარსდა კავკასიის საცენტურო კომიტეტი, რომელიც კავკასიის სასწავლო ოლქის შემადგენლობაში შედიოდა. 1867 წელს საცენტურო კომიტეტი კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს დაქვემდებარებაში შევიდა (БСЭТ 28Москва, 1978 გ. ფ 489, 490; ქ.ს.ე., ტ.11, თბილისი, 1987, გვ. 194).

რუსეთის იმპერიაში ცენტურის არსებობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, ჩვენი აზრით, აუცილებელია იმის გასაგებად, რომ სწორედ გავიაზროთ და ავხსნათ ქართული პერიოდული გამოცემების რედაქტორების განსაკუთრებული სიფრთხილე. ამასთან, ცენტურის ისტორიის გადმოცემით, ჩვენ კიდევ ერთხელ გავუსვით ხაზი იმ ისტორიულად შექმნილ ობიექტურ გარემოებას, რომელიც ხელს უწყობდა თვით რედაქტორების მიერ ცენტურისაგან მოსალოდნელი ნაწარმოებების დასახირებების აცილების მიზნით მათი დაბეჭდვისას გარკვეული ცვლილებების (ხანდახან ავტორთან შეუთანხმებლად — მ.ქ.) განხორციელების ერთგვარი ტრადიციის დამკვიდრებას.

ამდენად, ოფიციალური ცენტურის მიერ ნაწარმოების დასახირების ან საერთოდ აკრძალვის აცილების მიზნით, თვით პერიოდული გამოცემის რედაქტორის მიერ განხორციელებული სხვადასხვა ქმედებები, ნაწარმოების შეკვეცა ან გავრცობა სათაურის ან ტექსტის, ან კონკრეტული სიტყვების შეცვლა, ცენტურის ერთ-ერთ სახედ უნდა განვიხილოთ — მითუმეტეს, რომ თავად აკაკი წერეთლის ნაწარმოებები, როგორც სათანადო მასალები

ცხადყოფენ, იმთავითვე განიცდიდა, ჩვენ მიერ ზემოთმითითებული ცენტურის ერთ-ერთ სახეს — პერიოდული გამოცემის რედაქტორის მიერ განხორციელებულ ცენტურას. ავტორებიც რედაქტორის ასეთ მოქმედებას ცენტურის მოქმედებასთან აიგივებდნენ.

აკაკის ლექსი „შამილის სიზმარი“ პირველად მხოლოდ 1940 წელს გამოქვეყნდა¹, ჩვენი აზრით, იგი მაინც ძალიან საყურადღებოა რუსეთის იმპერიაში საცენტურო პირობების არა მარტო რედაქტორების, არამედ ზოგადად საზოგადოების მიერ გათვალისწინების კუთხით. სწორედ აქედან გამომდინარე, ამ ლექსის შინაარსთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს უფრო დაწვრილებით განვიხილავთ.

როგორც ვიცით, აკაკის დედისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც იგი „შამილის სიზმარის“ მოიხსენიებს, როგორც „თავისუფლათ დაწერილ“ ლექსს, 1860 წლის 25 აპრილით არის დათარიღებული. ამასთან ცნობილია, რომ სახელგანთქმული იმამი² შამილი (1797-1871) კავკასიის მთის ხალხების დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მეთაური 1834-1859 წწ., რომელმაც 1841 წელს მიურიდებზე³ დაყრდნობით შექმნა იმამატი — სამხედრო თეოკრატიული სახელმწიფო, 1859 წლის 25 აგვისტოს აული ღუნიბის აღების შემდეგ, 26 აგვისტოს ტყველ ჩავარდა. აული ღუნიბის აღებას ხელმძღვანელობდა გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიური არმიის მხედართმთავარი, კავკასიის მეფისნაცვალი 1856-1862 წწ. 1862 წლიდან სახელმწიფო საბჭოს წევრი. რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი სახელოვანი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე თავადი ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი (1815-1879)⁴.

როგორც ცნობილია დატყვევებული შამი-

¹ აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული შვიდტომად, ტ. I, თბილისი, 1940, გვ. 13-15.

² იმამი — არაბულად — მოწინავე, პირველი, მუსულმანთა სულიერი ლიდერი.

³ მიურიდი — არაბულად — მოსურნე, მოწადინე, გადატანით მნიშვნელობით მოსწავლე.

⁴ ქ.ს.ე., ტ. II, თბილისი, 1977, გვ. 209.

ლი კალუგაში გადაასახლეს. 1870 წელს მას ნება დართეს მუსულმანთა წმინდა ქალაქში მე-დინაში გამგზავრებულიყო. იქ იგი 1871 წელს გარდაიცვალა¹. ამდენად ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აკაკის ლექსი „შამილის სიზმარი“ ღუნიბის აღების და შამი-ლის დატყვევების შემდეგ, ანუ 1859 წლის 25-26 აგვისტოს შემდეგ არის დაწერილი.

საყურადღებოა „შამილის სიზმართან“ დაკავშირებული ერთი მოგონება, რომელიც აკაკის წერილში „ორი შეხვედრა“ არის გად-მოცემული. აკაკის მოგონების თანახმად, ივანე კერესელიძეს მისთვის უთქვამს: „შენი უკა-ნასკნელი ლექსი „შამილის სიზმარი“ ძალიან მომწონსო, ეფრემ მღვდელსაც მოეწონა ცენ-ზორსაო (იგულისხმება ეფრემ ალექსი-მესხიშ-ვილი — მ.ქ.) მაგრამ მაინც ვერ დავბეჭდავო“². ამასთან აკაკის მოგონებაში ისიც არის აღნიშ-ნული, რომ ივანე კერესელიძის ნათქვამის მიხედვით „შამილის სიზმარი“ გრიგოლ ორ-ბელიანს ძალიან გაბეჭულად დაწერილად მი-უჩნევია. ეს ლექსი იმავე მოგონების თანახმად, ლავრენტი არდაზიანსაც მოსწონებია³.

როგორც ვხედავთ „შამილის სიზმარი“ მოსწონებიათ ივანე კერესელიძეს — უურნალ „ცისკრის“ რედაქტორს, ეფრემ ალექსი-მესხ-იშვილს — ცენზორს, გრიგოლ ორბელიანს — პოეტს და ამავე დროს შამილის ერთ-ერთ დამამარცხებელს, გამოჩენილ სამხედრო მოღვაწეს და ცნობილ ქართველ მწერალს ლავრენტი არდაზიანს. აქედან გამომდინარე, მართალია, „შამილის სიზმარი“ თავისი მხ-ატვრული ღირსებებით ბევრად ჩამოუვარდება აკაკის საყოველთაოდ ცნობილ შედეგრებს, მაგრამ იგი იმდენად უშუალოდ გადმოგვცემს დამარცხებული იმამის სიზმარეულ ზილვას, რომ შეიძლება აკაკის ერთ-ერთ გამორჩეულ ლექსიდ მივიჩნიოთ.

რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ უშიშარი

მებრძოლის, შამილის სახე ახალგაზრდა პო-ეტს ლექსში დიდი ექსპრესიით აქვს დახატ-ული. აკაკი შამილის ქმედებას, ბრძოლის წყურვილს კავკასიის მოწოდებად აღიქვამს და მკითხველს შამილის ბრძოლას კავკასიის ბრ-ძოლად გააზრებას სთავაზობს:

კავკასის სურს სისხლი, ომი ფიცხელი
მისთვის საღვთო ხმას ტყვილად გაღობენ
მხეცთა ყვირილი, ფრინველთ ჩხავილი,
ქართა ქრიალი, ზვავთა გრიალი
ამას ნიშნავენ „გვწყურია სისხლი“.

და თერგისცა ეს არს ღრიალი.
მათის სურვილის აღმსრულებელი
მწუხარის სახით დაფიქრებული,
ვეღს სდგას მაჰმადის მადიდებელი
და მურადი ჰყავს მას შეკრებილნი⁴.

აქედან გამომდინარე, ახალგაზრდა პოეტი კარგად ერკვევა შამილთან დაკავშირებულ რეალურ ვითარებაში, უპირველეს ყოვლისა, აკაკის შამილი თავისუფლებისმოყვარე ხალ-ხის მოთხოვის აღმასრულებლად ჰყავს წარ-მოჩენილი. ლექსში ხაზგასმულია შამილის რელიგიურობა, მას პოეტი პირველად სწო-რედ „მაჰმადის მადიდებელს“ უწოდებს. აკაკი „მურიდებსაც“, ანუ „მიურიდებსაც“ — ისლა-მისთვის თავგანწირულ მეომრებსაც ახსენებს, რაც რეალობას შეესაბამება, რადგან აულ ღუნიბში გამართული უკანასკნელი ბრძოლის დროს, როგორც ცნობილია, შამილს 400 მიუ-რიდი იცავდა⁵.

აკაკის ლექსში შამილი, როგორც უკა-ნასკნელ იმედს ისე მიმართავს თავის პირმშო შვილს ყაზი მაჰმადს (აკაკის მართლწერით კაზა მაღომეტ ან გაზი მაგომეტ — მ.ქ.) იგი თავის ვაჟს ბრძოლის ვეღის მარცხენა მხარეს აგზავნის შეტევის განსახორციელებლად, იქ, სადაც თვით კნიაზი იბრძვის (იგულისხმება თავადი ა.ი. ბარიატინსკი). თვით შამილი ლექ-სის თანახმად ბრძოლის ვეღს მარჯვენა მხა-

¹ ქ.ს.ე., ტ. X, თბილისი, 1986, გვ. 680.

² გაზ. „კვალი“, 1893, №2, გვ. 15.

³ იქვე, გვ. 2-3.

⁴ აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. I, თბილისი, 2010, გვ. 16-17. (342)

⁵ ქ.ს.ე., ტ. X, თბილისი, 1986, გვ.680.

რეს მიაშურებს. ბრძოლა შამილის გამარჯვებით მთავრდება. იმამის ვაჟს ყაზი მაჰმადს დატყვევებული კნიაზი ა.ი. ბარიატინსკი მოჰყავს. შამილი ჯარს მიაძახებს: „თავი მოსჭერით“¹. ასე მთავრდება პირველად 1940 წელს გამოქვეყნებული აკაკი წერეთლის ლექსი „შამილის სიზმარი“. როგორც ვხედავთ, ლექსის ამ ვარიანტის მიხედვით, მხოლოდ სათაურიდან ჩანს, რომ მასში აღწერილი ამბავი შამილის სიზმარია. იოსებ გრიშაშვილის მიერ 1940 წელს გამოქვეყნებული ვარიანტი ეყრდნობა პოეტის ხელნაწერ ავტოგრაფს კლ68(А)².

როგორც ცნობილია. მოგვიანებით მიკვლეული იქნა „შამილის სიზმრის“ ხელნაწერი ასლი, რომელსაც კირილე ლორთქითანიძის ერთ-ერთი უახლოესი მეგობრის ხელმოწერით დადასტურებული შენიშვნა ახლავს: „ეს ლექსი დავწერე თვითონ მისის სიტყვებით 1862 წლის თებერვალში, ამაში ზოგი შეცვლილია და ზოგი გამოტოვებული ორიგინალიდამ, რომელიც დაიწერა 1859 წ...“ ასლი T კრებ. 25909 არის. არის ლექსის „შამილის სიზმარი“ ახალი რედაქცია³. განსაკუთრებით საყურადღებოა ლექსის სრულიად უცნობი ვრცელი ფინალი.

კირილე ლორთქითანიძის მიერ შემონახულ „შამილის სიზმრის“ ვარიანტს როგორც აღვნიშნეთ, სამი სტროფი აქვს დამატებული. პირველ დამატებულ სტროფში ნათქვამია, რომ მან (ბარიატინსკიმ — მ.ქ.) იმამს წვერებში სტაცა ხელი, სილა გაარტყა და შამილმა თვალი გაახილა. მეორე დამატებული სტროფის სტრიქონები მართლაც საოცარი უბრალოებით და სევდით გამოირჩევა

კალუგა რამ ჰქნა კაგკასის მთებში,
აღარც ჩხუბია და აღარც მკვდრები...⁴
შამილი ოჯახთან ერთად კალუგაში გადაა-

სახლეს. აკაკის ებრალებოდა მართლაც უბე-დური, მშობლიურ მიწას მოწყვეტილი მოხუცი. ლექსის ბოლო დამატებით სტროფში პოეტი აგვიწერს თუ რა ძლიერად სურს შამილს ისევ იხილოს იგივე სიზმარი, მაგრამ მას, ვინც ორგზის უბედურია ცხადად, სიზმარშიც არ უწერია გახარება.

მიუხედავად დიდი სიახლოვის და პატივისცემისა ივანე კერესელიძის ზედმეტ სიფრთხილეს — რომელიც მაინც შედეგიანი იყო, რადგან აკაკის ლექსები იბეჭდებოდა, იგი მაინც ცენტურად აღიქვამდა.

„იმ დროში არა თუ შლილნენ ნაწერს ცენტორები, თავისასაც ჩაამატებდნენ ხოლმე სამაგიეროს და ისე იბეჭდებოდა. ერთხელ კერესელიძესთან მივედი გახარებული დამხვდა: „გავაშვებინე შენი ლექსიო! დიდ უარზედ კი იდგა სანამ სათაური არ გამოვუცვალეო და „სიმღერის“ ნაცვლად ასე არ დავაწერეო „დიდი მთავრის მობრძანების დროს ახალთაობა უგალობს საქართველოს“ აი ხერხს რა შეუძლიან! ლექსი სრულიად გავაშობიე და სათაური რაც უნდა, ის იყოსო! ... მოჰყვა კითხვას: „სამეფოო, ძველთა ძველო“ და სხვა. ამგვარი რამ გადაგვხდა და ბევრი სიმწარეც გამოგვივლია ცენტურების ხელში“⁵.

როგორც ვხედავთ, აკაკი ივანე კერესელიძის მიერ ლექსისთვის სათაურის შეცვლას ცენტურად აღიქვამდა და ალბათ ნაწილობრივ მართალიც გახლდათ. მიუხედავად ივანე კერესელიძის მიერ აკაკის ლექსების თავისებური გადაკეთებისა — „ნაეს“ სტროფი მოაკლო, „ქართლის სალამს“ კი ერთი სტროფი დაუმატა, ხოლო „სიმღერას“ საერთოდ შეუცვალა სათაური — მისი მოქმედება, როგორც რედაქტორისა მაინც დადებითად უნდა შევაფასოთ, რადგან სამივე ლექსის დაბეჭდვა მოხერხდა. ლექსები რა თქმა უნდა თავიანთ დანიშნულებას მაინც შეასრულებდნენ ანუ გარკვეულ განწყობას შექმნიდნენ მკითხველ საზოგადოებაში.

მეორედ „სიმღერა“ დაიბეჭდა 1893 წელს

¹ აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად, ტ. I, თბილისი, 1940, გვ. 15-17.

² აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად, ტ. II, თბილისი, 1941, გვ. 633.

³ აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. I, თბილისი, 2010, გვ. 341.

⁴ იქვე, გვ. 343.

⁵ ურნალი „საქართველო“, 1908, #3, გვ. 10.

გამოცემულ აკაკის ლექსების კრებულში „სალამური“ სათაურით „ძველ სამეფოს“, როგორც ვხედავთ სათაური „ძველ სამეფოს“ თავად ავტორის შერჩეული სათაურია. ამდენად, მართებულია აკაკის ლექსების მომღევნო გამოცემებში მისი ასეთი დასათაურება. „სალამურში“ დაბეჭდილი „ძველ სამეფოს“ ტექსტი საკმაოდ დაჩეხილია. პირველი სტროფიდან ამოღებულია ბოლო ორი პწყარი, მეოთხე სტროფიდან — ბოლო ოთხი პწყარი და უკანასკნელი სტროფიდან — ბოლო ორი პწყარი¹.

როგორც პავლე ინგოროვა აღნიშნავს 1940 წელს აკაკის თხზულების I ტომის დაბეჭდვის შემდეგ, მას, კირილე ლორთქიფანიძის არქივში უპოვია კრებულის „სალამური“ ორი ხელნაწერი დედანი. ერთი ხელნაწერი თვით აკაკის ხელით შესრულებული გადაწერილი 1892 წელს, ხოლო მეორე ხელნაწერი პირი იმავე 1892 წელს წარდგენილი ცენზურაში.

პავლე ინგოროვა აღნიშნავს: „ცისკრის ტექსტში რედაქტორს ივანე კერესელიძეს გადაუკეთებია არა მხოლოდ სათაური, არამედ ადგილ-ადგილ გამოუცვლია ლექსის ცალკეული გამოთქმები, რათა ლექსი შეეფარდებია მის მიერ გამოგონილ სათაურთან“².

ცხადია, ივანე კერესელიძის მიერ ჩატარებული სამუშაო ფაქტობრივად ცენზურის ყურადღების მოდუნებას ისახავდა მიზნად, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ლექსის მხატვრული მხარეც დაზარალდა.

კრებულში „სალამური“ ხელნაწერ დედანში თვით აკაკის აღარ შეუტანია მეხუთე სტროფი პავლე ინგოროვას აზრით ამ ერთ სტროფს შეეძლო მთელი ლექსის აკრძალვა. მართლაც, მეხუთე სტროფი საოცრად მძაფრი შინაარსისაა:

წინა წავალთ შენი ძენი,
გვსურს ახალ დროს ვუღოთ ბჭენი,

და დავსთხიოთ წმინდა სისხლი,
რომ გავბანოთ ძველი სენი!..
მზა ვართ მსხვერპლად შეგვიწირე,
აღდეგ, შემოირტყი წენი!³
ბუნებრივია, ბრძოლისაკენ ასეთ აშკარა მოწოდებას ცენზურა დასაბეჭდად არ გაუშვებდა. პავლე ინგოროვას მიერ, აღნიშნულ გამოცემაში, შემოთავაზებულია „ძველი სამეფოს“ ე.წ. კანონიკური ვარიანტი, რომლის უკანასკნელი მექქვსე სტროფი ასე იკითხება:

დიდებაო ძველთა-ძველო,
ორ აღმშეფოთთა ზღვათა მცველო
გაიღვიძე ნუღარ გძინავს,
ნეტარების მომლოდნელო!
მოგვასწარ, რომ გავკიოდეთ:
„ვაშა, ვაშა საქართველო“.⁴

აკაკის თავად მიუჩნევია სტრიქონების „ორ აღმშეფოთთა ზღვათა მცველოსა“ და „გაიღვიძე ნუღარ გძინავს“ ჩასწორება, რადგან კრებულში „სალამური“ 1893 წელს დაბეჭდილ ამ ლექსში აღნიშნული სტრიქონების ნაცვლად ვკითხულობთ:

დღეს სნეულო საეჭველო!
გულს ნუ იტეხ წამოდექი...

„ორ აღმშეფოთთა ზღვათა მცველად“ საქართველოს წარმოჩენა, ჩვენი აზრით, მარტო აკაკის პოეტური წარმოსახვის ნაყოფად არ უნდა მივიჩნიოთ. აკაკის ეს ლექსი, როგორც ცნობილია 1862 წლის 23 მარტს არის დაწერილი. ამ წელს კი 1832 წლის შეთქმულების 30 წლისთავი გახლდათ. ვფიქრობთ, გამორიცხული არ არის აკაკის ოჯახური წრის გათვალისწინებით, ახალგაზრდა პოეტს თავისი ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობის ფუნქციონალური პერსპექტივა განეჭვრიტა. როგორც ვხედავთ, აკაკი წერეთლის შემოქმედება იმთავითვე ცენზურის განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევდა. მოგვიანებით გამოქვეყნებულ ლექსებს კიდევ

¹ აკაკი წერეთლი, თხზულებათა სრული კრებული შვიდტომად, ტ. II, თბილისი, 1941, გვ. 637.

² აკაკი წერეთლი, თხზულებათა სრული კრებული შვიდტომად, ტ. II, თბილისი, 1941, გვ. 637.

³ აკაკი წერეთლი, თხზულებათა სრული კრებული შვიდტომად, ტ. I, თბილისი, 1940, გვ. 49.

⁴ აკაკი წერეთლი, თხზულებათა სრული კრებული შვიდტომად, ტ. I, თბილისი, 1940, გვ. 49

უფრო ღრმად ეტყობათ ცენზურის კვალი, რადგან ისინი კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით გამოირჩევიან. მაგ. ვ. ველიჩქოსადმი მიძღვნილი ლექსი „ყიზილბაშური“, ცნობილი ლექსი „ჭაღარა“ და მრავალი სხვა.

helped editors to establish traditions of making certain changes in creative works to avoid possible damages that censure could make to them.

**А.ЦЕРТЕЛИ И ЦЕНЗУРА
(ЛИРИКА 1856 -1862 ГГ).**

РЕЗЮМЕ

AKAKI AND CENSURE (1856-1862)

SUMMARY

Manana Kajaia, PhD.

The work deals with Akaki Tereteli's lyrics under the pressure of censure. Akaki's poems "Kartli's Greeting", "An Old man's Weeping", "Shamili's Dream", "Boat", "Vain Quest", and others are discussed in the paper in a rather interesting way.

The role of the outstanding Georgian statesman Ivane Kereselidze in relation to censorship is noteworthy.

In the work special attention is paid to that historically created objective circumstance which

*Манана Каджасиа.
ассоциированный профессор*

В данной статье исследуются лирические произведения величайшего грузинского поэта А.Церетели периода с 1856 – по 1862 гг, такие как «Привет Грузии», «Устаревшие стили», «Сон Шамили», «Лодка», «Напрасные поиски» и другие, которые были подвержены цензуре. В работе обращается внимание на исторически обусловленные явления, происходящие в обществе, которые были приняты во внимание самими редакторами, во избежание дальнейших правок и искажений, внесены изменения с учетом определенных литературных традиций.

მხატვრული ტექსტის სტრუქტურა

კატერინე შავაშვილი
სტუ აკადემიური დოქტორი

ტექსტის ცენტრალური კატეგორიებია: კო-
კერენტულობა და კოპერაცია.

**კოპერენტულობა უკავშირდება ტექსტის
შინაარსს, კოპერაცია – მის ფორმას.** ეს ორი
ტერმინი აერთიანებს ტექსტის „შეკავშირებუ-
ლობას“, „შეჭიდულობას“.

„კოპერენტულობა სინთეზური და ტექსტის
ცენტრალური კატეგორიაა. იგი ერთმანეთთან
აკავშირებს ტექსტის ნებისმიერ ასპექტს. ასე-
თი კავშირის გარეშე არ არსებობს ტექსტის
არც ერთი ნაწილი ... არ არსებობს ენის რო-
მელიმე დონის, რომელიმე ქვესისტემის ერთ-
ეული, რომელიც არ მონაწილეობდეს კოპერ-
ენტულობის რეალიზაციაში“ [1, 143].

რ. ბოგრაძნისა და ვ. დრესლერის მიხედ-
ვით, კოპერენტულობა არის ტექსტში შინაარ-
სობრივი (კოგნიტური) ურთიერთმიმართებები.
ადრესანტი და ადრესატი მაინც ახერხებენ ტე-
ქსტის ცალკეულ კომპონენტებს შორის კავში-
რის დადგენას, როდესაც კავშირი დადგენილი
არ არის მარკირებული ტრადიციული კოპერი-
ური საშუალებებით. ამ მეცნიერთა ფიქრით,
ტექსტს საფუძვლად უდევს გარკვეულ მახა-
სიათებელთა კომბინაცია, რაც წარმოადგენს
ე. წ. „ტექსტის სამყაროს“. ესაა აზრობრივი
ურთიერთმიმართების ერთობლიობა. ტექსტის
სამყარო განისაზღვრება ტექსტის „აზრობრი-
ვი უწყვეტობით“. არ არის აუცილებელი, რომ
ტექსტის სამყარო ემთხვეოდეს რეალურ სა-
მყაროს. ტექსტის სამყარო მეტყველი პირის
მიერ არის შექმნილი.

ტექსტის სამყაროს კონცეპტები (ჩვენი შე-
მეცნების ერთეულები) წარმოიქმნებიან ჩვენი
აღქმისა და გამოცდილების საფუძველზე.

რ. ბოგრაძნისა და ვ. დრესლერის თანახ-
მად, თუ ერთმანეთისაგან გავმიჯნავთ „ტექ-
სტის სამყაროს“ და ჩვენ მიერ დანახული სა-

მყაროს კონცეპტების კომბინაციებს, ტექსტში
ვერ აღმოვაჩენთ აზრის უწყვეტობას და მოცე-
მული ტექსტი უაზრობა გახდება. მაგალითად:
„ხელოვნების ხალხს განსაკუთრებული ამბი-
ციები აქვს. ხელოვანი გვარია. ყველა იხიბ-
ლება მისი ხელოვნებით. პროგრამა გამოირჩე-
ვა ოსტატური გაფორმებით. ხელოვანს ჰქვია
კეტრინი.“ აქ, ყოველი წინადადება შეიცავს
მაკავშირებელ საშუალებებს სხვა წინადადებე-
ბისაგან. ამგვარებს მიეკუთვნება ლექსემა „ხე-
ლოვნება“, – „ხელოვანი“, – „ხელოვნებით“
და ნაცვალსახელით „მისი“. ამის მუხედავად,
აქ აზრობრივი უწყვეტობა არ არის, რადგან
დარღვეულია „ტექსტის სამყაროს“ აზრობრი-
ვი უწყვეტობა და კოპერენტულობა. ხოლო სა-
დაც დარღვეულია კოპერენტულობა, დარღ-
ვეულია კომუნიკაციურობაც.

კოპეზიურობა გულისხმობს ტექსტის ზე-
დაპირული სტრუქტურის წარმოქმნას. ზედა-
პირულ სტრუქტურაში მოიაზრება ტექსტის
ფორმალურის სტრუქტურა. ანუ კოპეზიურო-
ბის რევენა იმის კვლევას ნიშნავს, თუ რა
საშუალებებით უკავშირდებიან ერთმანეთს
ტექსტის კომპონენტები. ეს კოპონენტები გრა-
მატიკული ურთიერთობების საშუალებებია
(ნაცვალსახელები, სიტყვათა რიგი, კავშირე-
ბი, ზმური ფორმები...).

კოპეზიური საშუალებები სხვადასხვა სა-
ხისა და ერთნაირად არ უწყობენ ხელს მთ-
ლიანის შეკავშირებას.

კოპეზიურობა ტექსტის გრამატიკული
წესებით შეკავშირების გამოხატვაა. კოპერ-
ენტულობა ზედაპირული (ანუ კოპეზიური) და
სიღრმისეული დონეების შეკავშირებაა. ანუ:
კოპეზიურობა ტექსტის გადაბმულობაა, კო-
პერენტულობა – ტექსტის მთლიანობა. სხვა
სიტყვებით: ტექსტის მთლიანობა – კოპერენ-

ტულობა არის შინაარსის პლანი, ტექსტის გადაბმულობა – კოპეზიურობა არის გამოხატვის პლანი.

ტექსტის მთლიანობა ორიენტირებულია შინაარსის პლანზე. თუმცა: ტექსტის შინაარსი არ უტოლდება მხოლოდ აზრების ჯამს, რომელისგანაც იგი აიგება. ყოველი ტექსტი სიტყვებისაგან შედგება. ტექსტებზე ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული მუშაობით შეიძლება შევქმნათ მწერლის ენის ლექსიკონი. ტექსტებიდან შეიძლება მივიღეთ ლექსიკონებამდე, მთლიანადან – ნაწილამდე. მაგრამ როგორც არ უნდა გამოვიყენოთ მწერლის ენის ლექსიკონი, ვერ შევძლებთ მისი რომელიმე ტექსტის აღდგენას.

ეს მარტივი მაგალითი ზუსტად ასახავს ტექსტის მთლიანობისა და ბმულობის პრობლემას: ტექსტის არსის გააზრებით შესაძლებელია იმ ერთეულთა რაობის დადგენა, რომელისგანაც არის იგი აგებული და როგორ არიან ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული. თუმცა ამით მაინც ვერ ხერხდება ტექსტის, როგორც მთლიანის აღქმა–გაგება. ანუ: **თანაბარ პირობებეში მთლიანიდან შეგვიძლია მივიღეთ კოპეზიურობასთან (შეკავშირებულობასთან), მაგრამ კოპეზიურობიდან მთლიანობამდე მისვალა შეუძლებელია.** ეს კი ნიშნავს რომ მთლიანი ტექსტის ანალიზით შეიძლება იმის გარკვევა, თუ რა გრამატიკული საშუალებებით არის უზრუნველყოფილი ტექსტის გადაბმულობა–კოპეზიურობა, მაგრამ გრამატიკული კავშირების ცოდნით ვერ შევძლებთ ტექსტის მთლიანობის რესტავრირებას. ეს გარემოება, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ხელი უნდა ავიღოთ ტექსტის ზედაპირული სტრუქტურის კვლევაზე – შეკავშირების ტიპების დადგენაზე, სინტაქსური კავშირების, გრამატიკული ფორმების, სიტყვების და ა. შ. ანალიზზე. ეს იქნება მოცემულ ტექსტში ენობრივი ერთეულების ლექსიკური და გრამატიკული სემანტიკის, მათ შორის კავშირების კვლევა. ამგვარი ტიპის ანალიზი მხოლოდ ტექსტის გარკვეული

ნაწილების შესახებ შეგვიქმნის წარმოდგენას [2, 13]. მაგრამ ლინგვისტიკაში ისიც კარგად არის ცნობილი, რომ მხატვრულ ტექსტში ყოველი მოძღვენო ხდომილება ნაკლებად არის დაკავშირებული წინასთან, ხოლო გაცილებით მეტად დაკავშირებულია მთლიან იდეასთან.

ტექსტის შინაარსზე მხოლოდ მაშინ შეიძლება მსჯელობა, როდესაც მასზე როგორც მთლიანობაზე, შევიძლებთ ჰიპოთეზის შექმნას.

ტექსტის კოპერუნტულობა მხოლოდ ამის შემდეგ გადაგვეშლება ახალი სახით: ამის შემდეგ გახდება გასაგები, თუ რატომ იყო სწორედ ასე აგებული, რას ემსახურება ფორმა, რომელიც ასეთია და არა – სხვაგვარი. ანუ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი ტექსტის სიღრმისეულ დონეებში ჩაწყდომა, მწერლის მხატვრული აზროვნების (ენობრივ–კულტურული ცნობიერების) გაგება და ამით, ცხადია, მისი მხატვრული ენის (ენობრივი სამყაროს) რაობის გაგება.

ფილოლინგვისტური კვლევებით დღეისათვის გარკვეულია, რომ ნებისმიერ ტექსტში, თუ იგი მთლიანი – დასრულებული და თანმიმდევრულია, გამოთქმულია ერთი ძირითადი აზრი, ერთი თეზისი, ყველაფერი ამას ემსახურება, ამ აზრისაკენ არის მიმართული, მის გავრცობას, არგუმენტირებას ემსახურება.

ტექსტის აღქმა კი მისი მთლიანობის გაცნბიერებასთანაა დაკავშირებული. ეს კი მუდავნდება საკანონო სიტყვებისა (მაკროკავშირების) და ტექსტის სქემის (მიკროკავშირების) აღქმაში.

ტექსტის მთლიანობა განისაზღვრება მისი დენოტაციური სივრცით და აღქმის კონკრეტული სიტუაციით: ვინ აღიქვამს ტექსტს? სად? როდის? რატომ?

კოპეზია რეალიზდება სინტაგმატურ ჭრილში. ანუ კოპეზია ლინგვარულია, კოპერუნტულობა (მთლიანობა) ვერტიკალური .

ტექსტის ფუნქციური თვალსაზრისით განხილვა წინა პლანზე აყენებს კომუნიკაციის ფუნქციას. ამ თვალსაზრისით ერთი სიტყვაც კი შეიძლება ჩაითვალოს ტექსტად, თუ იგი

კომუნიკაციის ფუნქციას ასრულებს. ამ დონეზე ტექსტის ცენტრალური კატეგორია კომუნიკაციის ცნებაა.

კომუნიკაციის ცნების შინაარსი კომუნიკაციის აქტის ცნებას გულისხმობს. კომუნიკაციის აქტში აქტიურია და წარმმართველია აღრესანტი – ნებისმიერი ტექსტის „აღტორი“.

თანამედროვე ტექსტის პრაგმატიკა აღრესანტს სამ კატეგორიას მიაწერს:

ლოკაცია (იგი სამი ასპექტისაგან შედგება: პერსონალური, ლოკალური და ტემპორალური ფორმულ: მე, აქ, ახლა);

მოდალობა (დამოკიდებულება): ლინგვისტიკაში ორი სახისაა – ობიექტური და სუბიექტური.

ობიექტური მოდალობა გამოხატავს გამონათქვამის დამოკიდებულებას სინამდვილისადმი;

სუბიექტური მოდალობა – მეტყველი სუბიექტის ემოციურ შეფასებით დამოკიდებულებას.

მოდალობის, როგორც კატეგორიის სტრუქტურაში სუბიექტური მოდალობის მნიშვნელობის გათვალისწინება მნიშვნელოვან ეტაპად იქცა წინადაღების გრამატიკული ანალიზის ფარგლების ჩარჩოებიდან გამოსვლისა და წინადაღების დონიდან გამონათქვამის და ტექსტის დონეზე გადასვლისათვის.

გამონათქვამის დონეზე მოდალობა გამოხატულია გრამატიკული და ლექსიკური საშუალებით, მოდალობა მხატვრული ტექსტის დონეზე რეალიზდება პერსონაჟების მოქმედებაში, სენტენციებში, დასკვნებსა და მსჯელობებში და ასევე სხვა საშუალებებით.

ზოგიერთი ლინგვისტის აზრით, ტექსტობრივი მოდალობა მაშინ ვლინდება, როდესაც მკითხველს წარმოდგენა ექმნება განსაზღვრულ თემატურ ველზე, ანუ ეპითეტთა, მხატვრულ შდარებათა, აღწერის, პერსონაჟის არაპირდაპირი დახასიათების ერთობლიობაზე, რომლებიც „მაგნიტურ ველს“ წარმოქმნიან.

მხატვრულ ტექსტში მხოლოდ სუბიექტური მოდალობა „ფუნქციონირებს“.

სუბიექტური მოდალობის კატეგორიასთან

მჭიდროდ არის დაკავშირებული ემოციურობა. მხატვრული კომუნიკაციის შემთხვევაში საქმე გვაქვს ემოციურ ტონალობასთან.

ემოციური ტონალობა უნივერსალური კატეგორიაა, რომელიც გულისხმობს ექსპლიციტურ და იმპლიციტურ აზრებს. აქ ლაპარაკობენ დიქტალურ და მოდალურ ემოციურ აზრებზე. ის გრძნობები, რომლებსაც აეტორი პერსონაჟს მიაწერს, როგორც სინამდვილეში არსებულს, რეალურად არსებულს, დიქტალურია, ხოლო სუბიექტური გრძნობები, რომელთაც ავტორი გამოხატავს, მოდალურია. ემოციები მრავალფეროვანია. ისინი ემოციური ლექსიკონით რეალიზდება

შეფასების კატეგორია – გულისხმობს, რომ გამონათქვამის „ლექსიკური ელემენტები მუდამ შეიცავენ არა მარტო რეალობის უბრალო ნომინაციას, არამედ მის შეფასებასაც. ხოლო ეს შეფასება მუდამ გულისხმობს კარგისა და ცუდის ოპოზიციას [1, 96].

ადრესანტის მეტყველება ყოველთვის ადრესატზეა გათვლილი. ადრესატი მნიშვნელოვანი ფიგურაა. მასზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული გამონათქვამის (ტექსტის) შინაარსობრივი სტრუქტურა, როგორი უნდა იყოს გამონათქვამი (ტექსტი), რომ იგი ეფექტურად აღიქვას ადრესატმა? ამ კითხვას მივყავართ პრაგმატულ კატეგორიათა იმ სისტემასთან, რომელიც ასახავს ადრესატს – მის პოზიციასა და გავლენას გამონათქვამზე (ტექსტზე) [2, 137].

ადრესატთან დაკავშირებულ კატეგორიათა სისტემაში, ჩვეულებრივ, გამოყოფენ: ინფორმაციულობას, გამჭვირვალობასა და ექსპრესიულობას. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ტექსტი გასაგები რომ იყოს ადრესატისათვის, უნდა იყოს ინფორმაციის შემცველი, გამჭვირვალე და ექსპრესიული [1, 107].

ინფორმაციულობა, ცხადია, გულისხმობს რაიმე ახალს. **გამჭვირვალობა ნიშნავს გასაგებობას.** გამონათქვამი ადრესატისათვის გასაგები რომ იყოს:

1. გამონათქვაში ასახული რეფერენტული სიტუაცია ერთნაირი უნდა იყოს ორივე მონაწილისათვის;

2. კომუნიკაციის ორივე მონაწილისათვის იდენტური უნდა იყოს კომუნიკაციური სიტუაცია (ვინ, ვის, როდის, სად ეუბნება);

3. კომუნიკანტთა ფონური ცოდნა – მათი თეზაურუსები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს.

ექსპრესიულობა გულისხმობს აღრესანტის მიერ სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატვას, რომლის მიზანია აღრესატზე ზემოქმედება.

ექსპრესიულობა ტრადიციული სტილისტიკის ფარგლებში გულისხმობს იმას, რომ ყოველი გამონათქვამი, გარდა დენოტაციისა, მუდამ შეიცავს კონოტაციას, როგორც ენტბრივი ნიშნის მიერ აღნიშნული რეალობისადმი სუბიექტის დამოკიდებულების გამოხატვას.

ექსპრესიულობის კატეგორიის პრაგმატიზაცია „ნიშნავს აქცენტის გადატანას აღრესანტიდან აღრესატზე“ [1, 111– 112].

ლიტერატურა:

1. ლებანიძე გ., „კომუნიკაციური ლინგვისტიკა“ თბ., გამომც. „ენა და კულტურა“, 2004;
2. თევდორაძე ნ., „ტექსტის ლინგვისტიკა“, თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა, 2010;
3. Дресслер В., „Синтаксис текста“ - Новое в зарубежной лингвистике, вып. VIII. лингвистика текста. М., 1978.

СТРУКТУРА ХУДОЖЕСТВЕННОГО ТЕКСТА

E. Shakiashvili
Академический доктор ГТУ

Рассматриваются некоторые аспекты структуры текста. Указывается, что “мир текста” и запечатленные нами концепты реальности создают виртуальную целостность самого текста и если отделить эти составляющие друг от друга, то выявится отсутствие непрерывности и логической целостности текста (согласно Р. Богрдного и В. Дресслера).

Делается вывод, что в структуре текста выделяются информативность, прозрачность, экспрессивность.

THE STRUCTURE OF THE ARTISTIC TEXT

E. Shakiashvili
Academic Doctor GTU

Concider struktry some aspects of the text. States that “the world of the text” and captured us create a virtual reality concepts integrity of the text and children if separate components from each other, it revealed a lack neprerevnosti and logical integrity of the text (according to R. and W. Dressler Bogrdnogo).

Delet the conclusion that the structure of the text stand out informative, transparency, ekspre-sivnost.

პროცესი/გლობარების ამსახველი ქართული ზონა სუპერ-პარადიგმის

გ. ჩიკოიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი

ქართული ზმნის ერთ-ერთი თავისებურება სუპერ-პარადიგმის წარმოქმნის შესაძლებლობაა. სუპერ-პარადიგმის ცნება კი გულისხმობს ერთი და იმავე ლექსემისგან წარმოქმნილი ზმნების ჯგუფს, რომელიც შეიძლება ისე დალაგდეს, რომ ერთობლივ ვირტუალურ პროცესს გამოხატავდეს. ასეთია, მაგალითად, კაუზატიური, აქტიური და პასიური პარადიგმების სამეცნი, რომელიც შეიძლება განხილულ იქნას, როგორც გლობალური ვირტუალური პროცესი:

CAUS → PROC → RES (1)

სადაც CAUS (კაუზატივი) გარკვეულ პროცესს (PROC) სტიმულირებს, რომლის შედეგის გამოხატვაზე ორიენტირებულია RES პარადიგმა:

ააშენებინა მან (CS) მას (AG) ის (OB) მისთვის (AD) →

ააშენა / აუშენა მან (AG) ის (OB) მისთვის/ მას (AD) →

აშენდა / აუშენდა ის (OB) მისთვის / მას (AD)

სადაც (CS), (AG), (OB), (AD) ასახავენ სემანტიკურ როლებს (Fillmore 1968), რომლებსაც მოცემული სიტუაციის მონაწილეები ამ სუპერ-პარადიგმით ასრულებენ: კაუზატორი (CS) სტიმულს აძლევს აგენსს (AG) “შენების” (PROC) შესასრულებლად, აგენსი PROC ეტაპის ფარგლებში ზემოქმედებას ახდენს ობიექტზე (OB), ამ შემთხვევაში მომავალ “შენობაზე”, და პროცესი მიჰყავს მოსალოდნელი შედეგისკენ RES, ანუ შენობის “აშენებისკენ”. ამავე გლობალური პროცესის კონტექსტში შეიძლება გაჩნდეს ადრესატის როლი, ანუ სიტუაციის მონაწილე, რომელზეც საბოლოო ჯამში ორიენტირებულია გლობალური პროცესის RES-ეტაპის შინაარსი.

ცესის შედეგი (OB), მოცემულ შემთხვევაში ის შეიძლება იყოს “ვისთვისაც შენდება” ან “ვისაც აუშენდება” მომავალი “შენობა”.

მოცემული სიტუაციის ფარგლებში როლებს ერთმანეთზე გარკვეული გავლენა აქვთ და ჯაჭვური სქემით შეიძლება ასე წარმოვადებით:

(CS) → (AG) → (OB) → (AD) (2)

ყოველი რგოლი უშუალო გავლენას ახდენს მარჯვენა “შენობელზე”.

ასეთ (1)-(2) სტრუქტურას, “შენების” გარდა, მრავალი სხვა ზმნური სუპერ-პარადიგმაც მიეკუთვნება (ნერვა, ქსოვა, კერვა, რეცხვა, ხენა, თესვა და სხვ.). სწორედ ასეთი სტრუქტურაა მიჩნეული რეგულარულად (Γ. ჭიკოიძე 2010, G. Chikoidze 2012)-ში. რეგულარული სტრუქტურის მქონე სუპერ-პარადიგმების გლობალური პროცესების საერთო სემანტიკური მახასიათებელია ის, რომ პროცესი ორიენტირებულია, პირველ რიგში, ობიექტის (OB) გარკვეულ გარდაქმნაზე, რაც, ზემოთ მოცემული მაგალითის შემთხვევაში, ამ ტრანსფორმაციის უკიდურესი სახეობაა, როცა მანამდე არარსებული ობიექტი “ჩნდება”. ამავე დროს, არსებობს ისეთი სუპერ-პარადიგმები, რომელთა სემანტიკა ამა თუ იმ ზომით განსხვავდება რეგულარულისგან. ერთ-ერთი ასეთი ნიმუშია სუპერ-პარადიგმა, რომლის გლობალური ვირტუალური პროცესი ორიენტირებულია რომელიმე პროცესის ან მდგომარეობის ინიციალიზაციაზე და არა (OB)-ის ტრანსფორმაციაზე. ამასთან, სწორედ ეს შედეგია გლობალური პროცესის RES-ეტაპის შინაარსი.

ამ კლასის შიგნითაც არსებობს გარკვეული სემანტიკური განმასხვავებელი ნიშნები, რომ-

ლებიც, პირველ რიგში, აისახება შედეგობრივი RES-სიტუაციის ძირითადი მონაწილის სემანტიკური სტატუსის არჩევაში. სახელდობრ, ის წარმოდგენილი იქნება (AG), (AD) ოუ (OB) როლით. შესაბამისად RES (AD) სათანადო ქვეკლასები წარმოდგენილი იქნება სიმბოლიკით:

RES (AG), RES (OB) და RES (AD).

აქტიური პარადიგმის ინიციალიზაციის მაგალითს წარმოადგენს:

CAUS 1: აამოძრავებინა მან (CS1) მას (CS2) ის (AG);

CAUS 2: აამოძრავა მან (CS2) ის (AG);

PROC: ამოძრავდა ის (AG);

RES: მოძრაობს ის (AG), იმოძრავა მან (AG).

რეგულარული სუპერ-პარადიგმისაგან განსხვავებით, CAUS მონაკვეთი აქ წარმოდგენილია ორი საფეხურით (CAUS1, CAUS2), ანუ CS1 სტიმულს აძლევს CS2-ს, რომლის თანახმად, CS2-მა პროცესის ინიციალიზაცია უნდა მოახდინოს, რომლის “წამყვანი” იქნება AG.

ამ როლის მორფოლოგიური გაფორმება ცვლადია: მაგალითად, CS2 CAUS1 ეტაპზე გაფორმებულია როგორც ირიბი დამატება, რაც უფრო დამახასიათებელია ადრესატის (AD) როლისთვის, თუმცა აღსანიშნავია, რომ სემანტიკური თვალსაზრისით CS2 CAUS1-ის კონტექსტში მართლაც ისე “იქცევა”, როგორც CS1-ის ზემოქმედების ადრესატი. ანალოგიურად, საბოლოო აგენსის (AG) კუთვნილ გაფორმებას ეს როლი მხოლოდ დასკვნით RES ეტაპზე იძენს. მანამდე კი (CAUS1,2-ის და PROC-ის) ეტაპებზე ფორმდება როგორც OB-ი, ანუ ობიექტი, რომელიც სემანტიკური თვალსაზრისით აგრეთვე გამართლებულია. ეს მონაწილე, OB-ის ჩვეული ფუნქციის შესაბამისად, გამოსახავს უშუალო ზემოქმედებას CAUS2-ში ან ირიბ ზემოქმედებას CAUS1-ში CS2-ისა და CS1-ის შესაბამისად. ამ ორსაფეხურიან გავლენას კი AG-ი PROC ეტაპამდე მიჰყავს, რომელზეც ის საბოლოოდ “ემორჩილება” CS1,2-ს და იწყებს იმ აქტიურ პროცესს (“მოძრაობას”), რომლისკენ მიმართული იყო

ინიციალიზაციის ყველა მანამდელი ეტაპი.

ამგვარად, მაგალითის განხილვა “ორმაგი” როლებრივი სცენარისკენ “გვიბიძგებს”: ერთი მათგანი (“ეტაპობრივი”) განსაზღვრავს მოცემული მონაწილის სემანტიკას მიმდინარე ეტაპის (CAUS, PROC, RES) კონტექსტში; მეორე კი (“გლობალური”) მის წვლილს ახასიათებს სუპერ-პარადიგმის სრულ (გლობალურ) ვირტუალურ პროცესში.

როლებრივი სემანტიკის ამ თავისებურების უფრო მკაფიოდ წარმოსაჩენად შეიძლება გამოყენებული იქნეს სიმბოლიკა (ET), (GL), სადაც მარცხენა წევრი შეესაბამება ეტაპობრივ, მარჯვენა კი - გლობალურ როლს. სიმბოლიკის გამოყენების მაგალითს მოვიყვანთ ინიციალიზაციის RES (AD) ტიპის განხილვისას, სადაც როლის სემანტიკის ეტაპობრივი ცვლადობა უფრო მკვეთრად ვლინდება.

RES (AG) ტიპის სუპერ-პარადიგმებს ქმნის მრავალი სხვა ზმნური ლექსემა, რომელიც გამოხატავს ინტენსიურ გარე დამკვირვებლისთვის ადვილად შესამჩნევ შედეგობრივ პროცესს: ასეთებია, მაგალითად, ყვირილი, კივილი, კვნესა, ღელვა, წუხილი, ყეფა, ცეკვა, მღერა და სხვ.

სემანტიკური მახასიათებლების საპირისპირო მნიშვნელობები ახლავს RES (AD) კლასის სუპერ-პარადიგმებს: ისინი ახდენენ ისეთი სიტუაციის ინიციალიზაციას, რომელიც შეფასდება უფრო როგორც “მდგომარეობა” (და არა პროცესი, როგორც ეს დამახასიათებელია RES (AG)-ისთვის); თანაც ის “მდგომარეობა” უმეტეს შემთხვევაში “შინაგანია”, ანუ “სუფექს” ძირითადი მონაწილის (AD-ის) “შიგნით” და “გარედან” უშუალო დაკვირვებას არ ექვემდებარება. ასეთებია, მაგალითად, სიტუაციები გამოხატული ლექსემებით “ძილი”, “ღვიძილი”, “მოწონება”, “სიყვარული”, “სიძულვილი” და სხვ. ქვემოთ მოგვყავს “ძილის” ინიციალიზაციის მაგალითი:

CAUS1: დააძინებინა მან (CS1) მას (AD/CS2) ის (OB/AD);

CAUS2: დააძინა მან (CS2) ის (OB/AD);

PROC 1: დაიძინა მან (AG/AD);

PROC 2: ჩაეძინა მას (AD);

RES: სძინავს მას (AD).

ორმაგი სიმბოლიკა ახლავს მხოლოდ იმ შემთხვევებს, როცა ET და GL როლები ერთ-მანეთისაგან განსხვავდება, რაც, პირველ რიგში, მთავარ როლს ახასიათებს:

CAUS1, CAUS2 ეტაპებზე ის “გამოიყურება” როგორც OB-როლი და მხოლოდ ბოლო (PROC2, RES) ეტაპზე თავს იჩენს გლობალური მახასიათებელი - AD. ყველაზე “საჩოთიროდ” გამოიყურება AD-ის გაფორმება (PROC1): სემანტიკური “გამართლება” შეიძლება მდგომარეობდეს იმაში, რომ ერთი და იგივე ეტაპი (PROC) აქ განიხილება ორი საპირისპირო კუთხით: “გარედან” (PROC1), როგორც აქტიური პროცესის (ინიციალიზაციის) დასრულება და “შიგნიდან”, ანუ მთავარი მონაწილის მხრიდან, რომელსაც ეძინებოდა და ბოლოს “ჩაეძინა”.

ემოციების გამომსატველი სუპერ-პარადიგმების შემთხვევაში საბოლოოდ მიღწეულია მდგომარეობა, რომელიც ეუფლება AD-ს, გულისხმობს იმ ობიექტსაც (OB), რომელზედაც მიმართულია ემოცია (უფარს მას (AD)):

CAUS1: შეაყვარებინა მან (CS1) მას (CS2) მას (AD) ის (OB);

CAUS2: შეაყვარა მან (CS2) მას (AD) ის (OB);

PROC 1: შეიყვარა მან (AG/AD) ის (OB);

PROC 2: შეუყვარდა მას (AD) ის (OB);

RES: უყვარს მას (AD) ის (OB).

როლებრივი სტრუქტურა აქ ყველა ეტაპზე (PROC 1-ის გარდა) ემთხვევა ეტაპობრივს: მას (AD) ის (OB).

ეს “გამონაკლისი” ეტაპი (PROC 1) გამოსატავს აქტიურობის და პასიურობის შერწყმას, რომელიც დამახასიათებელია ემოციებისათვის: გლობალური AD-ი ამ ეტაპზე გამოჩნდება როგორც (AG) “სიყვარულის” სიტუაციის (ყოველ შემთხვევაში – ერთ-ერთი) “გამომწვევი”.

გამონათქვამის ავტორს, გლობალური

პროცესის ვირტუალობის გათვალისწინებით, ასეთი მიღვომა არჩევანის შესაძლებლობას აძლევს, სახელდობრ, მას შეუძლია აქცენტის გაკეთება გლობალური AD-ის ან OB-ის წვლილზე “სიყვარულის” მდგომარეობის გაჩენაში, მის ინიციალიზაციაში.

აქცენტის პოზიციის მსგავსი და ოდნავ უფრო რთული “რჩევა” ჩნდება ზოგი მენტალური პროცესის ინიციალიზაციის დროს.

ასე მაგალითად, “დაჯერების” შემთხვევაში აქცენტების რჩევა ვრცელდება RES ეტაპზეც:

სჯერა მას (AD) / სჯერა (მას (AD)) ის [, ორმ] (OB) / სჯერა მას (AD) მისი (CS2=SR) / სჯერა მას მისი [ის ორმ] ორმ.

სიმბოლიკა CS2=SR ამ კონტექსტში ნიშნავს, რომ გლობალური CS2 როლი ფაქტობრივად ასრულებს “წყაროს” (Source) სემანტიკურ ფუნქციას. RES ეტაპის ასეთი ვარირება “მთქმელს” შესაძლებლობას აძლევს ახსენოს მდგომარეობის მთავარ როლთან ერთად ისიც (OB), რისიც მას (AD)-ს სჯერა, ან ის (SR), ვინც ის დააჯერა, ან ორივე, ანდა - არც ერთი მათგანი.

RES (AD) ტიპის სუპერ-პარადიგმები როგორც სულიერი (უხარია, ეშინია, რცხვენია, ...), ისე “ხორციელი” (შია, წყურია, სცივა, სცხელა, ...) შეგრძნებებისა და განცდების ინიციალიზაციას ახდენენ.

“შინაგანი” (ფიზიოლოგიური, ემოციური თუ მენტალური) მდგომარეობებისაგან განსხვავებით, RES (OB) ახდენს ისეთი მდგომარეობის ინიციალიზაციას, რომელიც უშუალო “ხედვას” ექვემდებარება: ასეთებია, მაგალითად, სხეულის სტატიკური მდგომარეობის, ანუ მისი “ჰოზის”, გამომსატველი ზმნები: ზის, დგას, წევს. შეიძლება ითქვას, რომ RES (OB) ტიპი RES (AD)-ს უპირისპირდება თავისი “გარეგანი” ხასიათით და RES (AG)-ს – სტატიკურობით.

RES (OB)-ის მაგალითი:

CAUS1: დააწვენინა მან (CS1) მას (CS2) ის (OB);

CAUS2: დააწვინა მან (CS2) ის (OB);

PROC: დაწვა ის (OB);

RES: წევს ის (OB).

ჩვეულებრივი ეტაპობრივი გაფორმების AD/CS2 CAUS1-ის გარდა, ყველა დანარჩენ პოზიციაში ეტაპობრივი როლები ემთხვევა გლობალურს (OB). ყველა ეტაპზე დასაშვებია AD როლის გამოჩენაც მისთვის ჩვეული “მას” ფორმით, მაგრამ მი-პრეფიქსის დამატებით CAUS და PROC ეტაპებზე (მიუწვინა, მიუწვა) და RES ეტაპზე “გვერდით” თანდებულით (უწევს მას გვერდით ან წევს მის გვერდით), სადაც ეს წევრი ასრულებს ადგილის (L) და არა ადრესატის როლს, ვიღებთ ნათესაობითის ფორმას (მის), რომელსაც მოითხოვს “გვერდით” თანდებული.

იგივე მონაცემება სემანტიკის ოდნავი ელფერის ცვლილებით დასაშვებია “პოზის” გამომხატველი ზმნების სხვა შემთხვევაშიც:

უზის მას გვერდით / ზის მის გვერდით,

უდგას მას გვერდით / დგას მის გვერდით.

ბოლო მაგალითში (“დგას”) შესაძლებელია ვარიანტიც:

უდგას მას გვერდზე, რომელიც იძენს მეტაფორულ მნიშვნელობას

მას ხელს უწყობს/ იცავს/ ფარავს/ ეხმარება/ ...

ინიციალიზაციის RES (OB) სქემას ექვემდებარება ზოგი სხვა, აგრეთვე “პოზის” ან “პოზიციის” გამომხატველი ლექსემიდან ნაწარმოები სუპერ-პარადიგმა. ასეთებია, მაგალითად, გლობალური პროცესები, რომლებსაც შედეგად მოჰყვება “დევს”, “გდია”, “ყრია”, “ახურავს”, “აცვია” და სხვ.

RES-ის ინიციალიზაციის ყველა სახეობას ახასიათებს ერთი და იგივე “ქრონოლოგიური” თვისება. RES ეტაპის დროს ათვლა იწყება PROC ბოლო ეტაპის დასრულების მომენტიდან. ასე, მაგალითად, “ამოძრავების” შემთხვევაში “მოძრაობის” პერიოდი იწყება “ამოძრავების” წერტილიდან, რის შედეგადაც გრამატიკული და რეალური დროის მახასიათებლები არ ემთხვევა ერთმანეთს: მაგალი-

თად “აამოძრავებს” ან “ამოძრავდება” ზმნების მომავალი არ ემთხვევა, სახელდობრ, წინ უსწრებს “იმოძრავებს” ფორმით გამოხატულ გრამატიკულ მომავალს. ასევე განსხვავდება დროის რეალური პერიოდები, რომლებსაც აღნიშნავს გრამატიკული აწმყოს მაჩვენებლები — ერთი მხრივ, “აწვენს” და “წვება” ფორმებში. ეს უკანასკნელი მისღევს პირველს: “ვინც ახლა წევს” ადრე უნდა “დაწოლილიყო”.

სწორედ ეს თვისება ყველაზე ნათლად გამოხატავს დაპირისპირებას “ინიციალიზაციას” და რეგულარობას შორის, რადგანაც რეგულარული PROC და RES ეტაპები ვითარდება სინქრონულობის სრული დაცვით:

აშენებს/შენდება, აშენებდა/შენდებოდა, აშენებს/აშენდება, ააშენა/აშენდა.

აქ გვაქვს ორივე მხრის გრამატიკული მახასიათებლების რეალური დროის და მისი გრამატიკული გამოხატვის სრული დამთხვევა ორივე ეტაპზე (PROC და RES).

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ როლებრივი მიღვომა, რომელის მოკლე მონახაზია ეს ნაშრომი, ახასიათებს განსაკუთრებული ყურადღება, აქცენტირება იმ მორფოლოგიურ გაფორმებას, რომელსაც ახლავს სემანტიკურ როლებს და მათ შორის არსებულ მიმართებებს და კერძოდ, მათ დამოკიდებულებას ზმნური პარადიგმის (ეტაპის) გრამატიკულ მახასიათებლებთან. ამგვარად, ეს მიღვომა (მისი პირველწყაროსგან - Fillmore 1968) განსხვავებით, შეიძლება შევაფასოთ როგორც გარკვეული სინთეზი აშკარად მოცემული ტექსტში გრამატიკის და ინტუიციით განსაზღვრული სემანტიკის.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომში, რომელიც როლებრივი მიღვომის მოკლე მონახაზია, ყურადღება გამახვილებულია მორფოლოგიურ გაფორმებაზე, რომელიც ახლავს სემანტიკურ როლებს და მათ შორის არსებულ მიმართებებს და კერძოდ, მათ დამოკიდებულებას ზმნური პარადიგმის (ეტაპის) გრამატიკულ მახასიათებლებთან. ამგვარად,

ეს მიღვომა (მისი პირველწეუროსგან - Fillmore 1968) განსხვავებით, შეიძლება შეფასდეს როგორც მოცემულ ტექსტში გრამატიკის და ინტუიციით განსაზღვრული სემანტიკის გარევეული სინთეზი.

ლიტერატურა:

1. Г. Чикоидзе. Систематизация значений некоторых классов языковых единиц. Институт Систем Управления Арчила Элиашвили, Редактор Б.Л. Имнадзе. Тбилиси, 2010 (Монография 27 печ. л.).
2. G. Chikoidze. The regular type of Georgian Verbal Super-Paradigm. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 6, no. 3, pp.145-153, 2012, Tbilisi.

ГРУЗИНСКИЕ ГЛАГОЛЬНЫЕ СУПЕР-ПАРАДИГМЫ ВЫРАЖАЮЩИЕ ИНИЦИАЛИЗАЦИЮ ПРОЦЕСС/СОСТОЯНИЕ

Г. Чикоидзе

Глагольная супер-парадигма представляет собой набор глагольных парадигм, упорядоченных в виде последовательности выражающей виртуальный (глобальный)

процесс. Участники ситуации, выраженной этим процессом, характеризуются семантическими ролями (CS, AG, OB, AD).

Данная работа посвящена типу супер-парадигм, глобальный процесс которых вызывает инициализацию некоторого процесса или состояние.

GEORGIAN VERBAL SUPER-PARADIGMS INITIALIZING SOME PROCESS OR STATE

G. Chikoidze

Super-paradigms are unity of verbal paradigms which are ordered like the Action Chain. Participant of a situation expressed by this chain are characterized by their semantic roles.

This paper considers the class of verb super-paradigms which generate as a result of its action functioning some state or process.

К ВОПРОСУ О ПРОИСХОЖДЕНИИ РУССКИХ ФРАЗЕОЛОГИЗМОВ

Гурамишвили З. Ш.

Грузинский технический университет



Фразеология (греч *phrasis* – способ выражения и *logos* наука) – совокупность несвободных словосочетаний разного рода, свойственных данному языку и имеющих устойчивый характер.

Еще в дореволюционной России стали собирать материалы по русской фразеологии и издавать сборники, куда включались идиомы, иносказания, крылатые слова, пословицы, поговорки, присловья, афоризмы.

Анализ фразеологизмов русского языка по степени их значения, формам и употребления позволяет распределять их на три основные фразеологические единицы:

I Фразеологические сращения;

II Фразеологические единства;

III Фразеологические сочетания;

I Фразеологические сращения – это устойчивые сочетания, значение которых не выводится из значения составляющих их компонентов:

1. Ахиллесова пятя – Наиболее уязвимое место у кого-либо.
2. Сыграть в ящик – Умереть.
3. Лодыря гонять – Праздно проводить время, бездельничать.

К фразеологическим сращениям относятся также устойчивые сочетания, значение которых связано с семантикой составляющих их компонентов, и употребляются они в образном значении:

1. Восходящая звезда – человек, начинающий приобретать славу.
2. Заходить в тупик – попадать в трудное, безвыходное положение.
3. Серебряная свадьба – двадцатипятилетний юбилей бракосочетания.

4. Спустя рукава – небрежно, кое-как.

5. Молодо-зелено – Неопытность, легкомыслие по молодости лет.

II К фразеологическим единствам относятся устойчивые сравнения.

1. Как в воду канул – Бесследно исчез, пропал.
2. Биться как рыба об лед – безрезультатно прилагать все усилия.
3. Как баран на новые ворота – растерянно, глуповато смотреть.
4. Как белка в колесе – Быть в беспрестанных хлопотах и заботах.

К этому типу фразеологизмов относятся также фразеологические единства, которые образовались от каламбуров:

1. Ни богу свечка, ни черту кочерга – посредственный человек.
2. От горшка два вершка – Очень низкий человек.
3. Ходить вокруг да около – Говорить намеками, не касаясь сути дела.

В русской художественной литературе применение этих фразеологизмов придает языку выразительность и народность.

III Фразеологические сочетания – это такие устойчивые сочетания, значение которых мотивировано семантикой составляющих их компонентов, один из которых имеет фразеологически связанное значение.

1. Бархатный сезон (но не бархатный месяц).
2. Потупить взор (голову).
3. С корабля на бал.
4. Звездный час.

Некоторые фразеологические сочетаниянередко варьируются, используя в словосо-

чтаниях синонимы, смысловые значения от этого не меняются.

1. Страх, зависть, злость берет.

2. Одержать победу – одержать вверх.

Фразеологизмы классифицируются также по источникам их происхождения: общеславянские, восточнославянские, собственно русские и старославянские.

1) Примерами общеславянских фразеологизмов являются: брать за живое, ни рыба ни мясо, гол как сокол;

2) Восточнославянские – подложить свинью, ни кола ни двора, при царе Горохе.

3) Собственно русские: тянуть канитель – заниматься чем-то однообразным, во всю Ивановскую, сматывать удочки, (постепено уходить), аршин проглотил (держаться неестественно прямо), куда Макар телят не гонял (выслать, загнать в очень отдаленные места).

4) Старославянские: глас вопиющего в пустыне, хлеб насущный, в поте лица, запретный плод, земля обетованная, манна небесная, притча во языце.

5) Античная мифология стала также источником пополнения фразеологизмов русского языка:

1. Дамоклов меч – постоянно угрожающая кому-нибудь опасность.

2. Гордиев узел – трудно разрешимое запутанное дело.

3. Ахиллесова пятна – слабое, уязвимое место.

4. Прокрустово ложе- мерило, к которому насищенно подгоняют или приспособливают что-либо или кого-либо.

5. Фразеологизмы, которые вошли в русский язык из европейских языков.

«Буря в стакане воды» — спор, шум из-за пустяков.

«Оставь надежду всяк сюда входящий».

«Быть или не быть» , «Принцесса на горшине».

Высказывания великих людей:

«А все-таки она вертится» (земля) (Галилей).

«Я знаю то, что ничего не знаю» (Сократ).

«Я мыслю, значит существую» (Декарт).

Некоторые фразеологизмы представляют собой буквальный перевод с языка источника:

1. «Время-деньги» - максимально с пользой использованное время.

2. «Убить время» - заняться каким-либо случайным делом, чтобы время прошло быстро.

3. «Вот где собака зарыта» - именно в этом истинная причина, главная суть дела.

Использование фразеологизмов в речи придает ей живость и образность, а замена словарных компонентов фразеологизмов используется для придания им иронического значения.

1. Хорошо смеется тот, кто смеется без последствий (кто смеется последним).

2. Пришел? Увидел? Помоги! (пришел? увидел? взял!).

3. Критика почтила роман молчанием.

Скрещение, соединение нескольких выражений также используется в русской речи и придает фразеологизмам более значимое звучание:

1. «Не потому ли молчание золото, что оно знак согласия»?

2. «Разделяй чужое мнение и властвуй».

3. «Жил своей жизнью за чужой счет».

Многие шутки в русском языке также основаны на двуплановом осмыслиении и восприятии фразеологизмов:

1. «Пьеса наделала много шума: во всех ее действиях стреляли».

2. «Мудрецы и зубные врачи смотрели в корень».

3. «Пожарные всегда работали с огнемком».

4. «Попал в переплет, но утешился, прочитав свое имя на обложке».

Фразеологические неологизмы в русской художественной речи выполняют экспрессивную функцию:

1. «Слынет за то он человеком долга, что никому еще не отдал долга».
2. «Скромность украшает даже тех, кому она не к лицу».

При употреблении фразеологизмов допускаются такие ошибки, как добавление лишних, ненужных слов. Это происходит из-за незнания значения всех составляющих компонентов данной фразеологии:

1. «Потерпеть полное фиаско» - слово «полное» – лишнее, так как «фиаско» – это полный провал.
2. «Веселый гомерический смех» - гомерический смех по имени древнегреческого поэта Гомера, необычной силы, с громовым хохотом.

Сокращение состава фразеологизма также считается ошибкой и во многих случаях искаивает значение сказанного:

1. Углубляющее обстоятельство. Здесь пропущено слово «вину». Правильно – Углубляющее вину обстоятельство.
2. Успехи этого студента желают лучшего. Правильно – Успехи этого студента оставляют желать лучшего.

Пословицы, будучи законченным высказыванием и по своим иносказательным содержаниям, также являются разновидностью фразеологизмов.

1. «Овчинка выделки не стоит».
2. «Большому кораблю большое плавание».
3. «Куй железо, пока горячо».

Поговорки, структурно сформированные в предложении, также являются разновидностью фразеологизмов.

1. «Когда я ем, я глух и нем».
2. «В тесноте, да не в обиде».

3. «Уговор дороже денег».

Крылатые выражения, независимо от того, к какому литературному источнику они относятся, могут быть прототипами фразеологизмов русского языка.

«Калиф на час» (человек, завладевший властью на короткое время).

«Демьянова уха», «Лебединая песня», «Сражаться с ветряными мельницами».

В массе своей фразеологизмы – явление разговорной речи, поэтому по своей характеристике они различаются, во-первых, как просторечные: «лезть в бутылку», «благим матом», «кишка тонка», «олух царя небесного», «наломать дров».

Во-вторых, грубо-просторечные: «ни кожи ни рожи», «отворачивать рыло», «катись колбаской», «давать по шапке», в-третьих, книжные: «куриль филиам», «кануть в Лету», «камень преткновения», «повергать в прах».

Правильное и уместное использование фразеологизмов придает речи особую выразительность, образность, меткость, повышает культуру речи и, что особенно важно, отражает трудовую деятельность, быт и культуру людей.

Литература:

1. Анукин Н. С. «Крылатое слово» Гос. Издательство, Москва, 1960
2. Вендина Т. И. «Введение в языкознание», Москва, 2001
3. Мокиенко В. М. «Загадки русской фразеологии» Москва, Высшая школа, 1990
4. Булаховский Л. А. «Введение в языкознание» М, 1987.

**რუსული იდიომების ფარმომავლობის
შესახებ**

**გურამიშვილი ზ.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

**ABOUT ORIGIN OF RUSSIAN
IDIOMS**

**Guramishvili Z.
Georgian Technical University**

სტატიაში განხილულია რუსული ფრაზე-
ოლოგიზმების წარმომავლობა, რომელთა უმ-
ეტესობა წარმოიშვა თვით რუსულ ენაში ან
შემორჩენილია წინაპრების ენიდან.

ასევე განხილულია წარმომავლობის სხვა
წყაროები: ნასესხებია ფრაზეოლოგიზმები
ძველი სლავური და დასავლეთ ევროპული ენ-
ებიდან. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეუ-
ლია წყაროების საავტორო ფრაზეოლოგიზმე-
ბზე, რომლებიც წარმოიშვა მხატვრული ლიტ-
ერატურის ნაწარმოებებში.

The origination of Russian idioms are con-
sidered in the presented article. The most part of
them arose from Russian language, or are pre-
served from the language of ancestors.

Other sources of origination are also stud-
ied. The idioms are borrowed from old Slavonic
and west European languages. Special attention
is paid to the source of the authors' idioms that
arose in works of literature.

საბეჭისმეტყველო დისციპლინა

ЕСТЕСТВОВЕДЧЕСКИЕ ДИСЦИПЛИНЫ

SCIENCE

იმულებითი რეაგების განტოლების მიღება ენერგეტიკული ხერხი

იზო ლექვიანიძე, აკადემიური დოქტორი,
ქუთაისის აკად. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გურამ ჩიხლაძე, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

როგორც ცნობილია, რხევები არის პერიოდული, ანუ დროსა და სივრცეში განმეორებადი და ბუნებრივ პირობებში სხვადასხვა მიზეზის გამო (მექანიკური რხევები მიიღევა სისტემაში წინააღმდეგობის ძალების არსებობის გამო, ელექტრომაგნიტური – რხევით კონტურში სადენებში აღძრული სითბური დანაკარგების შედეგად) სწრაფად მიღევადი პროცესი,. ულევი რხევების მიღების მიზნით რხევის მიღევის გამომწვევი ენერგეტიკული დანაკარგები უნდა ივსებოდეს გარედან – უნდა განხორციელდეს ე.წ. იძულებითი რხევები. თეორია გვაწვდის იძულებითი რხევების განოლების მიღების ე.წ. **ძალურ ხერხს**, ანუ განიხილება სისტემაში არსებული ძალების თანაფარდობა, საიდანაც მიიღება შესაბამისი რხევის განტოლება. ამავდროულად, მეთოდური თვალსაზრისით, მიზანშეწონილია პროცესის ენერგეტიკული აღწერა, რომელიც გაცილებით ადვილად აღიქმება შესწავლისას. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში იძულებითი რხევების განტოლების მიღება ენერგეტიკული ხერხით არ არსებობს. სწორედ ამ „თეორი ლაქის“ ამოშლა აქვთ გადაწყვეტილი ავტორებს წინამდე-

ბარე ნაშრომში. ჩვენ გადავწყვიტეთ მიგვედო იძულებითი მექანიკური რხევების განტოლება მათემატიკური და ზამბარიანი საქანებისთვის და იძულებითი ელექტრომაგნიტური რხევების განტოლება. ამით დასრულდება რხევების შესწავლა.

მათემატიკური საქანი

როგორც ცნობილია, მათემატიკურ საქანში რხევისას საქანის უკიდურესი გადახრის წერტილში არსებული პოტენციური ენერგია გარდაიქმნება წონასწორობის წერტილის გავლისას საქანის კინეტიკურ ენერგიად. ულევი რხევის მისაღებად საჭიროა, რომ საქანის მოძრაობისას მასზე მოქმედი ბლანტი ხახუნის ძალის დაძლევაზე დახარჯული ენერგია შეივსოს გარედან – გარე წყაროდან. შედეგად სისტემის სრული ენერგია უცვლელი რჩება, ასე რომ, რხევითი სისტემის აღმწერი სრული ენერგეტიკული სურათი შემდეგ სახეს იღებს:

$$E_3 + E_3 + A_\phi - A_{\phi, \text{ext}} = \text{const},$$

$$\frac{mgh}{2} + \frac{mv^2}{2} + r\omega x - Fx = \text{const}.$$

პოტენციურ ენერგიაში წევრი, $h/2$ გაჩნდა იმის

გამო, რომ ჩვენ ვსაზღვრავთ მერჩევი ნივთიერი წერტილის დაცილებას ჰორიზონტან, ნებისმიერად არჩეულ წერტილში, როგორც უდიდესი სიმაღლის საშუალო არითმეტიკულს. ეს სიმაღლე გამოითვლება პროპორციიდან

$$\frac{h}{x} = \frac{x}{l},$$

შედეგად, რჩევის განტოლება გადაიწერება შემდეგი სახით:

$$\frac{mgx^2}{2F} + \frac{mv^2}{2} + rux - Fx = \text{const}$$

დროში არსებულ ცვლილებებშე დაკვირვების მიზნით გავაწარმოოთ ეს განტოლება დროით:

$$\frac{2mgxx'}{2F} + \frac{2mv^2}{2} + rux' - Fx' = 0,$$

2-ებისა და სიჩქარეზე ($v = x'$) შეკვეცისას და იმის გათვალისწინებით, რომ აჩქარება სიჩქარის პირველი და კოორდინატის მეორე წარმოებულია დროით ($a = v = x'$), ვიღებთ:

$$\frac{mgx}{F} + mx'' + rx' - F = 0.$$

ახლა ყველა წევრი გავყოთ მასაზე, გარე ძალა გადავიყვანოთ ტოლობის მეორე მსარეს, დავალავოთ წევრები გაწარმოების ხარისხის შემცირების მიხედვით და ცნობილი აღნიშვნების

$$\frac{g}{F} = \omega_0^2, \quad \frac{r}{m} = 2\beta, \quad \frac{F}{m} = f$$

შემოღებით მივიღებთ:

$$x'' + 2\beta x' + \omega_0^2 x = f_m \sin \omega t,$$

რაც იძულებითი რჩევების განტოლებას წარმოადგენს. მისი ამონახსნი მოცემულია სტანდარტული სახით

$$x = x_m \cos(\omega t + \varphi).$$

მაშასადამე, ჩვენ მივაღწიეთ დასახულ მიზანს.

ზამბარიანი საქანი

ახლა მსგავსად მოვიქცეთ ზამბარიანი საქანის შემთხვევაში – ცხადია, საწყისი განტოლება წინა შემთხვევის ანალოგიურია გავაწარმოოთ ეს განტოლება დროით:

$$E_J + E_J + A_0 - A_{\delta \omega J} = \text{const},$$

$$\frac{kx^2}{2} + \frac{mv^2}{2} + rux - Fx = \text{const}.$$

$$\frac{2kxx'}{2} + \frac{2mv^2}{2} + rux' - Fx' = 0,$$

ისევ ჩვეული ქმედებების გატარებით მივიღებთ:

$$kx + mx'' + rx' - F = 0.$$

ახლა ისევ ყველა წევრი გავყოთ მასაზე, გარე ძალა გადავიყვანოთ ტოლობის მეორე მსარეს, დავალავოთ წევრები გაწარმოების ხარისხის შემცირების მიხედვით და

$$\frac{k}{m} = \omega_0^2, \quad \frac{r}{m} = 2\beta, \quad \frac{F}{m} = f$$

აღნიშვნების შემოღებით მივიღებთ:

$$x'' + 2\beta x' + \omega_0^2 x = f_m \sin \omega t,$$

რაც იძულებითი რჩევების განტოლებას წარმოადგენს. მისი ამონახსნია

$$x = x_m \cos(\omega t + \varphi).$$

მაშასადამე, ჩვენ ამ შემთხვევაშიც სწორად ვიმოქმედეთ.

და ბოლოს, მივიღოთ რჩევით კონტურში აღძრული იძულებითი ელექტრომაგნიტური რჩევების განტოლება.

რჩევითი კონტური

როგორც ცნობილია, რჩევით კონტურში კონდენსატორში დაგროვილი ელექტრული ენერგია გარდაიქმნება დენიანი კოჭის მაგნიტურ ენერგიად. ამ დროს ენერგეტიკულ დანაკარგებს წარმოადგენს სადენებში დენის გავლისას გამოყოფილი სითბო. ულევი რჩევების მიღებისას ამ დანაკარგებს აღაღებენ გარე წყარო (ε – გარე ე.მ. ძალა), შესაბამისად კონტურს პერიოდულად მიეწოდება დანაკარგების ეკვივალენტური ენერგია. რჩევით კონტურში ენერგეტიკული სურათი შემდეგია:

$$W_C + W_L + Q - A_{\delta \omega J} = \text{const},$$

$$\frac{q^2}{2C} + \frac{Li^2}{2} + L^2 R t - \varepsilon I t = \text{const}$$

გავაწარმოოთ ეს განტოლება დროით:

$$\frac{2qq'}{2C} + \frac{2Lit}{3} + i^2R - Et = 0.$$

კვლევაზე 2-ზე და დენზე ($i = q'$) და ვითვალისწინებთ, რომ დენის პირველი წარმოებული მუხტის მეორე წარმოებულია ($i = q$):

$$\frac{q}{C} + Lq'' + q'R = E.$$

ყველა წევრის კოჭას L ინდუქციურობაზე გაყოფით და შესაბამისი

$$\frac{L}{LC} = \omega_0^2, \quad \frac{R}{L} = 2\beta, \quad \frac{E}{L} = \varepsilon.$$

აღნიშვნების შემოღებით საბოლოოდ ვიღებთ იძულებითი ელექტრომაგნიტური რხევების განტოლებას

$$q'' + 2\beta q' + \omega_0^2 q = \varepsilon_m \sin \omega t,$$

რაც ჩვენი კვლევის საბოლოო მიზანს წარმოადგენს. ამონასნი ასევე სტანდარტული ფორმითაა წარმოდგენილი $q = q_m \cos(\omega t + \varphi)$.

ВЫВОД УРАВНЕНИЯ ВЫНУЖДЕННЫХ КОЛЕБАНИЙ ЭНЕРГЕТИЧЕСКИМ СПОСОБОМ

*Izo Lekvianidze, Кутаисский Государственный университет им. Акакия Церетели, академический доктор
Г. Г. Чихладзе, Грузинский технический университет, ассоц. профессор*

В представленной статье выводятся уравнения вынужденных колебаний в различных колебательных системах: в математическом и пружинном маятниках, а также в колебательном контуре. Вывод уравнения осуществляется энергетическим способом, по сей день не представленным в научной литературе. Во всех случаях уравнение получается в стандартной форме, что доказывает эффективность предложенного способа.

RECEPTION OF THE EQUATION OF FORCED OSCILLATIONS BY THE ENERGETIC METHOD

*Izo Lekvianidze, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, academic doctor
G.G. Chikhladze, Georgian Technical University, Tbilisi, associated professor*

In presented article the equations of forced oscillations for different oscillating systems: for mathematical and spring pendulums as well, as for the oscillating contour, are received by energetic method still not presented in scientific literature. In all cases the equation is received in the standard form that proves the effectiveness of the suggested method.

ლიტერატურა

1. G.G. Chikhladze, V.I. Kvintradze. Summary in Physics. First Part. GTU. 2006
2. G.G. Chikhladze, V.I. Kvintradze. Summary in Physics. Second Part. GTU. 2007.
3. გ. ჩიხლაძე, ი. კალანდაძე. „სუფთა ექსპერიმენტის“ ცნების შესახებ. სგმა ჟ. „მოამბის“ დამატება, შრომები, 11. გვ.34-36. 2008.

პარალელი ჯგუფები (GROUPS) AUTOCAD-ში და მისი გამოყენება

ნანა ნოზაძე, გოჩა ჩიტაიშვილი, მანანა ნოზაძე

AutoCAD-ი მსოფლიოში გამოჩენისთანავე ყველაზე პოპულარული საინჟინრო პროგრამული პაკეტი გახდა. დღეს დღეობით კი იგი ლიდერია სხვა CAD-ის სისტემებთან შედარებით. სისტემის სახელწოდება არის შეკვეცილი სახელი **Automated Computer Aided Drafting and Design** ავტომატური კომპიუტერული ხაზები და დაპროექტება.

AutoCAD-ის ხელსაწყო **Groups** (ჯგუფები) უზრუნველყოფს ნახატის ელემენტების მარტივად გაერთიანებას. აქედან გამომდინარე ჯგუფი წარმოადგენს ობიექტების ნაკრებს, რომელთა მართვა ხდება როგორც ერთი ობიექტის. იგი განეკუთვნება ბლოკების (**Block**) ჯგუფს. ჯგუფში შესაძლებელია შემადგენელი კომპონენტების ცვლილება მათი დამატების ან გამოკლების საშუალებით. აქვე აღვნიშნოთ, რომ ერთი ობიექტი შესაძლებელია ეკუთვნიდეს ერთზე მეტ ჯგუფს.

ბლოკის მსგავსად ჯგუფს შევვიძლია: მივანიჭოთ სახელი, გავაერთიანოთ რამოდნიმე ობიექტი ასევე შესაძლებელია ჯგუფს შევუცვალოთ სახელი, და ვიმოქმედოთ მასზე როგორც ერთ ობიექტზე (მოვახდინოთ მისი გადაადგილება, კოპირება, მობრუნება და ა.შ.).

ჯგუფის უპირატესობებია: ჯგუფს შეიძლება დავამატოთ ან გამოვაკლოთ ობიექტები, შესაძლებელია, ჯგუფის ცალკეული ობიექტების რედაქტირება ასევე შესაძლებელია ცალკეულ ობიექტებს ჰქონდეთ განსხვავებული თვისებები.

ჯგუფის ნაკლი : შეუძლებელია შექმნილი ჯგუფის გამოყენება სხვა ნახატში, ჯგუფის განახლება არ იწვევს იგივე სახელის მქონე სხვა ჯგუფების განახლებას.

Groups-მა(ჯგუფებმა) განიცადა მრავალი ცვლილება. **AutoCAD**-ის ძველ ვერსიებში ჯგუფის მართვისათვის ძირითადად გამოი-

ყენებოდა ბრძანებების სტრიქონი, **AutoCAD 2012**-ის შემდგომ ვერსიებში გამოჩნდა ახალი პანელი **Groups**(ჯგუფები). მაგრამ აქვე აღვნიშნოთ, რომ კლასიკური დიალოგური ფანჯარა **Object Grouping** (ობიექტების დაჯგუფება) კვლავ ხელმისაწვდომია. ამ ახალმა პანელმა ძალიან გაამარტივა ჯგუფის თვისების გამოყენება.

ჯგუფის შესაქმნელად დავხაზოთ რამოდნიმე ობიექტი შემდეგ კი გამოვიძახოთ ხელსაწყო **Groups** (ჯგუფები)

MenuBar ⇒ Tools ⇒ Group (სურ. 1) ან ბრძანებების სტრიქონში კლავიატურის მეშვეობით ავტოიფოთ

Group ⇒ Enter ან ასევე


Tabs⇒Home⇒Ribbon⇒Groups⇒Group 

ჯერ შევქმნათ **Groups** (ჯგუფები) სახელის გარეშე (სურ. 2) გამოვიყენოთ ზემოთ აღწერილი მეთოდებისაგან ერთ-ერთი.


ბრძანების მიცემის შემდეგ **AutoCAD**-ი მოგვცემს შემდეგ მითითებას:

Select objects or [Name/Description]:

შეარჩიე ობიექტები ან [სახელი/აღწერა]: მოვნიშნოთ ობიექტები და ⇒ **Enter** რის შემდეგ გაც მოხდებაუსახელო ჯგუფის შექმნა. მიუხდავად იმისა, რომ ამ ჯგუფს ჩვენ არ მივანიჭეთ სახელი მას **AutoCAD**-ი ავტომატურად მიანიჭებს სახელს *A1. უსახელო ჯგუფი არ გამოჩენდება დიალოგურ ფანჯარაში **Object Grouping** (ობიექტების ჯგუფები) თუ არ იქნება მონიშნული ველი **Include Unnamed Groups** (ჩასვი უსახელო ჯგუფებიც).



სურ. 1.



სურ. 3.

ახლა შევქმნათ **Groups** (ჯგუფები) სახელით (სურ. 3) ისევ გამოვიყენოთ ზემოთ აღწერილი მეთოდებისაგან ერთ-ერთი.

Group (ჯგუფი) ბრძანების მიცემის შემდეგ AutoCAD-ი მოგვცემს შემდეგ მითითებას:


objects or [Name/Description]: შეარჩიე ობიექტები ან [სახელი/აღწერა]: ავკრიფოთ **N** (Nameსახელი) ⇒ **Enter** შემდეგი მითითება იქნება **Enter a group name or [?]:** (შეიყვანე ჯგუფის სახელი ან [?]): შევიყვანოთ სახელი მაგალითად **EQVSKUTKHEDEBI** (აქვე აღვნიშნოთ რომ სახელის მითითების დროს ინტერვალის გამოყენება არ შეიძლება) ⇒ **Enter** შემდეგი მითითება იქნება **Select objects or [Name/Description]:** შეარჩიე ობიექტები ან [სახელი/აღწერა]: მოვნიშნოთ ობიექტები და ⇒ **Enter** რის შემდეგაც ჯგუფის შექმნა დასრულდება.

გამოვიძობოთ დიალოგური ფანჯარა **Object Grouping** (ობიექტების დაჯგუფება) (სურ. 5). რისთვისაც თაგუნას მარცხენა ღილაკით დავაწაპუნოთ მინიატურაზე **Group Manager** (ჯგუფის მენეჯერი) რომელის


განთავსებულია პანელში **Groups** (ჯგუფები).

Tabs⇒Home⇒Ribbon⇒Groups⇒Group Manager (სურ. 4)

როგორც 5-ე სურათიდან ჩანს დაილოგურ ფანჯარაში **Object Grouping** (ობიექტების დაჯგუფება) ჩანს მხოლოდ ერთი ჯგუფი **EQVSKUTKHEDEBI**, რადგან არ არის მონიშნული ველი **Include Unnamed Groups** (ჩასვი უსახელო ჯგუფებიც) და არ ჩანს უსახელო ჯგუფი. თუ კი მოვნიშნავთ ამ ველს მაშინ მას დაემატება კიდევ ერთი ჯგუფი ***A1** (სურ. 6). როგორც ამ დიალოგური ფანჯრიდან ჩანს (სურ. 6) მიმდინარე ნახაზში გვაქვს მხოლოდ ორი, ერთსახელიანი და ერთი უსახელო ჯგუფი.



სურ. 4.




სურ. 5.




სურ. 6.


ახლა განვიხილოთ ჯგუფის ზოგიერთი თავისებურებები. ჯგუფის მონიშვნის რამოდენიმე გზა არსებობს, შესაძლებელია ჯგუფის მონიშვნა როგორც სახელის საშუალებით ასევე ჯგუფის ერთ-ერთი ობიექტის მონიშვნაც. პანელზე **Groups** (ჯგუფები) არსებული ღილაკი **Group Selection On/Off** (ჯგუფის მონიშვნის ჩართვა/გამორთვა) საშუალებას გვაძლევს, მოვნიშნოთ მთლიანად ჯგუფი ან მისი ერთი ან რამდენიმე ელემენტი. თუ ჩართულია ხელსაწყო **Group Bounding Box** (ჯგუფის საზღვარი მართვული ხედი) მოინიშნება მხოლოდ ჯგუფი (სურ. 7), ხოლო თუ იგი გამორთულია მაშინ, შესაძლებელია როგორც ჯგუფის ასევე ცალკეული ელემენტების მონიშვნა. აქვე შეგახსენებთ, რომ AutoCAD-ში აქტიური ღილაკები ცისფერი ფერისაა.



სურ. 7.



სურ. 8.




სურ. 9.

როდესაც ღილაკი **Group Selection On/Off** აქტიურია (ჩართულია), მაშინ ხდება მთელი ჯგუფის მონიშვნა. მიუხედავად ამისა შესაძლებელია მისი ცალკეული ელემენტის მოდიფიცირება. ჯგუფის მონიშვნის შემდეგ გამოჩნდება პალიტრა **Quick Properties** (სწრაფი თვისებები) და თუ ჩვენ კურსორს მივუახლოვებთ ნებისმიერ სახელურს გამოჩნდება ასევე კონტექსტური მენიუ (სურ. 8), რომელიც იძლევა ჯგუფში შემავალი ობიექტების რედაქტირების საშუალებას. სახელულების საშუალებით შესაძლებელია ობიექტების გადაადგილება, ხოლო კონტექსტური მენიუში არსებული პუნქტებით:


- **Stretch Vertex** (წვეროების გაფიმვა) – წვეროების გაწელვა.
- **Add Vertex** (დაამატე წვეროები) – წვეროების დამატება.
- **Remove Vertex** (გადაადგილე წვეროები) – წვეროების გადაადგილება.

ზემოთ აღწერილი ზოგიერთი მაგალითის შესრულება ნაჩვენებია 9-ე სურათზე. რაც შექმნება პალიტრას **Quick Properties** (სწრაფი თვისებები) იგი გვიჩვენებს, რომ ამ ჯგუფში შედის ცხრა ობიექტი (სურ. 9) აქედან ოთხი არის **Line** (მონაკვეთი), ოთხი **Polyline** (პოლი-წრფე)და ერთი **Circle** (წრეწირი). ამ ჩამონათვალიდან შევარჩიოთ ერთ-ერთი მათგანი მაგალითად, **Circle** (წრეწირი). მისი შერჩევის შემდეგ პალიტრა **Quick Properties** (სწრაფი თვისებები) გაიზრდება და მოგვცემს წრეწირის თვისებების ჩამონათვალს რომელთა ცვლილებითაც შევიძლია წრეწირის თვისებების ცვლილება (ჩვენს შემთხვევაში შეცვლილია წრეწირის ფერი (სურ. 10)).


როდესაც ღილაკი **Group Selection On/Off** არ არის აქტიური (გამორთულია), მაშინ შესაძლებელია ჯგუფში შემავალი თითოეული ელემენტის მონიშვნა და მოდიფიცირება.



სურ. 10.



სურ. 11.



სურ. 11.

განვიხილოთ პალიტრის **Groups** (ჯგუფები) კიდევ ერთი ხელსაწყო, **Group Edit** (ჯგუფის რედაქტირება). იგი ჯგუფის მოდიფიცირების საშუალებას გვაძლევს. როდესაც **Group Edit** (ჯგუფის რედაქტირება) აქტიურია (ჩართულია) შესაძლებელია როგორც ჯგუფის ასევე მისი ცალკეული ობიექტის გადაადგილება, კოპირება, მობრუნება და ა.შ.

Tabs⇒Home⇒Ribbon⇒Groups⇒ Group Edit ⇒პროგრამა მოგვცემს შემდეგ მითითებას **Select group or [Name]:** (შეარჩიე ჯგუფი ან [სახელი]):) ჯგუფის მონიშვნა შესაძლებელია როგორც სახლის მითითებით ასევე პირდაპირ კურსორი მივუახლოვოთ შერჩეულ ჯგუფს და დავაწყაპუნოთ თაგუნას მარცხნა ღილაკზე ⇒ შემდეგი მითითება იქნება **Enter**

an option [Add objects/Remove objects/RE-Name]: (შეიყვანე არჩევანი [დაამატე ობიექტი/გაუქმე ობიექტი/შეუცვალე სახელი]):) მოღით დავამატოთ ერთი ობიექტი ჯგუფს ამიტომ ავკრიფოთ A ⇒ Enter შემდეგი მითითება იქნება **Select objects:**(შეარჩიე ობიექტები) აქ ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ წინასწარ დახაზული ერთი ან რამოდენიმე ობიექტი. ჩვენს შემთხვევაში მოვნიშნეთ წინასწარ დახაზული მართკუთხედი (სურ. 12) ⇒ Enter რის შემდეგაც მოხდება შერჩეული ობიექტის ჯგუფისათვის დამატება.

პალიტრაში **Groups**(ჯგუფები) არის კიდევ ერთი ხელსაწყო **Ungroup**(ჯგუფის გაუქმება)  . მისი დახმარებით ხდება უკვე შექმნილი ჯგუფუს გაუქმება (დაშლა).

Tabs⇒Home⇒Ribbon⇒Groups⇒ Ungroup  პროგრამა მოგვცემს მითითებას **Select group or [Name]:** (შეარჩიე ჯგუფი ან [სახელი]):) მოვნიშნოთ ჯგუფი ჯგუფის მონიშვნისთანავე მოხდება ჯგუფის გაუქმება რის შესახებაც პროგრამაც მოგვცემს მითითებას **Group exploded** (ჯგუფი გაუქმდა, დაიშალა).

ხელსაწყო **Groups** - ის გამოყენება შესაძლებელია სამგანზომილბიანი მყარი სხეულების შეერთებისთვისაც, იმ შემთხვევაში თუ არ გვინდა გამოვიყენოთ ლოგიკური ოპერაციები.

ლიტერატურა:

1. AutoCAD 2013and AutoCAD LT 2013 no experience required. Donnie Gladfelter. Copyright © 2012 by John Wiley & Sons, Inc., Indianapolis, Indiana Published simultaneously in Canada ISBN: 978-1-118-28174-1. 2013.

2. Tutorial Guide to AutoCAD 2013. Shawna Lockhart. Schroff Development Corporation P.O.Bos 1334 Mission KS 66222 (913) 262-2664 www.SDCpublications.com. ISBN: 978-1-58503-721-6. 2013.

ПАНЕЛЬ ГРУПП В АВТОКАДЕ И ЕЁ ИСПОЛЬЗОВАНИЕ

*Nana Nozadze, Gocha Chitaishvili,
Manana Nozadze*

Панель Groups в автокаде обеспечивает лёгкое объединение элементов чертежа. Исходя из этого, группа представляет совокупность объектов. С использованием инструментов Groups возможно объединение трёхмерных жёстких тел в том случае, если не хотим использовать логические операции.

PANEL GROUPS IN AUTOCAD AND THEIR USAGE

*Nana Nozadze, Gocha Chitaishvili,
Manana Nozadze*

AutoCAD tool „Groups” enables simple unification of drafts/figures. Accordingly group represents unity of objects. Usage of tool „Groups” is also possible for connecting 3D solids/solid bodies, in case we want to avoid using logical operations.

გერმანიუმის გავლენა მოცოპრისტალური სილიციუმის მიპროსისალჴჸა

და არადრეპარატურული მახასიათებლებზე

აკადემიუმის სიჭიროვა, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სილიციუმის ფუძეზე მართვადი ელექტრო-ფიზიკური მახასიათებლების მონოკრისტალური ფუძეშრეების შექმნის პრობლემისათვის მეტად მნიშვნელოვანია სხვადასხვა პირობებში მიღებული ლეგირებული ნიმუშების მიკროსტრუქტურისა და სტრუქტურულად მგრძნობიარე ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კომპლექსური კვლევა.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია მიმდინარეობს სილიციუმის თვისებების შესწავლა, მონაცემები სილიციუმისა და განსაკუთრებით სილიციუმ-გერმანიუმის შენადნობების მიკროსისალის სიდიდის სხვადასხვა ფაქტორებზე დამოკიდებულების შესახებ მცირეა[1]. ნაშრომში[2] შესწავლილია მიკროსისალის ანიზოტროპია Ge და Si-ში. ნაჩვენებია, რომ მიკროსისალე ინდენტირების სიღრმის ზრდასთან ერთად ეცემა და აღწევს სტაციონარულ მნიშვნელობას. ზედაპირის განმტკიცება დაკავშირებულია ნარჩენ დრეკად ძაბვებთან, რომლებიც მუდმივად ფორმირდებიან Si და Ge მონოკრისტალებში მექანიკური დამუშავების პროცესში. სილიციუმის მიკროსისალის სიდიდეზე თეთრი სინათლის გავლენის მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგენილია [3], რომ Si-ის ზედაპირის მახლობლობაში არსებობს თხელი, განმტკიცებული ფენა, რომელიც მიკროსისალის სიდიდის სიღრმეზე დამოკიდებულებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

ნაშრომში წარმოდგენილია მონოკრისტალური Si და $Si_{1-x}Ge_x$ ($x \leq 0.02$) ნიმუშების მიკროსტრუქტურის, მიკროსისალის სიდიდისა და არადრეკადი მახასიათებლების შესწავლის შედეგები. საცდელი ნიმუშები მიღებულია ჩოხალსკის მეთოდით. (111) სიბრტყეების მიკ-

როსტრუქტურა შესწავლილია ოპტიკურ მიკროსკოპზე NMM-800RF/TRF. შინაგანი ხახუნისა და რხევის სიხშირის განსაზღვრა განხორციელდა გრეხით რხევით ქანქარაზე. შინაგანი ხახუნის ინტენსივობის ფარდობით და ძვრის მოდულის აბსოლუტური მნიშვნელობები განსაზღვრულია ცნობილი მეთოდებით[4]. კვლევები შესწავლებულია 1, 0,5 და 0,25 მკდის კერულობის ალმასის მაპოლირებელი პასტებით დამუშავებულ (111) ორიენტაციის სიბრტყეებზე. არადრეკადი მახასითებლები შესწავლილია [111] მიმართულების პოლირებულ ნიმუშებზე.

მიკროსისალის კვლევა განხორციელდა კორპორაცია Shimadzu-ს DUH-211S სერიის დინამიური კვლევების ულტრა-მიკრო ტესტერზე. მიკროსისალის სიდიდის ინდენტორის მასალის სიღრმეში შეღწევაზე დამოკიდებულების კვლევითი სამუშაოები ჩატარდა სტანდარტული ოთწახნაგა კნუპის პირამიდის რელაქსირებული ანაბეჭდის დიაგონალების გაზომვის მეთოდით. თითოეულ დატვირთვაზე ფიქსირდებოდა ხუთი ანაბეჭდი, იზომებოდა ანაბეჭდის დიდი დიაგონალი, დატვირთვები ინდენტორზე იცვლებოდა 10-1000 mN-ის საზღვრებში. საკვლევი მასალის სიღრმეში ინდენტორის შეღწევის სიჩქარე განისაზღვრებოდა აეტომატურად და შეადგენდა 13,324 მნ/წმ-ს 10-200 მნ დატვირთვებისათვის, ხოლო 200 მნ-ზე მაღალი დატვირთვებისათვის 70,67 მნ/წმ-ს, დაყოვნების დრო მაქსიმალურ დატვირთვაზე შეადგენდა 5 წმ-ს.


მიკროსტრუქტურაში გამოვლენილია ქაოსურად განაწილებული სხვადასხვა ფორმისა და ზომების ქიმიური მოწამვლის ორმოები,

დეფორმაციული ხაზები და მათ განაწილებული დისლოკაციური წარმოშობის ფიგურები. გერმანიუმის მაღალი კონცენტრაციის შენადნობებში საგრძნობლად ამაღლებულია დისლოკაციური წარმოშობის მოწამვლის ფიგურების რაოდენობა.

ცნობილია, რომ სილიციუმში გახსნილი დიდი კოვალენტური რადიუსის მქონე გერმანიუმის ატომების ირგვლივ წარმოიქმნება გაჭიმვის დეფორმაციის ლოკალური უბნები, რის შედეგადაც მცირდება ატომთაშორის ურთიერთქმედების ძალები. ამით აიხსნება გერმანიუმის კონცენტრაციის გაზრდით სილიციუმის მიკროსისალის სიდიდის შემცირება. ამასთან ერთად იზრდება მინარევების დიფუზური აქ-

ტივობა და სხვადასხვა დისლოკაციების მოძრაობის პირობები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დეფექტების ურთიერთბლოკირება და, შესაბამისად, დინამიური განმტკიცება. ამის გამო მოსალოდნელია Si და Si-Ge ზედაპირულ შრეებში მიკროსისალის მნიშვნელოვნად გაზრდა.

ნახ.1-ზე ნაჩვენებია მიკროსისალის დამოკიდებულება ინდენტირების სიღრმეზე. მიკროსისალის სიღრმე (111) ზედაპირის მახლობლობაში ხასიათდება შედარებით მაღალი მაჩვენებლით. მასალაში შედწევის სიღრმის ზრდასთან შეიმჩნევა მიკროსისალის მნიშვნელობის მკვეთრი შემცირება, რომელიც შემდეგ გადადის გაჯერების მდგომარეობაში.



ნახ.1. მიკროსისალის დამოკიდებულება ინდენტირების სიღრმეზე:

◆ - Si(111) ○ – Si+0.6ატ.%Ge ▲ – Si+2.1ატ.%Ge

აღნიშნული ხასიათის მიკროსისალის სიღრმე დამოკიდებულება ცნობილია როგორც ინდენტირების ზომითი ეფექტი. გეომეტრიულად აუცილებელი დისლოკაციების ცნების წარმოდგენის საფუძველზე ვ.ნიქიშა და ჰ. გაო-მ[5] მიიღეს მიკროსისალის სიღრმე ინდენტირების სიღრმეზე დამოკიდებ-

ულების მარტივი ანალიტიკური გამოსახულება, რომელმაც შემდგომი განვითარება ნანოინდენტირების შემთხვევისათვის ჰქოვა ნაშრომში [6].

ცხრილში №1 წარმოდგენილია საცდელი ნიმუშების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების კვლევის შედეგები.

ცხრილი #1

საცდელი ნიმუშები	დისლოკაციების სიმკერივე, მ^{-2}	მაპოლირებელი ალმასის პასტის მარცვლის ზომა, მკ	შინაგანი ხახუნის ფარდობითი ინტენსივობა, 10^3	ძვრის მოდული, $\text{გგ}/\text{მმ}^2$
შინაგანი ხახუნის ფარდობითი ინტენსივობა, მკ	$2 \cdot 10^3$	1.0	1.8	4270
		0.5	1.2	4300
		0.25	0.7	4350
შინაგანი ხახუნის ფარდობითი ინტენსივობა, მკ+0.5ატ.%Gე	$5 \cdot 10^3$	1.0	2.4	4160
		0.5	1.7	4200
		0.25	1.1	4260
შინაგანი ხახუნის ფარდობითი ინტენსივობა, მკ+1.2ატ.%Gე	$1 \cdot 10^4$	1.0	3.0	4150
		0.5	2.2	4040
		0.25	1.5	4000

ექსპერიმენტულად დადგინდა, რომ საცდელ ნიმუშებში ოთახის ტემპერატურაზე შინაგანი ხახუნის ფარდობითი ინტენსივობა დაბალია, რაც დამახასიათებელია კრისტალებისათვის კოვალენტური ბმებით. პოლირების ხარისხის ამაღლებით შეინიშნება შინაგანი ხახუნის ფარდობითი ინტენსივობის შემცირება, ამასთან ერთად მკაფიოდ ვლინდება ძვრის დინამიური მოდულის სიდიდის ზრდის ტენდენცია. აღნიშნული თავისებურებები დამახასიათებელია ყველა საცდელი ნიმუშისათვის. შინაგანი ხახუნის ფარდობითი ინტენსივობა ერთხაირ პირობებში პოლირებულ ნიმუშებში იზრდება გერმანიუმის კონცენტრაციის პროპორციულად. ეს გარემოება კორელაციაშია დისლოკაციების სიმკერივის ზრდასთან, რითაც განისაზღვრება მექანიკური რხევების გაბნევის პროცესების გააქტიურება და, შესაბამისად, შინაგანი ხახუნის ფონის ინტენსივობის ზრდა.

ძვრის დინამიური მოდულის აბსოლუტური სიდიდე იზრდება მექანიკური პოლირების ხარისხის ამაღლების პროპორციულად. მისი მნიშვნელობები მაქსიმალურია მაღალი ხარისხით პოლირებულ ნიმუშებში. გერმანიუმის კონცენტრაციის გაზრდით ძვრის მოდულის მნიშვნელობები მცირდება, რასაც განაპირობებს შედარებით დიდი კოვალენტური რადი-

უსის გერმანიუმის ატომების არეში ლოკალურებული გაჭიმვის დეფორმაციის ველების და ატომთაშორისი კავშირის ბმების შესუსტება.

მიღებული შედეგების მიკროსკოპული მექანიზმების ღრმა ანალიზისათვის აუცილებელია სხვადასხვა ხარისხის დეფორმირებული ზედაპირების ნიმუშების სტრუქტურულად მგრძნობიარე ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კომპლექსური კვლევა. წარმოდგენილი ექსპერიმენტული მონაცემები სასარგებლოა Si-Ge კრისტალების ფუძეზე მართვადი სტაბილური მახასიათებლების მონოკრისტალური ფუძეშრეების შექმნის პრობლემებისათვის.

ლიტერატურა:

- ა. გერასიმოვი. ნახევარგამტარული ხელ-საწყოების შექმნის ტექნოლოგიური საფუძვლები. თბილისი, 2005, 236 გვ.
- М.С. Аблова, Н.Н. Феоктистова. ФТТ, 1964, т.6, в.1, с.116-122.
- А.Б. Герасимов, Г.Д. Чирадзе, Н.Г., Куттавадзе, А.П. Библашвили, З.Г. Бохочадзе. ФТТ, 1999, т.41, в.7, с.1225-1227.
- M.S. Blanter, I.S.Golovin, H. Neuhäuser, H.-R Sinning. Internal Friction in Metallic Materials. A Handbook. Springer Series in Materials Science, Vol. 90, 2007, XVII, 539 p.

5. W.D. Nix, H. Gao. J Mech Phys Solids. 1998;vol.46, pp.411-425.
6. F. Huang, F.Zhang, K.C.Hwang, W.D.Nix, G.M.Pharr, G.Feng. J Mech Phys Solids 2006; vol. 54, pp. 1668-86.
- defects in the structure of the surface and bulk of Si-Ge alloys.

INFLUENCE OF GERMANIUM ON MICRO HARDNESS AND INELASTIC CHARACTERISTICS OF SINGLE-CRYSTAL SILICON.

*Avtandil Sichinava
Georgian Technical University*

It is shown that germanium doping of silicon with concentration up to 2at.% causes reproduction of defects of dislocation origin and local change of interatomic forces. As a result the tendency to reduce micro hardness and dynamic shear modulus appears. At the same time the intensity of the internal friction background significantly increases. This may be due to an increase in the concentration of mobile

ВЛИЯНИЕ ГЕРМАНИЯ НА МИКРОТВЕРДОСТЬ И НЕУПРУГИЕ ХАРАКТЕРИСТИКИ МОНОКРИСТАЛЛИЧЕСКОГО КРЕМНИЯ

*Аvtandil Sichinava
Грузинский Технический Университет*

Показано, что легирование кремния германием с концентрацией до 2ат.% вызывает размножение дефектов дислокационного происхождения и локальное изменение сил межатомного взаимодействия. В результате таких изменений проявляется тенденция понижения микротвердости и динамического модуля сдвига. При этом заметно повышается интенсивность фона внутреннего трения, что может быть связано с возрастанием концентраций подвижных дефектов в поверхностной и объемной структуре сплавов Si-Ge.

რეალური სტრუქტურის გავლენა ბორით ლეგირებული SI-GE მონოკრისტალების ფიზიკურ-მატერიალურ თვისებებზე

ავთანდილ სიჭინავა, იაშა ტაბატაძე,
ა ყურაშვილი, გორგი ჩუბინიძე,
გორგი დარსაველიძე

ელექტრონულ და ოპტოელექტრონულ ხელსაწყოთმშენებლობაში გამოყენების მაღალი პერსპექტიულობა განაპირობებს მასიური მონოკრისტალური Si-Ge სისტემის შენადნობების სტრუქტურის, ელექტროფიზიკური და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კომპლექსურად შესწავლის აუცილებლობასა და აქტუალობას.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ბორით ლეგირებული მასიური მონოკრისტალური Si-Ge შენადნობების მიკროსტრუქტურის, ელექტროფიზიკური და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კომპლექსური კვლევა და ლეგირების, თერმული დამუშავებისა და მექანიკური ზემოქმედების გავლენით აღნიშნული თვისებების მახასიათებლების ცვლილებათა კანონზომიერებების დადგენა.


ნახევარგამტარული მასალების, პერძოდ მონოკრისტალური სილიციუმის ფუძე-შრეების დამზადების პროცესში ჭრისა და მექანიკური პოლირების გავლენით ზედაპირულ ფენებში ფორმირდება მაღალი კონცენტრაციის დეფორმაციული წარმოშობის დისლოკაციები და წერტილოვანი დეფექტები. ისინი მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ფუძეშრეების სტრუქტურულად-მგრძნობიარე მექანიკური და ელექტროფიზიკური მახასიათებლების მდგრადობას თერმული. დეფორმაციული და რადიაციული ზემოქმედების პროცესებში.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია არალეგირებული და ბორით ლეგირებული მონოკრისტალური სილიციუმ-გერმანიუმის შენადნობების სტრუქტურულად-მგრძნობიარე ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევის შე-

დეგები. ექსპერიმენტული ნიმუშები მიღებულია ჩოხრალსკის მეთოდით არგონის ატმოსფეროში EQ-SKJ-50CZ სისტემის ინდუქციური გახურების ღუმელში. მაღედებლად გამოყენებულია [111] ორიენტაციის Si:B მონოკრისტალური ძელაკები ზომებით $5 \times 5 \times 80 \text{ mm}^3$. მეტალოგრაფიული კვლევები განხორციელებულია ოპტიკურ მიკროსკოპზე NMM-800RF/TRF. შინაგანი ზანენისა და ძვრის დინამიური მოდულის ტემპერატურული სპექტრების კვლევა შესრულებულია ლაბორატორიულ დანადგარზე გრეხითი რხევების მიღვის ლოგარითმული დეკრემნტისა და სიზმირის რეგისტრაციის მეთოდით. ელექტროფიზიკური მახასიათებლები განსაზღვრულია $0,5 \text{ Hz}$ სლა ინდუქციის მუდმივ მაგნიტურ ველში Ecopia HMS3000 დანადგარზე.

ოპტიკური მიკროსკოპის მეთოდით არალეგირებული Si-Ge მონოკრისტალების მიკროსტრუქტურაში (111) სიბრტყეზე გამოვლენილია ქაოსურად განაწილებული დისლოკაციები. მათი სიმკვრივე არ აღემატება $5 \cdot 10^{18} \text{ cm}^{-2}$. ბორით ლეგირებული კრისტალების მიკროსტრუქტურაში შედარებით მაღალია მცირეზომის მოწამვლის დისლოკაციური ფიგურების რაოდენობა. $\text{Si}_{0.98}\text{Ge}_{0.02}\text{:B}$ (10^{18} cm^{-3}) მონოკრისტალის მიკროსტრუქტურაში შეინიშნება დეფორმაციული სრიალის ხაზები, რომლებიც შეიცავენ დისლოკაციების მოწამვლის ფიგურებს. დისლოკაციების მაღალი სიმკვრივე და არაერთგვაროვანი დეფორმაციით განპირობებული მათი არათანაბარი განაწილება დამახასიათებელია გერმანიუმისა და ბორის მაღალი კონცენტრაციით შემცველი Si-Ge მონოკრისტალებისათვის. Si:B-ის მაღედებლისა

და მასიური კრისტალის გამყოფი საზღვრის მახლობლობაში Si-Ge შენადნობების მიკროსტრუქტურაში გამოვლენილია ორუეულების შეჯგუფებები. მათი ჩასახვა განპირობებულია კრისტალიზაციის პროცესში ფორმირებული მაღალი ინტენსივობის თერმული ძაბვებით. ნახ.1.-ზე წარმოდგენილია სხვადასხვა შედგენილობის Si-Ge შენადნობების მიკროსტრუქტურის კვლევის შედეგები.



ნახ.1. მონოკრისტალური Si-Ge შენადნობების მიკროსტრუქტურა (111) სიბრტყეებზე

- ა.- Si +2,2ატ% Ge,
- ბ.- Si +2,2ატ% Ge:B (10^{14} სმ $^{-3}$)
- გ.- Si +2,2ატ% Ge:B (10^{16} სმ $^{-3}$)
- დ.- Si +2,2ატ% Ge:B (10^{18} სმ $^{-3}$)

[111] მიმართულების Si+0,5ატ%Ge მონოკრისტალის შინაგანი ხახუნის სპექტრში -50°C ტემპერატურის მახლობლობაში გრეხითი რხევების 0,83ც. სიხშირეზე გამოვლენილია განიერი მაქსიმუმი. სიხშირული გადანაცვლების ცნობილი მეთოდით [1] დადგინდა რელაქსაციური მაქსიმუმის აქტივაციის ენ-

ერგიის მნიშვნელობა და გამოთვლილია სიხშირის ფაქტორის სიდიდე (ცხრ.1).


მონოკრისტალური Si-Ge შენადნობების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები ცხრილი N1

საცვლელი მონოკრისტალები	ჯენის მატარებლების ჭანცენტრაცია, სმ $^{-3}$	რელაქსაციური მაქსიმუმის ტემპერატურა, °C	აქტივაციის ენერგია, კ	საწილის ფაქტორი, წგ $^{-1}$
Si+0,5ატ.%Ge	$1 \cdot 10^{12}$	-50	0,5	$6 \cdot 10^{11}$
Si+0,5ატ.%Ge:B	$3 \cdot 10^{12}$	-42	0,55-0,6	$5 \cdot 10^{12}$
Si+0,5ატ.%Ge:B	$1 \cdot 10^{18}$	-60	0,4	$3 \cdot 10^{11}$
Si+1,6ატ.%Ge	$5 \cdot 10^{12}$	-55	0,45	$2 \cdot 10^{11}$
Si+1,6ატ.%Ge:B	$8 \cdot 10^{14}$	-52	0,48-0,50	$7 \cdot 10^{11}$
Si+1,6ატ.%Ge:B	$5 \cdot 10^{18}$	-65	0,35	$1 \cdot 10^{10}$
Si+2,2ატ.%Ge	$2 \cdot 10^{12}$	-58	0,43-0,45	$4 \cdot 10^{10}$
Si+2,2ატ.%Ge:B	$4 \cdot 10^{14}$	-55	0,45	$2 \cdot 10^{10}$
Si+2,2ატ.%Ge:B	$6 \cdot 10^{18}$	-70	0,3	$1 \cdot 10^{10}$

არალეგირებული სილიციუმ-გერმანიუმის შენადნობები საწყის მდგომარეობაში ხასიათდებან დენის მატარებელი ხვრელების კონცენტრაციით $\sim 10^{12}$ სმ $^{-3}$. მოწვა 800°C ტემპერატურაზე 5სთ-ის განმავლობაში უმნიშვნელოდ ამცირებს ხვრელების კონცენტრაციას. ბორით ლეგირებული კრისტალები ხასიათდებან ხვრელების კონცენტრაციის ცვლილებით 10^{14} - 10^{18} სმ $^{-3}$ ინტერვალში. ბორით ლეგირებული გერმანიუმის კრისტალების მოწვა ვაკუუმში 800°C ტემპერატურაზე 5სთ-ის განმავლობაში $\sim 15\%$ -ით ზრდის დენის მატარებლების კონცენტრაციას.

გერმანიუმის კონცენტრაციის ამაღლებით 0,5-დან 2,2ატ. %-მდე Si-Ge შენადნობების შინაგანი ხახუნის სპექტრში შეინიშნება რელაქსაციური მაქსიმუმის ინტენსივობის ზრდა. ამასთან ერთად, მაქსიმუმი საგრძნობლად ფართოვდება და გადაადგილდება დაბა-

ლი ტემპერატურებისაკენ. შესაბამისად, ვლინდება რელაქსაციური პროცესის აქტივაციის ენერგიის შემცირების ტენდენცია.



ნახ.2. მონკრისტალური Si-Ge შენადნობების შინაგანი ხახუნისა (1, 2, 3) და ძვრის მოდულის (1', 2', 3') სპექტრები

1, 1'- Si+0,5ატ%Ge; 2, 2'- Si+2,2ატ%Ge;
3, 3'- Si+2,2ატ%Ge:B (10^{14}მ^{-3})

დაბალ ტემპერატურულ ინტერვალში შინაგანი ხახუნის სპექტრი ავლენს რხევის ამპლიტუდაზე დამოკიდებულებას, რაც მნიშვნელოვნად ძლიერდება -70 — -50 °C ტემპერატურებზე. ცნობილია, რომ [2] შინაგანი ხახუნის ამპლიტუდური დამოკიდებულება განპირდებულია დისლოკაციებისა და წერტილოვანი დეფექტების ურთიერთქმედებით.

მაღალი კონცენტრაციით (10^{18}მ^{-3}) ბორით ლეგირებული Si-Ge შენადნობების სტრუქტურულ-მკრნობიარე ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები ამჟღავნებენ შემცირების ტენდენციას. დაბალი ტემპერატურების მიმართულებით გადაადგილდება რელაქსაციური შინაგანი ხახუნის მაქსიმუმი. მცირდება რელაქსაციური პროცესის აქტივაციის ენერგია. არალეგირებული მონკრისტალებისაგან განსხვავებით მოწვა 800°C-ზე ვაკუუმში 5სთის განმავლობაში იწვევს ფიზიკურ-მექანიკური

მახასიათებლების დამატებით შემცირებას.

Si-Ge:B (10^{18}მ^{-3}) ნიმუშების მაღალამპლიტუდური ციკლური დეფორმაცია ($\approx 5 \cdot 10^{-3}$, ციკლების რაოდენობა-500) ოთახის ტემპერატურაზე საგრძნობლად ამცირებს რელაქსაციური პროცესის აქტივაციურ მახასიათებლებს, განაპირობებს შინაგანი ხახუნის ფონის სუსტ ტემპერატურულ ამაღლებას ოთახის ტემპერატურის არეში და მნიშვნელოვნად ამაღლებს (20%) რელაქსაციური პროცესის ინტენსივობას. დეფორმირებული ნიმუშების მოწვა ვაკუუმში 600°C-ზე 5სთ—ის განმავლობაში ახშობს ფიზიკურ მახასიათებლების შემცირება.

ცნობილია [3], რომ დაბალ ტემპერატურებზე მეტალური მყარი სხეულების შინაგანი ხახუნის ტემპერატურული სპექტრი ძირითადად დისლოკაციური წარმოშობისაა. ნახევარგამტარებში კრისტალის ზედაპირულ სტრუქტურაში მაღალი ძაბვების არსებობა პქმნის დისლოკაციის მოძრაობის პირობებს [4]. ზედაპირულ სტრუქტურაში არსებული დისლოკაციების მოწყვეტა დამაგრების წერტილებიდან განაპირობებს დისლოკაციური შინაგანი ხახუნის მაქსიმუმებისა და ფონის ფორმირებას.

მონკრისტალური Si-Ge შენადნობების დაბალტემპერატურული შინაგანი ხახუნის რელაქსაციური მაქსიმუმი ხასიათდება ძლიერი ამპლიტუდური დამოკიდებულებით. თეორიის თანახმად, აღნიშნული ბუნების რელაქსაციური პროცესები განპირობებულია დისლოკაციის ღუნვის მოწყვეტით დამაგრების წერტილოვანი დეფექტისაგან (ვაკანსია, მინარევის ატომი) [5].

შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია Si-Ge შენადნობების სპექტრებში დაბალტემპერატურებზე არსებული მაქსიმუმის მექანიზმად მიღებული იქნას დისლოკაციებზე არსებული ღუნვის მოწყვეტა წერტილოვანი დეფექტისაგან (ვაკანსია, უანგბადის ატომი).

ექსპერიმენტულად დადგენილი რელაქსაციური პროცესის აქტივაციის ენერგიის შემცირება ბორით ძლიერად ლეგირებულ Si-Ge

კრისტალებში გამოწვეულია დისლოკაციების ელექტრონული ბლოკირების შესუსტებით. ეს მოსაზრება თანხმობაშია ცნობილ თეორიულ წარმოდგენებთან [6].

ნაშრომში წარმოდგენილი მიკროსტრუქტურის, ელექტროფიზიკური და მექანიკური თვისებების კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის ზემოქმედების პირობებში (ლეგირება, თერმული დამუშავება, მაღალტემპერატურული დეფორმაცია) მასიური მონოკრისტალური Si-Ge შენადნობების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დიაგნოსტიკისა და მართვის შესაძლებლობათა დასადგენად.

ლიტერატურა:

1. М.А.Криштал, С.А.Головин. Внутреннее трение и структура металлов. М.: Металлургия, 1978, 380с.
2. С.А.Головин, А.Пушкар, Д.М.левин. Упругие и демпфирующие свойства конструкционных материалов, М.: Металлургия, 1987, 192с.
3. А.Новик, Б. Берри. Релаксационные явления в кристаллах. М., Атомиздат. 1974, 472с.
4. С.А.Антипов, А.И.Дрожжин, И.В.Мишин, А.М. Рошупкин. ЖТФ. 1987,57 № 12, с.2382-2384.
5. F. Calzecchi, P. Gondi and S. Mantovani. J. Applied Physics, v. 40 1969, p.4798-4806.
6. A. Pushkar. Internal friction in metals and alloys. London, 2005, 640p.

ВЛИЯНИЕ РЕАЛЬНОЙ СТРУКТУРЫ НА ФИЗИКО-МЕХАНИЧЕСКИЕ СВОЙСТВА МОНОКРИСТАЛЛОВ SI-GE , ЛЕГИРОВАННЫХ БОРОМ

*A. B. Сичинава, Я.М.Табатадзе,
И.Р.Курашивили, Г.Г.Чубинидзе,
Г.Ш.Дарсавелиძე*

Исследованы микроструктура, электрофизические характеристики и температурные спектры внутреннего трения и динамического модуля сдвига монокристаллов Si-Ge, легированных бором. В температурном спектре внутреннего трения обнаружен релаксационный максимум деформационного происхождения. Определены активационные характеристики дефектов, ответственных за указанный релаксационный процесс. Обсуждено влияние легирования и деформации на структурно-чувствительные физико-механические свойства сплавов Si-Ge.

INFLUENCE OF THE REAL STRUCTURE ON PHYSICAL -MECHANICAL PROPERTIES OF BORON DOPED SI-GE MONOCRYSTALS

*A.Sichinava, I.Tabatadze, I.Kurashvili,
G.Chubinidze, G.Darsavelidze*

Microstructure, electrophysical characteristics and temperature spectra of internal friction and dynamical shear modulus of boron doped Si-Ge monocrystals have been investigated. In the internal friction temperature spectrum relaxation origin maximum has been revealed. Activation characteristics of defects motion responsible for that relaxation process have been determined. Influence of doping and deformation on structural-sensitve physical-mechanical properties of Si-Ge alloys have been discussed.

დრეპალი სისტემის უძაღვენელი ელემენტის სისტემის პროცესის რატიოალური სიზიდის განსაზღვრა დარტყმის დროს


ამზორ ხაბეიშვილი, ნინო ხაბეიშვილი, მარიამ ხაბეიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
სამართლებრივი სამსახური

დრეპალ სისტემებში დარტყმის შედეგად წარმოშობილი მაქსიმალური ძაბვის შესამცირებლად სხვადასხვა ხერხები (სისტემის მასის გათვალისწინება, დარტყმის წერტილში დამატებითი ტვირთის მოთავსება, ზამბარების მოწყობა და სხვა) გამოიყენება.

ერთ-ერთი გავრცელებული ხერხია ზამბარების მოწყობა, რასაც ახორციელებენ მაშინ, როდესაც ტექნოლოგიური და კონსტრუქციული მოსაზრებით დრეპალი სისტემის გეომეტრიული ზომების, სიხისტის, ვარდნილი ტვირთის და გარდნის სიმაღლის შეცვლა შეუძლებელია.

დრეპალი სისტემის დაპროექტებისას კონსტრუქტორის მიერ ზამბარა ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ დაკავშიროვილდეს სიმტკიცის პირობები; ამისათვის საჭირო დარტყმის წერტილში ზამბარის სიხისტის კოეფიციენტის ოპტიმალური სიდიდის დადგენა.

განვიხილოთ თანაბარკვეთიანი (სწორგუთხა) ერთგვაროვანი კოჭისა და ცილინდრული ზამბარისაგან შედგენილი დრეპალი სისტემა, რომელიც განიცდის თავისუფლად ვარდნილი სხეულის განვი დარტყმას (ნახ. 1).



ნახ. 1

განსხვავებული სიხისტის კოეფიციენტის მქონე ელემენტებისაგან შედგენილი დრეპალი სისტე-

მის, დარტყმაზე გაანგარიშების გამარტივებული ინჟინრული ხერხის მიხედვით, დინამიკურობის კოეფიციენტი განისაზღვრება ფორმულით [1]:

$$K_{\varrho} = 1 + \sqrt{1 + \frac{2HK}{Q}}, \quad (1)$$

სადაც Q არის ვარდნილი ტვირთი, K – სისტემის სიხისტის კოეფიციენტი, რომელიც რიცხობრივად დარტყმის წერტილში ერთეულოვანი გადაადგილების გამომწვევი ძალის ტოლია.

სისტემის დრეპალი ელემენტების შეერთების სახეების მიხედვით, სიხისტის კოეფიციენტი შემდგენ ფორმულებით განისაზღვრება [2]:

$$K = \sum_{i=1}^n C_i \quad (\text{პარალელური შეერთება}) \quad (2)$$

$$K = \frac{1}{\sum_{i=1}^n \frac{1}{C'_i}} \quad (\text{მიმდევრობითი შეერთება}) \quad (3)$$

$$K = \frac{1}{\frac{1}{\sum_{i=1}^n C_i} + \sum_{i=1}^n \frac{1}{C'_i}} \quad (\text{შერეული შეერთება}) \quad (4)$$

სადაც C_i არის ცალკეული ელემენტის სიხისტის კოეფიციენტი დარტყმის წერტილში.

განხილულ შემთხვევაში კოჭი და ზამბარა შეერთებულია მიმდევრობით, ამიტომ (3)-ით გვექნება

$$K = \frac{1}{\frac{1}{C_1} + \frac{1}{C_2}} = \frac{C_1 C_2}{C_1 + C_2}, \quad (5)$$

სადაც C_1 არის ზამბარის სიხისტის კოეფიციენტი დარტყმის B წერტილში, C_2 – კოჭის სიხისტის კოეფიციენტი იმავე წერტილში.

დინამიკური მახასიათებლები განისაზღ-

ვრება დინამიკურობის კოეფიციენტის საშუალებით [3]:

$$\max \sigma_{\varphi} = K_{\varphi} \sigma_{\text{სტ}}^{\max}, \quad \max \tau_{\varphi} = K_{\varphi} \tau_{\text{სტ}}^{\max},$$

$$P_{\varphi} = K_{\varphi} P_{\text{სტ}} \text{ და } \text{ა.შ} \quad (6)$$

სადაც $\sigma_{\text{სტ}}, \tau_{\text{სტ}}, P_{\text{სტ}}$ და ა.შ. სტატიკური მახასიათებლებია.

სიმტკიცის პირობიდან

$$(\max \sigma_{\varphi} = K_{\varphi} \sigma_{\text{სტ}}^{\max} \leq [\sigma]_{\varphi})$$

დინამიკურობის კოეფიციენტი განვსაზღვროთ და (1)-ს შევადაროთ, გვექნება:

$$\frac{[\sigma]_{\varphi}}{\sigma_{\text{სტ}}^{\max}} \geq 1 + \sqrt{1 + \frac{2HK}{Q}}, \quad \text{აქედან}$$

$$C_1 \leq \frac{QC_2 ([\sigma]_{\varphi}^2 - 2[\sigma]_{\varphi} \sigma_{\text{სტ}}^{\max})}{2H (\sigma_{\text{სტ}}^{\max})^2 C_2 - Q ([\sigma]_{\varphi}^2 - 2[\sigma]_{\varphi} \sigma_{\text{სტ}}^{\max})} \quad (7)$$

(7) წარმოადგენს დარტყმის წერტილში ზამბარის სიხისტის კოეფიციენტის ოპტიმალური სიდიდის საანგარიშო ფორმულას.

დარტყმის წერტილში, კოჭის სიხისტის კოეფიციენტი შეგვიძლია ანალოგიურად განვსაზღვროთ.

მაგალითი. ნახ. 1-ზე მოცემული სქემისათვის განვსაზღვროთ ზამბარის სიხისტის კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა, როდესაც მოცემულია: $Q=100$ კბ; $H=25$ სმ; კოჭისათვის: $E=2 \cdot 10^6 \frac{\text{კბ}}{\text{სმ}^2}$; $l=2 \text{ მ}$; $F=(8 \times 12)$

სმ^2 ; $[\sigma]_{\varphi}=1200 \frac{\text{კბ}}{\text{სმ}^2}$; $I=1152 \text{ სმ}^4$; $W=192 \text{ სმ}^3$; $G=0,8 \cdot 10^6 \frac{\text{კბ}}{\text{სმ}^2}$; $D=12 \text{ სმ}$; $d=4 \text{ სმ}$; $n=8 \text{ სმ}$ ხვია.

კოჭის განვიკვეთში მაქსიმალური სტატიკური ძაბვა

$$\sigma_{\text{სტ}}^{\max} = \frac{Ql}{4W} = 26,04 \frac{\text{კბ}}{\text{სმ}^2},$$

ხოლო დარტყმის B წერტილში კოჭის სიხისტის კოეფიციენტი

$$C_2 = \frac{48EI}{l^3} = 13824 \frac{\text{კბ}}{\text{სმ}^2}.$$

ზამბარის სიხისტის კოეფიციენტი დარტყ-

მის წერტილში განისაზღვრება ფორმულით:

$$C_1 = 4 \cdot \frac{Gd^4}{8D^3n}, \quad (8)$$

სადაც D არის ზამბარის დიამეტრი; d – მავთულის დიამეტრი; n – ხვიათა რიცხვი; G – ძრის მოდული.

(8)-ში ცნობილი სიდიდეების ჩანაცვლებით გვექნება:

$$C_1 = 4 \cdot \frac{0,8 \cdot 10^6 \cdot 4^4}{8 \cdot 12^3 \cdot 6} = 9877 \frac{\text{კბ}}{\text{სმ}}.$$

(5)-ის მიხედვით დრეკადი სისტემის სიხისტის კოეფიციენტი დარტყმის წერტილში ტოლია:

$$K = \frac{C_1 C_2}{C_1 + C_2} = \frac{9877 \cdot 13824}{9877 + 13824} = 5761 \frac{\text{კბ}}{\text{თმ}}.$$

(1)-ით დინამიკურობის კოეფიციენტი

$$K_{\varphi} = 1 + \sqrt{1 + \frac{2 \cdot 25 \cdot 5761}{100}} = 54,7$$

მაქსიმალური დინამიკური ძაბვა

$$\max \sigma_{\varphi} = K_{\varphi} \sigma_{\text{სტ}}^{\max} = 54,7 \cdot 26,04 = 1424 \frac{\text{კბ}}{\text{სმ}^2},$$

დასაშვებ ძაბვას 18,7%-ით აღემატება (მეტია 5%-ზე), ე.ო. სიმტკიცის პირობა დაცული არ არის.

განვსაზღვროთ ზამბარის სიხისტის კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა.

(7)-ში ცნობილი სიდიდეების ჩანაცვლებით მივიღებთ:

$$C'_1 = 5750 \frac{\text{კბ}}{\text{სმ}^2}$$

სისტემის სიხისტის კოეფიციენტის სიდიდის მისაღებად გამოვიყენოთ (5), გვექნება:

$$K = \frac{C'_1 \cdot C_2}{C'_1 + C_2} = 4061.$$

(1)-ით დინამიკურობის კოეფიციენტი

$$K_{\varphi} = 46.$$

(6)-ით $\max \sigma_{\varphi} = K_{\varphi} \cdot \sigma_{\text{სტ}}^{\max} = 46 \cdot 26,04 = 1198 \frac{\text{კბ}}{\text{სმ}^2}$,

რაც ნაკლებია დასაშვებ ძაბვაზე ($\approx 0,2\% < 5\%-ზე$), ე.ო. სისტემის სიმტკიცის პირობა დაცულია.

ზამბარის მონაცემები (D, d, n ან G) სი-
ხისტის კოეფიციენტის ოპტიმალური სიდიდის
მიხედვით განისაზღვრება, ე.ი.

$$C'_1 = \frac{Gd^4}{2nD^3}. \quad (9)$$

(9)-დან ზამბარის დიამეტრი ტოლია:

$$D = \sqrt[3]{\frac{Gd^4}{C'_1 \cdot 2n}} = \sqrt[3]{\frac{0,8 \cdot 10^6 \cdot 4^4}{5750 \cdot 2 \cdot 6}} \approx 14,4 \text{მმ}.$$

ანალოგიურად შეიძლება სხვა სიდიდეების
განსაზღვრა.

დასკვნა

1. სიხისტის კოეფიციენტის ოპტიმალური სიდიდის წინასწარ განსაზღვრა საგრძნობლად ამარტივებს დრეკადი სისტემის დარტყმაზე გაანგარიშებას.

2. დრეკადი სისტემის შემადგენელი ნების-მიერი ელემენტის სიხისტის კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა მოცემული ფორმულით განისაზღვრება.

3. სიხისტის კოეფიციენტის ოპტიმალური სიდიდის გამოყენებით დრეკადი სისტემის სიმტკიცის პირობა მექანიკურად კმაყოფილდება.

4. მოცემული მეთოდიკა სხვადასხვა სიხისტის კოეფიციენტიანი ელემენტებისაგან შედგენილი დრეკადი სისტემის განვი, გრძივი, გრეხითი და სხვა სახის დარტყმაზე გაანგარიშების დროსაც გამოიყენება.

ლიტერატურა:

1. ხაბეიშვილი. ბზარების გათვალისწინებით რკინაბეტონის კოჭის განვი დარტყმაზე გაანგარიშება. სტუ-ის სამეცნიერო ჟურნალი „განთლება“, # 1, 2011, თბილისი. გვ. 103.
2. Миролюбов И.Н., Енгалычев С.А., Пособие к решению задач по сопротивлению материалов. Изд-во «Высшая школа», 1974, Москва, с. 310.
3. Фесик С.П. Справочник по сопротивлению материалов. Изд-ство «Будівельник», Київ, 1982, с. 226.

ОПРЕДЕЛЕНИЕ ОПТИМАЛЬНОГО ЗНАЧЕНИЯ КОЭФФИЦИЕНТА ЖЕСТКОСТИ СОСТАВНОГО ЭЛЕМЕНТА УПРУГОЙ СИСТЕМЫ ПРИ УДАРЕ

*Хабеишвили А.Д., Хабеишвили Н.А.,
Хабеишвили М.А.*

Грузинский технический университет,

В статье рассматривается расчет упругих систем составленных из балки и пружины, на поперечный удар.

Получена общая расчетная формула для определения оптимального значения коэффициента жесткости пружины.

Доказано, что с применением этого коэффициента условие прочности системы механический удовлетворяется.

Ключевые слова: коэффициент жесткости, оптимальная значения.

DETERMINATION OF AN OPTIMAL VALUE OF THE STIFFNESS COEFFICIENT – THE COMPONENT OF ELASTIC SYSTEM, -IN CASE OF IMPACT

*Anzor Khabeishvili, Nino Khabeishvili, Mariam Khabeishvili
Georgian Technical University*

The article provides a calculation of the elastic system comprising of beam and the spring, in case of traverse impact.

A general calculating formula for determination of the optimal value of the spring's stiffness coefficient is received.

It is proved that with the use of this coefficient, the strength condition of the system is satisfied mechanically.

Key words: Stiffness Coefficient; Optimal Value.

პრისტალუ მაგნიტოსტრიქოული მოვლენების კვლევის შედეგები

ზ. ჩახნიანი, სრ. პროფესორი,
ლ. დარჩიაშვილი, ასის. პროფესორი,
მ. ბოჭორიშვილი, ასოც. პროფესორი

მაგნიტოსტრიქცია არის მაგნეტიკის და-
მაგნიტებისას მისი ფორმის ცვლილების მოვ-
ლენა. ფენომენოლოგიურ თეორიაში კრისტა-
ლის დეფორმაცია განისაზღვრება კრისტალის
დრეკადი და მაგნიტოდრეკადი ენერგიების ჯა-
მის მინიმიზაციით დეფორმაციის ტენზორის
 $\varepsilon_{\alpha\beta}$ მიხედვით.

ჩვეულებრივ, მაგნიტოდრეკად ენერგიას $E_{\text{მ}} \text{ განიხილავთ } \text{ კომპონენტების } \text{ მი-ხედვით, მიახ-} \text{ ლოებით.}$

ფენომენოლოგიური მიდგომისას $E_{\text{მ}}$ -ს არის დამაგნიტების ვექტორის მიმმართველი კოსინუსები მწყრივებად გაშლილი [1-3]. მა-
გნიტოდრეკადი ენერგიას ზოგადად იმ კრისტა-
ლებისათვის, რომლებსაც აქვს რამდენიმე მა-
გნიტური ქვემესერი, ასე გამოისახება:

$$E_{\text{მ}} = \sum_{ijkl} \sum_{nm} B_{ijkl}^{nm} \varepsilon_{ij} \alpha_k^{(n)} \alpha_l^{(m)} \quad (1)$$

სადაც B_{ijkl} მაგნიტოდრეკადი კომპონენტების ტენზორია; $\alpha_k^{(n)}$ კი – n -ური ქვემესრის მიხედ-
ვით მიმმართველი კოსინუსები. B_{ijkl} ტენზორის სახე სხვადასხვა სიმეტრიის ფერომაგნიტური კრისტალებისთვის მოცემულია [4]-ში.

განვიხილოთ ერთ ქვემესრიანი კუბური ფე-
რომაგნიტური კრისტალი, რომლის მაგნიტო-
დრეკადი ენერგია გამოისახება შემდეგნაირად:

$$E_{\text{მ}} = \lambda_0 \sum_{ijkl} \varepsilon_{ii} + \lambda_1 \sum_{nm} \left(\alpha_i^2 - \frac{1}{3} \right) \varepsilon_{ii} + \lambda_2 \sum \alpha_i \alpha_j \varepsilon_{ij} (1 - \delta_{ij}) \quad (2)$$

კრისტალის დრეკად ენერგიას აქვს სახე:

$$E_{\text{მ}} = \frac{1}{2} c_1 \sum \varepsilon_i^2 + \frac{1}{2} c_2 \sum \varepsilon_i \varepsilon_j (1 - \delta_{ij}) + c_4 \sum \varepsilon_j^2 (1 - \delta_{ij}) \quad (3)$$

ε_{ij} -ის წონასწორული მნიშვნელობები განი-

$$E = E_{\text{მ}} + E_{\text{მ}} \quad (4)$$

მინიმიზაციით. მისი გამოსახვა λ_i , c_{ij} და α_i პარამეტრების საშუალებით შეიძლება შემდეგი სახით:

$$\begin{aligned} \varepsilon_{ii} &= -\lambda_0 - \frac{\lambda_1}{c_{11} - c_{12}} \left(\alpha_i^2 - \frac{1}{3} \right), \\ \varepsilon_{ij} &= -\frac{1}{2} \lambda_2 \cdot \frac{1}{c_{44}} \alpha_i \alpha_j - (1 - \delta_{ij}). \end{aligned} \quad (5)$$

კრისტალის ფარდობითი წაგრძელება განი-
საზღვრება $\Delta l/l$ სილიდით. თუ მისი მიმმართვე-
ლი კოსინუსია β_i , მაშინ ფარდობითი წაგრძე-
ლება განისაზღვრება ფორმულით [5]

$$\begin{aligned} \frac{\Delta l}{l} &= \sum \varepsilon_{ij} \beta_i \beta_j = \lambda_0 + \frac{3}{2} \lambda_{100} \left(\sum \alpha_i^2 \beta_i^2 - \frac{1}{3} \right) + \\ &+ \frac{3}{2} \lambda_{111} \sum \alpha_i \alpha_j \beta_i \beta_j (1 - \delta_{ij}) \end{aligned} \quad (6)$$


λ_{100} და λ_{111} ანიზოტროპიული მაგნიტოს-
ტრიქციის კონსტანტებია [100] და [111] მიმარ-
თულებების გასწვრივ შესაბამისად

$$\begin{aligned} \lambda_{100} &= -\frac{2}{3} \frac{\lambda_1}{c_{11} - c_{12}} \\ \lambda_{111} &= -\frac{1}{3} \frac{\lambda_2}{c_4} \end{aligned} \quad (7)$$

λ_0 -ს უწოდებენ იზოტროპიულ, ანუ მოცუ-
ლობითი მაგნიტოსტრიქციის კონსტანტს.

მოცულობითი მაგნიტოსტრიქცია იწვევს კრისტალის მოცულობის იზოტროპიულ ცვ-
ლილებას მისი სიმეტრიის დამახინჯების გა-
რეშე: $\frac{\Delta V}{V} = \lambda_0^3$. იგი აღიწერება (2) განტოლე-
ბის პირველი წევრით, რომელიც დეფორმაციის ტენზორის დიაგონალური წევრების პროპორ-
ციულია. ჩვეულებრივ, მოცულობითი მაგნი-
ტოსტრიქცია გაცილებით აღემატება λ_{100} და λ_{111} კონსტანტებით აღწერილ ანიზოტროპიულ
მაგნიტოსტრიქციას. ის დამოკიდებულია ნი-


მუშის დამაგნიტებასა და ტემპერატურაზე. მოცულობითი ანიზოტროპიის ძირითადი შედეგია მისი გავლენა კრისტალის სითბურ გაფართოებაზე. ამას კი მივყავართ ანომალიამდე კიურის წერტილში (ნახ. 1).



ნახ.1. მოცულობითი მაგნიტოსტრიქციის ტემპერატურული დამოკიდებულება მაგნიტომოწესრიგებული (1) და მაგნიტომოუწესრიგებული (2) კრისტალებისთვის

მოცულობითი მაგნიტოსტრიქციის დამაგნიტებაზე დამოკიდებულების მისაღებად განვიხილოთ სფერული ფორმის იზოტროპიული მაგნეტიკი. დამაგნიტების გარეშე ამ იდეალურ სფეროს აქვს ერთეულოვანი რადიუსი. სპონტანური \vec{M}_0 დამაგნიტების წარმოქმნისას ამ სფეროს რადიუსი იზრდება \vec{M}_0 -ის მიმართულებით δ მცირე სიდიდით. თუ ავიღებთ რაომე მიმართულებას \overrightarrow{AB} , რომელიც \vec{M}_0 -თან ადგენს φ კუთხეს, მაშინ ამ მიმართულებით სფეროს რადიუსი-ვექტორი გაიზრდება $\delta \cos \varphi$ სიდიდით (ნახ. 2) და შესაბამისად, ფარდობითი წაგრძელება იქნება:

$$\frac{\Delta l}{l} = \delta \cos^2 \varphi \quad (8)$$



ნახ.2. \vec{M}_0 ვექტორთან φ კუთხის შემდგენი \overrightarrow{AB} მიმართულების გასწროვ ნიმუშის სიგრძის ცვლილება

ერთლერძა ფერომაგნეტიკებში თავდაპირველად დამაგნიტება ხდება მაგნიტური დომენების კედლების 180° -იანი წანაცვლებით, ამიტომ ცვლილება არ შეინიშნება $\vec{M} = \vec{M}_0 \cos \psi$ და-მაგნიტების სიდიდემდე, სადაც Ψ კუთხეა და-მაგნიტების ადვილ ღერძსა და \vec{H} მაგნიტურ ველს შორის. ველის შემდგომი ზრდისას, \vec{M}_0 გადაიხრება დამაგნიტების ღერძის მიმართულებიდან და \vec{H} -ის მიმართულებას უახლოვდება. სიგრძის ცვლილება განისაზღვრება (8) ფორმულით, ამიტომ კუთხეების მნიშვნელობათა შუალედში $\varphi = \Psi - \delta\varphi$, $\varphi = 0 - \delta\varphi$, მივიღებთ,

$$\Delta \left(\frac{\Delta l}{l} \right) = \delta (1 - \cos^2 \psi). \quad (9)$$

თუ δ -ს გამოვსახვთ λ პარამეტრით, რომელიც ახასიათებს სიგრძის ფარდობით ცვლილებას განმაგნიტებული მდგომარეობიდან ნაჯერების მდგომარეობამდე გადასვლისას და მოვახდენთ (8) გამოსახულების ყველა შესაძლო მიმართულებით გასაშუალოებას, მივიღებთ:

$$\left(\frac{\Delta l}{l} \right)_{\text{გან}} = \int_0^{\pi/2} \delta \cos^2 \varphi \sin \varphi d\varphi = \frac{1}{3} \delta, \quad (10)$$

სადაც $\left(\frac{\Delta l}{l}\right)_{\text{გან}} \text{ განმაგნიტუდის მდგომარეობის ფარდობითი წაგრძელებაა.}$

ნაჯერობის მდგომარეობაში $\left(\frac{\Delta l}{l}\right)_{\text{გან}} = \delta$, მათ შინ

$$\lambda = \left(\frac{\Delta l}{l}\right)_{\text{გან}} - \left(\frac{\Delta l}{l}\right)_{\text{გან}} = \frac{2}{3}\delta, \quad (11)$$

სადაც $\delta = \frac{2}{3}\lambda$; და (9) მითვებს სახეს:

$$\Delta\left(\frac{\Delta l}{l}\right) = \frac{3}{2}\lambda(1 - \cos^2\psi). \quad (12)$$

თუ ველი \vec{H} პარალელურია ადვილი დამაგნიტუდის ღერძისა, მაშინ $\Psi=0$ და სიგრძის ცვლილება ნაჯერობამდე არ ხდება, თუ $\left(\Psi = \frac{\pi}{2}\right)$ და $\Delta\left(\frac{\Delta l}{l}\right) = \frac{3}{2}\lambda$. რადგან $M=M_0\cos\theta$, სადაც θ \vec{M}_0 -სა და \vec{H} -ს შორის კუთხეა, მივიღებთ:

$$\frac{\Delta l}{l} = \frac{3}{2}\lambda\left(\frac{M}{M_0}\right)^2. \quad (13)$$


ამრიგად, დამაგნიტუდისას სიგრძის ფარდობითი ცვლილება M^2 -ის (დამაგნიტუდის სიდიდის კვადრატი) პროპორციულია.

იშვიათმიწა ელემენტების ერთლერძა კრისტალებში, რომელთა ანიზოტროპია დიდია, მაგნიტოსტრიქციის კონსტანტუდის დადგენა მნელია იმის გამო, რომ მაგნიტური ნაჯერობის ექსპერიმენტულად მიღწევა არ ხერხდება. [6-8] ნაშრომებში მოცემულია λ -ს შეფასება Dy, Ho და Er-თვის. რაც მიღებულია λ -ს ექსტრაპოლაციით $T=0$ -მდე ნეელის ტემპერატურის მახლობელი მცირე მნიშვნელობიდან. მიღებულია მნიშვნელობის რიგი $\lambda''10^{-6}$. ერთადერთ იშვიათმიწა ლითონს, რომლისთვისაც განსაზღვრულ იქნა მაგნიტოსტრიქციის კონსტანტუდი, არის Gd. მისთვის $\lambda(T)$ დამოკიდებულება მოცემულია 3 ნახ-ზე [9]. აქ მყოფი

კონსტანტუდი გამოსახულებაში შედის, რომელიც განსაზღვრავს ჰექსაგონური კრისტალის ფარდობით წაგრძელებას [10].

$$\begin{aligned} \frac{\Delta l}{l} &= \lambda_A[(\alpha_1\beta_1 + \alpha_2\beta_2)^2 - (\alpha_1\beta_1 + \alpha_2\beta_2)\alpha_3\beta_3] + \\ &+ \lambda_B[(1 - \alpha_3^2)(1 - \beta_3^2) - (\alpha_1\beta_1 + \alpha_2\beta_2)^2] + \\ &+ \lambda_C[(1 - \alpha_3^2)\beta_3^2 - (\alpha_1\beta_1 + \alpha_2\beta_2)\alpha_3\beta_3] + \\ &+ 4\lambda_D(\alpha_1\beta_1 + \alpha_2\beta_2)\alpha_3\beta_3, \end{aligned} \quad (14)$$

სადაც α_i , β_i -ის იგივე აზრი აქვს, როგორც (6.24)-ში.



ნახ.3. λ_A , λ_B , λ_C და λ_D -ს ტემპერატურული დამოკიდებულებები გადოლინიუმის მაკროკრისტალისთვის

კუბური კრისტალებიდან ყველაზე მეტად შესწავლილია 3d-ლითონები და მათი შენადნობები. მაგნიტოსტრიქციის კონსტანტუდი და დრეკადი კოეფიციენტები ნიკელისათვის და რკინისთვის მოცემულია 1 ცხრილში. Fe-თვის λ_{III} და λ_{100} აქვს სხვადასხვა ნიშანი, რის გამოც დამაგნიტუდისას დაბალსიმეტრიული კრისტალოგრაფიული მიმართულებებით მაგნიტოსტრიქცია ძალზე რთულად იცვლება [11].

ცხრილი 1

Fe და Ni-ის მაგნიტოსტრიქციის კონსტანტები და დრეკადი კოეფიციენტები ოთახის

ტემპერატურაზე

ნივთიერება	$\lambda \times 10^6$		$c, 10^{11} \text{ Г/θ}^3$		
	λ_{100}	λ_{100}	c_{11}	c_{12}	c_{44}
Fe	20,7	-21,2	2,41	1,48	1,12
Ni	-45,9	-24,3	2,50	1,60	1,18

რეინისაგან განსხვავებით, ორივე ნიკელის კონსტანტა უარყოფითია. Ni-ის არამაგნიტურ Cu , Cr , V და Ti -თან შენადნობებში მაგნიტოსტრიქციის აბსოლუტური მნიშვნელობა მონოტონურად კლებულობს არამაგნიტური იონების შემცველობის ზრდასთან ერთად. Fe-Ni-ის შენადნობები თავს იჩენს მაგნიტოსტრიქციის საკმაოდ რთული დამოკიდებულება შემაღენლებაზე [12]. Ni-ის 60%-დან 85%-მდე შემცველობისას $\lambda_{100} = \lambda_{111}$, ანუ ადგილი აქვს იზოტროპიულ მაგნიტოსტრიქციას; როდესაც Ni-ის კონცენტრაცია 75%-ია, წარმოიქმნება Ni_3Fe და მაგნიტოსტრიქციის კონსტანტები თერმოდამუშავებისას მკვეთრად იცვლება: λ_{100} იზრდება, ხოლო λ_{111} – მცირდება და მაგნიტოსტრიქცია თითქმის იზოტროპიული ხდება [13].

λ_{100} და λ_{111} -ის მნიშვნელობები უბრალო ფერიტ-ძოწისთვის მოცემულია 2 ცხრილში. ოთახის ტემპერატურაზე ყველა ამ ჯგუფის ნივთიერებას მაგნიტოსტრიქციის კონსტანტა 10^{-6} რიგისაა. დაბალ ტემპერატურებზე ფერიტები, რომლებიც შეიცავს ორბიტული მომენტების იშვიათმიწათა ლითონების იონებს, დიდ მაგნიტოსრტიქციას ამჟღავნებენ.

ცხრილი 2
ფერიტ-ძოწის მაგნიტოსტრიქციის კონსტანტები

<i>RIG</i>	$\lambda_{100} \times 10^5$	$\lambda_{III} \times 10^5$	T, K
<i>YIG</i>	-1,0	-3,6	79
	-1,1	-3,9	196
	-1,4	-2,4	300
<i>SmlG</i>	159	-183	78
	49	-28,1	196
	21	-8,5	300
<i>EuIG</i>	110	20	4,2
	86	8,7	78
	51	5,3	196
	21	1,8	300
<i>GdIG</i>	7,5	-4,1	4,2
	4,0	-5,1	78
	1,7	-4,5	196
	0	-3,1	300
<i>TbIG</i>	1200	2420	4,2
	67	560	78
	-10,3	65	196
	-3,3	12	300
<i>DyIG</i>	-1400	-550	4,2
	-169	-145	78
	-46,6	-21,6	196
	-12,5	-5,8	300
<i>HoIG</i>	-1400	-330	0
	-82,2	-56,3	78
	-10,6	-7,4	196
	-3,4	-4,0	300
<i>ErIG</i>	630	-450	0
	10,7	-19,4	78
	4,1	-8,8	196
	2,0	-4,9	300
<i>TmIG</i>	25	-31,2	78
	4,9	-11,3	196
	1,4	-5,2	300
<i>YbIG</i>	97	-31	4,2
	18,3	-14,4	78
	5,0	-7,1	196
	1,4	-4,5	300

ლიტერატურა:

1. *Akulov N.S. Z.Phys.* 1929, Bd.54, S.582.
2. *Wedgwood F.A., Kuznietz M. J.Phys.C.* 1975, V.5, N21, p.3012.
3. *Heizenberg W. Z.Phys.* 1931. Bd.69, S.287.
4. Леманов В.В. *Магнитоупругие взаимодействия*/В кн.: *Физика магнитных диэлектриков*. М.:Наука, 1974.
5. *Akulov N.S. Z.Phys.* 1928, Bd.52, S.389.
6. *Clark A.E., DeSavage B.F., Bozorth R.M. Phys. Rev.* 1965, V.138, p.A216.
7. *Legvold S., Alstad J., Phyne J. Phys.Rev.Lett.* 1963, V.10, p.509.
8. *Rhyne J., Legvold S. Phys.Rev.* 1965, V.140, p.A2143.
9. *Bozorth R.M., Wakayama T. J.Phys.Soc.Japan,* 1963, V.18, p.97.
10. *Mason W.P. Phys.Rev.* 1954, V.96, p.302.
11. *Williams G.M., Pavlovic A.S. J.Appl. Phys.* 1968, V.39, p.571.
12. *Kim C.D., Matsui M., Chikazumi S. J.Phys. S.c.Japan,* 1979, V.44, p.1152.
13. *Bozorth R.M. Rev.Mod.Phys.* 1953, V.25, p.42.

**РЕЗУЛЬТАТЫ ИССЛЕДОВАНИИ
МАГНИТОСТРИКЦИИ
В КРИСТАЛЛАХ**

**3. Б. Чачхиани, Л. К. Дарчиашвили,
М. М. Бочоришвили**

Магнитострикция представляет собой явление искажения формы магнетика при его намагничивании. В статье рассмотрен

теория магнитострикции и доказана при намагничивании от носительные изменения длины пропорционально M^2 (величини квадрата намагниченности).

В одноосных кристаллах РВЭ, обладающих сильной анизотропией, определить константы стрикции очень сложно. Это связано с тем, что в этих кристаллах не удается достичь намагниченности насыщения. При низких температурах ферриты, содержащие редкоземельные ионы, обладающие орбитальным моментом, обнаруживают большую магнитострикцию.

**THE RESULTS OF THE STUDY OF
MAGNETOSTRICTION IN CRYSTALS**

**Z.B. Chachkhiani, L.K. Darchiashvili,
M.M. Bochorishvili**

Magnetostriction is a phenomenon of distortion of the magnet at its magnetization. The paper considered the theory and proved for magnetostriction magnetization of relative change in length is proportional to M^2 (the square of the magnetization).

In uniaxial crystals RWE having strong anisotropy constants determine striction is very difficult. This is due to the fact that in these crystals can not be achieved saturation magnetization. At low temperatures, ferrites containing rare-earth ions having orbital angular momentum detect large magnetostriction.

ნაცოდესორული სისტემები. როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიების იმიტაციური მოდელირების საშუალებათა სისტემა

გ.ა. ჯანელიძე, ნ.ა. ესიავა, ლ.ა. ჩახვაშვილი,
ა.გ. ჯანელიძე, რ.ა. ესიავა, ნ.გ. ძაგარია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საინფორმაციო ტექნოლოგიები სტანდარტებისა და პროცესუალების საშუალებათა სისტემაა, რომელიც მანქანურ ენაზე განსაზღვრავს საკვლევი ობიექტის ბუნებას და აღექვატურად ასახავს ობიექტური რეალობის კანონზომიერებებს. იმიტირების მეთოდი მოდელის ბუნების აღმწერი მათემატიკური ინსტრუმენტია, რომელიც შეისწავლის – თუ როგორ იცვლება კონკრეტული მოდელის ქცევა მისი პარამეტრების ცვლილებით. თანამედროვე პირობებში, როცა დგება ნანოტექნოლოგიების ერა, იქმნება ნანოტექნოლოგიების ახალი მიმართულება - უსაფრთხოების მართვის სისტემები – საიმედო მართვის პირობებში ინფორმაციის აღქმისა, ანალიზის და დამუშავების პროცესების კვლევის მეთოდოლოგია. ეს განაპირობა იმ ფაქტორა, რომ ადამიანი სულ უფრო შორდება ობიექტის მართვას და სამუშაოს ასრულებს დისტანციურად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სულ უფრო მეტად მუშაობს არა უშუალოდ ობიექტთან, არამედ მის ინფორმაციულ მოდელთან. თვით ინფორმაცია ფართო გაგებით ცნებაა, რომელიც დაკავშირებულია ცნობების მიმოცვლასთან ადამიანებს შორის, სიგნალების მიმოცვლასთან ბუნების ცოცხალ და არა-ცოცხალ ობიექტებს შორის. საინფორმაციო ტექნოლოგიების ექსპერტული მართვის მოდელისაგება ემყარება არა მხოლოდ დაკვირვებისა და აღქმის პროცესების კვლევას, არამედ კრიმინალისტიკური ინფორმაციის წარმოშობის კანონზომიერებასაც. უსაფრთხოების მართვის სისტემები ერთ სივრცეში განიხილავს გარემოს სივრცის, ადამიანისა და ტექნიკის ურთიერთდამოკიდებულებას და მათზე ზემოქმედების

ფაქტორებს, რის საფუძველზედაც ყალიბდება საკვლევი ობიექტების ქცევის წესების პროგნოზირების განსაზღვრასაც. უსაფრთხოების მართვის სისტემებში ამოსავალ ფაქტორად გვევლინება ხელსაწყოთა უსაფრთხოებისა და საიმედობის ფაქტორი. ფიზიკურ ექსპერიმენტთა კვლევის საფუძველზე იქმნება სხვადასხვა დანიშნულების მაღალსაიმედო მექანიკური თუ მიკროელექტრონული ნაკეთობანი. მზანაკეთობის (აპარატურის) ფუნქციონალური სირთულე განისაზღვრება მისი მიზნობრივი დანიშნულებით. უსაფრთხოების სისტემის საფუძველს წარმოადგენს ნაკეთობათა საიმედობა. ამიტომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. მტყუნების მიზეზის აღრეული გამოვლინების მექანიზმის განსაზღვრა. ექსპერიმენტის საფუძველზე ჩამოყალიბებულია მზანაკეთურის სამოდულის საიმედობაზე გამოცდის სახეები: კონსტრუქციული, ელექტრონული, მექანიკური, კლიმატური, ვიბრომედევობაზე, დარტყმით სიმტკიცეზე გამოცდა და სხვ. მტყუნების მიზეზების გამოვლინების მექანიზმი განსაზღვრავს კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების მიზანშეწონილობას.

ხარისხის კონტროლი ტექნოლოგიური პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომელიც შეიცავს ორ ძირითად მდგენელს: აშკარა დეფექტები – ვარგისიანობის პროცენტების განმსაზღვრელი და ფარული დეფექტები, რომელიც აქვეითებს გამოშვებული პროდუქციის სამედობას. ორივე შემთხვევაში კონტროლი წარმოებს პასიური ან აქტიური ფორმით.

- კონტროლი, რომლის შედეგადაც მოვიპოვებთ ინფორმაციას დეფექტების

- ბუნების შესახებ, წარმოადგენს ტექნოლოგიურ რეჟიმებში კორექტირების შეტანის საფუძველს. ესაა აქტიური – დიგნოსტიკური მეთოდი;
- კონტროლი, რომლის დროსაც ფიქსირდება მხოლოდ დეფექტების “არსებობა” ან “არ არსებობა” და არაა გაშიფრული მისი მექანიზმი, ეწოდება პასიური მეთოდი.

ექსპერიმენტული ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება ფაქტორთა ერთობლიობა: ექსპლუატაციის პირობების დარღვევა; განზრახჩადნილი ქმედება (კვალის დაფარვის მიზნით), დაუდევრობა, ადამიანის განწყობისა და რეაგირების ფაქტორი და სხვ. საფრთხისა და ექსტრემალურ სიტუაციის შემთვევაში მყისიერი რეაგირება უნდა აიღოს თავის თავზე ტექნიკური უსაფრთხოების სისტემებმა. აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეული ინდივიდის ქცევა სხვადასხვა გარემოში განსხვავებულია.


ნაკეთობათა (ხელსაწყოს) შექმნისას დაშვებული შეცდომების ანალიზი აჩვენებს რომ ისინი კონსტრუქტორების მიერ არა მხოლოდ ტექნიკური ასპექტების გაუთვალისწინებამ, არამედ ადამიანის ფსიქიკური თვისებების გაუთვალისწინებამაც გამოიწვია. მზა პროდუქტის შემოქმედების ფაქტორები განსაზღვრულია სტანდარტებით და განპირობებულია ცდის მიზანზე, აგრეთვე იმ პირობებზე, რომელშიც გათვალისწინებულია ამ ხელსაწყოს ექსპლუატაციის პირობები. ხელსაწყოების ხარისხი იზომება არა მხოლოდ იმ მახასიათებლებით, რაც განსაზღვრულია საწყისი პირობებით, არამედ ამ თვისებებისა და მახასიათებლების შენარჩუნებაშიც, როდესაც ხელსაწყო ექსპლუატაციას გადის ხანგრძლივ და მკაცრ პირიბებში.

უსაფრთხოების სისტემებმა განაპირობა წინა პლანზე წარმოჩნებულიყო მიკროელექტრონულ ხელსაწყოთა დიაგნოსტიკა. მიკროელექტრონულ ხელსაწყოთა დიაგნოსტიკა მოიცავს ამ ხელსაწყოს ფუნქციონალური დანიშნულების განსაზღვრას, ფუნქციონალური

სქემებისა და ბლოკების მტყუნების მიზეზების ანალიზს, იმიტაციური მოდელის შექმნას და დიაგნოსტიკას. “შაცვი ყუთის” მეთოდი წარმოადგენს საკვლევი ობიექტის დედუქციური მეთოდიკით კვლევას და მოიცავს შესაბამის კვლევათა ციკლს.

ექსპერტული სისტემები ეყრდნობა ობიექტურ ინფორმაციას, გამოცდილებასა და ცოდნას, რის საფუძველზედაც წარმოებს საკვლევი ობიექტის ქცევის პროგნოზირება. ქცევის პროგნოზირების საწყის ინფორმაციას შეადგენს საკვლევი ობიექტის თვისება: შეინარჩუნოს დროის დადგენილ ზღვრებში ყველა ის პარამეტრი, რაც უზრუნველყოფს ობიექტის მუშაობის საიმედობას; ხანგრძლივობა – შეინარჩუნოს მუშაობის უნარი ზღვრული მდგომარეობის დადგომამდე; უმტყუნელობა – უწყვეტად შეინარჩუნოს მუშაობის უნარი დადგენილ დროისა და პირობების ფარგლებში; უდეფექტო – გამართული მუშაობა – რომლის დროსაც იგი სრულად პასუხობს ნორმატიულ და სხვა საკონსტრუქტორო მოთხოვნილებათა დოკუმენტაციას.

პირველ ჯგუფს განეკუთვნდება ობიექტის მტყუნებანი გამოწვეულნი ტექნოლოგიური ოპერაციების გადახრის შედეგად, ვიბრაციის ან დინამიკური დარტყმის შედეგად, გერმეტიულობის დარღვევით თუ ელექტრო მოწყობილობების კონტაქტების დასუსტებით, ტექნოლოგიური ცვლილებების დამოკიდებულების განსაზღვრა საკვლევი ობიექტის გამოსავალ პარამეტრებთან და სხვ. სტრუქტურულად მგრძნობიარე ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლის დარგში ფუნდამენტალური გამოკვლევების გაფართოება წარმოადგენს ნახევრად გამტარების მასალათმცოდნეობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას. აღნიშნული საკითხების კვლევის პრაქტიკულ მნიშვნელობას წარმოადგენს ნახევრად გამტარულ კრისტალებში სხვადასხვა სტრუქტურული დეფექტების შესწავლა.



ნახ. 1 მექანიკური ერთეული (1) მოწყობილობების, კვანძებისა (2) და მიკროელექტრონული (3) ხელსაწყოების მტფუნებათა ინტენსივობის გრაფიკი

საწყის – კონსტრუირებისა და ექსპერიმენტური კვლევის პერიოდში $\lambda(t)$ ფუნქციის მნიშვნელობები ორივე დიაგრამაზე საკმაოდ დიდია, ეს განპირობელრია იმით, რომ ამ პერიოდში ვლინდება ტექნოლოგიური თუ ფარული დეფექტები. არანაკლებ მნიშვნელოვანია (**II უბანი**) ის ვითარება, რომ ელემენტის მუშაობის საწყის პერიოდს თან სდევს ურთიერთშეულლებული ელემენტების მუშაობის პროცესი – განსაკუთრებით ლითონური ელემენტების შემთხვევაში. ამ პერიოდს ექსპერტული ექსპლუატაციის პერიოდი ეწოდება.

მესამე უბანს აქტიური ექსპლუატაციის პერიოდი ეწოდება. მიკროელექტრონული ხელსაწყოებისათვის ეს პერიოდი შედარებით ხანგრძლივია, ვიდრე მექანიკური ხელსაწყოებისა და გრძელდება მორალურ მოძველებამდე.


მეოთხე უბანი ((1) და (2) მრავდი – მექანიკური მოწყობილობებისათვის) ხასიათდება ელემენტთა დაძველებით, ცვეთით, დაღლილობით, მასალების ფიზიკურ – ქიმიური დესტრუქციით და ეწოდება “სიბერის” პერიოდი, ხოლო მიკროელექტრონული ხელსაწყოებისათვის (3) კი “მორალური დაძველების” პერიოდი ეწოდება.

მხა ნაკეთობებისა და მოწყობილობების

უმთავრეს კომპლექსურ თვისებას წარმოადგენს საიმედობა. ხელსაწყოს ექსპლუატაციის პირობები განსაზღვრულია სტანდარტებით. ხარისხი თვისებათა ერთობლიობაა, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტის გამოყენების შესაძლებლობას. თითოეულ ამ თვისებას – კონკრეტული ობიექტების და საექპლუატაციო თვისებების გათვალისწინებით – სხვადასხვა ფარდობითი მნიშვნელობა ენიჭება. არააღდგენადი ობიექტებისთვის – დიდი და ზედიდი ინტეგრალური სქემები და მოწყობილობები – სადაც არ არის გათვალისწინებული ტექნიკური მომსახურება და შეკეთება – საიმედობის ძირითად თვისებად მიიჩნევა უმტყუვნებლობა და ხანგამძლეობა, ხოლო თუ გათვალისწინებულია ობიექტის შეკეთება ტექნიკური მომსახურებით, მაშინ შეკეთება – ვარგისიანობა ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა.

ფიზიკური მეთოდები აღწერენ საკვლევ ობიექტში მოდელის ელემენტების ფიზიკური სტრუქტურის მუშაობის მექანიზმს. ფიზიკურ ექსპერიმენტთა კრიმინალისტიკური კვლევის მეთოდები შეიმუშავებს ტექნოლოგიური პროცესების მართვის რეკომენდაციებს. მეთოდიკასა და სამართლებრივ რეგულირებაში გათ-

ვალისწინებულია ის არანორმირებული პირობებიც (ხმაური, ვიბრაცია, ტემპერატურა და სხვ.), სადაც ადამიანს ხშირად ერთდროულად უხდება მრავალი ობიექტის მართვა. პროგნოზირების საწყის ინფორმაციას შეადგენს საკვლევი ობიექტის თვისება: **იმიტირების მეთოდი** – მოდელის ბუნების აღმწერი მათემატიკური ინსტრუმენტია, რომელიც შეისწავლის თუ როგორ იცვლება კონკრეტული მოდელის ქცევა მისი პარამეტრების ცვლილებით. **ექსპერიმენტის მეთოდი** – უსაფრთხოების სისტემების ეფექტურობის საფუძველი.



ნახ. 2. ცდისეული ექსპერიმენტისა და ნაკეთობათა დეფორმაციის განსაზღვრის იმიტაციური მოდელი

შეა პროდუქციაზე ზემოქმედების ფაქტორები განსაზღვრულია სტანდარტებით და განპირობებულია ცდის მიზანზე, აგრეთვე იმ პირობებზე, რომელშიც განსაზღვრულია ამ ხელსაწყოს ექსპლუატაციის პირობები. კრიმინალისტიკის თვალსაზრისით ექსპლუატაციის დარღვევისა თუ ნაკეთობათა განხრას დაზიანების მიხედვით კონკრეტული დანაშაულის მიზეზები (კვალის დაფარვის მიზნით) არის გარემოებათა ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი, რომელსაც მივყავართ დამნაშავის გამოაშკარავებასა და მხილებამდე. არააღდგენად ობიექტებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზედაპირული სტრუქტურული მდგრამარეობის დიაგნოსტიკას.

ფიზიკურ ექსპერიმენტთა პრაქტიკული მონაცემების საფუძველზე იგება მიკროელე-

ქტრონული ხელსაწყოების, მექანიკური ერთეული ელემენტებისა და კვანძთა მტყუნების ინტენსივობის ფუნქციის გრაფიკი.

$$P_{m,n} = P_1 P_2 \cdots P_m q_{m+1} \cdots q_n + \cdots + P_1 P_2 P_3 \cdots q_{n-1} p_n + \cdots + q_1 q_2 \cdots q_n q_{n-m+1} \cdot P_n$$

$$\varphi_n(z) = \sum_{i=1}^n (q_i + P_i Z)$$

m, n – ალბათობის სიდიდეა როდესაც **n** ცდების ჩატარების დროს **A** მოვლენა გამოვლინდება ზუსტად **m**-ჯერ; **P_i** ალბათობაა **A** მოვლენის მოხდენისა ი ცდის ჩატარების დროს. **q_i** = 1 - **P_i** (**i** = 1, ..., **n**) **A** მოვლენის არ მოხდენის ალბათობაა. **Z** - ნებისმიერი პარამეტრია.

ინფორმაციული მოდელების მართვის ძირითად მიმართულებაში ყურადღება გამახვილებულია ორ ძირითად ფაქტორზე – საიმედო მართვისა და ექსტრემალურ პირობებში ოპერატიული ინფორმაციის აღქმისა და სათანადო რეაგირების შესაძლებლობის განსაზღვრაზე.

დასკვნის სახით: მზა ნაკეთობათა შექმნისას დაშვებული შეცდომების ანალიზმა აჩვენა, რომ ისინი კონსტრუქტორების მიერ არა არ მხოლოდ ტექნიკური ასპექტების, არამედ ადამიანის ფსიქიკური თვისებების გაუთვალისწინებამაც გამოიწვია. ექსპერიმენტის საფუძველზე ჩამოყალიბებულია მზა ნაკეთობათა საიმედობაზე გამოცდის მეთოდი, როგორც უსაფრთხოების სისტემის ეფექტურობის საფუძველი.

ლიტერატურა:

1. ნ. ესიავა გ. ჯანელიძე, რ. ესიავა, ა. ჯანელიძე. უსაფრთხოების მართვის სისტემებში კრიტიკული სიტუაციების პროგნოზირების თავისებურებების განსაზღვრა. სტუ, განათლება N2(8) 2013წ

2. შილაკაძე გ. მექანიკური მოწყობილობების საიმედობის საფუძვლები. თბ., 2009. გვ 14-16; 23-27; 392გვ;
3. Солимар Л. Уолш Д. “Лекции по электрическим свойствам материалов” Москва “Мир” 1991.

changes of its parameters. In the contemporary conditions, when it is started the era of nanotechnologies a new direction is formed – the engineering psychology – a methodology of research of information perception, analysis and developing of the processes.

**THE NANO-SENSING SYSTEMS AS A SYSTEM OF
SIMULATION MODELING MEANS
OF INFORMATIONAL TECHNOLOGIES**

*G.A. Janelidze, N.A. Esiava,
L.A. Chakhvashvili, A.G. Janelidze,
R.A. Esiava, N.M. Dzagania.*

The informational technologies is a system of the means of standards and programs which determines in machine language the nature of research object and adequately describes the regularities of objective reality. The simulation technique is a mathematical instrument describing the nature of the model which studies how does the behavior change of a specific model by

**НАНОСЕНСОРНЫЕ СИСТЕМЫ, КАК
СИСТЕМЫ СРЕДСТВА ИМИТАЦИОННЫХ
ТЕХНОЛОГИИ.**

Информационные технологии это система посредством стандартов и программ, которая определяет природу исследуемого объекта на машинном языке. В управление информационного моделирования особое внимание уделяется на двух факторов: надежности управления и в экстремальных условиях на возможности определение восприятие и соответствующее реагирование на полученную информацию. На основе эксперимента сформулирован метод испытание надежности готового образца, как основа эффективност бзопасности системы.

አዲስ አበባ

APXHITEKTYRA

ARCHITECTURA

გალეოლოგიური რაიონის ვოლფინგის ზოგიერთი საკითხი პოლკეთის დაბლობის დასავლეთ ზონაში

ნანა აზვლედიანი, დოქტორანტი, სტუ

A decorative horizontal border consisting of a repeating pattern of black and white circles and ovals arranged in a grid-like structure.

საქართველოში საკურორტო-სამკურნალო
და რეკრეაციული რესურსების კონცენტრა-
ციის მაღალი დონე ხელს უწყობს ქვეყანაში
საკურორტო მეურნეობის განვითარებას.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პი-
ლომინერალური რესურსები გამოირჩევა წყლე-
ბის ფიზიკური თვისებებისა და ქიმიური შემად-
გენლობის მრავალფეროვნებით. ისინი განსხვავ-
დება აირნაჯერობის, საერთო მინერალიზაციის,
ბიოლოგიურად აქტიური მიკროკომპონენტების
შემადგენლობისა და სხვ. ხარისხით. თავისი
შედეგენილობით განსხვავებული საქართველოს
მინერალური წყლების წარმოქმნა და გავრცე-
ლება დედამიწის წიაღში მიმდინარე საკმაოდ
რთული პიდრო გეოქიმიური და თერმოდინამი-
კური პროცესების შედეგა.

მინერალური წყლების განმასხვავებელ
თავისებურებას წარმოადგენს ის გარემოება,
რომ ისინი ზედაპირზე გამოსავალს პოულო-
ბენ ჯგუფურად და მათ ბაზაზე აღმოცენებული
კურორტები ბუნებრივი სახით ერთიანდებიან
ჯგუფებად.

ეს ბუნებრივი გაერთიანება უნდა გან-
მტკიცდეს გეგმარებითი ერთიანობით და
მთლიანობით, რომელიც ხელს შეუწყობს ერ-
თიანი სისტემის კულტურულ-საყოფაცხოვრე-
ბო, სამეურნეო მომსახურების რაიონის შექმ-
ნას მასში შემავალი მუდმივი მოსახლეობის
საერთო ადგილების განსახლებას.

კურორტების რაიონად გაერთიანება შექმნის არა მარტო ისეთი ჯანმრთელობის კერის განვითარების წინაპირობას, როგორსაც წარმოადგენს რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტები, არამედ გადაწყვეტს ადგილობრივი კურორტების და საკურორტო აღგილობრივი განვითარების პრობლემას, რომლებსაც თავიანთი მაღალი ღირებულების, მაგრამ შედარებით დაბალი სიმძლავრის და მსხვილ საკურორტო ერთეულებთან ახლომდებარეობის, თითოეული მათგანის განაშენიანების საკითხების ლოკალური გადაწყვეტისას არ ჰქონდათ განვითარების შესაძლებლობა.

ბალნეოლოგიური რაიონის დროებითი
მოსახლეობის საკურორტო მქურნალობისთ-
ვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობების
შექმნის მიზნით აუცილებელია კურორტოლო-
გიური რესურსების მოწესრიგება და მათი
რაციონალური განაწილება, ასევე ფუნქციური

ზონირების დახმარებით ტერიტორიის რაციონალური განაწილება.

უფრო ვრცლად შესწავლის მიზნით, როგორც მაგალითი, განვიხილოთ სამეგრელოში, ქალაქ ზუგდიდთან და სენაკთან განლაგებული ბალნეოლოგიური კურორტების ჯგუფი (ნახ. 1): მენჯი (40 000 ლ დღე-დამეში); ცაიში (82 გრ.-იანი ჰიპერთერმული წყალი, დებიტი აღწევს 2 000 000 ლ-ს დღე-დამეში); ბია (40000 ლ დღე-დამეში); ქვალონი (200 000 ლ დღე-დამეში); ხორგა (400 000 ლ დღე-დამეში); ყულევი (60 000 ათასი ლიტრი დღე-დამეში); ნოქალაქევი (500 000 ლ დღე-დამეში). მენჯიდან 16 კმ და ცაიშიდან 14 კმ-ის დაშორებით მდებარეობს ბია, ხოლო მენჯის ჩრდილოეთით, 4 კმ-ში ქვალონია. შემდგომ, ამავე მიმართულებით 12 კმ-ში — ხორგა და შავ ზღვასთან — ყულევი. მენჯიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 29 კმ-ში განლაგებულია ნოქალაქევი. როგორც ჩანს, რაიონი 16 კმ-ის რადიუსით საკმაოდ მჭიდროდაა დატვირთული კურორტებით, რომლის მინერალური წყლის სა-დღეღამისო დებეტი შეადგენს 4 140 000 ლ-ს.

ზემოთაღნიშნული ადგილები მენჯისა და ცაიშის გამოკლებით არ არის ათვისებული, ხოლო მინერალური წყაროებით ავის გასასვლელს პოულობს გაუშენებელ, თავისუფალ ნაკვეთებზე. ეს გარემოება საშუალებას იძლევა სააბაზანო შენობები განლაგდეს წყაროებთან. სააბაზანო შენობების ასეთი განლაგების უპირატესობას წარმოადგენს მინერალური წყლების ყველა სამკურნალო კომპონენტის შენარჩუნება, რომელიც გადატანისას გარკვეულწილად კარგავს თავის თვისებებს. ამასთან და კავშირებით სამეგრელოს კურორტების ჯგუფისგან შემდგარი საკურორტო რაიონი და ახასიათებს მის განლაგებას ცალკეულ ნაკვეთებზე. **საკურორტო ზონა** ფორმირდება საკურორტო კომპლექსებით, რომელშიც ჩართულია სამკურნალო - გამაჯანსაღებელი და მომსახურე დაწესებულებები, პარკები, სპორტული მოწყობილობები და ა. შ. ჩვენს შემთხვევაში მინერბილობები და ა. შ. ჩვენს შემთხვევაში მინერ-

ალურ წყაროებთან უნდა შეიქმნას **სამკურნალო დაწესებულებების ქვეზონები**, რომლებშიც განლაგდება წყალსამკურნალოები, საკურორტო პოლიკლინიკა, სამკურნალოა უზები.

წყალსამკურნალოებთან და სხვა სამკურნალო დაწესებულებებთან ავადმყოფების ერთდროული მასობრივი ნაკადის გათვალისწინებით აუცილებელია შეიქმნას განტვირთვის ზონა, დასასვენებელი ფართი, შიდა ეზოები, ფართე აღევები. უფრო მეტად წარმატებულ გადაწყვეტად შეიძლება ჩაითვალოს ბალნეოსამკურნალოების ზონაში პარკის მოწყობა, როგორც აქვს ამას აღვილი წყალტუბობი, რაც ავადმყოფებს საშუალებას აძლევს აიმაღლონ განწყობა და გაიუმჯობესონ ეს-თეტიური აღქმა, ასევე ქმნის დასვენებისთვის ოპტიმალურ პირობებს.

უშუალოდ სამკურნალო ზონებთან ახლოს და მათ გარშემო უნდა განლაგდეს **საძილე კორპუსების ზონა**, რომელთა შენობებიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოსახურებელი კავშირით სამეურნეო ზონასთან სამოძრაო გზების და დამსვენებლებისთვის კუთვნილი ტერიტორიის გადაკვეთის გარეშე. აქვე შეიძლება განლაგდეს მოწყობილობები წყნარი დასვენებისთვის, როგორიცაა ფანქატური კითხვისა და მაგიდის თამაშებისთვის, მოედნები დასვენებისა და დილის ტანკარჯიშისთვის, ასევე სპორტის ზოგიერთი სახეობა, როგორიცაა მაგიდის ჩოგბურთი, ბაზმინტონ და ა. შ.

მომსახურე დაწესებულებების ქვეზონა (საკურორტო დარბაზი, ესტრადა, სპორტული მოწყობილობები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები, და ა. შ.) უნდა მდებარეობდეს სატრანსპორტო მიღწევადობის 30 წუთის ფარგლებში საძილე კორპუსების ქვეზონიდან. შესწავლის თვალსაზრისით მიზანშეწონილია მოეწყოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ორი ცენტრი, ერთი ცენტრი ბიაში, რომელიც თითქმის გეომეტრიულ ცენტრშია განლაგებული ცაიშსა და მენჯს შორის (დაახ. 15 კმ), ხოლო მეორე

მენჯში, რომელიც მდებარეობს ყულევს, ხორგას, ქვალონსა და ნოქალაქევს შორის.

საძილე კორპუსებიდან 30 წუთიანი სატრანსპორტო მიღწევადობით დაცილებული სამომხმარებლო დაწესებულებების ცენტრების ხშირი განლაგების შემთხვევში საკურორტო ზონის განფენილობა პრაქტიკულად განუსაზღვრელია და დამოკიდებული იქნება ბალნეოლოგიური რესურსების სიდიდეზე და საკურორტო მიზნებისთვის ვარგისი ტერიტორიის არსებობაზე.

შემდეგი ფუნქციური ზონა - სამოსახლო წარმოადგენს ბალნეოსაკურორტო ზონის მუდმივი მოსახლეობისგან სათავსებელ აუცილებელ ტერიტორიას.

ამ მოსახლეობის შემადგენლობაში, უპირველეს ყოვლისა, შედის საკურორტო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი, ამასთანავე დაკავებულები სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაში და ა. შ.


შესასწავლ ბალნეოლოგიური კურორტების ჯგუფს აკრავს ორი ქალაქი, ზუგდიდი და სენაკი, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის დაბები, რაც იძულებულს ხდის დამუშავდეს საკურორტო ზონის ერთიანი გენერალური გეგმა.

ბალნეოსაკურორტო ზონაში ქალაქების და დაბების არსებობა აუცილებელს ხდის ამ დასახლებულ ადგილებში კურორტის სამოსახლო ზონა განთავსდეს საკურორტო ტე-რიტორიიდან სავალდებულო 200 მეტრის დაშორებით.

საკურორტო კომპლექსებში მომსახურე ადამიანებისთვის უდიდესი მანძილი დასახლებული პუნქტიდან განაპირა მოხმარების სამუშაო ადგილამდე შემოისაზღვრება 20-25 წუთიანი სატრანსპორტო მიღწევადობის პირობით (იგულისხმება 10- 15 კმ).

რამდენადაც ადგილობრივი მოსახლეობის დასახლებული პუნქტები შეჭრილია საკურორტო ტერიტორიებზე, ისინი მოითხოვენ განსაკუთრებულ პიგიენას. ასევე საჭიროა სწრაფვა უპირატესად კურორტებთან კონტაქტში არმყოფი დაბების კომფორტისა და მათი კეთილ-

დღეობის ასამაღლებლად, ვინაიდან, მიუხედავად აუცილებელი იზოლაციისა, კურორტების გარშემომყოფი დაბები თავიანთი ადგილობრივი თავისებურებებით და ტრადიციებით გააცილებენ და გაამრავლენ როვნებენ საკურორტო ატმოსფეროს, განუმეორებელ კოლორიტს შეიტანენ არსებულ გარემოში, რაც მოცემული საკითხისადმი რაციონალურად მიღვომისას საგრძნობლად აამაღლებს მოცემული საკურორტო ზონის კურორტოლოგიურ ეფექტს.



ნახ. 1 ბალნეოლოგიური კურორტების ჯგუფი

კომუნალურ-სამეურნეო ზონის ტერიტორიაზე განლაგებულია კომუნალური და სამეურნეო საწარმოები (კვების მრეწველობის საწარმო, ნახევარფაბრიკატების ფაბრიკა, მსხვილი საწყობები, გარაჟები, სამრეცხაოები და ა. შ.), რომლებიც ემსახურებიან საკურორტო რაიონს. დაწესებულებების, ანუ მთელი ტერიტორიის სიდიდე დამოკიდებულია დროებითი და მუდმივი მოსახლეობის რაოდენობაზე. ჩვენს შემთხვევაში კომუნალურ - სამეურნეო და წესებულებები მიზანშეწონილია განლაგდეს ქალაქ ზუგდიდსა და სენაკში, სადაც ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან მოხერხებული კავშირით ტვირთის ჩამოსასვლელ პუნქტებთან - რკინიგზის სადგურებთან და სატვირთო ავტოსა-დგურებთან, ამავე დროს იზოლირებული

იქნებიან საკურორტო ზონისგან და ქალაქებში შექმნიან განცალკევებულ ზონებს.

ტყე – პარკის ნარგავების ზონა.

სამეგრელოს კურორტების რაიონი განლაგებულია სასოფლო-სამეურნეო რაიონში, სადაც გავრცელებულია ციტრუსების პლანტაციები, რომელსაც შეუძლია იმსახუროს, როგორც ტყე-პარკის ზონამ და შეასრულოს დამცავი როლი.

რამდენადაც სამეგრელოს კურორტები განლაგებულია კოლხეთის დაბლობზე, შავ ზღვასთან ახლოს, ტენიან, უქარო, შედარებით არახელსაყრელ კლიმატურ რაიონში ბობოქარი მცენარეულობით იგი გეგმარებას კარნახობს კურორტის ტერიტორიის მუდმივი განიავების აუცილებლობას. განიავება უნდა იყოს მაქსიმალური, ამიტომ ხშირი, დიდი ხის ნარგავები დასაშვებია ყველაზე შეზღუდული რაოდენობით. მათი მიმართულება უნდა ემთხ-

ვეოდეს გაბატონებული ქარების მიმართულებას, მოცემულ შემთხვევაში ზღვიდან მონაბერი ქარებისას. ქარების მოძრაობის შემშლელი ნარგავების ფრონტი უნდა იყოს მინიმალური.

საკურორტო რაიონის სხვადასხვა ფუნქციური ზონის ფართობის საორიენტაციო თანაფარდობა შეიძლება მიღებულ იქნას შესაბამისად ცხრილისა.

ცხრილი 1

საკურორტო რაიონის ფუნქციური ზონის ფართობების საფარაუდო თანაფარდობა და ნორმები

ზონის დასახელება	ზონის ტერიტორიის წილი %-%ში	ნორმატიული მაჩვენ. 1 საწოლ ადგილზე (კვ. მ)
საკურორტო	60	200-250
სამკურნალო	25	60-80
კომუნალურ-სამეურნეო	5	10-20

შენიშვნა: ტყე-პარკის, ნარგავების და ბუნებრივი ლანდშაფტის ზონა არ ნორმირდება მინიმალური დამცავი გარღვევის გამონაკლისით, რომელიც აუცილებელია სხვადასხვა ზონის იზოლაციისა და ოპტიმალური სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესაქმნელად.



ნახ. 2. კურორტი ნოქალაქვი

კოლხეთის დაბლობზე საბჭოთა პერიოდში არსებული ბალნეოლოგიური კურორტები-დან, რომლებიც თავიანთი არსებობის პირველივე დღიდან არ აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტებს, დღეს თთქმის არცერთი არ ფუნქციონირებს. სრულიად გაპარტახებულია ცაიშის საკურორტო ობიექტი, ხოლო საკმაოდ დიდი დებიტის ჰიპერთერმული მინერალური წყალი (80-90 გრადუსი) იღვრება ტერიტორიაზე (ნახ. 3). იგივე შეიძლება ით-

ქვას დანარჩენ საკურორტო ობიექტებზეც (ნახ. 2).

საქართველოში განვითარებულმა ღრმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა კრიზისმა და შემდგომში უკვე პოლიტიკურმა არასტაბილურობამ გამოიწვია მწვავე სოციალურ-ეკონომიკური, ენერგეტიკული, ფინანსური, საინვესტიციო და. შ. პრობლემები. ამ პროცესებმა განაპირობა საკურორტო-რეკრეაციული ინდუსტრიის პარალიზება.



ნახ. 3. კურორტი ცაიში

ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციები მკვეთრად გაიზარდა, მათ შორის საკურორტო მშენებლობაშიც. საქართველოში საკურორტო-ტურისტული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად საჭიროა მსხვილი

ინვესტიციების განხორციელება, საკურორტო-ტურისტული ბიზნესის პრიორიტეტული განვითარება და რაც მთავარია, ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა.

ლიტერატურა:

- საქართველოს სსრ კურორტები და საკურორტო რესურსები. 1989. საქართველოს სსრ “საქართველოს” ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი.
- კოლხეთის დაბლობის დასავლეთ ზონაში ბალნეოლოგიური რაიონის ფორმულირების საკითხები. 1986. დ. დუმბაძე.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბ., 1993
- Курортные богатства Грузии. М. Ю. Нодия.
- კურორტული რესურსების გამოყენებისთანამედროვე პრობლემები. საერთაშორისო კონფერენციის სამეცნიერო შრომათა კრებული. საირმე - 2010 წლის 10 - 13 ივნისი.

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ К ФОРМИРОВАНИЮ БАЛЬНЕОЛОГИЧЕСКОГО РАЙОНА ЗАПАДНОЙ ЗОНЫ КОЛХИДСКОЙ НИЗМЕННОСТИ

H. AKHVLEDIANI, GTU

В статье рассмотрены вопросы объединения бальнеологических курортов в район, также, в целях создания наиболее благоприятных условий для курортного лечения

временного населения бальнеологического района, рассмотрены вопросы упорядочения курортологических ресурсов, рациональное распределение территории при помощи функционального зонирования.

Для более подробного изучения, как пример, рассмотрена группа бальнеологических курортов и курортных местностей, расположенныхных близ городов Зугдиди и Сенаки: Менджи, Цаиши, Бия, Квалони, Хорга, Кулеви, Нокалакеви.

SOME QUESTIONS FOR FORMATION OF THE BALNEOLOGICAL REGION OF WESTERN ZONE IN THE LOW GROUND OF KOLKHETI.

N. AKHVLEDIANI, GTU

The article describes the questions for unification of balneological resorts in one region; also with the view of creation of the favourable conditions for health resort treatment of temporary population of the balneological area, it considers the questions of regulating balneological resources, rational distribution of the territory by means of functional zoning.

For more detailed study as an example in the article is considered a group of balneological health resorts and localities which are located near the towns of Zugdidi and Senaki: Menji, Tsaishi, Bia, Qvaloni, Khorga, Kulevi, Nokalakevi.

თბილისი – ტოლერაციული სივრცე – სიმფონია

მედეა მელქაძე, არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი,
ნინო იმნაძე, არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი,

* * * * *



წინამდებარე ნაშრომის მიზანია გავიაზროთ, თუ რას წარმოადგენდა მე-19 საუკუნის თბილისი, გავიგოთ რაში მდგომარეობდა მისი ხიბლი და სპეციფიკა, რაც ქმნიდა თბილისურ სულს და თბილისურ არქიტექტურას.

თბილისი განეკუთვნება იმ ქალაქთა რიცხვს, სადაც ბუნება აქტიურად ერევა ქალაქებმარებითი სტრუქტურის ფორმირებაში და არქიტექტურულ-მხატვრული იერსახის ჩამოყალიბებაში. თბილისი გაშლილია ულამაზეს ტაფობში, რომელშიც ქალაქის ძირითადი ნაწილია განთავსებული. იგი მოქცეულია ორ მახათისა და თრიელეთის ქედებს შორის, მდ. მტკვრის ხეობაში, რომელიც ქალაქის მთავარ ღერძს წარმოადგენს. ქალაქს არა აქვს საშუალება განვითარდეს სიგანეში, ამიტომ იგი მიეკუთვნება გრძივი განვითარების ქალაქთა რიგს. თბილისის ქედებზე ტერასებად ადის ქალაქის კვარტალები. მეტეხთან რელიეფი ქმნის 2 კმ. სიგრძის თითქმის ვერტიკალურ კლდოვან სისტემას.

თბილისის იერსახე საუკუნეების მანძილზე გუობს არქიტექტურის სტილურ ინტერპრეტაციებს, განსაკუთრებით, მის ცენტრალურ უბნებში. მე-19 საუკუნის თბილისის არქიტექტურა სტილისტური თვალსაზრისით ამავე პერიოდის რუსეთისა და ევროპის ქალაქების მაგალითს მისდევდა. შესაბამისად, არის რა ხუთ ტერასაზე გნლაგებული ქალაქი საოცარი მისტიფიკაციის დონეზე პარმონიულად იღებს 1801 წელს საქართველოში და, კონკრეტულად, თბილისში რუსეთის იმპერიის მიერ შემოტანილ რუსულ-ევროპულ ქალაქებმარებით აზროვნებით სისტემას, რაც თავს იჩენს აღა-მახ-მად-ხანის შემდგომი თბილისის გეგმარებაში.

როგორც ვახტანგ ბერიძემ თავის დროზე

ბრძანა, რუსულ-ევროპული ქალაქებმარებითი ბადე თბილისის რთულმა რელიეფმა, მისმა ხევებმა და ფოლორცებმა პარმონიულად შეითვისა, ე.ი. თბილისმა მოახდინა რეგულარული ქალაქებმარებით სიბრტყობრივი გადაწყვეტის პროექცია თავის სივრცეში და შედეგად მივიღეთ გენიალური ლოგიკურ-ფილოსოფიური ჯაჭვი: ქალაქებებმარებითი ბადე - თბილისური კვარტალი - სისტემა - თბილისური შიდა ეზოიანი საცხოვრებელი სახლი და პარმონიული სტრუქტურა - ქალაქი - კვარტალი - სახლი - ადამიანი - ტოლერანტული გარემო ეროვნულ-კონფესიულ და სოციალურ სიბრტყეში. სრული სიმფონია !!!



თბილისის სახის განმსაზღვრული
ურბანული ნიშნები

თბილისის ურბანულ განვითარებაში შეიძლება გამოვყოთ ერთი ძირითადი იდეა: ერთმანეთის ახლოს, მიჯრით განთავსებული ნაგებობები ქმნიან ერთიან სივრცულ სურათს. სახლები აქ ისეა დაჯგუფებული, რომ არცერთი არ აღიქმება ცალცალკე. მთელი ქალაქი შემდგარია ანსამბლებისგან, რომელშიც გამოვლენილია სრული ჰარმონია არქიტექტურულ ფორმებსა და ლანდშაფტს შორის.

1. რადგანაც თბილისი შედგება ზუთი ტერასისაგან პირველ რიგში ეს არის ზედები და რაკუსები. ამიტომაც, თბილისი არის უნიკალური ძეგლი, როგორც ქალაქთმშენებლობითი ფენომენი და არა როგორც თვითონეული შენობა.

2. მეხუთე ფასადის ფენომენი. თბილისი თავისებური რელიეფის წყალობით არ განეკუთვნება ჩვეულებრივ ქალაქთა რიგს. მას უწოდებენ ზუთი ფასადის ქალაქს და მართლაც, დიდია სახურავების როლი თბილისის არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებაში. ქალაქში და მის მიდამოებში უამრავი ღია ბუნებრივი მოედანია, საიდანაც შეიძლება ქალაქის მთლიანი პანორამის აღქმა.

3. მე-19 საუკუნის თბილისური სახლი - თბილისური ეზო. ამბობენ, რომ თბილისური ეზო იგივეა რაც იტალიური სახლი, ასე უწოდა რატომდაც საზოგადოებამ, მაგრამ... რა განსხვავებაა იტალიურ ეზოსა და თბილისურ ეზოს შორის. იტალიელის საზოგადოებრივი ცხოვრება, ანუ საკონტაქტო არეალი არა ეზო, სახლი, არამედ ქუჩაა. ჩვენთან კი ქუჩაც და ეზოც.

ატრიუმი და ნახევრად ატრიუმი - ეზო.

მე-19 თბილისის ქუჩა ყალიბდება ატრიუმით ან ნახევრად ატრიუმიანი საცხოვრებელი სახლებით, ეს სტრუქტურაა. „ატრიუმი - ეს სივრცე სცენაა, რომელზედაც მიზანსცენები იცვლება დროის განმავლობაში“ (შოთა ბოსტანაშვილი).

ეზო ეზოში იყურება, სივრცე გადადის სივრცეში, ჩაკეტილი სივრცე არ არსებობს, კარები არ იკეტება: ჩემი სტუმარი შენი სტუ-

მარია. იტალიელი შიგნით ჩაკეტილია, გარეთ კი ღია. მე კი შიგნითაც და გარეთაც ღია ვარ და ეს მხოლოდ და მხოლოდ თბილისური ეზოა! ყველა თბილისური სახლი ღიაა, გახსნილი. მასში სხვადასხვა ეროვნების, რელიგიის ადამიანები ცხოვრობენ, თუმცა მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების მანძილზე მათ შორის არც ერთი შეჯახება, კონფლიქტი არ მოშძარა. შესაბამისად თბილისი არის ეროვნული და სოციალური ნიშნით ტოლერანტული ქალაქი (ქვეყანა).

თბილისის უნიკალურმა რელიეფმა განაპირობა ქალაქის უნიკალური ქალაქებებითი სისტემა და შესაბამისად ქალაქებებითი მა სისტემამ განაპირობა თბილისური სახლის უნიკალური სისტემა და სტრუქტურა.

4. კიბე

ზეული თუ სწორი კიბეები, გადასასვლელები ერთგვარი სავიზიტო ბარათია, ზღუბლი — ბრუტალური ურბანული სივრციდან სხვა სივრცეში მოსახვედრად. ორი ზონის დამაკავშირებელი სივრცე შეხვედრებისთვის: კიბე ქუჩა, კიბე ვერტიკალური სისტემა, კიბე ცხოვრებისეული ფილოსოფია ...



5. აივანი.

აივნების არქიტექტურა კლასიკურ საფუძვლზე იგებოდა, რომელშიც ჩაწერილი იყო ხშირად აღმოსავლური ორნამენტები, თაღელი, მაქმანისებური მოაჯირები, ფერადმინიანი რთული ვიტრაჟები.

ა. თბილისური სახლის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი ხის აივანია. და მართლაც თბილისის არქიტექტურის „რიტორიკაში“ ხის



აივანი უმნიშვნელოვანესი ფენომენია. ის გამოირჩევა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით. ამასთან ძალი-

ან აქტიურია როგორც ფასადზე, ისე ეზოშიც, სადაც რამდენიმე სართულზეა აღმართული. ხშირად იმდენად დიდი ზომისაა, რომ თითქოს ქუჩის „მეორე სართულს“ აყალიბებს. ტრადიციული ყოფისთვის იგი ოთახებზე ნაკლები მნიშვნელობის საცხოვრებელ გარემოს არ წარმოადგენდა, რაც ბუნებრივიცაა ჩვენი სამხრეთული ზონისთვის. მე-19 საუკუნის თბილისში



შემუშავდა აივნის მეტად ორიგინალური ტიპი კლასიცისტური არქიტექტურის რადიკალური სახეცვლილების შე-



დეგად. თბილისური აივნის აგებულება დაეყრდნო ე. წ. „ამპირის ელემენტებს“. ამ თვალსაზრისით თბილისურ აივანს მეტად მნიშვნელოვან კულტურულ სივრცედ აქცევს.

ბ. თბილისური აივანი ეკლექტიზმის ხანაში, ძლიერ აქცენტს წარმოადგენდა, და ორიგინალურ სახეს სხენდა კვარტალს, ქუჩას,

ქალაქს. ქმნიდა ძველი თბილისის სივრცით-პლასტიკურ მორფოლოგიას. მთავარი რითაც გამოარჩევს ამ აივნებს, ესაა ცხოვრების წესიდან და უშუალოდ კონტაქტურობის შინაგანი მოთხოვნიდან მომდინარე გახსნილობა. აივანი, რომელიც ქუჩის სივრცის ნაწილადაც აღიქმება, უცნაურ „შინაურულობას“ სქენს ამ გარემოს. აივანი თავადაც გარეთკენ „იშჩირება“, ქუჩის სამყოფელსაც „უშვებს“ საკუთარ თავში, და იმის გამო, რომ ადამიანთათვის ის გულმისავალია, როგორც გარედან აღქმის, ისე მის სივრცეში ყოფნის დროსაც, იგი ცხადყოფს, რომ ბუნებისადმი, ადამიანთადმი, მთელი სამყაროსადმი ნდობის გამოხატულებაა. (სამსონ ლეჟავა)

გ. აივანი — გარდამავალი სივრცე შესაბამისად იგი არა მარტო სოციალური და კულტურული სივრცეა არამედ ის წარმოადგენს ქუჩისა და შენობის გამაერთიანებელ ექსტინტერიერის ელემენტს.

ქალაქი

ქალაქი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, მუდმივად განვითარების და ზრდის პროცესშია. განახლება კი ბადებს უამრავ პრობლემებს, რომელიც დაკავშირებულია ქალაქური გარემოს ტრანსფორმაციისთან. თბილისი თავისი არაჩვეულებრივი ლანდშაფტური თავისებურებებით: ქედები, მდინარე, კუნძულები - ნადგურდება. აქ სხვადასხვა სტილის და დროის ნაგებობები თანაარსებობენ ერთად და აყალიბებენ უნიკალურ გარემოს. აქ არაერთმნიშვნელოვნად თავს იჩენს პრობლემა - ძველისა და ახალის ურთიერთობა, რაც წარმოაჩენს შემდეგ პრობლემურ ვექტორებს:

1. ძველი ქალაქის სისტემის რეანიმაცია-რეკონსტრუქციის საკითხების აქტუალიზაცია;
2. მასში ახალი არქიტექტურის შემოსვლის ფაქტორის გაჩენა;
3. შესაბამისად, ქალაქების გარებითი კონფლიქტი და

4. ლანდშაფტის იდენტიფიკაციის კოდის დაკარგვა.

1. უპირველესად უნდა აღინიშნოს ისტორიული განაშენიანების და ნაგებობების აღდგენა რესტავრაცია. საკითხი, რომელიც ერთ-ერთი პრიორიტეტულია ჩვენს ქვეყანაში კონკრეტულად თბილისში. განახლება-აღდგენა ძირითადათ ხდება არქიტექტურული იმპორვიზაციებით ძველის თემაზე. რეკონსტრუქციის შედეგად ფასეულმა ისტორიულმა ძეგლებმა ადგილობრივი არქიტექტურის ფორმალური ნიშნების გამეორებით და აღდგენით ახალი სახე მიიღეს. მთელ რიგ შენობებზე მოხდა სტილიზირებული “ახალი-ძველი” დეტალების დადება და დამატება, მაღალი სახურავების და მანსარდების დაშენება, კარნიზების, სვეტების და ძველებური ელემენტების მიმაგრება, თავისუფალი სტილიზაცია და ინტერპრეტაცია კლასიკურ თუ ნეოქართული სტილის თემაზე. შენობების ასეთი ხელოვნური დაძველებით ერთის მხრივ არქიტექტორებმა აღადგინეს ისტორიული განაშენიანების სივრცელი ხასიათი, მეორეს მხრივ დაუკარგეს მას კულტურული ღირებულება, რაც ნათლად გამოჩნდა ძველი ფოტოების და არსებულის ერთმანეთთან შედარებით. აქ, ადვილად შესამჩნევია ძველ და ახალს შორის განსხვავება, რამაც გავლენა მოახდინა ქუჩის სილუეტის დინამიზმზე, მასშტაბებზე და შედეგად მივიღეთ ინდივიდუალურობის დაკარგვა.

რეკონსტრუირებული იქნა მე-XIX-XX სუკუნის ისტორიულ - არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობები, როგორიცაა ზუბალაშვილების სახალხო სახლი (ეხლანდელი კ. მარჯანიშვილის თბილისის სახელმწიფო აკადემიურ თეატრი), კავკასიის ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების სახლი (ეხლანდელი თი ბი სი ბანკის სათაო ოფისი) და ე. წ. „მწვანე შენობა“, რითაც აღდგა ისტორიულად ჩამოყალიბებული ანსამბლი.

2. ძველისა და ახლის ურთიერთკავშირი. გარდა აღდგენისა და რესტავრაციისა

ისტორიულ განაშენიანებაში იგება ახალი ნაგებობები, რომელთა არქიტექტურა XIX საუკუნის თბილისის ხასიათსა და თანამედროვე ტენდენციებს აერთიანებს.

ა. ამ ურთიერთობის ერთერთი საინტერესო ნიმუშია კ. მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე ე. წ. „მწვანე შენობა“, რომელიც 1903 წელს დააპროექტა არქიტექტორმა ლეოპოლდ ბილფოლდმა. „მწვანე შენობა“ თავისი არქიტექტურით მოკლებულია თბილისური საცხოვრებელი სახლის ყოველგვარ ნიშანს და ეკლექტიზმის ხანისთვის დამახასიათებელი დეკორატიული სტილიზაციით ხასიათდება. იგი რენესანსულბაროკალური პალაცოთა მსგავსია, თუმცა მსუბუქი და დახვეწილია. შენობის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის და ახალი ნაგებობის დაპროექტებისას მიღწეული იქნა ახალი და ძველის ჰარმონიული სინთეზი (2005 წ. არქ. გ. კიკნაძე, ლ. მუშკუდიანი). დაუმუშავებელი ბეტონით ნაშენ, ასიმეტრიულად გაბნეული ფანჯრების რიტმით სუფთა კვადრატული მოცულობა შეუმჩნევლად, გარეთა თვალისებან მოფარებულად, ჩასმულია 1903 წელს არქ. ლ. ბილფოლდის მიერ დაპროექტებულ ფსევდო-ნეორენესანსული შენობის სტრუქტურაში. ორი, სტილისტურად სრულიად განსხვავებული ძველი და ახალი შენობა, ერთმანეთს ატრიუმით უკავშირდება. ახალი მოცულობა არსებულ შენობას ესაზღვრება ისე, რომ მინიმალურ ცვლილებასაც არ იწვევს. ერთად კი ახლის და ძველის ერთიან, ჰარმონიულ კომპოზიციას ქმნის.





ბ) ისტორიულ კონტექსტში ტაქტიკურად ჩაწერის მიზნით ქ. თბილისში აღმაშენებლის გამზირზე მდებარე „ბიზნეს ცენტრის“ (არქიტექტურული ლაბორატორია 3). ფორმადწარმოქმნელ სტილისტიკაში ვლინდება ისტორიზმის სიმბოლური ნიშნების სინთეზი თანამედროვე ხერხებთან. არქიტექტურული კონცეფციით უახლოვდება ისეთ ხედვას, როგორიცაა ფრაგმენტების ფაქტზად შეთავსება ერთმანეთთან. ამით იგი ერთდროულად გავს შენობას, სურათს და თეატრალურ დეკორაციას.



გ) დ. აღმაშენებლის N12 და ე.წ. „საბაზი პერეულოკის“ კუთხეში ადრე არსებული შენობის რეკონსტრუქცია - განახლება, ზემოთ აღწერილი ნაგებობისგან განსხვავებით, კლასიციზმის სტილისტური ინტერპრეტაციის ახლებული მიდგომოთ ხასიათდება (არქ. დ. ელიკაშვილი, ნ. სებისკვერაძე). ნაგებობის მასშტაბი, ძველის და ახლის კომპოზიციური ერთიანობა, ფასადზე შეუმჩნეველი კლასიკური დეტალების „ანაბეჭდები“ გამიზნულად მიმართულია ისტორიული გარემოს ჰარმონიულად აღქმის ეფექტზე და იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს შენობა ყოველთვის აქ იდგა.



3.ქალაქებებითი კონფლიქტი

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია და როგორც ყველაფერი ცოცხალი იბადება, ვითარდება, იზრდება და ხდება მისი განახლება.

საკითხავია — ორგანული განვითარების კონტექსტში კი მოიაზრება ქალაქის ეს განახლება, თუ მის ქსოვილში უცხო ჩანართებს აქვს ადგილი?

ყველამ კარგად იცის, რომ ძველი თბილისის ისტორიულ-ნაკრძალ ზონაში — რიყე და მისი მიმღებარე ტერიტორია, გაჩნდა ახლი არქიტექტურული აქცენტები. თავიდანვე გვინდა ავღნიშვნოთ, რომ ეს შენობები ექსტრაორდინარული „იუსტიციის სახლი“, მშვიდობის ხიდი, საკონცერტო დარბაზი და ა. შ., როგორც ცალკე აღებული ნაწარმოებები, შეიძლება, იყოს მოწონების საგანი.



იუსტიციის სახლი



მშვიდობის ხიდი



საკონცერტო დარბაზი

მაგრამ როგორც ისტორიული გარემოს ქსოვილში გაჩენილი სისტემები დაწყებული მშვიდობის ხიდით, რომელმაც როგორც ქალაქებებითმა ელემენტმა დაიწყო ზემოხსენებული ტერიტორიის ლანდშაფტური ნგრევის

პროცესი, გაგრძელებული „იუსტიციის სახლითა“ და საკონცერტო დარბაზების „ქვემეხების ლულებით“ - ანგრევს ჩვენი ქალაქის ისტორიული გარემოს ჩამოყალიბებულ ჰარმონიულ სისტემას და რაც ყველაზე საგანგაშოა - მასშტაბს და ამით უკანა პლანზე გადააქვს ნაკრძალი ზონის ავთენტური ქსოვილის უნიკალური სახისმეტყველება და შესაბამისად, ადგილი აქვს მისი სამეტყველო ენის მინავლებასა და კოსმოპოლიტიზმის ქაოსში დანთქმას.

შესაბამისად, ისმის კითხვები: - ძველი ქალაქის სისტემაში შემოსული ახალი არქიტექტურით

1. ზუსტად მოძებნილია კი ინტონაცია?
2. ზუსტად არის დასმული აქცენტები?
3. როგორც ხერხი გამოყენებულია კონტრასტით თუ კონტექსტი?
4. ზუსტად არის კი მოძებნილი მასშტაბი?

დასკვნა

4. ლანდშაფტის იდენტიფიკაციის კოდის დაკარგვა.

არქიტექტურა მატიანე, ეპოქის სახეა, მაგრამ ის არის ერის ყოფის, ფსიქიკის, ესთეტიკური შეხედულებების, ჩვევების სახეცაა. არქიტექტურის დანიშნულებაც ესაა - არ უნდა მოხდეს გაუცხოება. ამიტომ, ჩვენ არ გვგონია, რომ ეს ანსამბლი სწორედ იმ ადგილზეა სადაც უნდა იყოს!

ევროპის ლანდშაფტური ქარტიის შესაბამისად არის რა ლანდშაფტი ერის იდენტიფიკაციის კოდი ცხადია ეს კითხვები ძალიან აქტუალური ...

ლიტერატურა:

გახტანე ბერიძე. „თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917“ თბ. 1963

**ТБИЛИС – ТОЛЕРАНТНОЕ
ПРОСТРАНСТВО – СИМФОНИЯ**

Медея Мелкадзе
Доктор архитектуры, профессор
Нино Имнадзе
Доктор архитектуры, профессор

Цель данной статьи анализ городской среды Тбилиси с начала девятнадцатого века по сей день.

Сегодня, все нововведения в архитектурном контексте, что имеет место в нашем городе – ультрасовременный стилистический флер – все должно просматриваться и анализироваться в этом ключе – историческая часть города – градостроительная сетка – культурное наследие – Тбилисский квартал – система – Тбилисский внутренний двор – дом и гармоническая система – город – квартал – дом – человек – толерантная среда – архитектурное пространство – толерантность национальная

– конфессиональная социальная. Полная симфония.

**TBILISI – TOLERANT SPAICE –
SIMFONY**

PhD, prof. Medea Melqadze
PhD, prof. Nino imnadze

The purpose of this article analyzes the urban environment Tbilisi since the early nineteenth century to the present day.

Today, all the innovations in the architectural context, that takes place in our city - ultramodern stylistic flair - it should be viewed and analizirovatsya in this vein - the historic part of the city - urban planning grid - cultural heritage - Tbilisi quarterly - System - Tbilisi courtyard - house and harmonic system - city - quarterly - home - people - tolerant environment - architectural space - national tolerance - denominational social. Full of the symphony.

მთიანი აჭარის ტერიტორიულ-რეპრეაციული კომპლექსების არეალური განვითარების განვითარების ტერიტორია

თენციზ მახარაშვილი, არქ. დოქტორი
ნიკოლოზ აბაშიძე, არქ. დოქტორანტი

1. შესავალი

გაეროს განვითარების პროგრამების მიხედვით, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მასობრივი დასვენებისა და ტურიზმის ინტენსიურმა განვითარებამ მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაზარდა მთის რეგიონების რეკრეაციული პოტენციალის გამოყენების მოთხოვნილებები, განაპირობა ამ რეგიონების სწრაფი და მდგრადი განვითარება.

საქართველოში სამთო ტურიზმის მომავალი განვითარებისათვის აჭარის ავტონომიის სამთო რეგიონის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული რეგიონი წინა საუკუნეში ყველაზე სუსტად იყო განვითარებული, რისი ერთ-ერთი მიზეზიც აჭარის მთიან რეგიონში საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ზონის შეზღუდვები წამოადგენდა. შესაბამისად მნიშვნელოვანია მეცნიერულ დონეზე იქნას შესწავლილი და დაგეგმარებული აჭარის მთიანი რეგიონის ტურიზმისა და დასვენების განვითარების ძირითადი პრინციპებისა და დაგეგმვის მეთოდები.

2.ძირითადი ნაწილი

მთიან აჭარაში ტურიზმის განვითარებისავის მნიშვნელოვანია სარეკრეაციო ტერიტორიის ფარგლებში ტურისტული რესურსების რაციონალური გამოყენება, ადგილობრივი ლანდაშაფტის, ფლორისა და ფაუნის დაცვა და ვიზიტორთათვის შესაბამისი დასვენების პირობების შექმნა, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და ყოფის პირობების გაუმჯობესება. ამის განსასაზღვრავად შემოღებულია ბუნებრივი რეკრეაციული რესურსის ტევადობის მცნება, რომელიც წარმოადგენს ტერიტორიის უნარს შესაბამ-

ისი კომფორტითა და დასევნება—გაჯანსაღების საქმიანობით უზრუნველყოს ვიზიტორთა გარკვეული როდენობა ისე, რომ არ დაირღვეს გარემო ბუნების მდგრადობა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობები, დამატებითი გარე სიმძლავრეების მოზიდვის გარეშე. ის გამოისახება ფართობის ერთეულზე მოსული ვიზიტორთა რაოდენობით, დღე/დამესა, ან გარკვეული დროის თვე/წელიწადის განმავლობაში, ამავე ერთეულებში გამოისახება ოპტიმალური რეკრეაციული დატვირთვაც. საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით მიღებულია რომ 150–250 ათას.პა–ზე ტერიტორიის რეკრეაციული ტევადობაა 1.0 მლნ კაც/დღე წელიწადში.

აქედან გამომდინარე აჭარის ა.რ.–ის, 298.0 ათასი.პა რესპუბლიკის მთლიანი ტერიტორიიდან გამომდინარე, რეკრეაციული ტევადობაა:

- $K_{\text{მაქს.ტ}} = 2.0 \text{ მლნ კაც/დღე წელიწადში};$
- $K_{\text{მინ.ტ}} = 1.2 \text{ მლნ კაც/დღე წელიწადში};$
- $K_{\text{ოპტ.ტ}} = 3.2:2 = 1.6 \text{ მლნ კაც/დღე წელიწადში}.$

ამავე დროს საერთაშორისო პრაქტიკა იძლევა პიკური დატვირთვების შემთხვევაში მაქსიმალური ტევადობის შესაძლო, დროებითი გადატვირთვების, ზღვრული ტევადობის მნიშვნელობას რაც შეადგენს 30–35%–ს, ანუ აჭარისათვის $K_{\text{ზღვ.ტ}} = 2.6 \text{ მლნ კაც/დღე წელიწადში}$. აღნიშნული ზღვრული ტევადობის მაჩვენებლის ერთჯერადი გადაჭარბებით ეკოლიგიურ მდგრადობაზე მიყენებული ზიანი შესაძლებელია აღმოფხვრილი იქნას შესაბამისი ღონისძიებების გატარების შედეგად ერთი სეზონის ფარგლებში, თუმცა დაკავშირებულია მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯებთან. უფრო

მაღალი დატვირთვები ბუნების მდგრადობას მძიმე დარტყმით ზიანს აყენებს და არღვევს ბალანსს ადამიანურ რესურსებსა და ეკოლოგიურ გარემოს შორის, ამიტომ მნიშვნელოვანია შხარდი ვიზიტორთა ნაკადების მართვის მექანიზმების შექმნა, როგორც აჭარის ასევე საქართველოს სხვა საკურორტო ტერიტორიებზე, რათა გადატვირთვების შემთხვევაში შესაძლებელი იქნეს მსგავსი კომფორტის და ინტერესების მქონე რეგიონებით ჩანაცვლების შეთავაზება ტურისტებისა და დამსვენებლებისათვის.

აჭარის ა.რ.–ში პრაქტიკული დატვირთვების შედეგად ვიზიტორთა დატვირთვები წლის განმავლობაში არათანაბრადაა განაწილებული, ისინი ზაფხულში მაღალი პიკური მაჩვენებელებით გამოირჩევიან, მთელი წლის 75–80% მოდის ზაფხულის საზღვაო სეზონის 100 დღეზე, ხოლო წლის სხვა დროებში კი თითქმის თანაბარია, რაც განპირობებულია ზაფხულში ზღვისპირა კურორტების დატვირთვების მნიშვნელოვანი გაზრდით, ხოლო სხვა პერიოდებში კი ვიზიტორთა ნაკლები ინტერესით. ამის მიზნია ცუდი ინფრასტრუქტურა, შესაბამისი რეკლამის უქონლობა და განსაკუთრებით ზამთრის კომპლექსების ნაკლებობა. ზაფხულის ვიზიტორთა მხოლოდ 5–10% (80000–160000 კაც/დღე) ისვენებს და მოგზაურობს მთიან რეგიონებში. უკანასკნელ წლებში მას შემდეგ რაც აშენდა რამდენიმე ზამთრის კურორტზე საბაგირო და საბიგელე გზები, მოეწყო სათხილამურო სასრიალო ტრასები, შეინიშნება ზამთრის პერიოდის ვიზიტორთა მატებაც.

აღსანიშნავია აჭარაში გარე ვიზიტორთა უარყოფითი ბალანსი შიდა და გარე ვიზიტორთა შორის, საქართველოს სხვა რეგიონებიდან შიდა ვიზიტორთა რაოდენობა 2–ჯერ აღემატება საზღვრის გარედან ჩამოსულ ვიზიტორებს, აუცილებელია ამ დისბალანსის შეცვლა, ვინაიდან შიდა რესურსი პრაქტიკულად ამოწურვადა და აუცილებელია ამ მიმართულებით სარეკლამო საქმიანობის გაძლიერება, ტუ-

რიზმის და დასვენების სისტემის სრული რებრენდინგი, რათა უახლოეს წლებში ვექტორმა გადაიხაროს რესპუბლიკის გარედან ჩამოსულ ვიზიტორებისაკენ.

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი ფაქტების ანალიზით სწორად დაგეგმილი კომპლექსური ღონისძიებების გატარების შედეგად შესაძლებელია განისაზღვროს აჭარის მთიანი რეგიონის დატვირთვების პერსპექტიული მაჩვენებლები, ზაფხულის 100 დღიან სეზონზე შესაძლებელია 60–65%-ის ვიზიტორების მიღება, რაც მაქსიმალური დატვირთვებისას შეადგენს 1.2–მლნ კაც/დღეს (12 000–16 000 კაცი/დღეში), შესაბამისად ამ ვიზიტორთა 20–25% გასათვალისწინებელია მთიან რეგიონში ტურისტული და დასვენების ობიექტებზე (3500–4000 კაცი/დღე), თუ გავითვალისწინებთ რომ სასტუმრო ადგილების დატვირთვა მთიან რეგიონებში არსოდესაა 100%-იანი საშუალოდ სეზონზე შეადგენს 65–70%–ს, მთიან აჭარის რეგიონში საორეინტაციოდ ვიზიტორთათვის ადგილების ოდენობა შეადგენს 4600–5200 კაც/დღეში. ვიზიტორთა აღნიშნული რაოდენობის მისაღებად შესაძლებელია მომზადდეს ზაფხულის თვეებში მთიანი აჭარის რეგიონები ჯამურად, ერთჯერადი პიკური გადატვირთვის გასანეიტრალებლად შესაძლოა დროებითი ბანაკების მოწყობა ხის კოტეჯებით, ან კარვებით. აღნიშნული რაოდენობის ადგილები პრაქტიკულად უზრუნველყოფენ ზამთრის პერიოდის 100 დღიან დატვირთვას 460 000–520 000 კაც/დღეს წელიწადში, რაც აჭარის მთიანი რეგიონისათვის სრულიად მისაღები დატვირთვაა რათქმა უნდა მომსახურების დივერსიფიცირების გათვალისწინებით რეგიონებისა და არეალების მიხედვით.

ზემოთარნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია მთიანი აჭარის ფუნქციურ-ტერიტორიალური ზონირება, გეგმარებითი ერთეულების გამოვლენა და მათი განვითარების ტრდენციების განსაზღვრა. ეს პროცესი უნდა

განვიხილოთ, როგორც დინამიურად განვითარებადი, რაც გულისხმობს მთელი სუბრეგიონებისა, თუ მსხვილი ზონების და დასახლებების გეგმარებითი სტრუქტურების ცვლილებებს, პერსპექტიული რეალობების გათვალისწინებით. კონკრეტულად კი აჭარის მთისა და ზღვისპირა რეგიონების ერთიან ურბანულ სივრცით განვითარებას.

„აჭარის ა.რ. სივრცითი მოწყობის სქემი“-ს ერთ-ერთი წამყვანი იდეა – რეგიონალური განსახლების სისტემის ხაზოვანიდან „სავარცხლისებრში“ ტრანსფორმირება და ტერიტორიული რესურსების ოპტიმალურად გამოყენება „მდგრადი განვითარების“, კონცეფციის შესაბამისად ჩვენის აზრით სრულად ვერ გახორციელდება, თუ არ მოხდა მიმღებარე მთიანი რეგიონის „ურთიერთშეღწევადი“ განვითარება და თუ არ ჩამოყალიბდა, როგორც ერთიანი მულტიფუნქციური კომპლექსი საკურორტო-დასვენების ერთიანი ინფრასტრუქტურით, ვიზიტორთა მრავალსახოვანი სერვისების დანერგვით ტურიზმისა და დასვენების სხვადასხვა სახეობების ურთიერთშერწყმით, სადაც ზაფხულის თვეებში წამყვანი პოზიცია იქნება ზღვის სანაპირო ზოლის დატვირთვა და დამატებითი წინადაღებების მიწოდება მთიანი რეგიონის საექსკურსიო, თუ ტურისტულ-გამაჯანსაღებელი მარშრუტების სახით, ხოლო ზამთრის პერიოდში პირიქით მაღალმთიანი რეგიონების სამთო-სათხილამური კურორტების სომხლავრეების წამყვანი პოზიციით და საზღვაო სანაპიროს დასვენების ჩართვით.

საბჭოური მექანიდრეობა, რომელიც ამ მხარეს ერგო მასზე სასაზღვრო გასხვისების ზონის გატარების გამო (მათ შორის აჭარის მთიანი რეგიონები) – გეოგრაფიული, პოლიტიკური და სოციალური გათიშულობა – სერიოზულად აფერხებს ქვეყანაში ტერიტორიული ერთიანობის, სახელმწიფოებრიობის მშენებლობისა და ეროვნული ინტეგრაციის პროცესებს.

ამ კონტექსტში, განხილულია საქართველოს განსახლების ძირითადი ღერძის დამხმარეღერძის ფორმირების ფუნქციურ-გეგმარებითი პირობები. განსახლების „სამხრეთის ღერძად“ მოაზრობული ეს ფუნქციურ-გეგმარებითი კორიდორი ერთმანეთს აკავშირებს შემდეგ დასახლებებს: თბილისი - მარნეული - ბოლნისი - წალკა - ნინოწმინდა - ახალქალაქი - ასპინძა - ახალციხე - აღიგენი - ხულო - შუახევი - ქედა - ერგე - ბათუმი.

მნიშვნელოვანი განვითარების ღერძები გულისხმობების რეგიონთაშორისო კომუნიკაციური, სავაჭრო, სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური კავშირების გააქტიურებას, რაც გამოიწვევს მეზობელი რეგიონების სოციალურ აქტივობას, სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურის, კერძოდ, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ენერგეტიკის განვითარებას.

– **შუახევი-ოზურგეთის** მიმართულების განვითარება დამატებით გულისხმობს მომიჯნავე რეგიონების ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის გამოყენებასაც.

– **ქობულეთი-ხინოს** ძირითადი განვითარების ღერძის კობალაური ხინოს ლოკალური განვითარების მონაკეთი, გულისხმობის ინფრასტრუქტურისა და ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის განვითარებას.

– **ერგე-ჩხუტუნეთის** სივრცით-გეგმარებითი ღერძი. აქ განვითარების სტანდარტულ მიმართლებებთან (სასოფლო სამეურნეო, ინფრასტრუქტურული და ტურისტულ-რეკრეაციული) ერთად, მიზანშეწონილია ტრანსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარებაც, რასაც ხელს უწყობს მაჭახელას ეროვნული პარკისა და თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან მის მომიჯნავედ ახლადგამოცხადებული დაცული ტერიტორიების კოორდინირებული მენეჯმენტის აუცილებლობა.

მოქმედი კანონმდებლობის სრული დარღვევით მიმდინარეობდა ბოლო წლებში აჭარის საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარე-

ბა, ყოველგვარი წინასწარი გათვლების და დაგეგმარების, შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის გარეშე იხარჯებოდა სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრები. “აჭარის ა.რ.-ის სივრცითი მოწყობის სქემი”-ს მიხედვით მომავალი ტურისტულ-რეკერვაციული ტერიტორიების ფუნქციური განვითარების პარალელურად აუცილებელია რიგი არსებული რეკრეაციებისა და კურორტებისათვის ახალი სტატუსის მინიჭება, ან გაზრდა. კერძოდ შეეცვალოთ საკურორტო ადგილის სტატუსი და მიენიჭოთ კურორტის სტატუსი: გონიო–სარფს, „ბათუმის მთას“, ფიჭვარს და დაბა ჩაქვს.

მომავალში ინფრასტრუქტურის, “სამხრეთის ღერძი”-ს განვითარების პარალელურად აჭარის მთიანი რეგიონის რიგ დასახლებებს უნდა მიენიჭოს საკურორტო ადგილის სტატუსი, საკურორტო რესურსის მატარებელ შემდეგ დასახლებულ პუნქტებს:

— ხულოს მუნიციპალიტეტის გოდერძის უღელტეხილის ტერიტორიას, სადაც მიმდინარეობს უდიდესი სამოო – სათხილამურო კურორტის „გოდერძი”-ს მშენებლობა; აქვეა სამკურნალო მინერალური წყალი „ზანკები”.

— ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. ქედლებს – აქ ფუნქციონირებს სამოო – სათხილამურო სკოლა 220 – მეტრიანი საბაგირო გზით, კოტეჯი, სპორტული მოედანი, ადგილობრივი მცხოვრებთა სახლებში მოშზაღებულია ოთახები ტურისტებისა და დამსვენებლების მისაღებად.

— შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. გომარდულს – მდებარეობს ქ. ბათუმიდან 74 კმ-ის დაშორებით ზღვის დონიდან 1450 მეტრ სიმაღლეზე. დღეს აქ ფუნქციონირებს სამოო – სათხილამურო სკოლა 250 – მეტრიანი საბაგირო გზით, 5 – 12- ადგილიანი კოტეჯები, მთავრდება რესტორნის მშენებლობა, ადგილობრივი მცხოვრებთა სახლებში მოშზაღებულია ოთახები ტურისტებისა და დამსვენებლების მისაღებად.

— შუახევის რაიონის დომას მთას – ეს ტერიტორია გამოირჩევა უნიკალური კლიმატით. ტერიტორიის უმთავრესი ნაწილი მოქცეულია გურიის რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მინიჭებული აქვს კლიმატური ტიპის კურორტის სტატუსი. აქ შესაძლებელია ზაფხულში დასვენება. აქვეა მომთაბარეთა საზაფხულო იაილები, რომელთა მოსახლეობა უზრუნველყოფს ზაფხულობით დამსვენებლებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით კვების ორგანიზაციას.

მატით. აქ შესაძლებელია დასვენება როგორც ზამთარში (თოვლის საფარის სიუხვე და საუკეთესო ხარისხი იძლევა საშუალებას ზამთრის სათხილამურო სპორტის ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის) ასევე ზაფხულში დასვენება. აქვეა მომთაბარეთა საზაფხულო იაილები (დაბები), რომელთა მოსახლეობა უზრუნველყოფს ზაფხულობით დამსვენებლებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით კვების ორგანიზაციას.

— შუახევის რაიონის წინაველას მთას – ეს ტერიტორია გამოირჩევა უნიკალური კლიმატით. აქ შესაძლებელია დასვენება როგორც ზამთარში (თოვლის საფარის სიუხვე და საუკეთესო ხარისხი იძლევა საშუალებას ზამთრის სათხილამურო სპორტის ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის) ასევე ზაფხულში დასვენება. აქვეა მომთაბარეთა საზაფხულო იაილები, რომელთა მოსახლეობა უზრუნველყოფს ზაფხულობით დამსვენებლებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით კვების ორგანიზაციას.

— შუახევის რაიონის გომის მთას – ეს ტერიტორია გამოირჩევა უნიკალური კლიმატით. ტერიტორიის უმთავრესი ნაწილი მოქცეულია გურიის რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მინიჭებული აქვს კლიმატური ტიპის კურორტის სტატუსი. აქ შესაძლებელია ზაფხულში დასვენება. აქვეა მომთაბარეთა საზაფხულო იაილები, რომელთა მოსახლეობა უზრუნველყოფს ზაფხულობით დამსვენებლებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით კვების ორგანიზაციას.

— შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ჯვარი მინდორი – ეს ტერიტორია გამოირჩევა უნიკალური კლიმატით და წარმოადგენს მოგზაურობისას შუალედურ რგოლს გომის მთამდე. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს სატრანზიტო კვანძს ეკოტურისტებისათვის – აქ თავმოყრილია საცხენესნო ტურიზმის მარშრუტები, როგორც ხინოს მთის მიმართულებით, ასევე ჭინჭაოს ტბისა და კურორტებამაროს მიმართულებით გომის მთის გავლით. აქვეა მომთაბარეთა საზაფხულო იაი-

ლები, რომელთა მოსახლეობა უზრუნველყოფს ზაფხულობით დამსვენებლებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით კვების ორგანიზაციას.

— **ქედის რაიონის სოფ. გუნდაურს** — ეს ტერიტორია გამოირჩევა დაბალი მთის სუბტროპიკული, ნოტიო კლიმატით. მდებარეობს ზღვის დონიდან 560 მეტრ სიმაღლეზე და დაბა ქედიდან 11კმ-ის დაშორებით მდ. მერისის ხეობაში. მთავარ საკურორტო რესურსს წარმოადგენს აქ არსებული სუსტი მინერალური წყლები. მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და დალევა, პასიური კლიმატოტერაპია.

— **შუახევის რაიონის სოფ. ვანს** — ეს ტერიტორია გამოირჩევა საშუალო მთისზომიერად ნოტიო კლიმატით. მდებარეობს ზღვის დონიდან 1440 მეტრ სიმაღლეზე და დაბა შუახევიდან 24 კმ-ის დაშორებით მდ. ბარათაულის წყლის ხეობაში. მთავარ საკურორტო რესურსს წარმოადგენს აქ არსებული კარბონატულ – ჰიდროკარბონატულ, ნატრიუმიან, ტუტე მინერალური წყალი „ბაბანური“. მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და დალევა, პასიური კლიმატოტერაპია.

— **დანისპარაულის სათხილამურო კომპლექსის კურორტი** ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში, ზამთარში როგორც სამთ-სათხილამურო, ზაფხულში სამთო კურორტი საფეხმავლო, საცხენოსნო მარშრუტებით, ჯიპტურებისა და კვადროციკლების ტურების შესაძლებლობებით.

გამომდინარე აშენებული ბაგირგზების საერთო გამტარუნარიანობიდან, შესაძლებელია გათვლილი იქნეს კურორტის შესაძლო მოთხილამურეთა რაოდენობის დათვალა და შემდგომი შესაძლო ნორმატიული დატვირთვის განსაზღვრა ფორმულით (ავტ. უ.კლიუმენი):

C=ND /n,

სადაც:

C — ტრასების მოცულობითი შესაძლებლობებია;

N — ერთ დღეში ტრასების გამოყენების შესაძლებელი დროა და შეადგენს საშუალოდ 8 სთ/დღე-ში.

N — ერთი მოთხილამურის ჩამოსვლების რაოდენობა ერთ დღეში საშუალოდ არის 5;

D — საათში ტრასის გამტანუარიანობა უზრუნველყოფს საშუალოდ 2500 კაცს, ბაგირგზის გამტარობის მიხედვით;

შესაბამისად:

$$C = 5 \times 2500 / 8 = 1562 \text{ კ/დღე};$$

კურორტის შესაძლო ნორმატული დატვირთვა განისაზღვრება მოთხილამურეთა მიხედვით შესაძლო კოეფიციენტით 0,3-0,9-ის ფარგლებში არამოთხილამურეთა ოდენობის დამატებით გამომდინარე, თუ რა დამატებით საკურორტო მომსახურებას თავაზობს კურორტი ვიზიტორებს სეზონის განმავლობაში, ჩვენს შემთხვევაში მისაღებია 0,3-ით გაზრდა, ვინაიდან ზამთრის პერიოდში სხვა აქტივობები ამ რეგიონში პრაქტიკულად არაა შესაძლებელი მაღალი თოვლიანობის გამო. შესაბამისად კურორტის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს

$$K \text{ ნორმ.დ} = 1562 \times 1.3 = 2\ 030 \text{ კაც/დღე-ში}$$

ამ მაგალითის მსგავსად შესაბამისი ფორმულითა და ტრასების გამტარუნარიანობით შესაძლებელია გათვლილი იქნეს ყველა ზამთრის კურორტის ნორმატიული დატვირთვები.

მთიანი აჭარაში ტურიზმისა და დასვენების ერთიანი ურბანული სისტემის შექმნის უმნიშვნელოვანების ფაქტორია ახალი თანამედროვე სატრანსპორტო – საინჟინრო კომუნიკაციური ინფრასტრუქტურის ქსელის შემნა. კერძოდ ამჟამად ფორმირებადი საქართველოს „სამხრეთი ღერძი“ – ს განვითარების ხაზის გასწვრივ, გოდერზის უღელტეხილზე გამავალი საავტომობილო გზის: ახალქალაქი–ქედა–ბათუმის მიმართულების გაფართოებად ა მისი ჩართვა შავი ზღვის გარსშემოსავლელ მაგისტრალთან. აგრეთვე მთიანი აჭარის სატრანსპორტო

კავშირების გაფართოება, გურიის, სამცხე-ჯავახეთის და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით.

დასკვნა

აჭარის და მისი მთიანი რეგიონების მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი ტურისტულ-რეკრეაციული, სამეურნეო პოტენციალის სრულფასოვანი ურბანული განვითარებისა და არქიტექტურულ-სივრცობრივი პრინციპების დამუშავება და გამოყენება ხელს შეაუწყობს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგრა-რეობის გაუმჯობესებას, მოსახლეობის მიგრა-ციის შეჩერებას, სამუშაო ადგილების შექმნას, ცხოვრების დონის საგრძნობლად ამაღლებას და ჩამოაყალიბებს ატონომიური რესპუბლიკის გრძელვადიან მდგრადი განვითარების პი-რობებს.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, მთიანი რე-გიონები, არქიტექტურულ-სივრცობრივი მო-წყობა, კურორტები.

ТЕНДЕНЦИИ АРХИТЕКТУРНО-ПРОСТРАНСТВЕННОГО РАЗВИТИЯ ТУРИСТСКО-РЕКРЕАЦИОННЫХ КОМПЛЕКСОВ ГОРНОЙ АДЖАРИИ

*Авторы: Докт.арх. Тенгиз Махарашвили
Арх.Докт-ант. Николоз Абашидзе*

В статье на основании критического рас-смотриения зарубежного опыта по утвержде-нию современных требований устойчивого развития горных регионов, рассмотрены

значительные вопросы развития систем ту-ризма и отдыха в горном регионе Аджа-рии, такие как: рекреационная вместимость, Инженерно-транспортная инфраструктура, тенденции взаимопроникновенного разви-тия горных и приморских регионов Аджа-рии и т.д.

разработаны конкретные рекоменда-ции и указания по архитектурно-прос-транственному развитию для обеспечения условий устойчивого развития горного ре-гиона Аджарии.

TENDENCIES ARCHITECTURE AND SPACE DEVELOPMENT OF TOURIST-RECREATION COMPLEXES THE MOUNTAIN OF ADJARA

*Doct.arch. Tengiz Makharashvili
Arh.Doct-ant. Nikoloz Abashidze*

The article based on a critical review of in-ternational experience according to modern re-quirements of sustainable development in moun-tain regions, considered major issues of tourism and recreation systems in the mountain region of Adjara, such as: recreational capacity, engineer-ing and transport infrastructure, the development trend of mutual penetration of mountain and sea-side regions of Adjara and etc.

Up with specific recommendations and guide-lines for architectural and spatial development to ensure the conditions for sustainable develop-ment of the mountain region of Adjara.

სამუზეუმო არქიტექტურის თანამედროვე ტენდენციები

ვანდა მუჯირი,
არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი,

მუზეუმების მშენებლობამ დღევანდელ დღეს მიაღწია უზარმაზარ მასშტაბებს მთელს მსოფლიოში. მაგალითად, მხოლოდ გერმანიაში უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე აშენდა 400-მდე ახალი სამუზეუმო შენობა.

სამუზეუმო შენობის არქიტექტურა და-კავშირებულია სამუზეუმო კონცეფციასთან. შენობის სახე სიმბოლურად ასახავს საზოგა-დოების წარმოდგენას მუზეუმისა და იმ საგან-ძურის შესახებ, რომელიც დაცულია მასში.

სამუზეუმო არქიტექტურა თავის განვი-თარებას იწყებს ტაძრებისა და სასახლეების შენებლობით, როდესაც კოლექცია პირველ რიგში აღიქმებოდა უტილიტარული და დეკო-რატიული ფუნქციის თვალსაზრისით.

მე-19-ე საუკუნის სამუზეუმო შენობების პირველი პროექტები ინარჩუნებლნენ ტაძ-რული არქიტექტურის პრინციპებს, მათთვის დამახასიათებელი კლასიკური ტრადიციით: მდიდრული პორტიკი, კოლონები, სადღესას-წაულო ვესტიბული მონუმენტური კიბით, მაღალი ჭირები, დეკორის მძიმე დეტალები, ბუნებრივი განათება და მასიური მოცულობები, რომლებთან შედარებით ადამიანი აღიქმება პატარა ნაწილაკად „საკრალური“ ნივთების ამ უზარმაზარი ღირებულებების წინაშე.

მე-20-ე საუკუნეში კარდინალურად შეიცვა-ლა დამოკიდებულება სამუზეუმო არქიტექტუ-რისადმი. მაშინ, როდესაც ხელოვნებამ მიიღო გამოსახვის ადრე უცნობი და წარმოუდგენელი ფორმები, არქიტექტორები დადგნენ განუმეო-რებელი სამუზეუმო შენობების შექმნის აუცი-ლებლობის წინაშე, რომლებიც შეიქმნებოდა კონკრეტული ქალაქის, კონკრეტული კოლექ-ციისა და კონკრეტული ექსპონატისთვის (1).

1968 წელს კომუნიკაციური მიდგომის

გაჩენასთან ერთად მუზეოლოგების ყურად-ღება ფოკუსირდება სამუზეუმო აუდიტორიის შესწავლაზე. ამ დროს აქტიურად ვითარდება ძირითადი თანამედროვე იდეები მნახველისთ-ვის სამუზეუმო კოლექციის ხელმისაწვდომო-ბის შესახებ, როდესაც ის იქცევა სამუზეუმო ექსპოზიციის სრულუფლებიან წევრად.

დღეს სამუზეუმო კონცეფციებში აქცენტი კეთდება არა მხოლოდ ნიმუშების შენახვის პრიორიტეტზე, არამედ თვით ამ ნიმუშების აქტუალიზაციაზე. მთავარი საკითხია - ვისთ-ვის ინახება კოლექცია(2).იზრდება მუზეუმის როლი კულტურული მემკვიდრეობის ინ-ტერპრეტაციაში და თანამედროვე სამყაროში ადამიანის იდენტიფიკაციაში. ცხადი ხდება ახალი ცოდნის, იდეების და სულიერი ფასეუ-ლობების გენერირების აუცილებლობა.

ცნებაში „მუზეუმი“ ერთვება ახალი ფუნ-ქციები, რაც იწვევს სამუზეუმო არქიტექტუ-რის განვითარებას და ცვლილებას. ახლა უკვე მუზეუმი აფასებს შენობის არქიტექტურული გადაწყვეტის სიახლესა და ორიგინალობას, მასში ან ლია სივრცეში წარმოდგენილი ექსპო-ზიციებისა და გამოფენების მიმზიდველობას და აღარ მიმართავს მხოლოდ საქმიანობის ტრადიციულ ფორმებს.

დღეს მსხვილი მუზეუმები იმყოფება კულ-ტურისა და ატრაქციონის ზღვარზე. მუშავდე-ბა მარკეტინგული სტრატეგიები მნახველის რაც შეიძლება დიდი რაოდენობის მოზიდვისთ-ვის. ეწყობა გამოფენა-ჰიტები, რომლებზეც სწრაფად იყიდება ბილეთები ან მნახველი საათობით დგას რიგებში, რათა მოხვდეს მუ-ზეუმში.

თანდათან ცხადი ხდება, რომ სამუზეუმო არქიტექტურა იზიდავს მნახველს არანაკლებ

სამუზეუმო ექსპონატებისა. ზოგიერთ შემთხვევაში შენობა ხდება უმთავრეს მოტივაციად, რომელიც უბიძგებს ადამიანს მივიღეს ამა თუ იმ მუზეუმში.

სამუზეუმო მშენებლობაში ღირშესანიშნავ მოვლენად იქცა გუგენჰაიმის მუზეუმი ბილბაოში (ფრენკ გერი) და გეტტი ცენტრი ლოს-ანჯელესში (რიჩარდ მაიერი - 1997 წელი).

„ვარსკვლავი“ არქიტექტორების მოწვევის ტენდენცია მუზეუმების დასაპროექტებლად დღესაც აქტუალურია.

მუზეუმის არქიტექტურას ძალუშს გავლენა მოახდინოს პერიფერიების, დეპრესიული რაიონების განვითარებაზე ისე, როგორც ეს მოხდა ესპანურ პროვინციაში ბისკაია (გუგენჰაიმის მუზეუმი ბილბაოში).

„ბილბაოს ეფექტი“ გახდა სამუზეუმო არქიტექტურის სინონიმი, ერთი შენობის არქიტექტურის, რომელსაც შეუძლია სიცოცხლე შთაბეროს მთელ რეგიონს, განაპირობოს მისი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება.

მუზეუმი ბილბაოში, თავისი არაჩვეულებრივი ფერადოვანი სახით ქმნის ნამდვილ ექსპონენტებისტულ ლაქას ინდუსტრიულ ქალაქში, მისი მასშტაბური ფორმები გაიფრიჩქნა ქარხნულ მილებს შორის. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მუზეუმი ქვეყნის ეკონომიკის ნაწილი ხდება. სამუზეუმო შენობის პროექტირების დროს აქცენტი კეთდება არა ექსპონატების ჩვენებაზე, არამედ ისეთი სივრცის შექმნაზე, რომელიც მოიზიდავს მნახველს და გაზრდის დაწესებულების შემოსავალს.

ბილბაოს ეფექტი მდგომარეობს ცოცხალი ქალაქის ტურიზმის გენერატორად ტრანსფორმირებაში, ახალი არქიტექტურული კომპოზიციის დახმარებით. გეტტი ცენტრთან შედარებით, სადაც თანამედროვე ხელოვნების კოლექციაა დაცული, ბილბაოს გუგენჰაიმის მუზეუმს არ გააჩნია საკუთარი მუდმივი ექსპოზიცია. მისი დარბაზები შევსებულია ჩამოტანილი ნამუშევრებითა და გამოფენებით. კორპორაცია

გუგენჰაიმის დირექტორ თომას კრენსის ჩანაფიქრის მიხედვით, გამოფენები მოგზაურობენ კულტურულ ცხოვრებაში და ესა თუ ის მუზეუმი ამ ექსპოზიციების მხოლოდ დროებითი გაჩერებაა თავის დიდ ტურნეში. მუზეუმი ჩვენ წინაშე წარმოადგენს სივრცეს სხვადსხვა მოვლენებისთვის, რომლებიც ენაცვლებიან ერთმანეთს, და სივრცეს საზოგადოებასთან მუდმივი დიალოგისთვის. გაჩნდა ახალი ტენდენცია, იხურება ძველი ფილიალები და იგეგმება ახლების გახსნა, მაგალითად ვილნიუსში და აბუ-დაბიში. ბილბაოში ჩასახულ ტენდენციას აქვს გაგრძელება და განვითარება (პიტერ კუკის და კოლინ ფურნიეს კუნსტკაუს გრაცი, ზაკა პადიდის თანამედროვე ხელოვნების ცენტრი).

თანამედროვეობის ერთერთი ტენდენციაა სამუზეუმო კორპორაციების ჩამოყალიბება, რომელთა საქმიანობა მთელ მსოფლიოში ვრცელდება. ზუსტად ასეთი გლობალიზაციის დემონსტრირებას ახდენს სოლომონ გუგენჰაიმის მუზეუმის კორპორაცია. მისი მუზეუმების მშენებლობის საშუალებით შესაძლებელი ხდება შევისწავლოთ უახლესი არქიტექტურა. (ზემო ჩამოთვლილი მუზეუმების გარდა აღსანიშნავია გუგენჰაიმსოხო (არატაისოდზაკი, 1992) და გუგენჰაიმი ლას ვეგასი (რემ კოოლხასი, 2001). დღეისათვის გუგენჰაიმის კორპორაციას აქვს საკუთარი შენობები ნიუიორქში, ვენეციაში, ბილბაოში, ბერლინში და მშენებარე კომპლექსები აბუ-დაბიში და ვილნიუსში (3,4,5).

ამერიკელების გაგებით კორპორაცია არის სისტემა, რომელიც მოიცავს სხვავდასხვა პროფილის საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც გაერთიანებულია ერთი ბრენდით, მმართველობის ერთიანი სტრატეგიული სისტემით (6). სამუზეუმო კორპორაცია შეიძლება აერთიანებდეს საგამომცემლო, საგა-

მოფენო, საგანმანათლებლო საქმიანობას და სასუენირო წარმოებას, ასევე სასტუმროებისა და ტურისტულ ბიზნესს, სარესტორნო კომპლექსებს და ა.შ.

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი MoMA ნიუ იორკში მისდევს ამ საქმიანობას.

ამ მუზეუმის ისტორია იწყება 1939 წლიდან, როდესაც ფილიპ გუდვინმა და ედვარდ სტოუნმა განათავსეს მუზეუმი 53-ე ქუჩაზე, შემდეგ, 1964 წელს, ხდება მისი რეკონსტრუქცია და 2004 წელს შენდება ახალი შენობა, რომლის ავტორია იოსიონტანიგური.

მნიშვნელოვანია რეკონსტრუქციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მუზეუმის არქიტექტურაში მნიშვნელოვანი სივრცეების ჩართვას, რომლებიც განკუთვნილი იყო კაფეებსა და მაღაზიებისათვის. აქ გამოვლინდა სამუზეუმო მშენებლობაში მნიშვნელოვანი ტენდენცია — მნახველებისთვის სპეციალური სივრცის შექმნა. სადღეისოდ, MoMA ფლობს რამდენიმე მსხვილ მაღაზიას, როგორც მუზეუმის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მისი ლოგოტიპი ამშვენებს სხვადასხვა პროდუქციას: პლაკატებით, ბრელოკებით, ბარათებით დაწყებული, დამთავრებული ავეჯით, ჭურჭლით და ტანსაცმლით. მუზეუმმა ფსონი დადო არა მარტო ექსპონირებული კოლექციის უნიკალურობაზე, არამედ გასაყიდად გამოტანილი ნივთების ექსკლუზიურობაზე, რომლებსაც ცნობილ დიზაინერებს უკვეთავენ. მათ შორის არიან მარკ ნიუსომი, ფილიპ სტარკი, კარიმ რაშიდი და სხვა.

MoMA-ს საქმიანობა წარმოადგენს სანიმუშო მაგალითს, როდესაც მუზეუმი ან სამუზეუმო კორპორაცია ისევე, როგორც სხვა წარმატებული კომპანია, გაერთიანებულია ერთი დასამახსოვრებელი ბრენდით. ბრენდი წარმოადგენს კომპანიის სიმბილოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასოციაციების ნაკრებს, ქმნის იმიჯს საერთაშორისო ასპარეზზე, რომელიც დაკავშირებულია შემოთავაზებული მოძახურების და წარმოდგენილი პროდუქციის

ხარისხთან. მუზეუმის ლოგოტიპი წარმოადგენს მის სახეს და ხშირად მისი არქიტექტურა ამა თუ იმ როლში გვევლინება. ზოგჯერ მუზეუმის სილუეტს იყენებენ მის ლოგოზე, ვინაიდან საინტერესო არქიტექტურა თავისთავად არის ცნობადი, ზოგ შემთხვევაში კი პირიქით, არქიტექტურა იყენებს ლოგოტიპს საკუთარი მიზნებისათვის.

ბოლო წლებში აშკარად გამოვლინდა სხვა ტენდენცია სამუზეუმო არქიტექტურაში - „დეინდუსტრიალიზაცია“ ხელოვნების საშუალებით. ითვისებენ და რეკონსტრუქციას უტარებენ ყოფილ ფაბრიკებს, ქარხნებს, ელექტროსადგურებს, სამრეწველო ზონებს და იყენებენ მუზეუმებისათვის, თანამედროვე ხელოვნების გალერეებისათვის.

ასე ტეიტის მუზეუმმა ლონდონში (ტერცოგი და დე მირონი, 2000 წ) განათავსა საკუთარი კოლექცია ლონდონის ყოფილ თბოელექტროსადგურში (7, 4) და გააოცა საზოგადოება სამრეწველო შენობის ხელოვნების ბრწყინვალე ცენტრად საოცარი გადაქცევით.

TateModern-ის მაგალითს მიბაძა BatterseaStation-ლონდონში, ლივერპულისა და მანჩესტერის ყოფილი კვარტალები. გალერეა WhiteCube განთავსდა ყოფილი ელექტროსადგურის შენობაში.

2001 წელს ოთხი ცილინდრული ფორმის ვენური გაზპოლდერის სივრცეში განთავსდა არა მხოლოდ საცხოვრებელი ბლოკი, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ოფისები, მრავალრიცხოვანი კაფე-რესტორნები, სტუდენტური საერთო საცხოვრებელი, არამედ ქალაქ ვენის არქივი, საგამოფენო მოედანი, საკონცერტო დარბაზი და კინო-თეატრი. სამრეწველო ინტერიერების და კეთილმოწყობილი, გამწვანებული ტერიტორიის კონტრასტი ქმნის ახალ სივრცეს განსაკუთრებული ესთეტიკით.

სადღეისოდ მუზეუმის შენობა არ არის მხოლოდ რარიტეტების საცავი. ის არის სელოვნების დამოუკიდებელი ნიმუში, რომელიც

იწვევს დამთვალიერებლის ისეთივე ინტერესს, როგორც მასში დაცული კოლექციები. მუზეუმის არქიტექტურა ხდება სიახლეების დამკვიდრების ახალი მოედანი. მას შემდეგ, რაც გეტტის ცენტრის მშენებლობაში დაიხარჯა 1 მილიარდი ლორდი, ცხადი ხდება, რომ ხელოვნებაში ინვესტიცია შეიძლება არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ „პიტური“ ხელოვნების ნიმუშების ყიდვით. თანხების გააზრებული ჩადება მუზეუმის პროექტში შეიძლება გახდეს კერძო პირის, ან მსხვილი კომპანიის კარგი პიარი. დასავლეთში მშენებლობის ხარჯებს ჩვეულებრივ იყოფენ მუნიციპალური მმართველობა და კერძო სტრუქტურები. თანამედროვე მუზეუმის ორიენტაცია მნახევლთან აქტიურ მუშაობაზე, მისი დაინტერესება მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებაში ზრდის მის საგანმანათლებლო ფუნქციას. სამუზეუმო პროგრამები მიმართულია მნახევლის შემოქმედებითი პოტენციალისა და ასოციაციური აზროვნების აქტივაციაზე (8).

მუზეუმის სივრცეში იქმნება საგანმანათლებლო ცენტრები, კლუბები, წრეები, ეწყობა ლექციები, შემოქმედებითი საღამოები და ა.შ. ასეთი მუზეუმის ორგანიზებისთვის საჭიროა ახალი სივრცეების შექმნა. მაგალითად, 2005 წელს სტივენ ჰოლის მიერ სიეტლში განხორციელებული BelleuveArtsMuseum-ის რეკონსტრუქცია, რომელიც შემუშავებული იყო მისი საგანმანათლებლო მისიდან გამომდინარე. მუზეუმის არქიტექტურა, მასში გათვალისწინებული საგამოფენო გალერეების გარდა, გამოყოფს მნიშვნელოვან ფართს აუდიტორიებისთვის, კერამიკული და სამსატვრო სტუდიებისთვის, ბიბლიოთეკისთვის. ცენტრალური ატრიუმი სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობებს იძლევა. ატრიუმი იმდენად დამახასიათებელი კონსტრუქციაა სამუზეუმო არქიტექტურაში, რომ რემ კოლხასი ხუმრობით უწოდებს მსგავს მუზეუმებს “atrium-ridden” (ატრიუმით გახედნილები), მაშინ როდესაც ჰოლი ახასიათებს ამ

სივრცეს, როგორც სოციალურ კონდენსატორს და აფასებს მის პოტენციალს ადამიანთა ერთობის შექმნისა და გამყარების უნარის მიხედვით (9).

მუზეუმის არქიტექტურულ გამოსახულებაში ხშირად აისახება ადამიანთა ცხოვრებაში მონაწილეობისა და თანამედროვეობის და ურბანული გარემოს კონტექსტში ჩაწერის სწრაფვა. სენტ ლუისის (Allied Works,2002) თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი გადაჯაჭვულია ურბანულ გარემოსთან. ბეტონის რბილად მომრგვალებული კედლის ზოლი მიმართავს მზერას შენობის კუთხისკენ, ეჯახება ხმაურიან ქუჩას, მიყავს განათებული შესასვლელისკენ და უბიძგებს შიგნით შესვლისაკენ. ორი უზარმაზარი ფანჯარა ანგრევს ბარიერს ქალაქსა და მუზეუმს შორის და არღვევს კედლის სივრცეს. საეჭსპოზიციო დაბაზების პირველი ფანჯრიდან იშლება ხედი, მეორე ფანჯარა კი სიმბოლურად ანათებს საგანმანათლებლო განყოფილების აუდიტორიას(8).

ამგვარად, ჩანს თუ როგორ აისახა თანამედროვე მუზეუმის ფუნქციონირება მის არქიტექტურაში. მუზეუმის დაპროექტება არის დიდი ილბალი არქიტექტორისთვის, რაც მეტყველებს მისი ნიჭის აღიარებაზე და მის სახელს უკვდავყოფს. მუზეუმის პროექტი დღეს არ არის მხოლოდ საზოგადოებრივი მნიშვნელობის, არამედ ის საავტოროც არის.

ბრწყინვალე არქიტექტურულმა გადაწყვეტილებამ შეიძლება ტურისტების ნაკადი მოიზიდოს და ამავე დროს სერიოზულად გაართულოს სამუზეუმო მოღვაწეობის წარმართვა, მაგალითად საეჭსპოზიციო (როგორც ნიუიორკის გუგენჰაიმის მუზეუმში - გაღუნული კედლები, დახრილი იატაკები, რაც ართულებს სურათების გამოფენას).

მუზეუმის შენობის იდეალური პროექტი უნდა პასუხობდეს, როგორც გარეგნულ, ასევე შიდა მოთხოვნებს - ის უნდა იყოს ორიგინალური, ნოვაციური და განუმეორებელი და ამავე დროს ფუნქციონალური.

საკვანძო სიტყვები: მუზეუმი, არქიტექტურა, სივრცე, ურბანული გარემო, ბრენდი, კონკორდაცია.

ლიტერატურა:

1. BellevueArtMuseum. About us. Our mission//http://www.bellevuearts.org/about_us/index.htm
2. Белоголовский В.МоМА транзит или архитектурный театр Майкла Малцана.. Эновое русское слово - Нью-Йорк,июль 2002.
3. Богнер Д. Направления развития музеиной сферы в Европе и в мире//Меняющийся музей в меняющемся мирею Конкурс музеиных проектов 30 декабря- 1 марта 2004-2004.
4. Гимельштейн Я. Музейное дело в рамках феномена новой культурной политикии теории корпоративизма//<http://museum.philosophy.ru/old/triambos.html>
5. Ильина А. Где посмотреть на мечту архитектора?// Собственник. Журнал о людях и домах.-сентябрь 2006.
6. Мастеница Е.Н. Новые тенденции в развитии музея и музеиной деятельности//<http://museum.philosophy.ru/old/triambos.html>
7. Музейной эры//Музей, №7, 2008
8. Zeiger M. New museum architecture. Innovative from around the world.- London, 2005.
9. Калугина Т.П. Художественный музей как феномен культуры, - СПб, 2001

СОВРЕМЕННЫЕ ТЕНДЕНЦИИ В МУЗЕЙНОЙ АРХИТЕКТУРЕ

Ванда Муджсири,

доктор архитектуры, профессор

Музейное строительство на сегодняшний день достигло огромных масштабов по всему миру. Осознается необходимость генерировать новые знания, идеи, духовные ценности, возрастает роль

музея в интерпретации культурного наследия и идентификации человека в современном мире. В понятие «музей» включаются новые функции, что влечет за собой развитие и изменение музеиной архитектуры. Теперь музей следует не только традиционным формам деятельности, но и видит ценность в новизне и оригинальности архитектурного решения здания и представленных внутри или на открытом воздухе экспозиций и выставок.

В проектировании музеиного здания ставится новый акцент на создание пространства, способного привлечь посетителей и увеличить доходы учреждения. Музей сегодня выступает в качестве проекта не только общественного значения, но и проекта авторского.

Благодаря яркому архитектурному решению происходит трансформация живого города в генератор туризма при помощи новой архитектурной изюминки.

MODERN TENDENCIES IN MUSEUM ARCHITECTURE

*Vanda Mujiri, Ph.D. Professor,
Technical University of Georgia,*

The museum construction has reached a globally massive scale. The necessity for generating new knowledge, ideas and spiritual values has become apparent. The role of museums, in interpretation of cultural legacy and person's identification within the modern world, has also grown. The definition of a "museum" is encompassing new functions, which bring about evolution and change of museum architecture. Currently the museum, aside from simply following through with traditional functions, also appreciates novelty and originality of the building's architectural execution alongside with open-air and indoor expositions and exhibition.

In planning the construction of a museum a new emphasis is being made on creating a space capable of attracting visitors and increasing the establishment's income. A museum, nowadays, presents itself not only as a public undertaking but also as an author's project.

Due to vibrant execution, the addition an architectural gem transforms a city into a generator of tourism.

არქიტექტურული პროექტის განვითარების პერსპექტივები

ვანდა მუჯირი,

არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი,

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მინისტრი

თანამედროვე არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის სკოლების განვითარების კვლევამ შესაძლებელი გახადა მისი კონცეფციების თვითმყოფადობის გამოვლენა. თანამედროვე არქიტექტურული კომპოზიციის სკოლა ისევე, როგორც საპროექტო პრაქტიკა, უარს ამბობს ტრადიციულ კლასიკაზე და ხასიათდება ნოვატორული მიზანსწრაფულობით. ამ პირობებში ჩამოყალიბდა თანამედროვე არქიტექტურის ახალი სახე, რომელიც ეფუძნება მხატვრულგამომსახველობით ენას.

სწავლებისა და დაპროექტების პრაქტიკის შეთავსებით, ახალმა სკოლამ მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის ფორმალური მეთოდიკის გამოყენებით განსაზღვრა არა მარტო კომპოზიციის ათვისების განსხვავებული მეთოდები, არამედ ეს მეთოდები გარდაქმნა ახალ მასალად, რომელმაც პოზიტიური გავლენა იქონია თანამედროვე არქიტექტურის სტილისტური სახის ფორმირებაზე.

XX საუკუნეში არქიტექტურული სკოლის პრაქტიკა მაჩვენა, რომ პროპერევტიკული მიდგომა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი და გავლენიანი მეთოდური თვალსაზრისით. სწორედ მის ფარგლებში იყო რეალიზებული ფორმალურანალიტიკური მეთოდის კომპოზიციური პრინციპები.

არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის თანამედროვე სკოლა შეიძლება დახასიათებული იყოს, როგორც XX საუკუნის არქიტექტურული განათლების სისტემის ნოვატორული მოვლენა, რომელიც იყო სოციალ-კულტურული პროგრესისა და ხელოვნების ევოლუციის შედეგი. ის არის აღიარებული და აპრობირებული სამეცნიერო-პედაგოგიური კონცეფცია, რომელიც ეფექტიანად წყვეტს საბაზისო პროფესიული გამოცდილების ათვი-

სების ამოცანას (1).

არქიტექტურული სკოლის არქიტექტურულ-პედაგოგიური კონცეფციები, მიდგომები და პრინციპები ასახავენ მხატვრული გამოცდილების ამა თუ იმ მეთოდს, რის შედეგადაც ისინი ობიექტურ დებულებებთან ერთად აუცილებლად ითავსებენ მათ მიმართ სუბიექტურ დამოკიდებულებას, რომელიც დამახასიათებელია შემოქმედი პედაგოგებისათვის. ამით აიხსნება კონცეფციების სიმრავლე, რომლებიც წარმოდგენილია წამყვანი პედაგოგების საავტორო პროგრამებში და გამოხატულია ამა თუ იმ სასწავლებლის პედაგოგთა კოლექტივების მიერ;

სამეცნიერო მიდწევების სწრაფგანვითარებასთან ერთად არქიტექტურის შინაარსი და მასთან ერთად არქიტექტურული მოღვაწეობის მეთოდოლოგია დინამიკაში შეიძლება შეიცვალოს. რა თქმა უნდა, მასში გაძლიერდება მეცნიერული კომპონენტი, მაგრამ იმ ნაწილში, რომელიც ეხება ხელოვნებისადმი დამოკიდებულებას და მხატვრული შემოქმედების მეთოდებს, მეცნიერების შესაძლებლობები შეზღუდულია და ის ვერასოდეს ვერ შეცვლის მხატვრის, ხელოვანი სინტუიციას. ამიტომაც არქიტექტურული პროპერევტიკა ამ კუთხით მნიშვნელოვნად არ შეიცვლება, ვინაიდან ის ახდენს არქიტექტურის პროფესიონალურ-მხატვრული ხერხების ათვისების რეალიზაციას (2).

საუკუნის დასაწყისში ფორმათწარმოქმნის პარალიგმის გლობალური ცვლილების დროს ჩამოყალიბდა არქიტექტურის კომპოზიციურ-მხატვრული საფუძველი, რომელმაც გააერთიანა წინამორბედი კულტურის ფორმები და თანამედროვე კულტურის ნიშნები აირეკლა. არქიტექტურის სამეცნიერო და შემოქ-

მედებითი პრაქტიკისას მასში რა თქმა უნდა ვლინდება ახალი შესაძლებლობები (3,4). მოსალოდნელია ცვლილებები, მაგრამ საეჭვოა, რომ ისინი რადიკალურ ხასითს ატარებდნენ. ამიტომ არ არის მოსალოდნელი იმის მსგავსი აღმოჩენები, რომლებსაცადგილი პერიოდისანგარდისპერიოდში. დღეს უკვე უჭირავთ არქიტექტურული სკოლა შევიდა XXI საუკუნეში არქიტექტურის საწყისი პროფესიული განათლების მთელი არსენალით, რომელიც მოიცავს აღმოჩენებს არქიტექტურულ პროპერეტიკაში, რა სახეც არ უნდა მიიღოს ახალმა არქიტექტურამ, ფორმათწარმოქმნის მისი სიღრმისეული იმპულსები დარჩება გამოსატული პროპერეტიკული კონცეფციით.

არქიტექტურული პროპერეტიკის ტრადიციულ ფარგლებში კი მოსალოდნელია დიდი და პატარა პედაგოგიური აღმოჩენები, ვინაიდან მისი არსენალი ჯერ არ არის ამოწურული.

არქიტექტურული განათლების საწყის ეტაპზე არსებობს მრავალი პრობლემა, უპირველესია მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის და არქიტექტურული და პროექტების კავშირი. ნათელი გახდა, რომ ის არ შეიძლება გადაწყდეს ეტაპობრივი გზით, სადაც წყვეტის საშიშროება განსაკუთრებით დიდია.

წამყვანი არქიტექტურული სკოლების გამოცდილება მეტყველებს საპროექტო პროცესის განვითარების და მასში მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის მასალის პარალელურად ჩართვის მიზანშეწონილობაზე. ამ შემთხვევაში მოცულობით-სივრცითი კომპოზიცია გვევლინება, როგორც ძირითადი სახვითი იდეის ძიების ინსტრუმენტი. სწავლებისა და დაპროექტების პრაქტიკის შეთავსებით, ახალმა სკოლამ მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის ფორმალური მეთოდი ისგამოყენებით განსაზღვრაა მარტო კომპოზიციისათვის გვანსხვავებული მეთოდები, არამედ ეს მეთოდები გარდა აქტუალურია მასალად, რომელმაც პოზიტიური გავლენა იქონია თანამედროვე არქიტექტურის სტილისტური სახის ფორმირებაზე (1,5).

თეორიულ ასპექტში საჭიროა მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის სამეცნიერო დებულების გარკვევა, ფორმათწარმოქმნის თეორიის განვითარება, არქიტექტურული კომპოზიციის კატეგორიების განხილვა. არქიტექტურული პროპერეტიკის ინტერესებშია, რომ ახალი ცოდნა უწყვეტად აისახებოდეს კომპოზიციური პრაქტიკუმის მეთოდურ ფორმებში, პედაგოგისა და სტუდენტის ერთობლივ შემოქმედებაში (6).

თანამედროვე არქიტექტურის საგნობრივ – სივრცითი შინაარსი ლოგიკურად განაპირობებს ახალი ტიპის პროფესიული აზროვნების მიზანდასახულ განვითარებას. ზუსტად აქა მოსალოდნელი მრავალი აღმოჩენა.

შეიძლება დავუშვათ, რომ დღეს არარსებობს მეთოდური და თეორიული ერთიანობა თემის გაგებაში “ფორმისგამოვლენა”. აქ საჭიროა კატეგორიის “არქიტექტურული ფორმის გამოვლენა” უფრო ღრმად ამუშავება, ანალიზი და ამ კომპოზიციური ნაწილის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა.

ასეთივე ყურადღებას მოითხოვს თემა “ტექტონიკა”. მოცულობით ფორმაში ტექტონიკური დამოკიდებულებების ფართო შესაძლებლობების გაცნობიერების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე არქიტექტურის მხატვრული ხერხების მთელი პალიტრის წარმოდგენა.

კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებული იქნება გარკვეული ძვრები და ცვლილებები.

სწავლების კომპიუტერული ფორმა უკვე აქტიურად ერთვება სასწავლო დაპროექტების პროცესში და მისი როლი უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, ვინაიდან ახალი ვიზუალური ენა ახალსაპროექტო აზროვნების ფორმად იქცევა. ასესტ პირობებში მიგვაჩნია, რომ არქიტექტურული სკოლა აუცილებლად უნდა პასუხობდეს ახალ სიტუაციას არქიტექტურული შემოქმედების მეთოდოლოგიაში. ეს მოითხოვს ახალი იდეების ძიებას განათლების საწყისი ციკლის ორგანიზებაში, არქიტექტუ-

რულ პროპედევტიკაში.

ახალი დროის არქიტექტურის ფორმათწარ-მოქმნის პრინციპები ძირითადად არ შეიცვლება. მათი ბუნება, რომელიც გამომდინარეობს ადამიანის, როგორც აქტიური სუბიექტის ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებებიდან და ჩენი სამყაროს საგნობრივ-სივრცითი მა-ტერიალური სპეციფიკიდან, ვერ განიცდიან საფუძვლიან ტრანსფორმირებას. არქიტე-ქტურა დარჩება არქიტექტურად, მაგრამ მისი ამოცანების გადაწყვეტის ხერხები აუცილებლად შეიცვლება კომპიუტერული მიღწევების ჩართვასთან ერთად (8).

არქიტექტურის განვითარების ყველა ეტაპზე ჩნდება პრობლემები, რომლებიც მოი-თხოვენ მხატრული ფორმათწარმოქმნის ყვე-ლა შესაძლებლობის უფრო ღრმა გააზრებას. ამ ასპექტში არქიტექტურული კომპოზიციის თეორიის სფერო არის დაუსრულებელი კვლე-ვების საგანი.

მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის კონ-კრეტულ მეთოდიკაში მის დიდაქტიკურ აღ-ჭურვაში, სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ხერხებში ეჭვგარეშე განხორციელდება მნიშვ-ნელოვანი ნოვაციები. არქიტექტურულ-კომ-პოზიციური შემოქმედების მხატვრული სპე-ციფიკის მიუხედავად, სადაც სუბიექტივიზმი არის განუყოფელი ატრიბუტი, მისი სწავლება არ შეიძლება ეყრდნობოდეს ემპირიზმს და უარყოფდეს ობიექტურ საფუძველს (6,7).

არსებობს არქიტექტურული პროპედევტიკის ძირეული იდეების განვითარების უზარმა-ზარი სივრცე. პერსპექტივაში მოსალოდნელია უამრავი აღმოჩენა, რომელებიც დადებით გავ-ლენას მოახდენენ მომავალი არქიტექტორების მომზადების ეფექტურობაზე.

საკვანძო სიტყვები: პროპედევტიკა, მოცუ-ლობა, სივრცე, კომპოზიცია, დაპროექტება, ფორმათწარმოქმნა, განათლება, პერსპექტივა.

ლიტერატურა:

1. Мелодинский Д.Л. - Объёмно-пространственная композиция - современное состояния тенденции развития // Начальный этап архитектурного образования. Сб. материалы совещаний, теория и практика советской архитектуры. М., 1991
2. Гудкова Т.В. Моделирование процесса творческого проектного мышления. Канд. дисс. Новосибирск, 2000
3. თევზაძე ნ., კიკნაძე ზ., მუჯირი ვ., ფორმათწარმოქმნისა და კომპოზიციის პარადიგმა არქიტექტურაში (9 ისტორიული და ლოგიკური ასპექტები). საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია, შრომები 2(17) საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ დამატება.
4. Степанов А.В и др. Объемно-пространственная композиция М., 1993г.
5. Степанов А.В., Иванова Г.И., Нечаев Н.Н. Архитектура и психология. М., 1973. стр.179
6. Ремизова Е.Р. - От Витрувия до Винтури. Эволюционный взгляд на педагогику композиционного творчества в архитектуре. // Архитектура мира. №5. М., 1996
7. Глазычев В.Л. - Включение художественной деятельности в систему проектирования // Искусство и научно-технический прогресс. Искусство. М., 1973..
8. Никифорова О.И. - Исследования психологии художественного творчества. МГУ. 1972.

ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ
АРХИТЕКТУРНОЙ ПРОПЕДЕВТИКИ

*Ванда Муджири,
доктор архитектуры, профессор*

факультетархитектур, урбанистикидизайна, Арсенал архитектурной пропедевтикиещё не исчерпан, поэтому в её традиционных рамках ожидаются большие и малые педагогические находки. Существует много проблем начального этапа архитектурного образования. Первейшая из них – это связь объёмно-пространственной композиции с архитектурным проектированием. Стало ясным, что эта проблема не может быть решена поэтапно, где есть риск разрыва учебного процесса. С развитием компьютерных технологий, также ожидаются изменения. Существует огромное пространство для развития идей архитектурной пропедевтики. В перспективе ожидается много находок и открытий, которые положительно скажутся на эффективности архитектурного образования.

DEVELOPMENT PERSPECTIVES
OF ARCHITECTURAL
PROPEDEUTICS

*Vanda Mujiri, Ph.D. Professor,
Technical University of Georgia*

In the traditional frame of Architectural Propedeutics some began small pedagogical discoveries, as its arsenal hasn't been run out yet. On the initial stage of the architectural education there arise lots of problems. The most important is a union of the size-space composition and the architectural projecting. It's evident that it can't be solved stage by stage, where a risk of interruption exists. Certain changes and shifts will be connected with the development of computer technologies. There exists a huge space for the development of the basic ideas of the architectural propedeutics. A lot of discoveries are expected, which will be very effective for the training of future architects.

რიყის პარტის ანალიზი და პრიტიპები

თინათინ ხიმშიაშვილი,
ასოცირებული პროფესორი, დოქტორი
თბილისის სამხატვრო აკადემია

როგორც ყველა თანამედროვე ქალაქს, თბილისაც სჭირდება რეკრეაციული ზონები, სადაც ადამიანს შეეძლება დღის გარევეული მონაკვეთი გაატაროს და მოწყდეს ქალაქის ყოველდღიურობას. ძირითადში განვითარებული ქეყნების მთავარ ქალაქებში ზუსტად ქალაქის ცენტრში შევხვდებით იმხელა პარკებს, სადაც შეიძლება დაიკარგო კიდეც ადამიანი. (მაგ. ნიუ-ორკის ცენტრალური პარკი, პაიდაპარკი ლონდონში, ბერლინის პარკი და სხვა) ამ ბოლო ათწლედში ყოველთვის მიკვირდა, რომ ჩვენთან ეს ტენდენცია არ შეინიშნებოდა, არა თუ ხდებოდა ახალი პარკების შენება არა-მედ პირიქით, ხდებოდა მისი შევიწროვება და გაჩეხვა - განადგურება .(მაგ.: კიკვიძის პარკი, სანაპიროზე კორტები და ა.შ.) ამ ფონზე, ახალაშენებული რიყის პარკი მართლაც მისწრება უნდა ყოფილიყო თბილისში მცხოვრები მოსახლეობისათვის.

რიყე ძელი თბილისის ერთ-ერთი უბანია, რომელიც მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ავლაბარსა და ჩუღურეთს შორის მდებარეობს. სახელი რიყე გვიანდელ შუა საუკუნეებში „ავლაბრის ჭალას“ მტკვართან სიახლოვის გამო ეწოდა. მე-17 საუკუნეში რიყე საასპარეზო ადგილი იყო. აქ გადიოდა რუსეთში მიმავალი ავჭალის დიდი გზა (შემდგომში რიყის, ხეთაგუროვის, საბჭოს ქუჩები).

1809 წლის გეგმაზე ამ ადგილას დატანილია კუნძული, რომელიც მტკვრისგან მარცხენა ტოტით იყო გამოყოფილი. დროთა განმავლობაში ტოტში წყალმა იკლო, რამაც 20-30 -იან წლებში აქ დასახლებულ გერმანელ მოახალშენებსა და მოლოკნებს საშუალება მისცა ნაპირები სახელდახელოდ გაემაგრებინათ. მათ დიდი შრომით მოახერხეს მტკვრისთვის მიწის

ნაკვეთის წარმევა, რითიც რიყის ტერიტორია გაიზარდა. მდინარე მტკვრის ადიდებისას რიყე იტბორებოდა.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში აქ „ზალცმანის სასტუმრო“ იდგა, რომელიც ფრიდრიხ ზალცმანს, თბილისელი არქიტექტორის, ალბერტ ზალცმანის მამას ეკუთვნოდა. აქვე იყო ზუბალაშვილების, მელიქიშვილების, ხოსროევისა და მირზოევის ქარვასლები. რიყეზე საკვირაო ბაზობები ეწყობოდა. ასევე იყო სხვადასხვა სახელოსნოები. რიყე ქალაქის ყველაზე დაბალ ნაწილში, უშუალოდ მტკვრის ნაპირზე მდებარეობს, ამიტომაც წყალდიდობების დროს ხშირად ზარალდებოდა.

1940 წელს რიყის მიმდებარე ტერიტორიაზე გაფავთ ავტომაგისტრალი, რის გამოც განადგურდა ერთიანი ურანული კომპლექსი.

40-იანი წლების ბოლოს ამ რეკონსტრუქციის შედეგად რიყე ქალაქს მოწყდა და ამით ერთგვარ კუნძულად იქცა.

20-ე საუკუნის 70-იან წლებში ქალაქის კეთილმოწყობის მიზნით რიყის ძელი ნაგებობები აიღეს. უკანასკნელი წლების განმავლობაში მრავალი ტრანსფორმაცია განიცადა. 90 -იან წლებში რიყეზე აშენდა რესტორნები, რომლებიც უამრავ პრობლემას იწვევდა. რამდენიმე წლის წინ აქ თანამედროვე პარკის განაშენიანება დაიწყო.

2009 – 2010 წლებში მდინარე მტკვარზე აიგო საფეხმავალო ხიდი ე.წ. მშვიდობის ხიდი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ერეკლე II -ის ქუჩასა (მიმდებარე სანაპიროსთან ერთად) და რიყეს. ხიდის არქიტექტორია მიკელე დელუკი.

ხიდმა საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, როგორც ურბანისტულ

- არქიტექტურული კუთხით, პროფესიული წრეებიდან, ასევე საზოგადოების მხრიდან. მართალია, მშვიდობის ხიდი მსოფლიოს საოცარ და უჩვეულო ფორმის ხიდებს შორის მოხვდა, იყო და ეხლაც არის შენიშვნები და პრეტენზიები ხიდის მასშტაბთან და პროპორციებთან, ასევე მის ზედმეტად ექსპრესიულ დიზაინთან დაკავშირებით, თუმცა საზოგადოების ნაწილისთვის ის მისაღებია. შუშის ხიდი თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ძეველი თბილისის ხედების შერწყმის მცდელობაა. რამდენად მოხერხდა ეს, სადაცო თემაა.

რაც მართალია მართალია, ხიდმა დაანგრია ძეველი თბილისის ხედი და დაუნგრია მასშტაბურობა ძეველ ტაძრებს. ამ ხიდის ქალაქის ნაკლებ საინტერესო და არაპრეტენზიულ ადგილზე აშენებას ბევრად კარგი შედეგი მოყვებოდა.

სულ ახლახანს კი დასრულდა მუსიკისა და დრამის თეატრისა და საგამოფენო დარბაზის შენებლობა რიყეზე, რომელიც იტალიული არქიტექტორის მასიმილიანო ფუქსასის კომპანიას ეკუთვნის, თუმცა მაკეტის შემქმნელის ვინაობა უცნობია. იგივე პრობლემის წინაშე დავდექით, როგორი პრობლემის წინაშეც დაგვაყენა ზემოთ აღნიშნულმა ხიდმა. ხიდს დაემატა მთლიანად კომპოზიციიდან ამოვარდნილი შენობა. ასეთ ძეველ და უნიკალურ არქიტექტურულ გარემოში, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ ყავს, უზარმაზარი შენობის ჩასმა სრულიად გაუგებარია. ხიდის მსგავსად, სხვა ნაკლებ საინტერესო ადგილას შესაძლოა ამ შენობას უფრო მეტი მოწონება დაემსახურებინა. საკმაოდ ბევრია თბილისში ასეთი ადგილი. განვითარება არ ქვია ძეველი იერსახის დამახინჯებას.

ამ ყველაფერს ასევე ემატება საბაგიროს შენობა. ეს სამი ნაგებობა საკმაოდ ტვირთავს და ამძიმებს სურათს და კომპოზიციას არა-საინტერესოს ქმნის.

რაც შეეხება თავად რიყის პარკს, ეს თბილისის ერთერთი ყველაზე მასშტაბური დასასვენებელი კომპლექსია. პარკს საქართველოს

რუკის ფორმა აქვს და თითოეული რეგიონი ერთმანეთს საფეხმავალო ბილიკებით უკავშირდება. ევროპის მოედნიდან რიყის პარკის შესასვლელთან მიწისქვეშა პარკინგი მოწყობის პარკის 9 ჰექტარამდე ტერიტორიაზე ცალკე კუთხეებია მოწყობილი ბავშვებისთვის, მოხუცებისთვის. რიყის პარკი ლანდშაფტის ნიდერლანდელმა დიზაინერმა მარტინ კოლტკამპმა დააპროექტა. პარკში ასევე განთავისუფლებულია სამგანზომილებიანი გამოსახულების მოძრავი მუსიკლური შადრევანი.

პარკი, მის გარშემო არსებულ ახალ ნაგებობებთან შედარებით თავის ფუნქციას უდავოდ ასრულებს. ამ ტერიტორიიაზე რეკრიაციული და სასეირნო ზონის გაკეთება ნამდვილად კარგი გადაწყვეტილებაა. იგი არ უშლის ხელს კომპოზიციას და საკმაოდ კარგად ჯდება მასში. მართალია აქვს უარყოფით დეტალები, მაგალითად ხელოვნურად შექმნილი კლდე, რომლის გაკეთებაც ნამდვილად უსარგებლო იყო მითუმეტეს თბილისისნაირ ლანდშაფტზე. მწვანე საფარის ნაკლებობაა. ზაფხულში ჩრდილის მოძრემი მწვანე საფარი საკმაოდ მცირება ამ პარკში.

უკეთესი იქნებოდა პარკში მასშტაბიდან ამოვარდნილი შენობების ჩადგმის ნაცვლად შედარებით მოკრძალებული ნაგებობების აშენება გადაწყვეტათ, რაც არ გააღიზიანებდა თვალს, ქალაქსაც ოდნავ ახალ ელფერს შეძენდა და რაც მთავარია ქალაქის ისტორიულ ნაწილს არ დაჩრდილავდა.

როგორც ყველა პროექტს რიყის პარკსაც თავისთვალი აქვს გეგმა, თუმცა საწუხაროდ როდესაც პარკს ნარიყალიდან ვუყურებთ მისი გეგმარება საერთოდ არ იკითხება, რაც ჩემი აზრით დიდი მინუსია.

უარყოფით მხარესთან ერთად უნდა აღინიშნოს დადებითი მხარეებიც. მაგალითად ის, რომ პარკის შიგნით განაშენიანებაში არის ბევრი საინტერესო დეტალი და ელემენტი, რომელიც 21 საუკუნის ლანდშაფტური დიზაინის კარგ ნიმუშებს წარმოადგენს.

რიყის პარკი მუდმივი დავის საგანია. შეიძლება საზოგადოების ერთი ნაწილისთვის ეს თანამედროვე ლანდშაფტური არქიტექტორის ნიმუში მისაღები იყოს. დანარჩენისათვის კი სრული განადგურება იმ ღირებულებებისა და ფასეულობების, რომლებიც აქამდე გაგვაჩნდა ლანდშაფტურ არქიტექტურაში.



ПАРК РИКЕ АНАЛИЗ И КРИТИКА

*ина химшиашвили
ассоциированный профессор, доктор*

В статье описывается история местонахождения одного из районов Старого Тбилиси- Рике, как обустраивалась эта территория в течение многих веков, также рассмотрен сегодняшний парк Рике, дается анализ парка и критика. В статье также рассмотрено значение реки Мtkвари в строительстве этой территории и связь парка с центральными районами города, дается ландшафтно- архитектурный модель.

PARK RIKE ANALYZE AND CRITIC

*Tina Khimshiaishvili
Associated Professor, Doctor*

In article the history of location of one of districts of Old Tbilisi, Rike is described, how this territory was built during many centuries, here is also described today's park Rike, the analysis of park and the critic is given. In article value of the river Mtkvari in construction of this territory and communication of park with the central regions of the city is also considered, is given landscape architectural model too.

სოლოლაბაში მდებარე პროტესტანტული სახლის ჟანახებ

მაია ძიძიგური, გიორგი იოსებიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ასათიანის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლი (N56), რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, ისევე, როგორც ქუჩის განაშენიანების უმეტესი ნაწილი. ის არ გამოირჩევა განსაკუთრებული გეგმარებით, გარეგნული სახითა, თუ ინტერიერებით. შეიძლება ითქვას, რომ ეს გახლავთ მისი აგებისძროისთვის სოლოლაკის უბნისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლი, რომელსაც თბილისის მკვლევარი აკად. ვ. ბერიძე თავის მონოგრაფიაში “თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები” იხსენიებს. ჩვენი ინტერესი სახლის მიმართ სწორედ ცნობილი მეცნიერისა და მკელევარის მიერ არქივიდან ამოღებული მასალისა (პროექტის) და არსებული შენობის

შედარებამ გამოიწვია. მივყვეთ თანმიმდევრულად. უპირველეს ყოვლისა დავახასიათოთ და შევაფასოთ შენობის დღევანდელი მდგომარეობა.

კვლევის ობიექტი მდებარეობს ძველ თბილისში, კერძოდ სოლოლაკში სოლოლაკის ქედის ძირში ლ. ასათიანის (ყოფილი ენგელსის, უფრო ადრე ბებუთოვის, ბაღის) ქუჩაზე, იქ, სადაც იაშვილის ქუჩა ერწყმის ასათიანისას. ნაგებობა წარმოადგენს აგურის სამსართულიან საცხოვრებელ სახლს, რომელიც ასათიანის ქუჩის მარჯვენა ნაპირის გრძივგანაშენიანებაშია მოქმედი. კვლევის ობიექტი ორი ურთიერთპერპენდიკულარული (Γ-სმსგავსად) ფლიგელისგან შედგება. ერთი გრძივად მიუყვება ასათიანის ქუჩის ხაზს და მთავარი ფა-



სადით მისკენაა მიმართული, უკანა ფასადით კი - სოლოლაკის ქედისკენ, ხოლო მეორე მის მიმართ მართობულად ვითარდება. ხსენებული ფლიგელები დაკვლევის ობიექტის მომიჯნავე შენობის კედელი სამი მხრიდან ფარგლავენ სოლოლაკის ქედისკენ ორიენტირებულ შიდა ეზოს. ასათიანის ქუჩაზე გამავალი ფლიგელის პირებელი სართულის ფარგლებში ერთი მხრივ საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში შესასვლელია მოწყობილი სართულების დამაკავშირებელი კიბით, ხოლო საპირისპირო მხარეს ეზოში გამავალი გამჭოლი გვირაბი, რომელსაც კვლევის ობიექტის მომიჯნავე შენობის კედელი საზღვრავს.

თავისი იერსახითა დაგეგმარებით საცხოვრებელი სახლი მე-19ს-ის ბოლო მეოთხედში უნდა იყოს აგებული (აკად. ვახტანგ ბერიძის მიერ საცხოვრებელი სახლების კლასიფიკაციის მიხედვით ამგვარი გეგმარებისა და გარეგნული სახის სახლები მე-19 ს-ის 80-90-იანი წლების ერთ-ერთი გავრცელებული ტიპია), თუმცა დღეს მისი პირვანდელი სახე დარღვეულია სხვადასხვა დროს განხორციელებული გვაინი გადაკეთებების ხარჯზე. ეს ეხება როგორც მთავარ (ასათიანის ქუჩისკენ მიმართულ), ასევე ეზოს მხარეს გამავალ ფასადებს. თვალში საცემია მთავარი ფასადის აგურის კედლის სიბრტყეების დამუშავების განსხვავებული ხასიათი. კონტრასტულია პირველი ორი სართულის მოწესრიგებული მხატვრულად დამუშავებული ე.წ. რუსული აგურის კედლის სიბრტყე (აგურის წყობის ნაკერების ცემენტის ხსნარით დეკორატიული დამუშავება, ფერი) მესამე სართულის შედარებით უხეში აგურის კედლის სიბრტყესთან, განსხვავებულია აგურის წყობის ხასიათიც, თუმცა არქიტექტურული ფორმების სახე და რიტმი ზოგადად შენარჩუნებულია. მობინადრეთა ცნობით ხანძრის შედეგად დაზიანებული მესამე სართული გაცილებით გვიან მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს დაშენებული.

თბილისის მკვლევარი აკად. ვახტანგ ბერიძე თავის მონოგრაფიაში “თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801-1917 წლები” 1890-იანი წლების ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის ტიპის და გარეგნული სახის განხილვისას მაგალითად წარმოგვიდგენს ენგელსის (ამჟ. ასათიანის) №56 საცხოვრებელი სახლის საპროექტო ვარიანტს (1898წ.) - მესამე სართულის გეგმას, ჭრილს და ფასალს და მიუთითებს სცისა-სფონდს (192/8-ა №5767). ყურადღებას იქცევსის გარემოება, რომ ეს პროექტი არ შეესაბამება სახლის დღევანდელ რეალურ სახეს (არ ვგულისხმობთ გვიან გადაკეთებებს). სხვაგვარადაა წარმოდგენილი არქიტექტურული ფორმები, ლიობები, გადახურვა, გეგმარება - პროექტის მიხედვით მთავარ, ასათიანის ქუჩისკენ ორიენტირებულ ფლიგელს მისი მართობული ფლიგელი მარცხნიდან საზღვრავს, შესაბამისად სადარბაზოში შესასვლელი მარცხნივა, ხოლო ეზოში გამავალი გვირაბის ჭიშკარი მარჯვნივ, კვლევის ობიექტის განგანსხვავებით.

საქართველოს ეროვნულ არქივში ხსენებული პროექტის გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ დოკუმენტში მითითებული არ არის მისამართი. წარწერა გვამცნობს: Проект трехэтажного каменного дома вдовы Софии Христофоровны Терпь Меликсотовой в 4. (ამჟ. ასათიანის ქ.). ხსენებული პირვენება კი საარქივო დოკუმენტაციის მიხედვით მე-4 საპოლიციო უბანში ფლობდა ნაკვეთს, რომელიც დღევანდელ ასათიანის (ყოფ. ენგელსის, უფრო ადრე ბალის) №40 საცხოვრებელი სახლის ნაკვეთს შეესაბამება. ამდენად ხსენებული პროექტი წესით ამ ტერიტორიაზე განსათავსებელი საცხოვრებელი სახლისა უნდა ყოფილიყო, თუმცა აქ არსებული შენობის იერსახე განსხვავებულია პროექტში წარმოდგენილისგან. ასათიანის №56 საცხოვრებელი სახლის ნაკვეთის (მე-4 საპოლიციო ოუბანი) მფლობელი მე-19 ს-ში ყოფილა აბგარ ორბელი. მის ნაკვეთზე შესრულებულა ორი პროექტი - ერთი 1894 წ., ხოლო მეორე-1899წ. (საქართველოს ეროვნული არ-

ქივი ფონდი 192/8-ა საქმე 4065 და იგივე ფონდის საქმე 6107. ამ უკანასკნელს აწერი აენგელსის №56). ნიშანდობლივია, რომ კვლევის ობიექტი მემორიალურია და აქ არსებული დაფა ქართულ და სომხურ ენებზე გვამცნობს, რომ ამ სახლში ცხოვრობდნენ აკად. ლეონ აბგარისძე, აკად. იოსებ აბგარის ძე და პროფ. რუბენ აბგარის ძე ორბელები, რაც ასევე გვიდასტურებს, რომ 1894წ. პროექტი სწორედ ამ ნაგებოსთვის იყო გათვალისწინებული. სახლში ამ პირვენებების ცხოვრების საწყის თარიღად მითითებულია 1889წ. ანუ 1889 წელს აქ საცხოვრებელი უკვე უნდა არსებულიყო. თუმცა ეროვნული არქივის ფონდის მასალები მხოლოდ 1894 და 1899 წლის პროექტებს მოიცავს. 1894წ.-ის საპროექტო დოკუმენტაციაში და რთულია საჯარო მოხელის აბგარ ორბელის თხოვნა სახლის პროექტის დამტკიცების თაობაზე, რაც დაკმაყოფილებულია შესაბამისი საბუთით. პროექტში წარმოდგენილი შენობა არსებული საცხოვრებელი სახლის ადგილს შეესაბამება, ხოლო 1899 წ-ის ამის უკან ეზოს სიღრმეში წარმოგვიდგენს დამოუკიდებელ, კვლევის ობიექტის მსგავსი კონფიგურაციის შენობას, რომელიც ამ სახით როგორც ჩანს არ განხორციელებულა. ამ უკანასკნელის ფარგლებში რეალურად არსებობს საცხოვრებელი, თუმცა ის კვლევის ობიექტის ეზოსკენ მიმართული ფლიგელის გაგრძელებად აღიქმება. 1894 წლის პროექტისა და არსებული შენობის შედარებისას ბევრ საერთო ნიშან-თვისებას ვპოულობთ, მაგრამ ბევრ მნიშვნელოვან განსხვავებასაც. საერთო არიზალიტების, სარქმლების კედლის სიბრტყის მხატვრული დამუშავების ხასიათი, თუმცა პროექტში მეტი ბაროკული ფორმები და მხატვრული ელემენტებია გამოყენებული, რაც ნატურაში არ არის განხორციელებული. შეცვლილია სახლის რიზალიტებს შორის სარქმლების რაოდენობა, სავარაუდოდ სარკმელთა შორის არეების მანძილების გაზრდის ხარჯზე. ამდენად პროექტში წარმოდგენილი საცხოვრებელი

გაცილებით ძვირადლირებული უნდა ყოფილიყო, ვიდრე განხორციელებული ვარიანტი. ყველა ზემოთქმულს თუ შევაჯერებთ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საცხოვრებელი სახლი აქ ადრე არსებული სახლის რეკონსტრუქციის შედეგია (მემორიალურ დაფაზე ორბელთა აქ ცხოვრების საწყისი წელი - 1889 დასაშვებია აქ ადრე არსებულ შენობას ეკუთვნოდეს, რისი პროექტიც არქივში არ ჩანს) 90-იანი წლების პროექტის მიხედვით, ოდონდ ნაწილობრივ შეცვლილი, გამარტივებული სახით. თეორიულად დასაშვებია მეორე ვარიანტიც - საცხოვრებელი 1889 წ.-თვის აგებულ იყო და 1894 წ. მის მეპატრონებს ახალი - უფრო მდიდრული შენობის აგება განეზრახა, თუმცა ასე მოკლე დროში იმ პერიოდისთვის საკმაოდ მკვიდრად-ნაგები შენობის დანგრევა და ახლით შეცვლა ნაკლებსავარაუდოა.

ლიტერატურა:

ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოღვრება 1801-1917 წლები, თბ.: საბჭოთა საქართველო, ტ. I 1960., ტ. II 1963

ABOUT THE MANSION IN SOLOLAKI

M. Dzidziguri, G. Iosebidze, G TU

The architectural, structural, historical research of the mansion(XIX century), which has a cultural heritage monument status, in the historical part of Tbilisi (Sololaki) is given in the article.

ИССЛЕДОВАНИЕ ОДНОГО ИЗ ДОМОВ В

СОЛОЛАКИ

М. Дзидзигури, Г. Иосебидзе, ГТУ

В данной статье приводится архитектурно-художественное и историческое исследование одного из домов XIX века в исторической части Тбилиси Сололаки, который имеет статус памятника культурного наследия.